ჯონ ბევირი

ნიუ იორკ თაიმსის ბესთსელერი ავტორი

მძღურვალე გული

ღვთისადმი სწრაფვის გაღვივება

ძვირფასო მეგობარო!

ჩვენი საუკეთესო დღეები წინ გველოდება. ღმერთმა თავისი ხალხი შემოინახა. ისინი მოისმენენ მისი გულის ძახილს და წმიდად ივლიან მის წინაშე. ისინი ნამდვილ მორწმუნეებს წარმოადგენენ - ვინც ისმენს და ყოველგვარი ეჭვის გარეშე ემორჩილება მის ხმას. ისინი ღვთის წინაშე ქვეყნიერების ყოველი ბიწისა და მანკის გარეშე წარდგებიან წმიდა გრძნობით გულანთებულნი.

როგორც უფალია მათდამი მოშურნე, ისე ისინიც დაშურებით ივლიან მის წინ. ღმერთი ამ ადამიანების მეშვეობით გაუცხადებს თავის დიდებას დაღუპულ და მომაკვდავ ქვეყნიერებას. სიწმიდე ბოლომდე ასპარეზობისთვის თავის მიძღვნას გულისხმობს. მთელი გულით მსურს, რომ ღვთის მადლის შეწევნის დაპირებაზე იდგეთ, იბეჯითოთ და მასში მოიპოვოთ გამარჯვება!

უფალმა ჩამიდო გულში, რომ ეს სათქმელი თქვენთვის და სხვა თანამსახურებისთვის გამეზიარებინა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. გთხოვთ, მიიღოთ ის მთელი სიყვარულით და მხარდაჭერით. დამატებითი რესურსების მოძიება შესაძლებელია უფასოდ ჩამოსატვირთ და ვიდეოსტრიმინგის პლატფორმაზე: **MessengerX.com** და **MessengerX app**-ზე. დარწმუნებული ვარ, რომ ეს გაგაძლიერებთ თქვენ და თქვენს მზრუნველობას მონდობილ ადამიანებს მიზნის, ძალაუფლებისა და ღვთიური დანიშნულების მისაღწევად.

თქვენი ძმა ქრისტეში,
ჯონ ბევირი

MessengerX

JohnBevere@ymail.com

Messenger INTERNATIONAL

მხურვალე გული

ღვთისადმი სწრაფვის გაღვივება

ჯონ ბევირი

A Heart Ablaze, by John Bevere, Georgian
© 2026 Messenger International
MessengerInternational.org

Originally published in English as *A Heart Ablaze*,
Additional resources in Georgian by John and Lisa Bevere are available
for free download and video streaming at: **MessengerX.com** and on the **MessengerX** App.
To contact the author: JohnBevere@ymail.com

ISBN 978-0-7852-6990-8

This international leadership seeding edition of the A Heart Ablaze book has been produced in collaboration between Thomas Nelson and Messenger International.

This book is a gift from Messenger International and is
NOT FOR SALE

„მხურვალე გული“ ჯონ ბევირისგან, ქართულად
© 2026 Messenger International
MessengerInternational.org

ორიგინალი დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე: *A Heart Ablaze*,
დამატებითი რესურსები ქართულ ენაზე ჯონ და ლიზა ბევირებისგან მიიღეთ უფასოდ ჩამოსატვირთი მასალებისა და ვიდეო-ნაკადის სახით: **MessengerX.com** და ასევე **MessengerX** App.
ავტორთან კონტაქტისთვის ისარგებლეთ შემდეგი ელექტრონული ფოსტით:
JohnBevere@ymail.com

ISBN 978-0-7852-6990-8

წიგნი „მხურვალე გული“ ეს საერთაშორისო გამოცემა, რომელიც წინამძღოლობის საკითხებს ეძღვნება, Thomas Nelson-ისა და Messenger International-ის თანამშრომლობით მომზადდა.

ეს წიგნი Messenger International-ის საჩუქარია და განსაზღვრული არ არის გასაყიდად.

ჩამოტვირთეთ: App Store

იხილეთ: Google Play

App Store არის Apple Inc.-ის აშშ-სა და სხვა ქვეყნებში რეგისტრირებული სავაჭრო ნიშანი. Google Play და Google Play logo არის Google LLC - ის სავაჭრო ნიშანი.

შინაარსი

შესავალი.....V

1. დაუვიწყარი სალამო.....1

2. გადარჩენის მიზანი.....13

3. ეგვიპტის გამოყვანა.....23

4. უფლის დიდება.....33

5. მთისკენ მიმავალი გზა.....47

6. მართვადი ღვთაება.....57

7. ზრახვები თუ სურვილები?.....69

8. კონტრკულტურა თუ სუბკულტურა?.....83

9. გადამრჩენელი მადლი.....97

10. რთული დღეები.....115

11. ოქრო, სამოსელი და მალამო.....127

12. ვინც მიყვარს 147

13. წმინდა ცეცხლი შიგნით.....159

14. ისინი იხილავენ მის სახეს.....175

შესავალი

წინამდებარე წიგნი ჭეშმარიტებაში მოგზაურობა გახლავთ. ადამიანები ჭეშმარიტებისკენ ისწრაფვიან, მაგრამ მასთან შეხვედრის შემდეგ უარყოფენ, ყურადღებას აღარ აქცევენ და ანგარების გამო ამახინჯებენ. ამ მდგომარეობამ ჩვენს თაობაში გადაუჭრელი პრობლემები შექმნა. შედეგად, მთელი საზოგადოება სიცრუეში ჩაეფლო. იესომ ჩვენი დროის შვილები არაერთხელ გააფრთხილა ამის შესახებ. სიცრუე სერიოზულ პრობლემას წარმოშობს – მისით მავალ ადამიანებს ჰგონიათ, რომ ჭეშმარიტებაში დადიან. პავლემ ტიმოთეს ასე აღუწერა უკანასკნელი დღეები: „ვინაიდან დადგება დრო, როცა საღ მოძღვრებას ვეღარ აიტანენ, არამედ თავიანთი გულისთქმებისამებრ შემოიკრებენ ყურის მომქავებელ მასწავლებლებს. ჭეშმარიტებას ყურს აარიდებენ და ზღაპრებისკენ მიმართავენ“ (2 ტიმ. 4:3-4).

ბერძნული სიტყვის „ზღაპრის“ ერთ-ერთი მნიშვნელობა გახლავთ „სიცრუე“. თუ სიცრუეს საკმარისად დიდხანს წარმოაჩენენ ჭეშმარიტებად, ბევრი გაითავისებს და მისთვის სიცოცხლეს დადებს. როცა წმიდა წერილიდან რეალური ჭეშმარიტება გაცხადდება, ერესად ჩათვლიან. პავლე ამბობდა, რომ ადამიანები საღ მოძღვრებას ვეღარ აიტანენ. მოვისმინე, როგორ თქვა ერთმა მქადაგებელმა: „ჩვენს ეკლესიებში გადმოცემული უსაფუძვლო მოძღვრებები სატელეფონო წიგნის შეტყობინებები როდია. ისინი წმიდა წერილიდან ისწავლებოდა“. ის გვაფრთხილებდა, რომ ეს არაჯანსაღი მოძღვრებები ბიბლიიდან არის ამოღებული და ფართო მასებმა ამიტომაც მიიღეს.

იგავების ავტორმა ეს ვითარება წინასწარ დაინახა, როცა თქვა: „არიან, საკუთარ თვალში სუფთანი, მაგრამ არ განბანილან საკუთარი სიბინძურისგან“ (იგ. 30:12). ამ წიგნიდან გავიგებთ, რომ ხსენებულ მუხლში ჩვენს თაობაზეა ლაპარაკი. ჭეშმარიტება ჩვენი გრძნობებისთვის სასიამოვნო და ადვილი მისაღები რომ ყოფილიყო, მთელი მსოფლიო დააკაკუნებდა მის კარზე და შევიდოდა. თუმცა იესომ ცხადად აღნიშნა, რომ ასე არ გახლავთ: „რადგან ყველას, ვინც სჩადის დანაშაულს, სძულს სინათლე და არ ისწრაფვის სინათლისკენ, რათა მხილებული არ იქნეს მისი საქმენი. ხოლო ჭეშმარიტების მოქმედი სინათლისკენ მიდის, რათა ცხადი გახდეს მისი საქმიანობა, ვინაიდან ღმერთშია ქმნილი“ (იოან. 3:20-21). ჭეშმარიტება მხოლოდ ღვთისმოშიშებს უყვართ.

ამ დღეს და საათს მათთვის რთული კითხვები მოაქვს. რატომ აკლია ენთუზიაზმი ეკლესიების უმეტესობას? მილიარდობით დოლარი ჩავდეთ მასმედიაში, შენობებში, რეკლამებსა და ბევრ სხვა სფეროში სახარების გასავრცელებლად. მაშ, რატომ ხდება, რომ ეკლესიები ჯერ კიდევ ებრძვიან გულისთქმებსა და ქვეყნიერების სიამეებისკენ ლტოლვას? რატომ ბრუნდება ახალმოქცეულთა 80 პროცენტი სიბნელის სამეფოში? როგორ ხდება, რომ ცოდვილები ხელახლა შობაზე პრეტენზიას აცხადებენ და მაინც არ იცვლებიან? ვფიქრობ, ყოველივე ზემოჩამოთვლილზე პასუხი შინაგანი ცეცხლისა და ღვთისკენ სწრაფვის არარსებობაშია.

თუ ჩვენზე წინ მოსულებს გადავხედავთ, ცხად განსხვავებას დავინახავთ. რამ აიძულა მოსე, რომ ღვთის კვალზე ევლო, თუმცა ეს მთელი ცხოვრების მიღწევებად დაუჯდა? რატომ განაგრძობდნენ იერემია, ესაია, და სხვები იმ სიტყვების გამეორებას, რასაც მათთვის დევნა და შევიწროება მოჰქონდა?

როგორ შეძლეს პირველი საუკუნის ეკლესიებმა სახარების გულისთვის თავიანთი საკუთრების, კომფორტისა და სიცოცხლის დათმობა? რა ძალას ფლობდნენ, რომ გაბედულად ქადაგებდნენ წამებისა და სიკვდილის მუქარის მიუხედავად მაშინ, როცა თანამედროვე ეკლესიების უდიდესი ბრძოლა საკუთარ თავზე ცუდი წარმოდგენის დაძლევას უკავშირდება? პასუხი ისევ შინაგან ცეცხლშია.

ღვთიური ცეცხლი გვჭირდება და ეს ყველასთვის ხელმისაწვდომია, ვისაც ჭეშმარიტება სწყურია. ეს წინააღმდეგობის გარეშე არ მოდის, მაგრამ უმეტესობას მობეზრდა თავის მოტყუ-

ება და ცვლილებებისთვის მზად არის. ძველებურად დარჩენის შიში გადაწონის ჭეშმარიტებასთან ნებისმიერ მტკივნეულ შეხვედრას.

ვისაც ასეთი პოზიცია უჭირავს, მთელი ძალით ესწრაფვის დიდების უფლის ხმის გაგონებას. ასეთებს გულით სურთ, რომ მართლაც განდიდებული იხილონ იგი თავიანთ ცხოვრებაში. მნიშვნელობა არ აქვს მასთან სიარულის რა ეტაპზე იმყოფებით, მაინც არის მეტი წმიდა ცეცხლის ადგილი. ის უკვე შეგვპირდა:

> „ნაგვემ ლერწამს არ გადატეხს და მბჟუტავ პატრუქს არ ჩააქრობს, ვიდრე სამართალს გამარჯვებამდე არ მიიყვანს“ (მათ. 12:20).

რა მოწყალე სიყვარული აქვს ჩვენს ზეციერ მამას! ვლოცულობ, რომ ამ წიგნმა თანდათანობით გახსნას ჩვენს მდგომარეობაზე მისი ნამდვილი ზრუნვის ხარისხი. ის უფრო მეტად ღელავს ამაზე, ვიდრე ჩვენს კომფორტზე და იმდენად ვუყვარვართ, რომ არ დაგვიმალოს, რის გაგონებაც გვჭირდება. არასდროს ვყოფილვარ სათქმელით ასე აღტაცებული, რადგან ეს ჭეშმარიტებები ღრმად ჩაწვდა ჩემს გულს. ამ პროექტმა მხოლოდ განამტკიცა მისი რეალიზება, ვინც სინამდვილეში წიგნის ავტორი გახლავთ. მე უბრალო ჭურჭელი ვარ, რომლის გამოყენებითაც მოძღვარმა თავისი სათქმელი გადმოგვცა. სიფრთხილით ვეკიდები, რომ მას მივაგო მთელი დიდება იმ შედეგისთვის, რასაც ეს წიგნი მოიტანს. დაე, აენთოს წმიდა ცეცხლი თქვენს ცხოვრებაში და იგივე აღარასდროს დარჩეთ! ამ მოგზაურობის დაწყებამდე ვილოცოთ:

> ზეციერო მამა, იესოს სახელით გთხოვ, რომ ამ წიგნის კითხვისას სულიწმიდით დამელაპარაკო! ჭეშმარიტების არ მეშინია. როცა მას მივიღებ, დაე, იწვოდეს ჩემი გული შენი წმიდა ცეცხლით! დაე, მისმა სიძლიერემ მშთანთქას; უფრო მეტად შემაყვაროს, რაც შენ გიყვარს და უფრო მეტად შემაძულოს, რაც შენ გძულს! კითხვისას იმაზე ნათლად დამანახე იესო, ვიდრე ოდესმე მინახავს! ვაღიარებ, რომ ის არის ღვთის გაცხადებული სიტყვა და ჭეშმარიტება. წინასწარ გმადლობ ჩემი ცხოვრების შეცვლისთვის ამ წიგნში გადმოცემული სათქმელის მეშვეობით, ამინ!

თავი 1

დაუვიწყარი საღამო

ღმერთი თავის ხალხს ისეთი შთამბეჭდავი, მწველი გრძნობით აანთებს, როგორიც ადრე არასდროს გვინახავს.

Covenant Love Family Church-ის რიგით მეოთხე და ბოლო შეხვედრა გახლდათ მსახურებათა სერიიდან, რომელიც ფეიეთვილში, ჩრდილოეთ კაროლინაში ტარდებოდა. ეს ჩემი მათთან ყოფნის პირველი შემთხვევა არ იყო – ამ ეკლესიას რამდენჯერმე ადრეც მოვმსახურებივარ. შეხვედრებს ყოველთვის მშვენიერი ნაყოფი მოჰქონდა ღვთისადმი მათი წრფელი წყურვილისა და სიყვარულის გამო.

გვიანი იყო და კარგა ხანი გადაცდა რეგულარული მსახურების დასრულების დროს. და მაინც, ფეხს ვითრევდი – არ მინდოდა ხალხის გაშვება. შინაგანი ჭიდილი მქონდა. ქადაგება ნათელი და მოკლე იყო და მორწმუნეთა თემი ენთუზიაზმით გამოეხმაურა, მაგრამ ნაკლოვანების გრძნობა არ მასვენებდა. ჩვეულებრივ, შემეძლო მსახურების სერიის სისავსის განცდით დასრულება, განსაკუთრებით იმ ეკლესიაში, სადაც პირველად არ ვყოფილვარ, მაგრამ იმ საღამოს ყველაფერი სხვაგვარად

იყო. ამ ბრძოლის გარდა გამუდმებით მესმოდა სულიწმიდის ჩურჩული, როცა ფეიეთვილისკენ მოვფრინავდი: „ეს შეხვედრები ყველაზე ძალმოსილი იქნება, რომლებიც კი ოდესმე განგიცდია, ყველაზე ძლიერი, რომლებიც კი ამ ეკლესიაში ყოფილა“.

აქ შვიდჯერ თუ რვაჯერ ვიყავი ბოლო წლების განმავლობაში და ყოველგვარი ეჭვის გარეშე ჩავრთავდი ცხოვრების შემცვლელი შეხვედრების სიაში. მახსოვს, როგორ გავიფიქრე თვითმფრინავში: ეს ბევრის მეტყველია!

კათედრასთან გაოგნებული ვიდექი. ძნელი იყო ჩატარებული შეკრებების შედარება იმ მნიშვნელოვან აქტებთან და დამოწმებებთან, რომლებიც წინა შეხვედრებზე ხდებოდა. თავს ძლივს ვიკავებდი შინაგანი წუწუნისგან, მაგრამ ვიცოდი, რომ ყურადღება მსახურებაზე უნდა გამემახვილებინა. ძალიან მჭირდებოდა ხმის მოსმენა, რომ ფოკუსი არ დამეკარგა. ძალიან მჭირდებოდა უფლისგან მოსმენა.

ჩანდა, რომ ღვთის თანდასწრება ხალხის თავზე იძვროდა. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ღმერთს ძალმოსილი გზით ჩამოსვლა სურდა, მაგრამ რაღაც აკავებდა. ვხედავდი ადამიანთა ჯგუფებს აქა-იქ, რომლებიც ტიროდნენ და მაინც, დარწმუნებული ვიყავი, რომ უფალს მეტის მოლოდინი ჰქონდა. მსგავსი ატმოსფერო წინა შეხვედრებზეც შევიგრძენი, მაგრამ ვფიქრობდი, რომ იგი ბოლო საღამოს ისურვებდა თავისი გამომაცოცხლებელი თანდასწრებით მობრძანებას, როგორც ადრე ხდებოდა. სხვაგვარი მსახურება არც უნდა ყოფილიყო. „რატომ არ ეხება იგი ადამიანთა გულებს, როცა ვიცი, რომ ამის სურვილი აქვს?“ – არაერთხელ დავუსვი თავს კითხვა.

გამოცხადება, რომელმაც მიმართულება მომცა

შემდეგ სულიწმიდის დაბალი და წყნარი ხმა გავიგონე, რომელიც მე მომმართავდა. მან მაჩვენა, რომ ამ ქალაქის ეკლესიებს რაღაც აბრკოლებდა, ისევე როგორც ახლანდელ მსახურებას. ეს რაღაც ეკლესიებს გარკვეული წერტილის მიღმა ზრდაში ხელს უშლიდა. როცა იმ ზღვარს მიაღწევდნენ, იყოფოდნენ ან ფორმალურ რელიგიაში ვარდებოდნენ და უშედეგონი ხდებოდნენ.

როგორც კი ამაზე ვილაპარაკე, პასტორი ფეხზე წამოხტა და დამიდასტურა. მას ქალაქის აწმყოს და ისტორიული წარსულის

კვლევა ჩაუტარებია და დამიმოწმა, რომ სტატისტიკა მართლაც ასეთი გახლდათ. სანამ ის ლაპარაკობდა, ისევ გავიგონე სულიწმიდის ხმა. მან ამიხსნა, თუ როგორ შეიძლებოდა არსებული დაბრკოლების გადალახვა. როცა პასტორმა დაასრულა, მიკროფონი უკანვე გადმომცა. მე ვთქვი:

– ხალხო, ღმერთმა მაჩვენა, რომ ამ წინაღობის გადასალახავად საჭიროა ორმოცდღიანი მარხვა.

თთქმის გავიგონე ადამიანთა გულის ფიქრები – „ორმოცდღიანი მარხვა საკვების გარეშე?“ ისევ გავაგრძელე:

– აუცილებელი არ არის, რომ მარხვა საკვების გარეშე იყოს. ალბათ, ეს არ იქნება ჭამისგან სრული თავშეკავება. იმარხულებთ, რომ მოიცილოთ ის, რაც უფლის ძიებაში გაბრკოლებთ. ეს შეიძლება იყოს ტელევიზორი, ვიდეოები, კომპიუტერული თამაშები, გაზეთები, ზღვარს გადასული შოპინგი, სატელეფონო საუბრები და ა. შ. ნამდვილი მარხვა ასეთია. ხშირად ვშიმშილობთ, რომ ღვთის ხმა გავიგონოთ, მაგრამ ჩვენი დაძაბული და გაფანტული ცხოვრების შეცვლას არ ვფიქრობთ. ასეთი მარხვისგან მცირე სარგებელია. მარხვა მაშინ არის ნამდვილი, როცა ბევრი რამისგან თავს ვიკავებთ ღვთის მიზანმიმართული ძიებისთვის.

ისრაელიანებიც არ ჭამდნენ და უფალს ეკითხებოდნენ: „რატომ ვერ მოვახდინეთ შენზე შთაბეჭდილება?“ ან „რატომ ვერ ამჩნევ ჩვენს საქმეებს?“ ღმერთმა ესაია წინასწარმეტყველის პირით უპასუხა: „გეტყვით, რატომაც! ასე იმიტომ ხდება, რომ მარხვისას საკუთარი თავისთვის ცხოვრობთ ... ასეთი მარხვით ჩემამდე ვერასდროს მოხვალთ“ (იხ. ეს. 58:3-4).

მიკროფონი პასტორს გადავეცი და მან დაუყოვნებლივ გამოაცხადა მარხვა თავისთვის და ხალხსაც ევედრებოდა, რომ იგივე გაეკეთებინა. მათ უფლის ძიება დაიწყეს.

მომდევნო დღეს აღმოვაჩინე, რომ ჩემს გრაფიკში მარხვის გამოცხადებიდან ორმოცი დღის შემდეგი კვირა თავისუფალი იყო. პასტორს ვაცნობე და ასე მითხრა:

– სიამოვნებით მოგიწვევ იმ კვირას.

მომდევნო კვირების განმავლობაში კავშირი არ შეგვიწყვეტია. მომარხულე ოჯახებისგან საოცარი მოწმობები მოდიოდა. მოსწავლეები, რომელთაც სწავლა უჭირდათ, C და D შეფასებებიდან A და B-ზე ავიდნენ. მოდიოდა ცნობები ბავშვებისა და

მოზარდების მხრიდან მეტ მორჩილებასა და პატივისცემაზე. ჩანდა, რომ ქვეყნიერების საგნები და საქმეები ძალასა და მომხიბვლელობას კარგავდა მათ თვალში. ცოლები აღტაცებით ყვებოდნენ, რომ მათი ქმრები სულ სხვა ადამიანებად იქცნენ. მამები ბიბლიის შესწავლასა და ლოცვებს უძღვებოდნენ ოჯახებში. ურთიერთობები იკურნებოდა, სხვები კი ფიზიკურ განკურნებას იღებდნენ. მთელი ოჯახები ღმერთისკენ ბრუნდებოდა, როცა ადამიანები ღმერთს უახლოვდებოდნენ. პასტორისგან გავიგე, რამდენად ძალმოსილი გახდა მათი მსახურებები და ღვთის სამეფოს რამდენიმე ახალმოქცეულიც შემოემატა. რეალურად, ყველა სფერო შეიცვალა ამ ეკლესიის მორჩილებით, რომ უფლის სიტყვას მიჰყოლოდნენ.

დღე, რომელიც არასოდეს დამავიწყდება

ექვსი კვირადღის შემდეგ, 1996 წლის 3 ნოემბერს, იმ ეკლესიაში დავბრუნდი მსახურებისთვის. ეს იყო დღე, რომელიც არასოდეს დამავიწყდება. დილის მსახურებისთვის რომ შევაბიჯე, ვიგრძენი, როგორ იყო ჰაერი მოლოდინით გაჟღენთილი. ღვთის სიტყვის ქადაგება, რომელიც მაშინ მომეცა, გულითა და სულით შეისრუტეს.

მსახურების დასასრულს პასტორმა მრევლს მიმართა, რომ საღამოს მსახურებისთვის ადრიანად მოსულიყვნენ გულების მოსამზადებლად და სალოცავად. მან მშობლებიც გააფრთხილა, რომ იმ საღამოს ბავშვები ძირითად მსახურებას უნდა შეერთებოდნენ; მას სურდა, რომ ყველა ასაკობრივ ჯგუფს ერთად მოეყარა თავი ექვსი წლის და ამაზე პატარების გამოკლებით. არ გამიგია, რომ ასეთი რამ ადრეც გაეკეთებინოს. პასტორმა მშობლები დაარიგა:

– თუ თქვენი შვილები ამ მსახურებას გააცდენენ, შემდეგ მთელი დარჩენილი ცხოვრება ინანებთ.

მისმა შენიშვნამ გამაკვირვა და შემაფიქრიანა, მაგრამ გაჩუმება ვარჩიე და მიხარია, რომ ასე მოვიქეცი.

იმ საღამოს აუდიტორიაში 1300-მდე ადამიანი იმყოფებოდა. ღვთის შიშზე ვიქადაგე და დაახლოებით, 9 საათზე დავასრულე. სწავლება ისეთი სიძლიერით მიმდინარეობდა, რომ დარბაზში ნებისმიერ დროს გაიგონებდით ბუზის გაფრენის ხმას, როცა კი

შევჩერდებოდი და ასე პატარა ბავშვების დასწრების პირობებში ხდებოდა.

სიტყვის დასასრულს, მე და თაყვანისცემის წინამძღოლი ეკლესიას რამდენიმე საგალობლით გავუძეხით. ამის შემდეგ გავიგონე ღვთის სულის ხმა:

– მინდა ხალხს მოვემსახურო, მომეცი ამის უფლება!

მივხვდი, რომ გალობის მიუხედავად, ეს არ იყო მისთვის სასურველი მიმართულება. ხალხი გავაფრთხილე:

– უფალი ჩემს გულს დაელაპარაკა. მას ჩვენი მომსახურება სურს. მოდი, წყნარად ვიყოთ და ყურადღება მასზე გავამახვილოთ!

მომდევნო ათიოდე წუთის განმავლობაში გვესმოდა, როგორ ტიროდნენ ცალკეული ადამიანები უფლის თანდასწრებაში. თითქოს ყველაფერი ისე მიმდინარეობდა, როგორც ექვსი კვირის წინ, მაგრამ ვიცოდი, რომ ვითარება შეიცვალა და რაღაც უნდა მომხდარიყო.

დაახლოებით, 9:15 საათზე სიჩუმის ატმოსფერო მოულოდნელად გარდაიქმნა. დარბაზის უკანა ნაწილიდან ხმამაღალი ქვითინის ხმები გაისმა. ადვილი დასადგენი იყო, რომ ხმას ბავშვები გამოსცემდნენ. აუდიტორიის უკანა ნაწილში შვიდიდან თორმეტ წლამდე ასაკის 150-ოდე უმცროსკლასელი და მათი მასწავლებლები ისხდნენ. ვიცოდი, რომ ღმერთი ამ ადამიანებს ეხებოდა. ისინი წინ გამოვიხმე და ვთქვი:

– ბავშვები, ღმერთი ბავშვებს ეხება! მინდა, ყველა წინ გამოვიდეს, ვისაც უფალი შეეხო!

ნანახი არასოდეს დამავიწყდება. შესაძლოა, ზოგიერთმა თქვენგანმა ნაამბობი გადაჭარბებაში ჩამითვალოს და საკუთარი თვალით რომ არ მენახა 1200 სხვა მოწმესთან ერთად, მეც იგივე აზრის ვიქნებოდი. წრფელად რომ ვთქვა, არც კი შემიძლია სამართლიანად გადმოგცეთ იმ საქმის მასშტაბი, რაც ღმერთმა საღამოს მსახურებაზე გააკეთა, მაგრამ ვეცდები. მინდა აღვნიშნო, რომ ეს ეკლესია საკმაოდ კონსერვატული შეხედულებებისაა. წევრების უმრავლესობა ისეთი დენომინაციური ჯგუფებიდან გახლდათ, რომელთაც თავი არასოდეს გამოუჩენიათ ან საერთოდ, ეკლესიაშიც არ უვლიათ და აქ იშვნენ ზეციდან. თავად პასტორი ძალიან კარგი მასწავლებელი იყო და რადიკალიზმის, ზედმეტი ემოციურობის ან თვალთმაქცობისგან თავი შორს ეჭირა.

ვაკვირდებოდი, რომ ბავშვების უმეტესობა შვიდიდან ცხრა წლამდე იქნებოდა. ისინი გასასვლელებში გამოდიოდნენ და თავშეუკავებლად ქვითინებდნენ. ბევრი სახეს ხელებით იფარავდა. სხვები გაჭირვებით ასწორებდნენ ნაბიჯებს. როცა კათედრასთან ზოგიერთები მუხლებზე დაემხნენ, რადგან დგომის თავი არ ჰქონდათ, დანარჩენები კი მოწყვეტით დაეცნენ, თითქოს მუხლებმაც უმტყუნათ. ისინი ყველგან ეყარნენ, ზოგი ერთმანეთის ზემოდანაც. თვალცრემლიანი აშერები ეხმარებოდნენ. გარკვეული დროის შემდეგ შევნიშნე, რომ ასიოდე პატარა მოთქვამდა და ღრიალებდა, თუმცა სხვები ძალუმად კანკალებდნენ. უფლის გამოვლენილ თანდასწრებას ყველა მოეცვა. ასე სამი-ოთხი წუთი კი არა, მთელი საათი გაგრძელდა. შესაძლოა, იფიქროთ, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ბავშვების ტირილის ხმა გამაღიზიანებელი იქნებოდა, მაგრამ ყველაფერი საუცხოოდ იყო. ზრდასრულთა უმრავლესობაც თვალცრემლიანი უყურებდა, თუ რას აკეთებდა ღმერთი ბავშვებში. თავად ისინიც განიცდიდნენ ღვთის ძლიერ თანდასწრებას. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩებოდა, თითქოს ერთ ღვთიურ ტალღას მეორე, კიდევ უფრო ძლიერი ტალღა ცვლიდა. როცა გვეჩვენებოდა, რომ ბავშვებს აღარ შეეძლოთ მეტი ტირილი, ყვირილი და კანკალი, ღვთიური თანდასწრების ახალი ტალღა მოდიოდა და ინტენსიობა სხვა საფეხურზე აჰყავდა. დრო და დრო თავს კათედრაზე ჩამოვდებდი ხოლმე ღვთის თანდასწრების სიმძიმის გამო.

ერთ პატარა გოგონას ვაკვირდებოდი, რომელიც შვიდ წელზე მეტის არ იქნებოდა. ის ხელებს იმტვრევდა, თითქოს ცეცხლი ეკიდა. ზევითკენ აპყრობილ სახეზე ცრემლები ღაპაღუპით ცვიოდა. მათ შეხედვაზე იმდენად ცხადად იგრძნობოდა ღვთის თანდასწრება, რომ აშერები არც კი შეხებიან თავდაპირველი დახმარების გარდა. ისინი უბრალოდ იდგნენ, უყურებდნენ და ტიროდნენ. რამდენიმე ზრდასრული პირქვე დამხობილიყო სრულიად გაშეშებული. სხვები გაოცებული იდგნენ და თვალები ცრემლებით ავსებოდათ. რამდენჯერმე უკან მოვიხედე და ხელებში თავჩარგული და მოქვითინე პასტორი დავინახე. მისი მტირალი ცოლი გუნდის რიგებში დავარდნილიყო. მოგვიანებით, პასტორმა წერილი დაწერა, სადაც იმ საღამოზე თავის შეხედულებას აღწერდა. მართალია, მისი ნათქვამი ჩემი ნაამბობის

ანალოგიურია, მნიშვნელოვანია სხვა ადამიანის თვალსაზრისის საჩვენებლად.

კვირა, 1996 წლის 3 ნოემბერი არის დღე, რომელიც არასოდეს დამავიწყდება. ჯონი საღამოს მსახურებაზე უფლის შიშის შესახებ ქადაგებდა და შემდეგ გამოაცხადა: „იესოს უფლება უნდა მივცეთ, რომ ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში იბატონოს და სრულად დავემორჩილოთ მას, როგორც უფალს“. მცირე ხნით თაყვანისცემა გავაგრძელეთ. შემდეგ ჯონმა თქვა: „ვგრძნობ, რომ აქ სულიწმიდა მოძრაობს“. ამ დროს გავიგონე, როგორ ტიროდნენ ბავშვები, ახალგაზრდები და დიდები. ზრდასრულები კათედრასთან ტირილით და მოთქმით მოდიოდნენ. შემდეგ ჯონმა თქვა: „ღმერთი ბავშვებს ეხება! უფალი ბავშვებს ძალმოსილი გზით შეეხება!“ შემდეგ მან ასეთ ბავშვებს წინ გამოსვლა სთხოვა.

დავინახე, როგორ გარბოდნენ ბავშვები საკურთხევლისკენ და უკონტროლოდ ტიროდნენ: მათში ერივნენ ჩემი ბიჭები (3) და გოგონა, ასევე დანარჩენები, რომლებიც იატაკზე გართხმულები და მუხლებზე დაჩოქილები იესოს შეჰღაღადებდნენ. ზოგიერთები ხელებს სჭიდებდნენ ერთმანეთს, როცა მათ შორის ღვთიური ცეცხლი გაივლიდა. კათედრის გარშემო, დაახლოებით, 100 ადამიანს მოეყარა თავი იმ დროს, როცა ღვთის სულის ტალღები საკურთხეველზე გადმოდიოდა. ვაკვირდებოდი, როგორ ეცემოდნენ ბავშვები ერთიმეორის მიყოლებით ისე, რომ მათ ხელით არავინ ეხებოდა. ისინი დომინოს ქვებს წააგავდნენ. საათნახევრის განმავლობაში (რეალურად, ეს ამბავი საათი და თხუთმეტი წუთი გაგრძელდა, მაგრამ მისი ნაწერის შეცვლა არ მინდოდა) კარგად გავიჟღინთეთ ღვთის თანდასწრებით. მსახურების დასასრულისკენ მშობლები და შვილები ერთმანეთს ეხვეოდნენ და ტიროდნენ, როცა ღმერთი მათ გულებს აკავშირებდა.

ერთმა ათი წლის ბავშვმა გვითხრა, რომ იატაკზე წოლისას ბრწყინვალე თეთრი შუქის სხივები დაინახა, რომლებიც ჭერიდან ჩამოდიოდა და ყველას ეცემოდა. იგივე გაიმეორა რამდენიმე შეკრებაზე და გუნდში მყოფმა ზრდასრულმა. საღამოს 11 საათამდე მსახურება არავის დაუტოვებია. ბავშვები წაყვანის დროსაც ტიროდნენ.

ჯერ კიდევ ვიღებ შეტყობინებებს შეცვლილი ოჯახების შესახებ; ბავშვები ამოწმებენ, მშობლებს ემორჩილებიან და ა. შ. მე, როგორც პასტორმა, დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ ჩემი სახლი და შვილები შეიცვალნენ.

დ-რი ალ ბრისი, უფროსი პასტორი
ეკლესია Covenant Love Family
ფეიეთვილი, ჩრდ. კაროლინა

იმ პატარა ბიჭის ნათქვამმა, რომ ჭერიდან თეთრი სინათლის სხივები ეცემოდა, ჩემი ყურადღება მიიპყრო. აბაკუმის წიგნი ამბობს:

„საგალობელი ვედრება წინასწარმეტყველ აბაკუმისა.
უფალო, ამბავი გავიგონე შენს შესახებ და შემეშინდა.
ჩვენს დროშიც მოიმოქმედე შენი საქმენი,
ჩვენს დროშიც გააცხადე; გაიხსენე წყალობა შენი რისხვისას.
თემანიდან მოდის ღმერთი, და წმიდა - ფარანის მთიდან. მისმა
ბრწყინვალებამ დაფარა ზეცა და მისმა დიდებამ აავსო დედამიწა.
მზის სხივივით არის მისი ნათელი, შუქს ღვრის მისი ხელი,
იქ იმალება მისი ძალა“ (აბაკ. 3:2-4).

დარწმუნებული ვარ, რომ იმ ბიჭმა არ იცოდა, რა დაწერა აბაკუმმა დიდი ხნით ადრე. ჩვენი თვალებით ვიხილეთ იოელის წინასწარმეტყვება: „ამის შემდეგ გადმოვღვრი ჩემს სულს ყოველ ხორციელზე და იწინასწარმეტყველებენ თქვენი ძენი და ასულნი, თქვენს მოხუცებს სიზმრები დაესიზმრებათ და თქვენი ჭაბუკნი ხილვებს იხილავენ“ (2:28). ათი წლის ბავშვმა აღწერა მსგავსი ხილვა, რომელიც უკვე ითქვა წმიდა წერილში და მან ამის შესახებ არაფერი იცოდა.

მეორე ბიჭმა გაბედულად განაცხადა: „დედა, მარხვა არ დასრულებულა“. მისი ნათქვამი არა მარტო წინასწარმეტყველური იყო, არამედ უამრავი სხვა ადამიანის სურვილსაც გამოხატავდა. ამ ბავშვებმა ცოცხალი ღვთის თანდასწრება გამოსცადეს და მათი ცხოვრება შეიცვალა. მათ ამ მიმართულებით შეუჩერებლად სიარული სურდათ.

მოგვიანებით, იმავე საღამოს პასტორის ცოლმა წმიდა წერილის ერთი მონაკვეთი გაგვიზიარა, რაც ღმერთმა მიაწოდა მომხდართან დაკავშირებით:

> „თუმცა, ახლაც“ - ამბობს უფალი, - „დამიბრუნდით მთელი თქვენი გულით, მარხვით, ტირილითა და გლოვით [სანამ ყველა დაბრკოლება არ მოშორდება და ურთიერთობები არ აღდგება]; გულები დაიგლიჯეთ და არა სამოსელი!“ (იოელ. 2:12-13, გაფართოებული თარგმანი).

როცა მან ეს მუხლები წაიკითხა, ჩემი გული შიგნიდან აენთო. ფრაზა „დამიბრუნდით“ ეკლესიის გადაწყვეტილებას გამოხატავდა. ადამიანები მისი გულის ძიებაში იყვნენ და უკან აღარ დაიხევდნენ.

ღმერთი გულის ანთებას გვიბრძანებს და არა სამოსლის შემოხევას. მინახავს მორწმუნეები ეკლესიაში, რომელთაც ეს ყველაფერი ჰქონდათ, მაგრამ ზემოხსენებული თემივით არ შეხებიან ღვთის გულს. მიზეზი? ისინი მარხულობენ, ლოცვის მსახურებებს ატარებენ, თავს იკავებენ გარე ცოდვებისგან, რაც მათ „სამოსელს“ კარგად გამოაჩენს, მაგრამ შიგნით ჯიუტ გულებს მალავენ. ისინი საკუთარი მიზნებისთვის ცხოვრობენ და სხვების მომსახურება არ აღელვებთ. ღმერთზე კი შთაბეჭდილებას შინაგანი მორჩილება უფრო ახდენს, ვიდრე ქრისტიანობის გარეგნული გამოხატულება. იოელი განაგრძობდა:

> „საყვირს ჩაბერეთ სიონზე, მარხვა დათქვით, გამოაცხადეთ შეკრება. ხალხი შეკრიბეთ, კრებული განწმიდეთ, უხუცესნი მოიწვიეთ, ყრმანი და ძუძუმწოვარნი შეკრიბეთ, გამოვიდეს ნეფე თავისი საწოლი ოთახიდან და პატარძალი თავისი სამყოფელიდან“ (იოელ. 2:15-16).

ჩემს გულში ცეცხლი უფრო გავრცელდა, როცა მან კითხვა განაგრძო. ქალმა ზუსტად აღწერა, თუ როგორ არიგებდა უფალი ამ ეკლესიას ორმოცი დღის წინ. როცა წინასწარმეტყველური სიტყვა გაისმა, ყველას უნდა დაეწყო ღვთის ძიება. ამისგან არავინ თავისუფლდებოდა წინამძღოლებიდან ბავშვების ჩათვლით. პასტორის მეუღლე განაგრძობდა:

> „ამის შემდეგ გადმოვღვრი ჩემს სულს ყოველ ხორციელზე და იწინასწარმეტყველებენ თქვენი ძენი და ასულნი, თქვენს მოხუცებს სიზმრები დაესიზმრებათ და თქვენი ჭაბუკნი ხილვებს იხილავენ. მონებსა და მხევლებზეც გადმოვღვრი იმ დღეებში ჩემს სულს“ (იოელ. 2:28-29).

„ამის შემდეგ!“ არაერთხელ მომისმენია ამ მუხლის ციტირება. ფაქტობრივად, გადარჩენის მიღებიდან მოყოლებული ხშირად გამიგია, როგორ მოჰყავდათ იოელ. 2:28-29 მუხლები როგორც მორწმუნეებს, ისე მსახურებს. აქ ლაპარაკია ჭაბუკებსა და ასულებზე, რომლებიც წინასწარმეტყველებენ და ხილვებს ხედავენ სულიწმიდის დიდ სასწაულებსა და ნიშნებთან ერთად, თუმცა სიტყვები „ამის შემდეგ“, არცთუ იშვიათად, უგულებელყოფილია საუბრებსა და ქადაგებებში. თუ წინასწარმეტყველება რაღაცის შემდეგ უნდა აღსრულდეს, მაშინ იქამდე რაღაც მნიშვნელოვანი უნდა მოხდეს: ეკლესია საყვირის ხმას უნდა გამოეხმაუროს და ღმერთთან ახლოს მივიდეს.

ღმერთი ძალმოსილებით გვპასუხობს, როცა მას ვუახლოვდებით. როცა ის გვეძახის, ახლოს უნდა მივიდეთ. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი გახლავთ დრო. სწორედ აქ ცდება მორწმუნეთა უმრავლესობა. დარწმუნებული ვარ, რომ ამ წიგნის წაკითხვისას ერთი რამ ცხადი გახდება: მართალია, უფალი ნებისმიერ დროს მოგვიწოდებს მასთან დასაახლოებლად ლოცვისა და მოზიარეობის მეშვეობით, მაინც არსებობს კონკრეტული დრო და ჟამი, როცა ის განსკუთრებული მიზნებისთვის გვეძახის. ასეთ შემთხვევაში დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. თუ არ გამოვეხმაურებით, ჩვენთვის განკუთვნილ კურთხევას დავკარგავთ.

ასეთ ვითარებებში მთავარი ყურადღება ექცევა მორჩილებას და არა საკუთარ ნება-სურვილს. უფალს მორჩილება უფრო ეამება, ვიდრე მსხვერპლი. მინახავს ეკლესიები, რომლებიც ოცდაოთხსაათიან რეჟიმში მარხულობენ და ლოცულობენ ძვირფას წევრებთან ერთად, რომლებიც ძილს მსხვერპლად იღებენ თავიანთი ლოცვის დროის შესავსებად. და მაინც, ეს არ იძლევა ღვთიური ძალისა და თანდასწრების გარანტიას. საკმაოდ ხშირად მინახავს, რომ ამ ეკლესიებს არ ჰყოფნით ის, რაც ზემოხსენებულ ეკლესიას უხვად ჰქონდა.

მათ ფორმა აქვთ, მაგრამ არ აქვთ გული. იგივე ითქმის ცალკეული ადამიანების შესახებ. უამრავი რელიგიური მარხვა-ლოცვა მინახავს, სადაც არ ჩანს თავისუფლება, ძალა და ღვთის შინაგანი ცოდნა. ისეთებიც მინახავს, რომელთაც არ მოუტანიათ ამდენი მსხვერპლი, მაგრამ ღვთის სულის ხელმძღვანელობას ეხმაურებიან.

ჩემ მიერ ნახსენები ეკლესია ღვთის ძახილს გამოეხმაურა. მომდევნო წელს ორმაგად გაიზარდა. ფაქტობრივად, ახლახან დასრულებული იყო დარბაზი, სადაც ის ღირსშესანიშნავი შეკრება ჩატარდა და ექვს თვეში ახალი სამშენებლო პროგრამის დაწყება მოუხდათ კიდევ უფრო დიდი შენობის ასაგებად.

მას შემდეგ მე და პასტორი ხშირად ვსაუბრობდით თვეების განმავლობაში. მან მითხრა:

– ჯონ, ჩვენი მეორე საკვირაო ღვთისმსახურება, რომელიც დილის 10 საათზე იწყება, გამუდმებით გრძელდება შუადღის 2-3 საათამდე.

ერთ კვირა დღეს დამირეკა და მითხრა, რომ ხალხისთვის თქმა მოუხდა, „გთხოვთ, წადით სახლში!“ ისინი კი იდგნენ და უყურებდნენ. წასვლა არავის უნდოდა.

ღმერთმა თავისი სიტყვა შეასრულა. ეს შეხვედრები ყველაზე ძალმოსილი იყო იმათგან, რომლებიც განგვიცდია. მის სულთან თანამშრომლობისა და ჩვენი მორჩილების მეშვეობით უფალმა თავისას მიაღწია. სამი წელი გავიდა და პასტორი ჯერ კიდევ იღებს ანგარიშებს იმ ღვთისმსახურების გამო. ნაყოფები შენარჩუნდა. მას შემდეგ რამდენჯერმე ვიმსახურე იქ და ღვთისადმი ნამდვილი შიმშილისა და მისკენ სწრაფვის ზრდის გარდა არაფერი მინახავს.

მომავლის მოლოდინი

ერთი წლით ადრე მალაიზიაში, კუალა ლუმპურში ვიყავი, სადაც ერთი კვირის განმავლობაში ვემსახურებოდი ქვეყნის ყველაზე დიდ ბიბლიის სკოლას. ჩვენს მერვე მსახურებაზე მსგავსი განცდა გვქონდა, მაგრამ სულ რაღაც, ხუთი-ათი წუთი გაგრძელდა. ღვთის სული გადმოვიდა მოსწავლეებსა და სხვა, იქ მყოფ ხალხზე. ეს კიდევ ერთი შეხვედრა იყო, რომელიც არასოდეს დამავიწყდება. მსახურების მეორე დილას, სანამ ვლოცულობდი, ღმერთი დამელაპარაკა და მითხრა:

– რაც გუშინ ნახე, იგივეს ყველგან იხილავ, რადგან ეს ჩემი სულის ერთ-ერთი ბოლო მოძრაობაა ეკლესიაში.

მან მაჩვენა, როგორ გამოიღებდა მისი სულის მოძრაობა სიწმიდის ნაყოფს ეკლესიაში და მომავალი მკისთვის მოამზადებდა. ღმერთი თავის ერს ინტენსიური, მწველი გრძნობით აანთებს, როგორიც ადრე არასოდეს გვინახავს.

არ მგონია, რომ ეს წიგნი შემთხვევით გიჭირავთ ხელში; ეს უფრო ღვთის წინასწარხედვით მოხდა, რომ თქვენში წყურვილი წარმოიშვას და გული მოამზადოთ იმისთვის, რის კეთებაც უფალმა გადაწყვიტა. მისი მეორედ მოსვლისთვის უნდა მოვემზადოთ. მოციქული იოანე წერდა: „გავიხაროთ, ვიმხიარულოთ და დიდება მივაგოთ, ვინაიდან მოვიდა კრავის ქორწილი, და მისმა სასძლომ თავი გაიმზადა“ (გამოცხ. 19:7).

ჩვენ ქრისტეს საპატარძლო ვართ და გადამწყვეტ როლს ვთამაშობთ მასთან შეერთების სამზადისში. კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა ამ მომენტს: უნდა მოვემზადოთ. ეს ღვთიური შერწყმაა. ამ ყველაფერს ჩვენს ნაცვლად არ გააკეთებს! ეს ჩვენი პასუხია მის უზრუნველყოფაზე. ის გვაძლევს მადლს, ჩვენ კი ვიღებთ ცეცხლს. ის არ წაიყვანს ეკლესიას, რომელსაც ქვეყნიერების ლაქა და მანკი სცხია. ის გაწმედილი საპატარძლოსთვის მოვა, რომლის გულიც ნამდვილი სიწმიდით გიზგიზებს.

თავი 2

გადარჩენის მიზანი

ღმერთი, რომელმაც შექმნა სამყარო და რაც მასშია, ჩვენში და ჩვენ შორის დამკვიდრების სურვილს გამოხატავს.

ხშირად მსმენია, როგორ იყენებენ ეკლესიის წინამძღოლები სიტყვა „მონახულებას“ ღმერთთან შეხვედრის აღსაწერად, იქნება ეს ერთიან მრევლთან დაკავშირებით, როგორც წინა თავში აღწერილ მსახურებაზე მოხდა, თუ ინდივიდუალურად. უფალს არ სურს მონახულება; იგი უფრო სამკვიდრებელს ეძებს. ნება მიბოძეთ, განსხვავება დაგანახოთ: მეზობლები მყავს, რომლებიც ჩვენი კარგი მეგობრები არიან. ბევრჯერ ვყოფილვარ მათ სახლში დროის გასატარებლად, მაგრამ როგორც კი ჩემი სტუმრობა დასრულდება, სახლში ვბრუნდები, რომელიც ჩემი სამკვიდრებელია. უფლის ერთ-ერთი უდიდესი აღთქმა ასე ამბობს:

„რა კავშირი აქვს ღვთის ტაძარს კერპებთან?
რადგან თქვენ ცოცხალი ღვთის ტაძარი ხართ,
როგორც თქვა ღმერთმა: „დავმკვიდრდები და

> ვივლი თქვენ შორის და ვიქნები თქვენი ღმერთი და იქნებით ჩემი ხალხი“ (2 კორ. 6:16).

რა განაცხადია! ღმერთი, რომელმაც სამყარო და ყველაფერი მასში არსებული შექმნა, ჩვენში და ჩვენს შორის ცხოვრების სურვილს გამოხატავს. ამ დაპირებასთან დაკავშირებით პავლე წერს, რომ „თქვენც შენდებით, რათა იყოთ ღვთის სამკვიდრებელი სულში“ (ეფეს. 2:22). ეს მისი აღთქმებია ჩვენთვის. თუმცა ბიბლიის ყველა აღთქმა პირობითია და თუ ის არ დაკმაყოფილდება, აღთქმაც უშედეგო იქნება, არა ღვთის, არამედ ჩვენი ორგულობის გამო. შეუძლებელია ღმერთმა მოიტყუოს, მაგრამ ისიც წარმოუდგენელია, რომ ადამიანმა მისი სიტყვა გაანულოს (მარკ. 7:13), უგულებელყოფის ან დამახინჯების გზით. ეს დაპირებები ჩვენში და ჩვენ შორის ღვთის დამკვიდრების აღთქმებსაც მოიცავს.

პავლე განაგრძობს:

> „ამიტომ გამოდით მათგან და გამოეყავით! – ამბობს უფალი – უწმიდურს ნუ მიეკარებით და მე მიგიღებთ თქვენ“ (2 კორ. 6:17).

აქ პირობად გვევლინება ქვეყნიერების სისტემისგან ჩვენი გამოყოფა. თუ ამ პირობას შევასრულებთ, უფალი მიღებას გვპირდება. და პირიქით, თუ არ გამოვალთ, არ მიგვიღებს. რატომ არ მიგვიღებს? ამაზე პასუხი რომ გავცეთ, უნდა ვაცნობიერებდეთ, რომ ღმერთი სრული ნათელია და მასში სიბნელის ნასახიც არ არის. სიბნელეს არ შეუძლია წმიდა სინათლის პირობებში ყოფნა.

რაც უფრო წინ წავალთ, მით მეტად ცხადი გახდება, რომ ღვთიური სინათლე მის სიწმიდეს ასახავს. ბიბლია არ ამბობს, რომ მას სიწმიდე აქვს; ის ამბობს, რომ ღმერთი წმიდაა (ლევ.19:2). ქვეყნიერების სისტემა ბნელია და ვისაც ის იზიდავს, სინათლეში ვერ დარჩება. ღმერთი აცხადებს, „მომიძღვენით თავები და იყავით წმიდა, რადგან მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი“ (ლევ. 20:7). გამოყოფა ქვეყნიერებასთან ურთიერთობის გაწყვეტას ნიშნავს. იაკობი ცხადად გვეუბნება ახალ აღთქმაში: „ვისაც ქვეყნიერების სიამეებით ტკბობა სურს, ღვთის მეგობარი ვერ

იქნება“ (იაკ. 4:4). მუხლის სხვა ვერსია კიდევ უფრო პირდაპირია: „ვისაც წუთისოფლის მეგობრობა სურს, იგი ღმერთის მტერი ხდება“.

პეტრე ხაზს უსვამს ღვთის სურვილს, რომ წმიდა ერი ჰყავდეს: „ისეთი წმიდანი იყავით ყოველ საქციელში, როგორი წმიდაცაა იგი, ვინც თქვენ მოგიწოდათ. ვინაიდან დაწერილია: „იყავით წმიდანი, რადგან წმიდა ვარ მე“ (1პეტრ.1:15-16). წმიდად ყოფნა არ არის არჩევანის საკითხი. ღმერთი არ იცხოვრებს ჩვენში და ჩვენს შორის, თუ არ გავითვალისწინებთ მის მოთხოვნას ქვეყნიერებისგან გამოყოფის შესახებ. ბიბლიის თანამედროვე ვერსია ამბობს: „მიატოვეთ გახრწნილება და კომპრომისი; მიატოვეთ სასიკეთოდ“, - ამბობს უფალი, - ნუ დაუკავშირდებით მას, ვისაც თქვენი დაბინძურება შეუძლია. ყველანი ჩემთვის მინდიხართ“ (2 კორ. 6:17).

ღვთის აღთქმების სიდიადე, რომ იყოს ჩვენი მამა და თან, ჩვენში და ჩვენს შორის დამკვიდრდეს, კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის იმ პირობების მთელი გულმოდგინებით გააზრებას, რასაც წინ უმძღვარებს. მათი სრული სერიოზულობით აღქმის საჭიროებამ პავლეს დააწერინა: „ამიტომ, ჩემო საყვარელნო, როცა ასეთი აღთქმანი გვაქვს, განვიწმიდოთ ხორცისა და სულის ყოველგვარი სიბილწისგან და ღვთის მოშიშებით აღვასრულოთ სიწმიდე“ (2 კორ. 7:1).

ამ მუხლების მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ მათ შესახებ წიგნები დაიწერებოდა. თუმცა მორწმუნეთა უმეტესობისთვის მისი გაგება შეზღუდულია. ბევრ მათგანს საერთოდ არ ესმის აზრი, რადგან კონტექსტს ვერ იგებენ. პავლე იმის ციტირებას ახდენს, რაც ღმერთმა ისრაელს უთხრა ძველ აღთქმაში და ამით გვაცნობებს, რომ ღვთის სურვილები არ შეცვლილა ჩვენ მიმართ, ვინც ახალი აღთქმის ეპოქაში ვცხოვრობთ. აუცილებელია ვითარებისა და მოვლენების გააზრება, რომლებიც ამ განცხადებას წინ უსწრებდა. როცა ფონი ვიცით, სიტყვებს ისეთი სულიერი ზემოქმედება აქვს, როგორსაც ღმერთი განიზრახავდა.

წარმოვიდგინოთ ფილმი, რომელშიც სცენარისტებმა, რეჟისორმა და მსახიობებმა სიუჟეტი გულმოდგინედ დაამუშავეს. ყველაფერი ისეა დალაგებული, რომ დასასრულის კულმინაციური ეპიზოდისკენ მიემართება. ბევრი რამ მოხდა,

რომ ამ მომენტამდე მივსულიყავით და მთელი ამ დრამის გააზრებისა და დასკვნითი ნაწილის ხილვის შემდეგ მღელვარება გვეუფლება. იგივე განცხადება მსახიობს ფილმის დასაწყისში რომ გაეკეთებინა, დიდ ზეგავლენას ვერ მოახდენდა, თუკი საერთოდ ექნებოდა.

ასეთი რამ ახალგაზრდობაში გამომიცდია. ოთახში შევედი, სადაც მთელი ოჯახი იკრიბებოდა. ჩემი დები და მშობლები ფილმს უყურებდნენ. უმეტესობამ ვერც გაიგო, რომ იქ ვიდექი. ეკრანს იმ დროს შევხედე, როცა მთავარი როლის შემსრულებელი დრამატულ განაცხადს აკეთებდა. ჩემი დები ატირდნენ. ჩემთვის კი მისი ნათქვამი არაფერს ნიშნავდა. ვიფიქრე: „დიდი საქმეც ეგ არის!“ ყურადღება არ მიმიქცევია, რა ხდებოდა. თუმცა მისმა სიტყვებმა დებზე ზეგავლენა მოახდინა და მათში ღრმა ემოციები აღძრა.

აქაც იგივე პრინციპი მოქმედებს. ბევრი მორწმუნე ღვთის პირიდან გამოსულ ამ კულმინაციურ სიტყვებს ვერ ხვდება, რადგან არ იცის, რა შთამბეჭდავი მოვლენები უძღოდა ნათქვამს წინ. უფლის სიტყვებმა საჭირო ზეგავლენა რომ მოახდინოს, სიუჟეტური ხაზი და იქამდე განვითარებული ამბავი უნდა ვიცოდეთ. ამისთვის რამდენიმე თავის წაკითხვაა საჭირო. დასაწყისისთვის გამოსვლის წიგნს უნდა მივმართოთ.

მივბრუნდები და ვნახავ

გამოსვლის წიგნი აბრაჰამის შთამომავლების ტყვეობის ამბით იწყება. მათ ეგვიპტეში თითქმის 400 წელი გაატარეს. თავიდან იქ ცხოვრება სასიამოვნო იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში მონებად იქცნენ და სასტიკი ზედამხედველობის ქვეშ აღმოჩნდნენ. ებრაული წარმოშობის მიუხედავად, მოსე ასეთ მოპყრობას გადაურჩა. ის ჩვილობაშივე მიიყვანეს ფარაონის სახლში და მის შვილიშვილად იზრდებოდა. თუმცა ორმოცი წელი რომ შეუსრულდა, თავისი ერისადმი ერთგულების გამო იძულებული გახდა ფარაონის რისხვას სხვა ქვეყანაში გაქცეოდა.

ორმოცი წლის შემდეგ, უდაბნოს სიღრმეში სიმამრის ფარას რომ მწყემსავდა, ღმერთმა მოსეს თავი გაუცხადა. გამოცხადება სინაის მთაზე მოხდა, რომელსაც ხორებს, ღვთის მთას ეძახდნენ. ღმერთი მას ცეცხლის ალში, ბუჩქის შუაგულიდან გამოეცხადა.

როცა მოსემ დაინახა, რომ ბუჩქს ცეცხლი ეკიდა, მაგრამ არ იწვოდა, ასე თქვა: „მივალ და ვნახავ ამ დიდ სანახაობას, რატომ არ იწვის მაყვლოვანი“. იხილა უფალმა, რომ მობრუნდა მოსე სანახავად და მოუწოდა მას ღმერთმა მაყვლოვანის შუაგულიდან“ (გამ. 3:3-4).

მხოლოდ მაშინ დაიწყო ყველაფერი ღმერთსა და მოსეს შორის, როცა ეს უკანასკნელი უფლის თანდასწრებასთან მისაახლოებლად შემობრუნდა. როცა ღმერთმა დაინახა, რომ მოსემ მასთან მისასვლელად პირადი ცხოვრებით განსაზღვრული მარშრუტი შეცვალა, დაუძახა და სიტყვის მეშვეობით თავის გაცხადება დაიწყო. მოსე უგულისყუროდ რომ მოპყრობოდა დანახულს, ალბათ, უფალი წავიდოდა და მას არაფერს ეტყოდა. ახალ აღთქმაში მოგვიწოდებენ: „მიუახლოვდით ღმერთს და ისიც მოგიახლოვდებათ“ (იაკ. 4:8).

პირველი ვინ უახლოვდება? ღმერთი თუ ჩვენ? ღმერთი გვეძებს, მაგრამ ეს მაშინ ხდება, თუ ვუახლოვდებით. იგი, თავის მხრივ, გვიახლოვდება თავის გაცხადების მიზნით. აი, რა არის ამ წიგნის სათქმელი! ფაქტობრივად, ამას ჩვენს ხვედრში ცენტრალური ადგილი უნდა ეკავოს.

ღვთიური დახსნის მიზანი

ღმერთმა მოსეს თავი გაუცხადა და უთხრა, რომ მისი სიტყვები ფარაონამდე მიეტანა. მას ღვთის ერი უნდა გაეშვა. ფარაონის სიჯიუტისა და ძალის მიუხედავად, ღმერთმა აბრაჰამის შთამომავლობა ძლიერი ხელით, ნიშნებითა და სასწაულებით იხსნა. ისრაელის ეგვიპტიდან გათავისუფლება ახალ აღთქმაში ცოდვის მონობიდან ჩვენს დახსნას შეეფარდება. ეგვიპტე ქვეყნიერების სისტემის პირველსახეა, ხოლო ისრაელი — ეკლესიისა. როცა ზეციდან ვიშვით, ქვეყნიერების სისტემის ტირანიისა და ჩაგვრისგან გავთავისუფლდით.

საით წავიდა მოსე ისრაელის შვილებთან ერთად გათავისუფლების შემდეგ? როცა ამ კითხვას საჯარო შეკრებებზე ვსვამ, ხალხი ასე მპასუხობს: „აღთქმული მიწისკენ“. თუმცა ასე არ გახლავთ. მოსე ხორების, იგივე სინაის მთისკენ გაემართა. ღმერთმა მოსეს მეშვეობით გადასცა ფარაონს: „გაუშვი ჩემი ხალხი, რომ მემსახუროს უდაბნოში“ (გამ. 7:16; 8:1,20; 9:1,12;

10:3). რატომ წაიყვანდა მოსე ხალხს აღთქმულ მიწაზე, სანამ აღმთქმელს არ ნახავდნენ? ღმერთს ეს არ ენდომებოდა თავისი ერისთვის. აღთქმულ ქვეყანაში ღვთიური გამოცხადების გარეშე რომ წასულიყვნენ, მას კერპთაყვანისცემის ადგილად აქცევდნენ.

სწორედ ეს დაემართა ბევრ ადამიანს ეკლესიაში, რომლებმაც გადარჩენა მიიღეს ბოლო ოცდახუთი წლის განმავლობაში. აქცენტი გაკეთდა ღვთიურ დაპირებებსა და უზრუნველყოფაზე და არა მის ხასიათსა და ბუნებაზე, რომ ადამიანები უფლისკენ მიეზიდათ. ჩვენმა ქადაგებებმა ხალხს უკეთესი ცხოვრების სურვილი აღუძრა, რომელსაც თან მარადიული უსაფრთხოებაც უნდა ხლებოდა იმის ნაცვლად, რომ მათი ყურადღება დიდების უფლის შეცნობისა და მსახურებისკენ მიგვემართა. ბევრ მსახურს პოზიტიური სიტყვის მიტანა მოსწონს, რომ მრავალი ადამიანი მიიზიდოს; ისინი უარს ამბობენ ძლიერ, მამხილებელ ქადაგებაზე, რომელიც წმიდა ღმერთთან შეხვედრისთვის საჭირო ცვლილებას მოიტანს.

მოსე სინაის მთაზე უფალთან შეხვედრამ შეცვალა და კარგად იცოდა, რაოდენ აუცილებელი იყო ისრაელიანთათვის მსგავსი გამოცდილების მიღება. ცეცხლმოკიდებულ ბუჩქთან შეხვედრის გარეშე მოსე ხალხს მონობიდან საკუთარი მიწისკენ გაუძღვებოდა, როგორც ამას ცხოვრების ადრეულ წლებში ცდილობდა და რამაც ფარაონისგან გაქცევა აიძულა.

ბევრმა ადამიანმა მიიღო გადარჩენა მქადაგებლის მოწოდების და არა ღვთიური გამოცხადების გამო. თუ ცხოვრებისეული მოწოდება გვაქვს, მაგრამ ღმერთს მისი უდაბნოს უკანა მხარეს არ გავყვებით, სადაც თავს გაგვიცხადებს, ადამიანების გათავისუფლებას ყოველთვის თავისუფლების სახელით შევეცდებით, თუმცა ამას ჩვენს შემოქმედთან შეხვედრის მიზნით უნდა ვაკეთებდეთ.

საქმეთა წიგნში ვკითხულობთ, რომ

> „ეგვიპტელთა მთელი სიბრძნით განისწავლა მოსე და იყო ძლიერი თავის სიტყვებსა თუ საქმეებში. ორმოცი წელი რომ შეუსრულდა, გულში სურვილი გაუჩნდა თავისი ძმები, ისრაელიანები მოენახულებინა. დაინახა, რომ ვიღაცას ჩაგრავდენ.

> გამოესარჩლა, შური იძია ჩაგრულისთვის და მოკლა ეგვიპტელი. ეგონა მიუხვდებოდნენ ძმები, რომ ღმერთი მისი ხელით იხსნიდა მათ, მაგრამ ვერ მიხვდნენ“ (საქმ. 7:22-25).

მოსემ ისრაელიანთა ტანჯვა იხილა და მათი ხვედრის შემსუბუქება მოინდომა. ისიც იცოდა, რომ ერის სახსნელად იყო მოწოდებული. ეს მის გულში იდო. თუმცა ღვთიური გამოცხადების გარეშე მზად არ იყო ამ მისიის შესასრულებლად. წინამძღოლობა სწორი მიზნის გარეშე კიდევ უფრო სახიფათოა, ვიდრე რიგითი ცხოვრება. მოსე ლიდერი გახლდათ, მიზანიც ჰქონდა, მაგრამ ეს მიზანი არასრული იყო. ღვთიური გამოცხადების გარეშე საუკეთესო შემთხვევაში მხოლოდ ის შეეძლო, რომ ხალხი თავისუფლების ნამდვილი მიზნის, ღვთის სიღრმისეული შეცნობისგან დაცლილ მოგზაურობაში წაეყვანა. სწორედ ამიტომ მოუხდა ღმერთს მოსეს შორეულ უდაბნოში მოთავსება, რომ მისი გული ახლახან დატოვებული ქვეყნიერებისგან დაწყნარებულიყო. უდაბნოში მას შეეძლო ღვთის გამოცხადებისთვის სურვილით ეპასუხა. მომზადებამ ამის თქმა შეაძლებინა: „მივალ და ვნახავ ...“.

უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა „კარგი“ როდია ჭეშმარიტი მსახურება. ორმოცი წლის ასაკში მოსეს სურვილი, რომ მისი ერი თავისუფალი ენახა, კარგი იყო, მაგრამ ნამდვილ მსახურებას არ წარმოადგენდა. ევა ხის „კეთილი“ ნაწილით მიიტყუეს და არა ბოროტი მხრიდან. როცა მან „დაინახა, რომ „საჭმელად კარგი ჩანდა ... თვალთათვის საამური და მიმზიდველი, რადგან შემეცნებას იძლეოდა. მოწყვიტა ნაყოფი და შეჭამა“ (დაბ. 3:6). მას ღვთის დამსგავსების ცდუნება ჰქონდა. ბევრი რამ „კარგად“ გამოიყურება და ღმერთს ჰგავს, მაგრამ მის ხასიათსა და ბუნებას ეწინააღმდეგება. მხოლოდ მაშინ ვიწყებთ ნამდვილად კარგის გამორჩევას, როცა მის სიღრმისეულ შემეცნებაში შევდივართ.

მოსემ ღვთის ერი ეგვიპტიდან გამოიყვანა და ყოვლისშემძლის თაყვანისცემისთვის უდაბნოში გაუძღვა. თუმცა ისინი სინაისკენ არ წასულან. მათ სამი თვე დასჭირდათ მოგზაურობისთვის, რომლის დასრულებაც ათ ან თერთმეტ დღეში იყო შესაძლებელი. რატომ გააკეთა ღმერთმა ასე? პასუხი მარტივია და არაფრით განსხვავდებოდა მოსეს შემთხვევისგან: ღმერთს მათთვის

გარკვეული დროის მიცემა სურდა გულის დასაწყნარებლად, როგორც მოსესთან გააკეთა. სინაის მთის ძირთან მისვლისას, მოსემ ისინი დატოვა და ზევით ავიდა ღვთის თანდასწრებასთან. მაშინ უფალმა მთიდან დაუძახა და უთხრა: „ასე უთხარი იაკობის სახლს და აუწყე ისრაელის შვილებს ...“ (გამ. 19:3).

ვიდრე კითხვას გავაგრძელებდეთ, თუ რა უთხრა ღმერთმა მოსეს, უნდა მივუთითო, ვისთვის იყო განკუთვნილი სიტყვა. საქმე ეხებოდა, არა მარტო აჰარონსა და მის ძეებს, არა მარტო ლევის ტომს – სიტყვა მიმართული იყო მთელი ისრაელისადმი. ეს ეხებოდა ყველა ადამიანს, ვინც კი ეგვიპტიდან გამოვიდა, ყველაზე მცირე ტომიდან დიდამდე, ოჯახებსა და პიროვნებებს.

ახლა მოისმინეთ ღვთის უწყება: „ხომ ნახეთ, რა დავმართე ეგვიპტელებს; არწივის ფრთებზე აგიყვანეთ და ჩემთან მოგიყვანეთ“ (გამ. 19:4). ფრაზა, „ჩემთან მოგიყვანეთ“, მეტყველებს მიზეზზე, რის გამოც იყავით შექმნილი. მოტივი, რისთვისაც ღმერთმა გამოგიყვანათ და ყველაფერი გააკეთა, რომ ეხსენით, თქვენი მასთან მიყვანა იყო.

იგივე განზრახვას ვხედავთ კაცობრიობის საწყისში. რატომ მოათავსა ღმერთმა ადამიანი ბაღში? ადამს არ ჰქონდა განთავისუფლების საერთაშორისო მსახურება. ბაღში არც ხიდებისა და ცათამბჯენების საშენებელად მიიყვანეს. არა, ის ბაღში იმისთვის მოათავსეს, რომ ცოცხალ ღმერთთან ურთიერთობა ჰქონოდა. ასეთი მოზიარეობიდან, შესაძლოა ცათამბჯენები და რომელიმე მსახურებაც გამოსულიყო, მაგრამ ეს არ გახლდათ ადამიანის არსებობის ღვთიური მიზანი.

გადარჩენის მიღების პირველ შვიდ წელს დიდი ეკლესიის მსახურებებს ვესწრებოდი და შემდეგ იქ ვმუშაობდი კიდეც. ეკლესიაში ყურადღება მახვილდებოდა ღვთის აღთქმებსა და მის უზრუნველყოფაზე. ეს მახარებლური ორიენტაციის მქონე, მეტად დაშურებული მრევლი იყო, თუმცა სახარება უფრო ცათა სამეფოს უპირატესობების კუთხით იქადაგებოდა, ვიდრე ღვთის შემეცნების სიდიადის მხრივ. ამ კარგად ცნობილ ეკლესიაში ხალხი მთელი მსოფლიოდან ჩამოდიოდა. წინამძღოლის მოშურნეობა, რომ მრავალი დახსნილი ადამიანი ენახა, გადამდები იყო. ბევრ ადამიანს ჰქონდა ამ საერთაშორისო მასშტაბის ეკლესიაში მსახურების სწრაფვა და მათ შორის ერთი მეც ვიყავი.

იმ ეკლესიაში ყოფნის პირველი რამდენიმე წლის განმავლობაში სამსახურში წასვლამდე ყოველ დილას საათნახევარი ვლოცუ-

ლობდი. ღმერთს გამოყენებას ვთხოვდი, რომ მიმეღწია სულიერად დაღუპულ, მომაკვდავ და სნეულ ადამიანებამდე მათ განსაკურნებლად. ვევედრებოდი, რომ სხვადასხვა ერში გავეშვი ტყვეების გასათავისუფლებლად. ასე მხურვალედ ვლოცულობდი ერთ-ერთ დილამდე, როცა გავიგონე, როგორ უთხრა უფალმა ჩემს გულს: „ჯონ, შენი ლოცვები არ ვარგა!“

გავიფიქრე, რომ ეს ღვთის ხმა არ უნდა ყოფილიყო. ნამდვილად მტერი იქნებოდა! და მაინც, ვიცოდი, რომ უფალი დამელაპარაკა. საგონებელში ჩავვარდი:

– უფალო, როგორ შეგიძლია ამის თქმა? ვლოცულობ, რომ ადამიანები გადარჩნენ, განიკურნონ და გათავისუფლდნენ. აი, ის, რაც შენ გსურს!

ღმერთი ჩემი სიტყვების მიღმა ხედავდა. მან იცოდა, რა მცირე რამ ვიცოდი მისი ბუნების შესახებ. უფალმა კარგად უწყოდა, რომ ამის გარეშე ადამიანების გაძღოლას კი შევძლებდი, მაგრამ ასეთი მსახურებით საკუთარ თავს და იმ ხალხსაც, ვისაც ვასწავლიდი, კერპთაყვანისცემის ბორკილებამდე მივიყვანდი და ეს ეკლესიის წიაღში მოხდებოდა.

მან ასე მითხრა:

– ჯონ, ქრისტიანობის მიზანი მსახურება არ არის. შეგიძლია დემონები განდევნო, სნეულები განკურნო და ადამიანები სულის გადარჩენამდე მიიყვანო, მაგრამ მაინც ჯოჯოხეთში დაასრულო. და დაუმატა:

– იუდამ თავისი საქმე მიატოვა, რომ მე გამომყოლოდა. ავადმყოფებს კურნავდა, მკვდრებს აღადგენდა და დემონებსაც დევნიდა, მაგრამ ჯოჯოხეთშია.

მისმა სიტყვებმა ჩემი ყურადღება მიიპყრო. უნდა გვახსოვდეს, რომ იესომ მოციქულები ძალით შემოსა და სნეულების განსაკურნებლად, მკვდრების აღსადგენად და დემონების გასადევნად გაგზავნა. მათ შორის იუდაც ერია (მათ. 10:1-8).

სასწრაფოდ ვიკითხე:

– მაშ, რა არის ქრისტიანობის მიზანი?

მან მაშინვე მიპასუხა:

– ჩემი ახლოს გაცნობა!

შემდეგ გამახსენდა პავლეს სიტყვები, რომ ყველაფერს ნაგვად მიიჩნევდა „მისი შეცნობის“ გულისთვის (ფილ. 3:10).

უფალმა გულში მიჩურჩულა:

– ახლო ურთიერთობაში იბადება ნამდვილი მსახურება.

ეს დანიელმაც დაადასტურა ნათქვამით: „თავისი ღმერთის მცოდნე ხალხი კი სიმტკიცეს გამოიჩენს და იმოქმედებს“ (დან. 11:32).

იესო ამოწმებდა, რომ ბრმა მეორე ბრმას თხრილში გადაიყოლებს (მათ. 15:14). ეს მართებულია ყველა ადამიანის მიმართ, რომელიც ტყვეობიდან ხალხის გამოყვანას შეეცდება, მაგრამ თვალს არ აუხელს, რომ ჯერ უფალი დაინახოს. სწორედ ამიტომ ლოცულობდა პავლე ასე დაჟინებით გონების თვალების განათებაზე მის შესაცნობად (დაბ. 1:18). მხოლოდ მის სინათლეში ვხედავთ (ფს. 36:9). მისი გამოცხადების გარეშე ბრმები ვართ. ვინც მის ახლოს გაცნობას არ ცდილობს, შესაძლოა, კარგი ზრახვებიც ჰქონდეს, მაგრამ ღვთის გამოცხადების გარეშე იმავე ორმოში ჩააგდებს სხვებს, საითკენაც თავად მიემართება.

ეს ამბავი ჩემი ადრეული ქრისტიანობის წლებში მოხდა. მწყემსი ყურადღებას აღთქმების კურთხევებზე უფრო ამახვილებდა, ვიდრე თავად მაკურთხებელზე. ის საგულდაგულოდ დამუშავებული ცხოვრების სტილს მიყვებოდა რწმენის მეშვეობით და ღვთის აღთქმების შესაბამისად, თუმცა ღვთის ბუნების გამოცხადება აკლდა, ამიტომ თანდათან შეცდომისკენ გადაუხვია.

საბოლოოდ, ის მთელი კრებულის წინაშე დადგა და გამოაცხადა, რომ აღარ უნდოდა ცოლთან ცხოვრება, რომელმაც შვილები გაუჩინა. მან ხალხს უთხრა, რომ წასვლა შეეძლოთ იმ შემთხვევაში, თუ მისი ნაბიჯი არ მოსწონდათ. ამის შემდეგ ახალგაზრდა, ენერგიულ და ამბიციურ ქალზე დაქორწინდა, რომელიც ასევე მსახური გახლდათ. ის მისი ცხოვრების დიდ მახედ იქცა. ეკლესია ათასობით ადამიანიდან რამდენიმე ასეულამდე შემცირდა. ბევრი მათგანის რწმენის გემი დაიმსხვრა და ისინი ქვეყნიერებაზე წავიდნენ. ბოლოს, პასტორი ისევ განქორწინდა და ეკლესია ქალაქს მიჰყიდა.

მოსემ იცოდა, რამ შეცვალა მისი ცხოვრება: ცოცხალ ღმერთთან შეხვედრამ და ახლო ურთიერთობამ. მან იცოდა, სად უნდა წაეყვანა ხალხი – პირდაპირ აღთქმებთან კი არა, მასთან, ვისაც ნამდვილად შეეძლო მათი დაკმაყოფილება. მოსემ გააცნობიერა თავისი შექმნის მიზანი და გაიაზრა ღვთის გულის მოძიების საჭიროება. მისი გული გაიხსნა ღვთს კურთხეული ხელისათვის; ეს გამოვლინდა ღმერთთან პირისპირ დგომასა და მისგან მოსმენაში.

თავი 3

ეგვიპტის გამოყვანა

ჩვენი, ეკლესიის პასუხისმგებლობა არის ბოლო ორი ათასი წლის განმავლობაში თავის მიძღვნა მისი მეორედ მოსვლისთვის მოსამზადებლად!

ეგვიპტის მონობიდან ისრაელის შვილების გათავისუფლების ღვთიური მიზანი მათი უფალთან მიყვანა იყო, რომ მათ შორის დამკვიდრებულიყო. ამას მის სიტყვაში ვხედავთ, რომელიც მოსეს უთხრა: „და შეიცნობენ, რომ მე ვარ უფალი, მათი ღმერთი, რომელმაც ეგვიპტის ქვეყნიდან გამოვიყვანე ისინი, რათა დავივანო მათ შორის“ (გამ. 29:46). გახსოვდეთ, რომ ღმერთს მხოლოდ მონახულება არ სურს და ახლა გადავხედოთ პეტრეს სიტყვებს ახალ აღთქმაში (გულდასმით წაიკითხეთ): „რომელთანაც მიხვედით: ცოცხალ ქვასთან, ადამიანებმა რომ დაიწუნეს, ღვთისგან კი რჩეული და ძვირფასია. თქვენც აშენდით ცოცხალი ქვებივით სულიერ სახლად, წმიდა სამღვდელოებად, რათა იესო ქრისტეს მეშვეობით შესწიროთ ღვთისთვის სასურველი სულიერი მსხვერპლები“ (1 პეტრ. 2:4-5). ღმერთს საცხოვრებელი სურს, რომელსაც პეტრე სულიერ სახლს უწოდებს. ჩვენ ამ სახლის ცოცხალი სამშენებლო ქვები ვართ, სადაც ღმერთს დამკვიდრება სურს.

პეტრე საცხოვრებლის ფუნქციას ღვთის მღვდლობას უკავშირებს. რა საერთო აქვს ამ ორს? ადამიანთაგან ღმერთთან მიახლოება მხოლოდ მღვდლებს შეუძლიათ ისე, რომ სასჯელის ქვეშ არ აღმოჩნდნენ. მღვდლის უამრავი ფუნქციიდან ყველაზე მნიშვნელოვანი და უპირატესი ღმერთთან მიახლოების უფლებაა, რომ მას ემსახუროს (ეზეკ. 44:13,15). ჩვენ მიმართ წაყენებული მოთხოვნა ნამდვილად არის მასთან მიახლოება, რომ მის სამკვიდრებელ ადგილად ვიქცეთ. უნდა შევძლოთ მისი წმიდა, საოცარი თანდასწრების წინაშე დგომა.

თუ ისევ 1 პეტრეს წერილს გადავხედავთ, წავიკითხავთ შემდეგს:

> „ვინაიდან ნათქვამია წერილში: „აჰა, მე ვდებ სიონში ლოდს, ქვაკუთხედს, რჩეულს და ძვირფასს, და მისი მორწმუნე არ შერცხვება“. ამიტომ თქვენთვის, მორწმუნეთათვის, ის ძვირფასია, ურწმუნოთათვის კი ლოდია, მშენებლებისგან დაწუნებული; ის დაიდო ქვაკუთხედად, დაბრკოლების ლოდად და წაბორძიკების კლდედ, რაზედაც ბრკოლდებიან, რადგან ეურჩებიან სიტყვას და სწორედ ამისთვის არიან დადგენილნი“ (1 პეტრ. 2:6-8).

ამ მუხლებში უჩვეულო განაცხადს ვხედავთ. პეტრე ამბობს: „თქვენთვის მორწმუნეთათვის ... ხოლო ურჩთათვის (ინგ. ვერსიაში)“. ის ერთმანეთს უპირისპირებს „მორწმუნეს“ და „ურჩს“. დღეს ასე მოქცევა აღარ შეგვიძლია. ახლა სიტყვას „რწმენა“, საერთო არაფერი აქვს მორჩილებასთან ან დაუმორჩილებლობასთან. სწორედ ამიტომ ეკლესიების წევრების უმრავლესობა მორჩილებაზე აქცენტს არ აკეთებს. თუმცა ახალი აღთქმის ავტორების დროს ეს ორი ტერმინი ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდებოდა. რწმენა არა მარტო ღვთის არსებობის აღიარებას ნიშნავდა, არამედ მის დამორჩილებასაც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ გწამდათ, ემორჩილებოდით, ხოლო ურწმუნოებას თქვენი ურჩობა ადასტურებდა, რომელსაც ცხოვრებაში ავლენდით. პავლე წერს, რომ „სრულქმნილი, მარადიული გადარჩენის მიზეზი შეიქმნა ყველა მისი მორჩილისთვის“ (ებრ. 5:9).

მორჩილება გადარჩენის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. თავად იესო აღნიშნავს, რომ უამრავი ადამიანი მას უფალს უწოდებს და მისი სახელით სასწაულებსაც კი მოახდენენ, მაგრამ ცათა სამეფოში ვერ შევლენ ღვთის ნების უგულებელყოფისა და დაუმორჩილებლობის გამო (მათ. 7:21).

სამეფო სამღვდელოების მოწოდება უფლის საოცარი სინათლისკენ

ისრაელის შვილები წაბორძიკდნენ და ვერ აღასრულეს მოწოდება. ისინი სიტყვას არ ემორჩილებოდნენ, რისთვისაც დადგენილი იყვნენ. პეტრე ისევ განაგრძობს და ამბობს: „თქვენ კი რჩეული მოდგმა ხართ, სამეფო სამღვდელოება, წმიდა ერი, წილხვედრი ხალხი, რათა გამოაცხადოთ მისი სათნოება, ვინც სიბნელიდან თავისი საკვირველი სინათლისკენ გამოგიხმოთ“ (1 პეტრ. 2:9).

ჩვენ სამეფო სამღვდელოება და წმიდა ერი ვართ. ღმერთი მეფეა; მას აქვს მეფობის პრეროგატივა. ამიტომ, ისინი, ვინც მას მსახურებისა და მოზიარეობისთვის უახლოვდება, თავად უნდა იყოს სამეფო მღვდელი.

მისი სამღვდელოება სიბნელიდან საკვირველი ნათლისკენ არის გამოხმობილი. ეს უბრალო ნათელი კი არა, საკვირველი ნათელია. ხშირად ვაკნინებთ და ზედმეტად ვუშინაურდებით ზოგიერთ სიტყვას, რომელიც ღვთის დიდებულებას აღწერს. „საკვირველი“ სწორედ ასეთ სიტყვათაგანია.

სამი სიტყვა გამოვიკვლიე: საოცარი, საკვირველი და შესანიშნავი. მეფე იაკობის ბიბლიის ახალ თარგმანში ისინი ყოველთვის ღვთის აღსაწერად გამოიყენება. იფიქრეთ ამაზე: საოცარი – არაჩვეულებრივი, საკვირველი – განსაცვიფრებელი და შესანიშნავი – დიდად მნიშვნელოვანი და შესამჩნევი. იესოსაც ეწოდა საკვირველი (ეს.9:6). და მაინც, ადამიანები დღეს ამ სიტყვებით სრულიად ჩვეულებრივ მოვლენებს აღწერენ. მათ მოსწონთ ფილმი და ამბობენ: „ეს საოცარი იყო!“ ან „რა შესანიშნავია!“ მოიხიბლებიან რომელიმე სპორტსმენის გამოსვლით და ამბობენ: „არაჩვეულებრივი იყო!“

ახლა, როცა მქადაგებელი ხალხის წინაშე დგას და ამბობს: „უფალი საკვირველია!“, ნათქვამის სრული გავლენის გააზრება

არ ხდება, რადგან არაერთხელ აქვთ მოსმენილი ეს სიტყვა პროფესიონალი კალათბურთელის აღსაწერად. ვლოცულობ, რომ ამ წიგნის სათქმელმა შეგცვალოთ!

როცა პეტრე ამბობს, რომ სიბნელიდან მისი საკვირველი ნათლისკენ ვართ მოწოდებული, ღვთის ბუნების სიდიადის გადმოსაცემად ძალიან ძლიერ სიტყვას იყენებს. ღმერთი აბსოლუტური სინათლეა და მასში არ არის სიბნელე. ეს საოცარი ნათელი მის დიდებაზე მეტყველებს, რომელსაც ადამიანის სხეული ვერ მიუახლოვდება.

ანალოგიურად, როგორც 2 კორინთელთა მე-6 თავშია, სრულად ვერ ვაცნობიერებთ ამ განცხადების ზეგავლენას, რადგან მისი კონტექსტი არ ვიცით.

დავუბრუნდეთ გამოსვლის წიგნს და გავაგრძელოთ ღვთის მიერ თავის ერში და ერთან დამკვიდრების აღთქმის ხარისხის გამოძიება.

სამოსელი უნდა გავირეცხოთ

წინა თავში გავიგეთ, რომ მოსემ ისრაელის შვილები ეგვიპტიდან გამოიყვანა, რაც დღეს ქვეყნიერების ბორკილებისგან გათავისუფლების პირველსახეა. შემდეგ ეგვიპტიდან ღვთის მთისკენ გაუძღვა, რომელსაც სინაი ეწოდებოდა. ისინი მთის ძირას დატოვა და თვითონ ზევითკენ გაემართა, სადაც ღმერთმა უთხრა:

> „ხომ ნახეთ, რა დავმართე ეგვიპტელებს; არწივის ფრთებზე აგიყვანეთ და ჩემთან მოგიყვანეთ. ამიერიდან თუ მართლაც მოუსმენთ ჩემს ხმას და დაიცავთ ჩემს აღთქმას, გამოგარჩევთ ყველა ხალხისგან ჩემს საკუთრებად, რადგან ჩემია მთელი დედამიწა. იქნებით ჩემთვის მღვდელთა სამეფოდ და წმიდა ერად. აჰა, სიტყვები, რომელთაც ეტყვი ისრაელის შვილებს!“ (გამ. 19:4-6).

ახლა ვიცით, საიდან წამოვიდა პეტრეს სიტყვები. თავდაპირველად, ისინი ისრაელიანების მისამართით ითქვა. ღმერთს ისინი მხოლოდ აჰარონისა და მისი ძეებისთვის არ უთქვამს. არც მარტო ლევის ტომს ელაპარაკა. ნათქვამი მთელ ერს,

ებრაელ მამაკაცებს, დედაკაცებსა და ქალებს ეხებოდა – „იქნებით ჩემთვის მღვდელთა სამეფოდ“. ხედავთ, რომ ღმერთმა განიზრახა, მთელი ერი შესულიყო მის თანდასწრებაში მოსეს მსგავსად?

მაშინ უფალმა მოსეს უთხრა: „წადი ხალხთან და განწმიდე ისინი დღეს და ხვალ და გაირეცხონ სამოსელი. მზად იყვნენ მესამე დღისთვის, რადგან მესამე დღეს ჩამოვა უფალი მთელი ხალხის თვალწინ სინაის მთაზე“ (გამ. 19:10-11).

საჭიროა, გულმოდგინედ გავაანალიზოთ ამ ორი მუხლის მნიშვნელობა. უპირველესად, ეს სცენარი წინასწარმეტყველურია. ეს მარტო მათ კი არ ეხება, არამედ ჩვენთვის განკუთვნილი ღვთის სიტყვაა. ღმერთმა მოსეს უთხრა, რომ ორი დღის შემდეგ ხალხთან მოვიდოდა. იმ დროისთვის მოსეს ისინი უნდა განეწმიდა, რაც სამოსლის გარეცხვას გულისხმობდა.

2 პეტრ. 3:8-ში ვკითხულობთ: „არც ის უნდა დაიფაროს თქვენგან, საყვარელნო, რომ უფლისთვის ერთი დღე არის, როგორც ათასი წელი, ხოლო ათასი წელი, როგორც ერთი დღე“. მეფსალმუნე წერდა: „რადგან ათასი წელი შენს თვალში, გუშინდელ, განვლილ დღესავით არის“ (ფს. 90:4).

ღვთის ერთი დღე ჩვენს ათას წელს უდრის. მაშ ასე, რამდენი ხანი გავიდა, რაც იესო მკვდრეთით აღდგა? პასუხია – ორი წელი. ისტორიკოსები ამბობენ, რომ ის მკვდრეთით აღდგა, დაახლოებით, ჩვ.წ. 28 ან 29 წელს. მის მეორედ მოსვლასთან ახლოს ვართ წინასწარმეტყველური საათის თანახმად! აშკარად ვხედავთ კავშირს ღვთის მიერ ისრაელისთვის ნათქვამსა და ჩვენთვის ნათქვამს შორის. ჩვენი, როგორც ეკლესიის პასუხისმგებლობა გახლდათ მისი მომზადებისთვის თავის მიძღვნა ბოლო ორი ათასი წლის განმავლობაში!

რას ნიშნავს გაწმედა? დღეს ეს ტერმინი იშვიათად გვესმის. მიძღვნა ნიშნავს „გაწმედას“, ხოლო გაწმედა ნიშნავს „გამოყოფას“. კარგი თვალსაჩინოება იქნება ქალი, რომელიც მეფის რჩეულია. ის სასახლეში მოიყვანეს, სადაც მასზე მეფის საჭურისები ზრუნავდნენ, რომ მასთან წარსადგენად მოემზადებინათ. ის უკვე აღარ იცხოვრებს სხვა ქალების მსგავსად ჩვეულებრივი ცხოვრებით იმიტომ, რომ გაწმედილი და მეფისთვის გამოყოფილია. მისი მხრიდან თანამშრომლობის შემთხვევაში გაწმედა მცირედი საფასური იქნებოდა იმ

უზარმაზარ უპირატესობასთან შედარებით, რომელსაც მიიღებდა. ის მეფესთან ისეთი სიახლოვის პრივილეგიას მოიპოვებს, როგორზეც სხვა ვერ იოცნებებს. რაც მეფისაა, მისიც იქნება. რას მოითხოვს მეფე ამ ყველაფრის სამაგიეროდ? ქალი მხოლოდ მისი უნდა იყოს. ეს მაგალითი ნათლად გვაჩვენებს, რას გულისხმობდა ღმერთი, როცა თქვა: „და იქნებით ჩემთვის წმიდა, რადგან წმიდა ვარ მე, უფალი და მე გამოგაცალკევეთ სხვა ხალხებისგან, რათა ჩემთვის ყოფილიყავით“ (ლევ. 20:26).

ღმერთმა ასე უთხრა ისრაელს, როცა თავის გაწმედა უბრძანა: „ეგვიპტიდან დაგიხსენით, ახლა კი თავად გამოიყვანეთ ეგვიპტე საკუთარი თავიდან. ეს მოგამზადებთ ჩემთან მოსასვლელად მესამე დღის დასაწყისში“. მან ასე განაცხადა: „დაე, გაირეცხონ სამოსელი“. მათ ტანსაცმელს ისევ ეცხო ეგვიპტის ჭუჭყი.

ახლაც გვეუბნება უფალი: „გამოგიყვანეთ ქვეყნიერებიდან, ახლა კი მოიშორეთ ქვეყნიერება თქვენგან! ეს მოგამზადებთ ჩემი მოსვლისთვის მესამე ათასწლეულის დასაწყისში“. ქვეყნიერების ჭუჭყი სამოსლის გარეცხვით უნდა მოვიშოროთ. გავიხსენოთ პავლეს სიტყვები: „ამიტომ, ჩემო საყვარელნო, როცა ასეთი აღთქმანი გვაქვს, განვიწმიდოთ ხორცისა და სულის ყოველგვარი სიბილწისგან და ღვთის მოშიშებით აღვასრულოთ სიწმიდე“ (2კორ. 7:1). პავლე მოგვიწოდებს, რომ სამოსელი განვიწმიდოთ ხორცისა და სულის სიბილწეებისგან, როგორც მოსემ დაავალა ისრაელიანებს მატერიალური სამოსლის გარეცხვა. აქ მკვეთრი განცხადება მინდა გავაკეთო: ჩვენ უნდა განვიბანოთ და ეს უფალს არ უნდა შევატოვოთ! პავლე არ ამბობს: „და იესო ქრისტეს სისხლი გაგწმენდთ ხორცისა და სულის ყოველგვარი სიბილწისგან, ამიტომ უბრალოდ გწამდეთ მისის სიყვარულის“. გვწმენდს თუ არა იესოს სისხლი ყოველგვარი ცოდვის და მისი სიბილწისგან? პასუხია – უეჭველი „დიახ“. და მაინც, წერილიდან დავინახავთ, რომ გაწმედის პროცესში ჩვენი მონაწილეობაც აუცილებელია.

ორი მცდარი უკიდურესობა

ბოლო ასი წლის განმავლობაში, ეკლესიაში ორი უკიდურესობა შეინიშნებოდა გაწმედასა და სიწმიდესთან დაკავშირებით. პირველი ხაზს უსვამდა სრულიად გარეგნულ მხარეს. თუ ქალს

მაკიაჟი ჰქონდა, წმიდად არ ითვლებოდა. თუ კაბა მუხლს ზემოთ ეცვა, ასევე არ იყო წმიდა. ქალს შეიძლება კოჭებამდე კაბა ეცვას და თმაც ბულულივით დახვეული ჰქონდეს, არც მაკიაჟს იყენებდეს და არც სამკაულებს, მაგრამ მაცდური სულის მოქმედება თვალის გუგებზეც კი ემჩნეოდეს! მამაკაცმაც შეიძლება დაიკვეხნოს, რომ მრუშობა არასოდეს ჩაუდენია და არც ცოლისთვის უღალატია, მაგრამ მაინც ჰქონდეს ნებისმიერი ქალის ნდომა, რომელიც მის გვერდით აღმოჩნდება. ეს არ არის სიწმიდე. ასეთი უკიდურესობა ყურადღებას ხორცზე ამახვილებს, ხოლო სიწმიდე საერთოდ არ არის ხორცის საქმე. ასეთმა გაგებამ ბევრი ეკლესიური ადამიანი ლეგალიზმამდე – კანონის უკიდურეს დაცვამდე მიიყვანა.

მეორე უკიდურესობა, რომელიც უფრო მეტად გასულისაუკუნის მეორე ნახევრიდან შეიმჩნეოდა, მდგომარეობს მტკიცებაში, რომ ქვეყნიერებისგან გამოყოფის პასუხისმგებლობა ჩვენზე არ დევს. ქრისტიანები არაფრით განსხვავდებიან ქვეყნიერებისგან იმ ფაქტის გამოკლებით, რომ ცოდვები გვეპატია. ამას წინათ, ერთმა ცნობილმა ქრისტიანმა მხატვარმა ასეთი კომენტარი გააკეთა: „ქრისტიანები კონსულტანტებთან მიდიან, ქრისტიანებს აქვთ ოჯახური პრობლემები და ქრისტიანები ალკოჰოლიკები ხდებიან. ერთადერთი განსხვავება მორწმუნეებსა და ურწმუნოებს შორის გახლავთ ჩვენი შემოქმედი ღვთის უბრალო რწმენა, რომელსაც ვუყვარვართ და ყოველდღიურად გვეხმარება“. ასეთი აზროვნება ჩვენი სწავლებიდან მომდინარეობს, რომელიც გვათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან, რომ ჩამოვშორდეთ ქვეყნიერების სიბილწეებს. ეს კი პირდაპირ ეწინააღმდეგება ბიბლიურ მოძღვრებას. პეტრე მოგვიწოდებს: „ისეთი წმიდანი იყავით ყოველ საქციელში, როგორი წმიდაცაა იგი, ვინც თქვენ მოგიწოდათ“ (1 პეტრ. 1:15).

ჭეშმარიტება სადღაც შუაშია ამ ორ უკიდურესობას შორის. ადამიანურსა და ღვთაებრივს შორის თანამშრომლობა არსებობს, როცა საქმე სიწმიდეს ეხება. იესოა ჩვენი გაწმედა (1 კორ. 1:30). თუმცა „ღვთის ნებაა თქვენი გაწმედა: სიძვას განერიდეთ! რათა თითოეულმა თქვენგანმა იცოდეს თავისი ჭურჭლის შენახვა სიწმიდით და პატივით, ... რადგან ღმერთმა უწმიდურებისკენ კი არა, სიწმიდისკენ მოგვიწოდა“ (1 თეს. 4:3-7). იესო გაწმედისთვის აუცილებელ მადლს გვაძლევს, მაგრამ იმ მადლის ძალით მასთან

უნდა ვითანამშრომლოთ საკუთარი თავის გაწმედის საქმეში. ამ შემთხვევაში შეგვეძლება ქვეყნიერებაზე ცხოვრება ისე, რომ მას არ დავემსგავსოთ.

ვიცხოვროთ მის სინათლეში

ღმერთმა მოსეს ხალხის გაწმედა დაავალა. ისინი მზად უნდა ყოფილიყვნენ, როცა მესამე დღეს უფალი სინაის მთაზე ჩამოვიდოდა მთელი ხალხის თვალწინ! ღმერთი მთელი ერის წინაშე მოვიდოდა თავის დიდებაში. ოსია წინასწარმეტყველიც გვაძლევს ორიათასწლიან გრაფიკს, რომ მისი მომავალი დიდებისთვის მოვემზადოთ. ის ღაღადებს:

> „მოდი, დავუბრუნდეთ უფალს. მან დაგვაწყლულა
> და თავადვე განგვკურნავს, დაგვკრა და
> ჭრილობებსაც ის შეგვიხვევს. ორი დღის შემდეგ
> გაგვაცოცხლებს და მესამე დღეს აღგვადგენს,
> რათა ვიცოცხლოთ მის წინაშე“ (ოს. 6:1-2).

ორი დღის, ორი ათასი წლის შემდეგ გაგვაცოცხლებს და მესამე ათასწლეულში აღგვადგენს, რომ მასთან ერთად ვიცოცხლოთ. ის მესამე ათასწლეული ქრისტეს მეფობის ხანაა (სწორედ მაშინ მოვა ქრისტე დედამიწაზე თავისი აღმდგარი სხეულით, რომ ათას წელს იმეფოს [გამოცხ. 20:4]). ოსია განაგრძობს და ასე ამბობს მის მეორედ მოსვლაზე:

> „უფალს შევიმეცნებთ, ვისწრაფებთ მის
> შემეცნებას; განთიადივითაა მისი მოსვლა;
> მოვა, როგორც ადრეული და საგვიანო წვიმა,
> დაარწყულებს მიწას“ (ოს. 6:3).

მისი მოსვლა განთიადს ანუ მზის ამოსვლას ჰგავს. ვერაფერს გააკეთებთ, რომ ეს დრო შეცვალოთ — აბსოლუტურად ვერაფერს! ეს დღე მაინც დადგება, მზად დახვდებით თუ არა. იესოს დიდებით მოსვლა დადგენილია და ამას ვერაფერი შეცვლის. კითხვა იმაში მდგომარეობს, ვიქნებით თუ არა მზად. ისრაელიანებს სჯეროდათ, რომ მზად იყვნენ, მაგრამ იყვნენ

კია? მათ ადრე არასოდეს ენახათ უფლის დიდება. მათ იხილეს დიდი ნიშნები და სასწაულები და უყვარდათ მისი სიკეთეები, მაგრამ ექნებათ თუ არა იგივე განცდა მისი დიდების ხილვისას? შეიძლება თავს კომფორტულად გრძნობდეთ სასწაულების ატმოსფეროში, მაგრამ მაინც არ იყოთ მზად მისი დიდების სახილველად? მოდი, გავაგრძელოთ, რომ ეს საკითხი გამოვარკვიოთ.

თავი 4

უფლის დიდება

უფლის დიდება გახლავთ ყველაფერი, რაც ღმერთს ღმერთად ხდის; მისი ყველა თვისება, ავტორიტეტი, ძალაუფლება და სიბრძნე – პირდაპირი მნიშვნელობით, მისი განუზომელი წონადობა და მასშტაბი.

ორი დღე აშორებდა ისრაელ ერს ღვთის დიდების ხილვისგან. გაემზადნენ? სერიოზულად მიიღეს ღვთის გაფრთხილება თუ ფიქრობდნენ, რომ დრო და დრო მისი გამომხსნელი სასწაულების შემდეგ უფლის ხილვა განსხვავებული არ იქნებოდა? კიდევ რა უნდა ყოფილიყო? გარდა ამისა, ღვთის ყველა გამოვლინება მათ სასიკეთოდ წარიმართებოდა. რატომ უნდა ყოფილიყო მისი ხილვა სხვაგვარი? ამას დრო აჩვენებდათ. მოსეს გარდა ვინმე ფიქრობდა, რომ საქმე სხვანაირად წარიმართებოდა? დრო აჩვენებდათ. მოსეს გარდა ვინმე ფიქრობდა, რომ მეტისმეტად გაუთამამდნენ და გაუშინაურდნენ ისრაელის წმიდას? ორი დღე გავიდა. იმ მესამე დღის დილა გათენდა. ატმოსფერო უჩვეულოდ მშვიდი გახლდათ. უზენაესის მოსვლის წინ შიშისმომგვრელი და გამაღიზიანებელი სიჩუმე იდგა. ადამიანთა განწყობა სულ უფრო მეტად გაურკვეველი ხდებოდა. ქმნილებამ უფრო კარგად იცოდა, რას ნიშნავდა ღვთის მოსვლა, ვიდრე მისმა საკუთარმა ერმა.

განთიადის სხივები ცას ეფინებოდა, მაგრამ ეს არ იყო რიგითი აისი. უცებ, თითქოს არსაიდან, შავი ღრუბელი გამოჩნდა. ვითომ ამ დამაფრთხობელი ღრუბლის დანახვა არ კმაროდა, წინ ხმამაღალი ბუკის ხმა გაისმა. ხმა თანდათანად ძლიერდებოდა. რას შეეძლო გამოეცა ასეთი ინტენსიური ჟღერადობა?

როცა ღრუბელი მთაზე დაეშვა, მისგან ბრწყინვალე ნათელი ამოიფრქვა და ელვა-ჭექის ხმამ იქაურობა გააყრუა. გამუდმებული გრუხუნი ძალიან განსხვავდებოდა იმისგან, რაც კი ოდესმე ენახათ. ხმას ძლიერი ნათების ინტენსიური ელვა ახლდა ისე, რომ მზეც კი დაბნელდა. ისრაელიანები შიშისგან ცახცახებდნენ: „იმდენად საშინელი იყო ეს სანახაობა, რომ მოსემ თქვა: „შეძრწუნებული ვარ და ვკანკალებ“ (ებრ. 12:21). შიშის მიუხედავად, მოსემ წინამძღოლობა ითავა:

> „და გამოიყვანა მოსემ ხალხი ღმერთთან შესახვედრად ბანაკის გარეთ და დადგნენ მთის ძირას. ბოლავდა მთელი სინაის მთა, რადგან უფალი ჩამოვიდა მასზე ცეცხლში; როგორც ღუმელს ისე ასდიოდა კვამლი და ძლიერად ირყეოდა მთა. თანდათან ძლიერდებოდა საყვირის ხმა, ლაპარაკობდა მოსე და ეხმიანებოდა ღმერთი“ (გამ. 19:17-19).

ქმნილება მის სიდიადეს ავლენს

მთაზე ჩამოვიდა ის, ვინც სამყარო შექმნა. მან თავისი თითებით განათავსა ვარსკვლავები. თავისი ცოდნითა და სიბრძნით დააფუძნა დედამიწის საძირკველი. ის იყო უკუნითი უკუნისამდე!

რამდენიმე წელია ძალიან მაფიქრიანებს, რომ იმ პიროვნების საკვირველების განცდა დავკარგეთ, ვისაც ვემსახურებით. ესაია ხშირად ლაპარაკობს ღვთის სიდიადესა და ბრწყინვალებაზე. წინასწარმეტყველი კითხვას სვამს:

> „განა არ იცით?
> განა არ გსმენიათ?
> განა არ გეუწყათ დასაბამიდან?
> განა არ გაგიგიათ ქვეყნის დაფუძნებიდან?“

ის შეფიქრიანებულია, თუ რატომ დაკარგა ისრაელმა ღვთის საკვირველების ხედვა და აცხადებს:

> „ეს ის არის, ვინც დედამიწის წრეზე ზის და მისი მკვიდრნი კალიასავით არიან მის წინაშე; მან გადაჭიმა ცა ფარდასავით და კარავივით გაშალა საცხოვრებლად. გააქრობს მთავრებს და არარაობად აქცევს ქვეყნის მსაჯულთ. დარგულნი და დათესილნიც არ იყვნენ, ფესვიც არ გაედგათ, მხოლოდ შეუბერა, გახმნენ და ჩალასავით გახვეტა ისინი ქარიშხალმა. „და ვის მიმამსგავსებთ, რომ გავეტოლო?“ – ამბობს წმიდა. მაღლა აღაპყარით თვალნი და შეხედეთ: ვინ შექმნა ესენი? მან, ვისაც თვლით გამოჰყავს თავისი ლაშქარი, ყველას თავ-თავის სახელს უწოდებს, არავინ დააკლდება მისი ძალის ძლიერების გამო“ (გამ. 19:21-16).

ღმერთმა ცები თავისი ხელით შექმნა და სამყარო კარავივით გადაჭიმა. მას მტკავლით შეუძლია მისი გაზომვა (ეს. 40:12). დაფიქრდით ამაზე – ცერიდან ნეკამდე მანძილით გადაზომა სამყაროს სიგანე, სიგრძე და სიღრმე!

ოდესმე გიფიქრიათ სამყაროს ზომებზე? ეს თქვენი გონებრივი შესაძლებლობების ზღვარს აღემატება. შესაძლოა, თვალუწვდენელი სამყაროს წარმოსადგენად ღვთის სიდიადესთან მიახლოება ღირდეს.

მეცნიერების შეფასებით, სამყაროში მილიარდობით გალაქტიკაა, რომელთაგან თითოეული მილიარდობით ვარსკვლავს მოიცავს. ამ გალაქტიკების ზომები საკმაოდ მცირეა იმ სივრცესთან შედარებით, რომელიც მათ შორის არსებობს.

ჩვენი მზე ერთ-ერთია ამ გალაქტიკებიდან. როცა ღამის ცას უყურებთ, მთელ სამყაროს ვერ ხედავთ. უბრალოდ, პაწაწინა გალაქტიკა ჩანს, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ და მას ირმის ნახტომი ქვია. თქვენ მხოლოდ პატარა მონაკვეთს ხედავთ, რადგან ამ პატარა გალაქტიკის დანარჩენი ვარსკვლავები შეუიარაღებელი თვალისთვის მეტისმეტად შორია.

მოდი, დავიწყოთ გალაქტიკით, რომელშიც ვცხოვრობთ. დედამიწიდან უახლოესი ვარსკვლავი მზის გარდა, 4.3 სინათლის

წლით არის დაშორებული. შესაძლოა, ფიქრობთ: „რა არის სინათლის წელი?“ ეს არის მანძილი, რომელსაც სინათლე გადის ერთ წელიწადში. სინათლე წამში 186 282 მილის სიჩქარით მოძრაობს, რაც დაახლოებით, საათში 670 000 000 მილს უდრის. შეადარეთ ეს თვითმფრინავის სიჩქარეს, რომელიც საათში, საშუალოდ, 500 მილს ავითარებს. როგორც ხედავთ, სინათლე ძალზე სწრაფია!

წარმოდგენა რომ შეგექმნათ, რამდენად სწრაფია ეს, დავუშვათ, რომ გიგანტური თვითმფრინავით მზეზე გაფრენა შეგიძლიათ. როცა აზიაში მივფრინავ, რომელიც დედამიწის მეორე ნახევარზე მდებარეობს, ჩემი საცხოვრებელი ადგილიდან იქამდე მიღწევას 23 საათს ვანდომებ. იგივე თვითმფრინავით მზისკენ შეუჩერებლივ რომ გავფრენილიყავი, მოგზაურობას, დაახლოებით, ოცდაერთი წელი დასჭირდებოდა. დაფიქრდით ამ დროზე! ახლა წარმოიდგინეთ, რომ ამხელა დრო თვითმფრინავს სჭირდება, მაგრამ თუ ვინმეს ტარება და საჭესთან ჯდომა უყვარს, მზემდე მისასვლელად 200 წელი დასჭირდება საწვავის ჩასხმისა და შესვენების დროის გამოკლებით. რა დროს ანდომებს სინათლე დედამიწაზე მოსასვლელად? პასუხია, სულ რაღაც, რვა წუთი და ოცი წამი.

მოდი, დავტოვოთ მზე და უახლოეს ვარსკვლავზე ვიფიქროთ! უკვე ვიცით, რომ იქამდე მანძილი 4.3 სინათლის წელია. დედამიწის, მზისა და უახლოესი ვარსკვლავის მასშტაბური მოდელი რომ ავაგოთ და ჩვენი დედამიწა წიწაკის თესლის ზომის იყოს, მზე 8-ინჩიანი ბურთისხელა იქნებოდა. მასშტაბის გათვალისწინებით დედამიწიდან მზემდე მანძილი ოცდაექვს იარდს შეადგენს. მიუხედავად ამისა, თვითმფრინავის პატარა მოდელს ოცდაერთი წელი დასჭირდებოდა ოცდაექვსიარდიანი მანძილის დასაფარად.

მაშ ასე, თუ დედამიწასა და მზეს შორის მანძილის თანაფარდობა ასეთია, გამოიცნობთ, რამხელაზეა დაშორებული უახლოესი ვარსკვლავი წიწაკის თესლის ზომის დედამიწიდან? ფიქრობთ, ათასი იარდი, ორი ათასი იარდი ან თუნდაც 1 მილი იქნება? ახლოსაც კი არ ხართ! ჩვენი უახლოესი ვარსკვლავი წიწაკის თესლიდან 4 ათასი მილის დაშორებით იქნებოდა! ეს ნიშნავს, რომ წიწაკის თესლს ფლორიდის შტატში, მაიამიში თუ მოათავსებთ, მზე ოცდაექვსი იარდის დაშორებით იქნება,

ხოლო უახლოესი ვარსკვლავი ვაშინგტონის შტატის ქალაქ სიეტლს გასცდებოდა წყნარი ოკეანის მიმართულებით და ათასობით მილს გაივლიდა ღია ზღვაში! ამ ვარსკვლავამდე თვითმფრინავით მგზავრობას 51 მილიარდი წელი დასჭირდებოდა შესვენებების გარეშე! თუმცა ამ ვარსკვლავიდან წამოსული სინათლე დედამიწას, სულ რაღაც, 4.3 წელიწადში აღწევს! ვარსკვლავების უმეტესობა, რომელთაც შეუიარაღებელი თვალით ხედავთ, ჩვენგან ასიდან ათასამდე სინათლის წლით არის დაშორებული. თუმცა, რამდენიმე ვარსკვლავის დანახვას მაინც შეძლებთ, რომლებიც ოთხი ათასი სინათლის წლითაა დაშორებული (გახსოვდეთ, რომ ეს არ არის ჩვენი პაწაწინა გალაქტიკის ყველაზე შორი ვარსკვლავები). არც კი ვეცდები გამოთვლას, რა დრო დასჭირდებოდა თვითმფრინავს რომელიმე ამ ვარსკვლავამდე მისაღწევად. როცა ცაზე ოთხი ათასი სინათლის წლით დაშორებულ ვარსკვლავს უყურებთ, ხედავთ სინათლეს, რომელმაც ვარსკვლავი მაშინ დატოვა, როცა აბრაჰამი სარაზე დაქორწინდა და მას შემდეგ 670 000 000 მლ/სთ სიჩქარით მოძრაობს შესვენების გარეშე, მაგრამ დედამიწას მხოლოდ ახლა მოაღწია!

ეს გახლავთ ჩვენი პაწაწინა გალაქტიკის, ირმის ნახტომის ვარსკვლავები. ჩვენ ჯერ არ გამოგვიკვლევია მილიარდობით სხვა გალაქტიკა. არ დაგავიწყდეთ, რომ მათ შორის უზარმაზარი სივრცეა. მაგალითად, მახლობელი გალაქტიკა გახლავთ ანდრომედას ნისლეული. მისგან ჩვენამდე მანძილი, დაახლოებით, 2.3 მილიონ სინათლის წელს უდრის. უბრალოდ, წარმოიდგინეთ! 670 მილიონი მლ/სთ სიჩქარით მოძრავ სინათლეს ორ მილიონ წელზე მეტი სჭირდება, რომ იქიდან დედამიწამდე მოვიდეს. და ეს ჩვენი მეზობელი გალაქტიკა გახლავთ. ასეთები მილიარდობით არის. ხომ არ გასცდით გონების აღქმის უნარს?

ესაია ამბობს, რომ ღმერთმა ეს უზარმაზარი სამყარო მტკაველით გადაზომა. სოლომონი ღვთის სულით ამტკიცებს: „ნუთუ ნამდვილად დამკვიდრდება ღმერთი დედამიწაზე? აჰა, ცანი და ცანი ცათანი ვერ გიტევენ შენ, როგორღა დაგიტევს ეს სახლი, რომელიც მე ავაშენე?“ (3 მეფ. 8:27). წარმოგიდგენიათ, ვინ ჩამოვიდა იმ მთაზე?

ვის შემადარებთ?

შესაძლოა, სხვა საკითხების განხილვაც გვმართებს, რომლებიც ღმერთზე ნაკლებად მნიშვნელოვანია. ესაია ამტკიცებს, რომ მან სასწორზე აწონა მთები და მაღლობები – პინებით. მან მუჭით გაზომა წყალი ოკეანეებში, ზღვებში, ტბებში, მდინარეებსა და ტბორებში. სწორედ მან უბრძანა ზღვებს და აუკრძალა საზღვრებს იქით გადასვლა (ეს. 40:12).

გიფიქრიათ თუ არა ზღვის ძალაზე? ერთი მილის სიგანის მეტეორი წყნარ ოკეანეში რომ ჩავარდეს, ლოს ანჟელესიდან (კალიფორნია) რამდენიმე ასეული მილის დაშორებით, უზარმაზარ ტალღას წარმოქმნიდა, რომელიც ყველა ადამიანს მოკლავ და მთელ შენობებს გაანადგურებდა ამერიკის დასავლეთ სანაპიროზე სან-დიეგოდან ანკორიჯამდე (ალიასკა). ის გზას გაიკვალავდა ოკეანეში და რამდენიმე აზიურ ქვეყანასაც დააზარალებდა. თუმცა ტალღა მაინც არ იქნებოდა ოკეანის სიღრმის ტოლი. მაშ, რა მოუვიდოდა კაცობრიობას მთელი ოკეანის წყლები, რომ გადმოვიდეს?

მსოფლიო ოკეანე დიდი ძალის პატრონია და ღმერთმა მაინც გაზომა ხელისგულზე მისი ყოველი წვეთი!

პატარა საგნები სასწაულებრივია

მან საოცარი მასშტაბებისა და პროპორციების საქმეები მოიმოქმედა და მისი პატარა დეტალებიც თანაბრად სასწაულებრივია. მეცნიერებმა წლები და უზარმაზარი თანხები დახარჯეს ბუნების შესასწავლად. მათ ჯერ მხოლოდ მცირე სიბრძნე ამოიცნეს, რაც ბუნების სამყაროს ღვთიურ ქმნილებას შეეხება, მაგრამ ბევრი კითხვა პასუხგაუცემელი რჩება.

შექმნილი სიცოცხლის ყველა ფორმა უჯრედულია. უჯრედები ადამიანის სხეულის, მცენარეების, ცხოველებისა და სხვა ცოცხალი ორგანიზმების საშენი მასალა გახლავთ. ადამიანის სხეულში, რომელიც თავისთავად საინჟინრო სასწაულია, 100 000 000 000 000 უჯრედია. შეგიძლიათ ამ რიცხვის გააზრება? და თან მასში დიდი მრავალფეროვნება დევს. ღმერთმა თავისი სიბრძნით ყველა უჯრედს თავისი სპეციფიური ფუნქცია მიანიჭა. ისინი იზრდებიან, მრავლდებიან და ბოლოს კვდებიან — ზუსტად გრაფიკის მიხედვით.

მართალია უჯრედები შეუიარაღებელი თვალით არ ჩანს, ადამიანისთვის ცნობილ ყველაზე პატარა ნაწილაკებს მაინც არ წარმოადგენენ. უჯრედები მრავალი, გაცილებით მცირე სტრუქტურებისგან შედგება, რომელთაც მოლეკულები ეწოდება და კიდევ უფრო პატარა სტრუქტურებად, ელემენტებად იყოფიან. ელემენტების შიგნით კიდევ უფრო მცირე ატომებია. ატომების ზომა იმდენად მცირეა, რომ ამ წინადადების ბოლოს დასმული წერტილი მილიარდზე მეტ ატომს შეიცავს. ატომი თითქმის მთლიანად ცარიელი სივრცისგან შედგება. მის დარჩენილ ნაწილში ნახავთ პროტონებს, ნეიტრონებსა და ელექტრონებს. პროტონები და ნეიტრონები ერთად არიან შეჯგუფებული პაწაწინა და უკიდურესად მკვრივ ბირთვში, რომელიც ატომის ცენტრშია მოთავსებული. ელექტრონებად წოდებული ენერგიის პატარა კვანძები ბირთვის ირგვლივ სინათლის სიჩქარით მოძრაობენ. ეს ძირითადი სამშენებლო ბლოკები ყველაფერს აერთიანებენ.

მაშ, საიდან იღებს ატომი თავის ენერგიას? რა ძალა იკავებს ამ ენერგეტიკულ ნაწილაკებს ერთად? მეცნიერები ამას ატომურ ენერგიას უწოდებენ. ეს ტერმინი აღწერს მოვლენას, რომელსაც ისინი ვერ ხსნიან. ღმერთი ამბობს, რომ მას „თავისი სიტყვის ძალით უპყრია ყოველივე“ (ებრ. 1:3). ასევე, კოლასელთა მიმართ წერილში ვკითხულობთ, რომ „ყოველივე მისით დგას“ (კოლ. 1:17).

შეჩერდით და გაიაზრეთ ერთი წამით! გვყავს დიდებული შემოქმედი, რომელსაც სამყარო ვერ იტევს, მაგრამ მტკაველით ზომავს მას. მიუხედავად ამისა, იმდენად დეტალურად ჩაიფიქრა პაწაწინა დედამიწა და ქმნილებები, რომ თანამედროვე მეცნიერება მრავალი წლის კვლევის შემდეგაც გაოგნებულია.

რასაკვირველია, უამრავი წიგნის დაწერა შეიძლება მისი შესაქმის საოცრებებსა და სიბრძნეზე, მაგრამ ეს არ გახლავთ ჩემი მიზანი. აქ მინდა თქვენში გავაღვიძო მისი ხელის ნამუშაკევით აღტაცება და გაკვირვება მოგგვაროთ, რადგან მისი ქმნილების მეშვეობით ცხადდება ღვთის სიდიადე!

ვინ არის, ჩემს ჩანაფიქრს რომ აბნელებს?

ახლა უკეთ ხვდებით, რას განიცდიდა იობი, როცა ღვთის წინაშე უგნურ კითხვებს სვამდა და განცხადებებს აკეთებდა, ხოლო ღმერთმა მას გრიგალიდან უპასუხა:

„ვინ არის ეს, ჩემს ჩანაფიქრს რომ აბნელებს უმეცარი სიტყვებით? წელზე სარტყელი შემოირტყი, როგორც კაცს შეჰფერის; შეგეკითხები და მიპასუხე: სად იყავი, დედამიწას რომ ვაფუძნებდი? მითხარი, თუ გაქვს გაგება. ვინ დაადგინა მისი საზომი, თუ იცი? ან ვინ გადაჭიმა მასზე ლარი? რაზე დგას მისი საძირკვლები, ... ვინ ჩაკეტა ზღვა კარიბჭეებით, როცა ამოხეთქა, როგორც საშოდან? როცა ნისლი სამოსელად მივეცი და სქელი ღრუბელი - სახვევებად, როცა დავუდგინე ჩემი წესები, დავუყენე ურდული და ბჭენი? ვუთხარი: აქამდე მოხვალ, მეტად არა; აქ უნდა შედგნენ შენი ამაყი ზვირთები-მეთქი. შენს დღეში თუ გიბრძანებია განთიადისთვის და გიჩვენებია მისი ადგილი ცისკრისთვის, რომ მოეცვა დედამიწის კიდეები და ბოროტეულნი ჩამოეფერთხა მისგან, ... თუ გახსნილან შენთვის სიკვდილის ბჭენი და ბნელეთის ბჭენი თუ გინახავს? თუ განგიჭვრიტავს დედამიწის სიგრძე-სიგანე? მითხარი, თუ იცი ეს ყველაფერი? სად არის გზა სინათლის სამკვიდრებლისკენ და სად არის ადგილი წყვდიადისა? ნამდვილად მიგიღწევია მის საზღვრებამდე და იცი მისი სახლის ბილიკები?! ... თუ შესულხარ თოვლის სანახებში და სეტყვის სანახები თუ გინახავს? შეჭირვების ჟამისთვის რომ შემოვინახე, ბრძოლისა და ომის დღისათვის. რა გზით ნაწილდება ნათელი და როგორ ვრცელდება მიწაზე აღმოსავლეთის ქარი? ვინ გაიყვანა არხი ნიაღვრისთვის და გზა - ელვისა და ქუხილისთვის? რომ აწვიმოს უკაცრიელ მიწაზე, უდაბნოში, სადაც არ არის ადამიანი, რომ დაარწყულოს უდაბური ხრიოკი და ჯეჯილი აღმოაცენოს? ... თუ შეკრავ თანავარსკვლავედის საბელებს ან თუ გახსნი საბელებს ორიონისას? თუ ამოიყვან თანავარსკვლავედს თავის დროზე და თუ წარუძღვები დიდ დათვს თავის ბელებთან ერთად? თუ იცი ცათა დადგენილებანი და თუ დაადგენ მის წესს მიწაზე? თუ მიაწვდენ ხმას ღრუბლებს, რათა დაგფაროს წყლის სიუხვემ? ელვებს თუ წარავლენ, რომ წავიდნენ და თქვან, აჰა, აქა ვართო?“ (იობ. 38:2-35).

როცა ღმერთმა ლაპარაკი დაასრულა, მღელვარებით სავსე იობმა შესძახა:

> „ყურმოკვრით გიცნობდი; ახლა კი გხედავენ ჩემი
> თვალები. ამიტომ უკან ვიხევ და ვინანიებ
> მტვერსა და ნაცარში“ (იობ. 42:5-6).

იობის გამოცდამდე ღმერთმა თქვა, რომ მთელ პლანეტაზე არავინ იყო მისი მსგავსი. უფალმა მას უმწიკვლო და მართალი, ღვთისმოშიში და ბოროტებას განრიდებული კაცი უწოდა. იობს არა მარტო ესმოდა ღვთის სიტყვები, არამედ ოჯახსა და მეგობრებსაც უყვებოდა მასზე. თუმცა ყოვლიშემძლის დანახვისას მოწყალება ითხოვა, რადგან წმიდა ღმერთის გვერდით თავი დაღუპულ ადამიანად ჩათვალა.

ესაია მართალი და ღვთისმოსავი ადამიანი იყო, მაგრამ ხილვაში უფლის დანახვისას იყვირა: „ვაი! დავიღუპე, რადგან ბაგეუწმიდური კაცი ვარ“ (ეს. 6:5). ღვთის დიდება მისი მადლის უკიდურეს საჭიროებას აცხადებს, რადგან მის გარეშე სამუდამოდ განწირულები ვართ. იგი გაცილებით დიდია, ვიდრე წარმოდგენა შეგვიძლია. მისი დიდებულების გამო ტახტთან მყოფი ანგელოზები საუკუნეების განმავლობაში წმიდა მოწიწებით შესძახიან: „წმიდაა, წმიდაა, წმიდაა!“ სწორედ ასეთი ღმერთი ჩამოვიდა თავისი დიდებით ისრაელის წინაშე.

მიუღწეველი ნათელი

ახლა ყურადღება გავამახვილოთ, თუ რა არის უფლის დიდება. ზოგიერთები ეკლესიაში ღვთის დიდებას ნისლის, ღრუბლის ან მსგავსი გამოვლინებით აღწერდნენ და ამბობდნენ: „ოჰ, ღვთის დიდება გადმოვიდა კრებულზე“. ასეთი განცხადება ზღუდავს და აბნელებს ღვთის ჩანაფიქრს უმეცარი სიტყვებით (იობ. 38:2).

პირველი, ღვთის დიდება ღრუბელი არ გახლავთ. შეიძლება იკითხოთ: „მაშ რატომ არის ნახსენები ღრუბელი ყოველთვის, როცა წმიდა წერილში ლაპარაკია ღვთის დიდებაზე?“ ღმერთმა თავი ღრუბელში უნდა დამალოს, რადგან მეტისმეტად დიდებულია ჩვენს სახილველად. მის სახეს ღრუბელი რომ არ მალავდეს, გარშემო ყველა ხორციელი შთაინთქმება და მეყსეულად მოკვდება. როცა მოსემ ღმერთს დიდების ჩვენება სთხოვა, პასუხი მტკიცე იყო: „ვერ შეძლებ ჩემი სახის ხილვას, რადგან არ ძალუძს ადამიანს მიხილოს და ცოცხალი დარჩეს“ (გამ. 33:20).

მოკვდავ ხორცს არ შეუძლია წმიდა ღვთის თანდასწრებაში ყოფნა, როცა იგი დიდებით ვლინდება. უფალი მჭამელი ცეცხლია,

რომელშიც არ არის სიბნელე (ებრ.12:29; 1იოან.1:5). პავლე იესოზე წერს: „კურთხეული და ერთადერთი ხელმწიფე, მეფეთა მეფე და უფალთა უფალი, ერთადერთი, ვისაც უკვდავება აქვს და მკვიდრობს მიუღწეველ სინათლეში, რომელიც არავის უხილავს ადამიანთაგან და არც ძალუძს მისი ხილვა“ (1 ტიმ. 6:15-16). ეს ნათელი არაფერს ჰგავს, რაც აქ, დედამიწაზე გვაქვს. ერთი ჩემი მეგობარი ალაბამელი პასტორი რამდენიმე წლის წინ მშენებარე ეკლესიაში იმყოფებოდა. იქ უბედური შემთხვევა მოხდა – მას მძიმე სამშენებლო მასალა დაეცა და თავის ქალა, კისერი და ზურგი ჩაუმსხვრია. სასწრაფო დახმარების მედიკოსებმა ის მკვდრად გამოაცხადეს და შეფუთეს.

რამდენიმე წლის წინ მასთან ვიყავი გოლფის ჩემპიონატზე და ვკითხე იესოსთან ურთიერთობის გამოცდილებაზე. თამაში ჩავუშალე, რადგან მეთოთხმეტე ფოსოდან მეთვრამეტემდე ყვირილი უწევდა, როცა მელაპარაკებოდა. მან მითხრა:

– ჯონ, შორიდან დიდი სინათლე ვიხილე, რომლისკენაც სწრაფად მივემართებოდი. რაც მეტად ვუახლოვდებოდი, სინათლე მით უფრო კაშკაშა ხდებოდა. ნათელი მეტისმეტად მკვეთრი და თეთრი იყო საიმისოდ, რომ რაიმეს შევადარო. ისე ბრწყინავდა, რომ ძლივს ვუყურებდი. მისი ინტენსივობის გამო იესოს სახის ნაკვთები ვერ გავარჩიე, მაგრამ ვიცოდი, რომ ის იყო.

ერთადერთი იმის დანახვა შევძელი, რომ ეს იყო ელვარე, თითქმის შეუღწევადი შუქი. ყველაზე მეტად მისი სიწმიდე იკვეთებოდა. ჩანდა, რომ ცეცხლი კიდევ უფრო მეტად ააშკარავებდა. ვგრძნობდი, რომ მისი არსების ნათელი მწმენდდა. როგორც კი განწმენდა დასრულდა, მისი სახის ნაკვთების გარჩევა შევძელი. პირველად თვალები დავინახე. მისი თვალები ძლიერი და გამჭვალავი, თუმცა სიყვარულით სავსე იყო“.

ბოლოს, იესომ ჩემს მეგობარს უთხრა, რომ დედამიწაზე საქმე ჯერ კიდევ დასასრულებელი ჰქონდა და უკან უნდა დაბრუნებულიყო. ის უკვე მკვდრად იყო გამოცხადებული და სამედიცინო პერსონალმა ქსოვილიც გადააფარა. როცა სხეულს დაუბრუნდა, მოძრაობა დაიწყო და ყველა დააფრთხო, ვინც იმ რაიონში იმყოფებოდა. დღეს ის ძლიერი და სიღრმისეული ლოცვის კაცია და დიდი ღვთისმოსაობით გამორჩეული ცხოვრებით ცხოვრობს.

პავლე აცხადებს, რომ იესო მიუწვდომელ ნათელში მკვიდრობს, რომელიც არავის უხილავს და არც ძალუძს მისი ხილვა. მეფსალმუნე აცხადებს, რომ უფალს ნათელი სამოსელივით აცვია (ფს. 104:2; ჩემმა მეგობარმა პასტორმა იესო ნახა, რადგან იმ დროს სხეულში არ იმყოფებოდა). დამასკოს გზაზე მიმავალმა პავლემ ეს მიუწვდომელი ნათელი იხილა. ამაზე მეფე აგრიპას უამბო: „შუადღისას, მეფევ, გზაზე ციდან გადმოსული, მზეზე ბრწყინვალე სინათლე ვიხილე, რომელიც მე და ჩემს თანამგზავრებს მოგვეფინა“ (საქმ. 26:13).

პავლეს იესოს სახე არ დაუნახავს; მხოლოდ მისგან წამოსული ნათელი იხილა, რომელიც ახლო აღმოსავლეთის მწველ მზეზე მეტად ანათებდა. ფლორიდაში თორმეტი წელი ვიცხოვრე. მას მზის ნათების შტატს უწოდებენ. იქ არასდროს გამიკეთებია მზის სათვალე. თუმცა ახლო აღმოსავლეთში მოგზაურობისას მის გარეშე იოლად ვერ გახვიდოდი. იქ მზე გაცილებით მწველია უდაბნოს მშრალი კლიმატის გამო. დილის რვა-ცხრა საათს კიდევ არა უშავდა, მაგრამ თერთმეტიდან ორ საათამდე საოცრად კაშკაშებდა. თუმცა პავლემ თქვა, რომ იესოსგან მომავალი ნათელი უფრო ბრწყინვალე გახლდათ. ბავშვებს ვასწავლით, რომ მზეს თვალები არასოდეს გაუსწორონ, რადგან მეტისმეტად მწველად ანათებს და შეიძლება დაზიანდნენ. წარმოიდგინეთ, რომ შუადღის მზეს უყურებთ ჩვენს რაიონში. ძალიან რთული იქნება, თუ ის ღრუბლით არ შეიმოსება. ღვთის დიდება ამ ბრწყინვალებას მრავალგზის აღემატება.

იოელი და ესაია ხაზს უსვამდნენ, რომ უკანასკნელ დღეებში უფლის დიდება გაბრწყინდება და მზე წყვდიადად იქცევა:

> „აჰა, მოდის უფლის დღე, ... ცის ვარსკვლავნი
> და თანავარსკვლავედნი აღარ გამოაბრწყინებენ
> თავიანთ სინათლეს, წყვდიადი იქნება მზის
> ამოსვლისას, მთვარე აღარ მოაფენს თავის
> სინათლეს“ (ეს. 13:9-10).

როცა ნათელ ღამეს გარეთ გამოვდივართ, რას ვხედავთ? ყველგან ვარსკვლავებია. როცა მზე ამოდის, რა ხდება? არანაირი ვარსკვლავი არ ჩანს! ისინი გარბიან, სანამ მზე ჩავა და შემდეგ ისევ ბრუნდებიან ცაზე? არა. ვარსკვლავთა დიდება

სხვაგვარია, ხოლო მზის დიდება მათსას დიდად აღემატება. როცა მზე ამოდის, ვარსკვლავებს ჩრდილავს, რადგან მათზე გაცილებით ბრწყინვალეა. როცა იესო დაბრუნდება, მზეს დაჩრდილავს და მას ვერავინ იხილავს, რადგან უფლის დიდება მასზე ბევრად აღმატებულია, თუნდაც მნათობი სრული ძალით კაშკაშებდეს. ალელუია!

უფლის დიდება ყველა სხვა დიდებას დაჩრდილავს. ის იდეალური და ყოვლისშთანმთქმელი ნათელია. სწორედ ამიტომ, მისი მეორედ მოსვლისას დედამიწის მკვიდრები

> „კლდის გამოქვაბულებში შევლენ
> და მიწის ხვრელებში დაემალებიან
> უფლის შიშსა და მისი სიდიადის
> ბრწყინვალებას“ (ეს. 2:19).

ის, რაც ღმერთს ღმერთად ხდის

რა არის უფლის დიდება? პასუხისთვის გადავიდეთ მოსეს თხოვნაზე, რომ დიდება ეხილა. უთხრა მოსემ: „მახილვინე შენი დიდება!“ (გამ. 33:18)

დიდების აღმნიშვნელი ებრაული სიტყვა გახლავთ „ქაბოდ“. ის სტრონგის ბიბლიურ ლექსიკონში განმარტებულია როგორც „რაიმეს წონა, მხოლოდ ხატოვანი გაგებით“. მასში ასევე იგულისხმება ბრწყინვალება, სიუხვე და პატივი. მოსემ ღმერთს სთხოვა, რომ მთელი თავისი სიდიადით ჩვენებოდა. ყურადღებით დააკვირდით ღვთის პასუხს: „ჩამოვატარებ მთელ ჩემს სიკეთეს შენ წინ და განვაცხადებ ჩემს სახელს ‘უფალი’“ (გამ. 33:19).

მას შემდეგ, რაც მოსემ მთელი დიდება ითხოვა, ღმერთმა ამას „მთელი ჩემი სიკეთე“ უწოდა. სიკეთის აღმნიშვნელი ებრაული სიტყვა გახლავთ „თოვ“. ის ნიშნავს „სიკეთეს ყველაზე ფართო გაგებით“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არაფერია უკან მოტოვებული.

ღმერთმა დაამატა: „განვაცხადებ ჩემს სახელს ‘უფალი’“. სანამ ქვეყნიური მეფე სატახტო დარბაზში შებრძანდება, მაცნე მის სახელს აცხადებს. ბუკებს აყვირებენ და მისი უდიდებულესობა ბრწყინვალებით შედის დარბაზში. მეფის სიდიადე ვლინდება და სასახლის კარზე არავინ რჩება, ვინც არ იცის, რომელია მეფე.

თუ იგივე მეფე საკუთარ ქალაქში ჩვეულებრივად ჩაცმული გაისეირნებს თანმხლებთა გარეშე, ხალხი მას გვერდს ისე აუვლის, რომ ვერ იცნობს. არსებითად, ეს გააკეთა ღმერთმა მოსესთვის. მან თქვა: „ჩემს საკუთარ სახელს გავაცხადებ და გვერდით მთელი ბრწყინვალებით ჩაგივლი“.

უფლის დიდება იესო ქრისტეს პიროვნებაში გამოვლინდა (2კორ. 4:6). ბევრი ამოწმებდა, რომ იესო იხილა და მისი სახეც დაინახა. ეს სრულიად შესაძლებელია, მაგრამ იგი არ უნახავთ სრულ დიდებაში. პავლე წერს: „რადგან ახლა ბუნდოვნად ვხედავთ, როგორც სარკეში, მაშინ კი პირისპირ ვიხილავთ“ (1კორ. 13:12). მისი სახება დაფარულია მრუმე მინით, ვინაიდან არავის შეუძლია მისი სახის ხილვა ისე, რომ ცოცხალი დარჩეს.

მოწაფეები ხედავდნენ იესოს სახეს მისი მკვდრეთით აღდგომის შემდეგ, მაგრამ იქ ღიად არ გამოვლინდა ღვთის დიდება. ზოგიერთებმა ძველ აღთქმაში იხილეს უფალი, მაგრამ არა სრული დიდებით. უფალი აბრაჰამს გამოეცხადა ტერებინთის ხეების ქვეშ, მამრეში, მაგრამ არა თავისი დიდებით (დაბ. 18:1-2). იაკობი ღმერთს შეერკინა, მაგრამ არა მის დიდებაში (დაბ. 32:24-30).

იეშუამ მისი სახე იხილა იერიხოში შეჭრის წინ (ი.ნ. 5:13-15). უფალი მეომრის სახით წარუდგა. იეშუამ არ იცოდა, ვინ იყო ის და იკითხა: „ჩვენიანი ხარ, თუ მოწინააღმდეგე?“ მაშინ მან მიუგო, რომ უფლის მხედრობის თავი იყო და იეშუას სანდლების გახდა მოსთხოვა, რადგან წმიდა მიწაზე იდგა. გავიხსენოთ, ყოველდღიურ ტანსაცმელში გამოწყობილი მეფე, რომელსაც სამეფო სამოსი არ აცვია. ადამიანები ისე ჩაუვლიან, რომ მის ვინაობას ვერ მიხვდებიან. სწორედ ასე მოუვიდა იეშუას.

იგივე მოხდა აღდგომის შემდეგ. პირველი, ვისაც იესო ელაპარაკა, მარიამ მაგდალელი იყო, მაგრამ ქალს მებაღე ეგონა (იოან. 20:15-16). მოწაფეებმა სანაპიროზე თევზი ჭამეს იესოსთან ერთად (იოან. 21:9-13). ორ მოწაფესთან ერთად მიდიოდა ემაუსის გზაზე, მაგრამ „თვალები დახშული ჰქონდათ“ (ლუკ. 24:16). ყველამ იხილა მისი სახე, რადგან მთელი დიდებით არ გამოჩენილა.

ამის საპირისპიროდ, იოანე მოციქულმა სულში იხილა იგი, მაგრამ ზღვის სანაპიროზე საუზმისგან სრულიად განსხვავებული შეხვედრა ჰქონდა. იქ იოანემ მთელი დიდებით იხილა იესო და ასე აღწერა:

„ვიხილე მსგავსი კაცის ძისა, რომელსაც მოსასხამი ემოსა და გულმკერდზე ოქროს სარტყელი ერტყა. მისი თავი და თმები თეთრი იყო, როგორც თეთრი მატყლი, როგორც თოვლი; თვალები მისი, როგორც ცეცხლის ალი. მისი ფეხები, როგორც ქურაში გავარვარებული სპილენძი, ... მისი სახე იყო როგორც მზე, თავისი ძლიერებით მბრწყინავი. ვიხილე და მკვდარივით დავეცი მის ფერხთით“ (გამოცხ. 1:13-17).

მისი სახე იყო როგორც მზე, თავისი ძლიერებით მბრწყინავი. როგორ შეძლო იოანემ მისი დანახვა? ის სულში იყო.

უფლის დიდება არის ყველაფერი, რაც ღმერთს ღმერთად ხდის. მისი თვისებები, ძალაუფლება, ძალა და სიბრძნე – მისი განუზომელი წონა და ღვთიური სიდიადე. არაფერია დამალული ან უკან მოტოვებული! სწორედ ასეთი ღმერთი ჩამოვიდა მთაზე მესამე დღეს.

მზად იყო ისრაელი? როგორ უპასუხა ხალხმა მის დიდებას? ვიქნებით მზად მეორე ათასწლეულის ბოლოს? როგორ გამოვეხმაურებით მის მომავალ დიდებას?

თავი 5

მთისკენ მიმავალი გზა

ღმერთი გვეძახის მთისკენ, რომ ახლოს გავიცნოთ იგი. ამ მთაზე ამავალი გზა სიწმიდეზე გადის, რომელიც ღვთისმოშიშ გულებში იბადება.

ალბათ, ისრაელიანთა უმეტესობა ფიქრობდა, რომ მესამე დღისთვის მზად იყო. ისინი ხედავდნენ, რა ძალთაქმედებებს ახდენდა ღმერთი დრო და დრო მათი გულისთვის, თუმცა ვერ ხედავდნენ მისი დიდების ცხად გამოვლინებას. იყო თუ არა მათი პასუხი ისეთი, როგორც მათი აზრით უნდა ყოფილიყო?

ახლა უკვე ყველამ დაინახა ჭექა, ელვა, ბუკის ხმა და კვამლი. ამის ხილვისას ხალხი კანკალებდა და შორიდან უმზერდა. მაშინ მოსეს უთხრეს: „შენ გველაპარაკე და მოგისმენთ, ოღონდ ღმერთი ნუ დაგველაპარაკება, თორემ დავიხოცებით“ (გამ. 20:18-19).

ისრაელიანები კანკალებდნენ და უკან იხევდნენ. მათ არც ღვთის ხმის გაგონება უნდოდათ და არც მის დიდებულ თანდასწრებაში ყოფნა სურდათ. ისრაელის ძეებს რამდენიმე საოცარი სასწაული ჰქონდათ ნანახი, რაც შეიძლება ნებისმიერმა თაობამ დაამოწმოს. რამდენი მქადაგებელი იცით, რომელმაც

ტბა გააპო, ზღვაზე რომ არაფერი ვთქვათ? რამდენი მსახური გინახავთ, რომელიც ლოცულობს და ყოველდღიურად საკმარისი პური ჩამოდის ზეციდან სამი მილიონი ადამიანის გამოსაკვებად? ექსპერტების აზრით, დღიურად საჭირო მანანა ორ სატვირთო მატარებელს გაავსებდა, რომელთაგან თითოეულს 110 დახურული ვაგონი ექნებოდა.

მისი დიდებისგან უკანდახევა

მაშინდელი ხალხი დღევანდელი ეკლესიისგან დიდად არ განსხვავდებოდა. რაც შეეხება გადარჩენას, ისინი ეგვიპტიდან გამოვიდნენ და ეს ხელახლა შობის პირველსახეა. მჩაგვრელებისგან თავისუფლებაც მიღეს. ზუსტად ასე გაგვათავისუფლა ღმერთმა: „მან გვიხსნა სიბნელის ხელმწიფებისგან და შეგვიყვანა თავისი საყვარელი ძის სამეფოში“ (კოლ. 1:13). რაც შეეხება სასწაულებს, მათ ღვთის სასწაულების სარგებელი იხილეს, ისევე როგორც ბევრმა ადამიანმა თანამედროვე ეკლესიაში. რას ვიტყვით წარმატებაზე? მათ გამოსცადეს, რას ნიშნავს, როცა ცოდვილის სიმდიდრე მართლისთვის ინახება: „ოქრო-ვერცხლით გამოიყვანა ისინი და არავინ იყო უძლური მათ ტომებში“ (ფს. 105:37). მოსემ ეგვიპტე სამი მილიონი ძლიერი, ჯანმრთელი ადამიანით დატოვა. წარმოგიდგენიათ სამმილიონიანი ქალაქი, სადაც არავინ ავადმყოფობს და საავადმყოფოები ცარიელია? ისრაელიანების პრობლემები არ უკავშირდებოდა სნეულებებსა და ჰოსპიტლებს? ისინი ოთხასი წლის მანძილზე იტანჯებოდნენ მძიმე შრომისგან. წარმოიდგინეთ, რა განკურნებები და სასწაულები მოხდა, როცა საპასექო კრავი შეჭამეს! ამ ადამიანებმა კარგად იცოდნენ, რას ნიშნავდა ღვთიური ხსნა, განკურნება, სასწაულმოქმედება და გათავისუფლება. ისინი მთელი ძალით ზეიმობდნენ, როცა ღმერთი მათი გულისთვის სასწაულებს ახდენდა. ისინი ცეკვავდნენ და ღმერთს ადიდებდნენ ისევე, როგორც თანამედროვე ეკლესიები აკეთებენ (გამ. 15:1,20).

საინტერესოა, რომ ისრაელიანები ღვთის სასწაულებრივი გამოვლინებებისკენ ისწრაფოდნენ, რადგან მისგან სარგებელს იღებდნენ, მაგრამ შეშინდნენ და უკან დაიხიეს, როცა მისი დიდება გამოვლინდა.

რატომ იყვნენ ადამიანები ასე კომფორტულად სასწაულების ატმოსფეროში და აღტაცებით ხვდებოდნენ მათ, მაგრამ ღვთის დიდების გამოვლინება უხერხულ მდგომარეობაში აგდებდათ ისე, რომ უკან იხევდნენ? ისინი ცოდვას მალავდნენ სასწაულების გარემოცვაში. მრავალი ეტყვის იესოს: „უფალო, უფალო! განა შენი სახელით არ ვწინასწარმეტყველებდით? განა შენი სახელით არ ვდევნიდით ეშმაკებს და განა შენი სახელით არ ვახდენდით მრავალ სასწაულს? მაშინ მე განვუცხადებ მათ: არასოდეს მიცვნიხართ თქვენ, გამშორდით, მოქმედნო ურჯულოებისა“ (მათ. 7:22-23). ხალხი იცნობდა ღვთის ნიშნებსა და სასწაულებს და ზოგიერთები თავადაც ახდენდნენ მათ, მაგრამ ცოდვას საგულდაგულოდ მალავდნენ. არავის შეუძლია ღვთის დიდების თანდასწრებაში ცოდვის დაფარვა, რადგან მისი ნათელი ყველაფერს ააშკარავებს.

იესო ახალ აღთქმაში გვეუბნება:

> „გეუბნებით თქვენ, ჩემო მეგობრებო, იმათი ნუ შეგეშინ-დებათ, ვინც სხეულს კლავს და ამის მეტი აღარაფრის გაკეთება შეუძლია. გიჩვენებთ, ვისი უნდა გეშინოდეთ: გეშინოდეთ იმისა, ვისაც მოკვლის შემდეგ გეენაში ჩაგდე-ბის ხელმწიფება აქვს. აჰა, გეუბნებით, მისი გეშინოდეთ“ (ლუკ. 12:4-5).

რატომ ამბობს იესო ამას? მიზეზი წინა მუხლებში ჩანს, სანამ ღვთისმოშიშებაზე გაგვაფრთხილებდა: „რადგან არაფერია დაფარული, რომ არ გაცხადდეს და დამალული, რომ არ გამჟღავნდეს. ამიტომ, რასაც ბნელში იტყვით, სინათლეზე მოისმენენ, და რასაც ოთახებში ჩასჩურჩულებთ ერთმანეთს, ერდო-ბანებზე გახმაურდება“ (ლუკ. 12:2-3).

შესაძლებელია, ცოდვაში ვცხოვრობდეთ და ეს სასწაულების გარემოცვაში არ გამოჩნდეს, მაგრამ ურჯულოება ღვთის გამოვლენილი დიდების ფონზე ვერ დაიმალება. ადამი და ევა ღვთის დიდებას დაემალნენ მას შემდეგ, რაც ურჩობა გამოიჩინეს. ერთ დროს დღის სიგრილეში მასთან ერთად სეირნობდნენ (დაბ. 2-3). იესო განმარტავს: „რადგან ყველას, ვინც სჩადის დანაშაულს, სძულს სინათლე და არ ისწრაფვის სინათლისკენ, რათა მხილებული არ იქნეს მისი საქმენი“ (იოან. 3:20). მოსე ხალხს მოუწოდებდა: „ნუ გეშინიათ, თქვენს გამოსაცდელად

მოვიდა ღმერთი, რომ მისი შიში გქონდეთ და არ შესცოდოთ“. მოშორებით იდგა ხალხი, მოსე კი მივიდა ნისლთან, სადაც ღმერთი იყო“ (გამ. 20:20-21).

შესაძლოა, ფიქრობთ, რომ მოსე ნისლთან მივიდა და არა ნათელთან. გაიხსენეთ, რომ ღმერთი თავის ბრწყინვალებას სქელი ღრუბლის უკან მალავს. მოსე ღვთიურ ნათელს მიუახლოვდა, ხოლო ხალხი დაშორდა. მეორე რჯულის წიგნი კიდევ უფრო ამძაფრებს ხალხის პასუხს: „აჰა, გვიჩვენა უფალმა, ჩვენმა ღმერთმა, თავისი დიდება და სიდიადე და გვესმა მისი ხმა ცეცხლის შუაგულიდან“ (2 რჯ. 5:24). წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, ღრუბელი სქელი და დაბურული რომ არ ყოფილიყო! მისი გამოსახულება იმდენად შიშის მომგვრელი გახლდათ, რომ მშთანთქავ ცეცხლად მოეჩვენათ, თუმცა უფალი სქელ ღრუბელში იყო.

მოსემ ხალხის გაფრთხილება იჩქარა: „ნუ გეშინიათ!“ და ისევ ღვთის თანდასწრებას დაუბრუნდა, საიდანაც ჭეშმარიტი სიცოცხლე მოედინებოდა. მან ისრაელიანებს უთხრა, რომ ღმერთი მათ გამოსაცდელად მოვიდა. რატომ გვცდის ღმერთი? იმიტომ, რომ დაინახოს, რა არის ჩვენში? არა, მან ეს უკვე იცის. ის გვცდის, რომ დავინახოთ, რა გვიდევს გულში. ისრაელიანებს უნდა გაეგოთ, ჰქონდათ თუ არა ღვთის შიში. რომ შინებოდათ, არ შესცოდავდნენ. ცოდვა მაშინ წამოყოფს თავს, როცა მას ვშორდებით.

მოსემ თქვა: „ნუ გეშინიათ!“ და შემდეგ ხაზი გაუსვა, რომ ღმერთი მოვიდა, რათა „მისი შიში გქონდეთ“. მან მკვეთრად გამიჯნა „ღვთისგან შეძრწუნება“ და „ღვთის მოშიშება“. მოსეს ღვთის შიში ჰქონდა, მაგრამ ადამიანებს საკუთარი თავი უყვარდათ. ღვთის შიში, უპირველესად, მის სიყვარულს ნიშნავს. ეს არის ღვთის მორჩილებისთვის მზადყოფნა მაშინ, როცა კომპრომისზე წასვლა ან მისი სიტყვის ურჩობა უფრო სარგებლიანი ჩანს. ვისაც საკუთარი თავი უყვარს, ღვთის შიში ვერ ექნება. ეს გახლავთ უცილობელი ჭეშმარიტება, რომ ღვთის შიშის არქონისას, მისი დიდების გამოვლენის შეგვეშინდება და უკან მივიქცევით. გახსოვდეთ, რომ ხალხი დაშორდა უფლის დიდებას, ხოლო მოსე უფრო მიუახლოვდა. ამ შემთხვევის ამბავი მეორე რჯულის წიგნში აღიწერა და წლების შემდეგ ახალ თაობას გადაეცა აღთქმულ მიწაზე შესვლამდე. ეს გვაჩვენებს მომენტს,

რომელიც გამოსვლაში არ ჩანს. მოსემ ხალხს შეახსენა, თუ რა მოხდა ღვთის დიდების ბნელ ღრუბელში გამოვლინების დროს. ისინი ყვიროდნენ: „მიუახლოვდი და მოისმინე ყველაფერი, რასაც უფალი, ჩვენი ღმერთი, იტყვის და მერე გვითხარი ყველაფერი, რასაც უფალი, ჩვენი ღმერთი, გეტყვის. ჩვენ მოვისმენთ და შევასრულებთ“ (2 რჯ. 5:27). მათ სურდათ, რომ მოსეს მოესმინა და ღვთის ნათქვამი მათთვის გადაეცა შესასრულებლად. ისინი ღმერთთან ურთიერთობას თავადაც შეძლებდნენ, რომ არა მათ გულებში დაფარული სიბნელე ანუ ფარული ცოდვა. კარგი განზრახვა ყოველთვის როდი იძლევა სწორ შედეგებს, რადგან ეს ერი ათასხუთასი წლის განმავლობაში ცდილობდა იგივეს, თუმცა მაინც ვერ ისწავლა ღვთის გზებით სიარული.

რომელი ჩვენგანი ჰგავს მათ? სხვებისგან ხომ არ ვცდილობთ ღვთის სიტყვის მიღებას, ხოლო თავად ღვთის მთას ვშორდებით? ხომ არ გვეშინია მისი ხმის მოსმენა, რომელიც ჩვენი გულის მდგომარეობას ააშკარავებს? ხომ არ გვაღელვებს, რომ მასთან მეტისმეტად ახლოს მისვლისას ისეთი რამ გამომჟღავნდება, რასაც საგულდაგულოდ ვმალავთ? თუ რაიმეს ვმალავთ, მასთან დაპირისპირება არ გვინდა და არ გვინდა იმის წინააღმდეგობა, რაც ჯერ კიდევ გვსიამოვნებს.

ყველაზე ბნელი საათი

მოსე ისრაელის გამოხმაურებით იმედგაცრუებული დარჩა. ის ვერ იგებდა მათში ღვთის თანდასწრების წყურვილის ნაკლებობას. როგორ უნდა ყოფილიყვნენ ამდენად უგუნური? როგორ უნდა დაბრმავებოდათ თვალები? რატომ უნდა ეთქვა უარი ვინმეს ცოცხალ ღმერთთან შეხვედრაზე?

მოსემ თავისი ღრმა წუხილი უფალს წარუდგინა გამოსავლის პოვნის იმედით. მოუსმინეთ, რა ითქვა მას და უფალს შორის, როცა ეს გააკეთა: „მოისმინა უფალმა თქვენი ლაპარაკი, მე რომ მელაპარაკებოდით და მითხრა: „ვისმინე ამ ხალხის ლაპარაკი, შენ რომ გელაპარაკებოდა. ყველაფერი კარგია, რაც ილაპარაკეს“ (2 რჯ. 5:28).

ალბათ, მოსე გაკვირვებული დარჩა ღვთის პასუხით. სავარაუდოდ, ის ასე ფიქრობდა: „რა? მართლები არიან? ერთხელ მაინც გამოდგნენ მართლები!“ ალბათ, გულში ღმერთს

შეჰღაღადებდა: „რატომ არ ამოვიდნენ შენს თანდასწრებაში, როგორც თავად გსურდა ასე?“ სანამ დაასრულებდა, ღმერთმა უპასუხა და ვხედავთ, რაოდენი მწუხარება ჩანს მის ნათქვამში: „ნეტავ ისეთი გული ჰქონოდათ, რომ შინებოდათ ჩემი და მუდამჟამს დაეცვათ ჩემი ყოველი მცნება, რათა კარგად ყოფილიყვნენ თვითონ და მათი ძენი უკუნისამდე“ (2 რჯ. 5:29).

უფალს სურდა, რომ ისინი მის წმიდა მთაზე ასულიყვნენ და ეხილათ. მას ისრაელიანებისთვის თავის გაცხადება უნდოდა, მაგრამ ხალხს არ ყოფნიდა ის, რაც საჭირო იყო მის თანდასწრებაში შესვლისთვის – წმიდა მოშიშება. ახლა უკვე ცხადად ვხედავთ მის ნათქვამში გარეულ ნაღველს, როცა მოსეს ელაპარაკება: „წადი და უთხარი მათ, დაბრუნდნენ თავიანთ კარვებში“ (2 რჯ. 5:30). რა მწარე იმედგაცრუებაა! ეს იყო მათი ყველაზე ბნელი საათი. ზოგიერთები ფიქრობენ, რომ სიბნელის დროება მათთვის მაშინ დადგა, როცა ცუდი ამბები მოიტანეს აღთქმული მიწიდან, რამაც ისინი დააბრკოლა ან ოქროს ხბო რომ ჩამოასხეს. არა, მეგობარო, ეს არ იყო ყველაზე ბნელი ჟამი! გულები რომ გაეწმიდათ, მის დიდებულ თანდასწრებაში შესვლას შეძლებდნენ. მაშინ არც ოქროს ხბო იქნებოდა და არც ცუდი ამბები აღთქმული მიწიდან, რამაც მიწის დაპყრობაში ხალხს ხელი შეუშალა.

ეს დღესაც აქტუალურია. მამაკაცის ყველაზე ბნელი დრო ის კი არ არის, როცა სხვა ქალთან საწოლში იძინებს, რომელიც მისი ცოლი არაა ან თავის დამსაქმებელს ფულს პარავს. ეს მაშინ ხდება, როცა უარს ამბობს უფლის მოპატიჟებაზე, რომ გვერდზე გადადოს ქვეყნიერების სიამენი და მეფის ოთახში შევიდეს მასთან ურთიერთობისთვის. ახლოს რომ მოსულიყო, სხვა არასასიამოვნო ამბები არ მოყვებოდა.

ახალგაზრდის ბნელი ჟამი მაშინ არ დგება, როცა თვრება ან ნარკოტიკული გაქვავება ემართება. არც მაშინ დგება, როცა ქურდობისთვის იჭერენ. ხდება ხოლმე, რომ ღმერთი ეძახის მას, მაგრამ თანატოლების პოპულარობა მეფის ძახილს გადაფარავს. გარეგნულად ეს სიბნელე არ იგრძნობა, მაგრამ მთელი ზეცა გლოვობს, როცა ღვთის მოწოდება უშედეგო აღმოჩნდება. ღმერთმა ისრაელიანებს კარვებში დაბრუნება უბრძანა, ხოლო მის მოშიშ ადამიანს უთხრა: „ხოლო შენ აქ დადექი ჩემთან და გეტყვი“ (2 რჯ. 5:31).

მოსეს შეეძლო ღვთის წინაშე დგომა და მისგან მოსმენა ღვთისმოშიშების გამო. ნებისმიერ სხვასაც შეეძლებოდა იქ ყოფნა, ეგვიპტის ჭუჭყისგან რომ გაწმედილიყო უფლის მოშიშებაში.

მოგვიანებით მოსემ თქვა: „პირისპირ გელაპარაკებოდა უფალი მთაზე ცეცხლის შუაგულიდან, მე კი იმ დროს უფალსა და შენს შორის ვიდექი, რათა უფლის სიტყვა მეუწყებინა შენთვის, რადგან გეშინოდა ცეცხლის და არ ამოსულხარ მთაზე“ (2 რჯ. 5:4-5).

ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ თავს ვერ მისცემდნენ გულის ნადების ღვთის დიდებაში გამოაშკარავების უფლებას, ამიტომ უკან დაიხიეს უსაფრთხო მანძილზე. ღვთის ნათელი მხოლოდ იმას განკურნავდა, რასაც გამოამჟღავნებდა, ხალხს დაახლოება რომ მოენდომებინა. თუმცა მათ შეიყვარეს თავიანთი მდგომარეობა და შეცვლა არ სურდათ.

მოდი, ერთი ნაბიჯი უკან გადავდგათ და საერთო სურათს ღვთიური თვალსაზრისით შევხედოთ. ღმერთმა დიდი ძალისხმევა გასწია, რომ თავისი ერი მონობიდან დაეხსნა ნიშნებით, სასწაულებით და ძალთაქმედებებით. წერილი გვეუბნება, რომ ეს მაგარი ხელით და გაწვდილი მკლავით გააკეთა. ის ხალხს დეტალურად უძღოდა და ამზადებდა მასთან შეხვედრის საბოლოო მიზნისთვის. მან ყველა მათგანს უთხრა, რომ მღვდლობისთვის ამზადებდა და რომ მათ შორის დამკვიდრდებოდა და მათი ღმერთი იქნებოდა, ხოლო ისინი – მისი ერი. როგორი სასიყვარულო ისტორია მოამზადა მათთვის! თუმცა მასთან მოყვანის შემდეგ ყველანი გაიქცნენ. როდის გახდა მამა? მაშინ, როცა იესო იშვა? არა! მას ყოველთვის მამის გული ჰქონდა. წარმოიდგინეთ, რას იგრძნობდა, როცა ხალხი მთელი გულმოდგინებით მოიყვანა თავისთან, რომ საკუთარი თავი გაეცხადებინა, ისინი კი გაიქცნენ? ეს მართლაც გულსაკლავი ამბავია!

დიდების გაელვება

ახლა, როცა მეორე რჯულის წიგნიდან გავიგეთ, რატომ წავიდა ხალხი, ისევ იმ სცენას დავუბრუნდეთ, სადაც ღმერთი მთაზე ჩამოვიდა. როგორც კი ადამიანები წავიდნენ, ღმერთმა მღვდლობის დაწყება გადაწყვიტა. ის აირჩევდა ადამიანს, რომელიც მის დიდებულ თანდასწრებაში იდგებოდა ხალხის

გულისთვის. მან საამისოდ აჰარონი შეარჩია. აჰარონის არჩევის შემდეგ „უთხრა მას [მოსეს] უფალმა: „ჩადი და ამოიყვანე აჰარონი“ (გამ. 19:24).

მიუხედავად ამისა, აჰარონი არ მივიდა ღვთის თანდასწრებაში. ამის ნაცვლად იმ ხალხთან აღმოჩნდა, ვინც უკან დაიხია (გამ. 20:21). ღმერთი ისევ მივიდა მოსესთან და უთხრა: „ამოდით უფალთან შენ და აჰარონი, ნადაბი, აბიჰუ და ისრაელის სამოცდაათი უხუცესი და შორიდან ეცით თაყვანი. მხოლოდ მოსე მიუახლოვდეს უფალს, დანარჩენები არ მიუახლოვდნენ; ხალხი არ ამოყვეს მათ“. (გამ. 24:1-2).

ღმერთმა მოითხოვა, აჰარონის, მისი ძეებისა და სამოცდაათი უხუცესის ამოსვლა, რომელთაგან ერთი იეშუა ნავეს ძე გახლდათ. მან აჰარონს ახლოს მოსვლა არ უბრძანა. ის მთაზე ბანაკის მაღლა უნდა გაჩერებულიყო. ერთხელ ის უკვე დაბრუნდა უკან, იმიტომ, რომ ღვთის შიში არ ჰქონდა. მას მხოლოდ შორიდან თაყვანისცემა შეეძლო, რადგან იქ უსაფრთხოდ გრძნობდა თავს. ისინი თავს არიდებენ გულის გაწმედას, მაგრამ იკმაყოფილებენ ღვთის თაყვანისცემის შინაგან მოთხოვნილებას.

ადამიანურ თაყვანისცემაში ისრაელის ღმერთი იხილეს: „და იხილეს მათ ისრაელის ღმერთი. და იყო მის ფეხთა ქვეშ, რაღაც საფირონის ქვაფენილის მსგავსი, ზეცასავით სუფთა“ (გამ. 24:10). მეთიუ ჰენრის კომენტარი ერთ რამეს აცხადებს, რასაც ნამდვილად ვეთანხმები:

> „მათ ისრაელის ღმერთი დაინახეს (მ. 10) ანუ მისი დიდების გაელვება იხილეს ნათელსა და ცეცხლში, მაგრამ ვერ დაინახეს მსგავსება. მათ იხილეს ადგილი, სადაც ისრაელის ღმერთი იდგა (როგორც სეპტუაგინტა ამბობს); რაღაც მსგავსება, მაგრამ არა სრულად; მათი ნანახის გამოსახულების, ხატის გაკეთება არ შეიძლებოდა, მაგრამ საკმარისი იყო იმისთვის, რომ დარწმუნებულიყვნენ ღვთის მათთან ყოფნაში“.

ადამიანებმა იხილეს გაელვება, მაგრამ ღვთის დიდებულ თანდასწრებაში შესვლა აეკრძალათ. მოსეს მოშიშება გახლდათ გასაღები, რის გამოც უფლის თანდასწრებაში შესასვლელად იქნა მიწვეული. ღმერთმა თავად შესთავაზა: „ამოდი ჩემთან მთაზე და აქ იყავი“ (გამ. 24:12).

როგორ მომწონს, რაც ღმერთმა მოსეს უთხრა! ეს ის საიდუმლო ადგილია, სადაც უფალი თავის სიღრმისეულ აზრებსა და გზებს აცხადებს. ეს ის ადგილია, სადაც მისი საგანძური იპოვება. ესაია გვეუბნება:

> „ამაღლებულია უფალი, რადგან სიმაღლეში
> მკვიდრობს, ... დაგიდგება უსაფრთხო ჟამი,
> ხსნის, სიბრძნისა და ცოდნის სიუხვეში; და
> ღვთისმოშიშებაში - რომელიც მისი საგანძურია“.
> (ეს. 33:5-6)

ერთი გასაღები აღებს ღვთის შემეცნების საგანძურს. ვკითხულობთ, რომ „აუწყა თავისი გზები მოსეს, ისრაელის ძეთ - თავისი საქმენი“ (ფს. 103:7). მოსემ ღვთის გზები იცოდა. მან ეს მთაზე ისწავლა. დანარჩენები ღმერთს მხოლოდ სასწაულებით იცნობდნენ, რომელთაც მათ ცხოვრებაში ახდენდა. ო, რამდენი ადამიანი იცნობს ღმერთს მხოლოდ სასწაულებით, რომლებიც მათ ცხოვრებაში მომხდარა! შესაძლოა, სხეულის განკურნება, სხვადასხვა საჭიროებების დაკმაყოფილება, ფინანსური გარღვევა და სხვა სათხოვრებიც კი მიიღეს პასუხებით, მაგრამ მთაზე არ ასულან მისი გზების გასაგებად, რადგან ქვეყნიერების შემოთავაზებები უფრო ხიბლავთ. მათ ღვთის შიში არ აქვთ. ღმერთი თავისი მთისკენ გვეძახის, რომ თავი ახლოდან გაგვაცნოს. მისი მთისკენ მიმავალი გზა ღვთისმოშიშ გულში შობილ სიწმიდეზე გადის. იგი ნათლად გვეუბნება: „საიდუმლო უფლისა მისი მოშიშებისთვისაა და თავის აღთქმას აუწყებს მათ“ (ფს. 25:14).

თავი 6

მართვადი ღვთაება

თუ მთაზე ახვალ, შეიცვლები. თუ მთის ძირში დარჩები, აჰარონის მსგავსად, შენში ღვთის სახება შეიცვლება.

რა ხდება, როცა ადამიანები, რომლებიც ღმერთმა ქვეყნიერებიდან გამოიხსნა, მისი თანდასწრების გარეშეც კმაყოფილდებიან? ამ თავში ტრაგიკულ შედეგს აღმოვაჩენთ.

აქ დაიცადე, სანამ დავბრუნდებოდეთ

ღმერთმა ხალხი უკან დააბრუნა მთის ძირას გაშლილ კარვებში. მოსე, აჰარონი და სამოცდაათი უხუცესი გარკვეულ წერტილამდე ავიდნენ, რომ შორიდან ეცათ თაყვანი. თაყვანისცემის გარკვეული დროის შემდეგ ღმერთმა მოსეს მთის წვერზე ამოსვლა უბრძანა, სადაც თავად იყო. მოსემ იეშუა ნავეს ძე ამოარჩია, რომ მასთან ერთად კიდევ უფრო მაღლა ასულიყო, მაგრამ აჰარონსა და დანარჩენ უხუცესებს დალოდება სთხოვა: „დაგველოდეთ, ვიდრე დავბრუნდებით“ (გამ. 24:14). ამის შემდეგ მოსე მთაზე ავიდა ღრუბელში და იქ ორმოცი დღე და ორმოცი ღამე დაჰყო. იეშუა სადღაც შუაში იყო უხუცესების ადგილსამყოფელსა და მთის წვერს შორის,

სადაც მოსე იმყოფებოდა. როგორც ადრე ვნახეთ, აჰარონს თავიდან მოსესთან ერთად მოსვლა სთხოვეს. რატომ არ წავიდა ის? იმიტომ, რომ მეტ ნუგეშს გრძნობდა ხალხთან ერთად ყოფნისას, ვიდრე ღვთის თანდასწრებაში. საიდან ვიცი? იქიდან, რომ გამუდმებით უკან იხევდა ღვთის დიდებისგან. მომდევნო ჯერზე, როცა აჰარონია ნახსენები, მოსეს მთის წვერზე ორმოცდღიანი ყოფნისას ის ბანაკშია დაბრუნებული და სხვა უხუცესებიც მასთან არიან!

ბანაკში ნაცნობ თემაზე ლაპარაკობენ. ესაა ეკლესია, რომელიც ეგვიპტიდან (ქვეყნიერებიდან) გათავისუფლდა და ღვთის მთის ძირში იმყოფება, თუმცა ეს ადგილი საკმაოდ შორსაა მისი გულისგან. აჰარონს შინაგანი იქითკენ ეწეოდა. რამდენად ბევრი გსურთ თქვენ?

ღვთის სახეგის შეცვლა

აჰარონის ცხოვრებაში ვხედავთ, რა ხდება, როცა ადამიანი ღვთის ძალით ქვეყნიერებისგან თავისუფლდება, მაგრამ მის თანდასწრებაში ყოფნას არ ირჩევს. მოდი, ვნახოთ, როგორ ვითარდება ტრაგიკული ისტორია!

როცა ხალხმა დაინახა, რომ მოსე მთაზე შეყოვნდა, აჰარონთან მივიდა და უთხრა:

> „ადექი, გაგვიკეთე ღმერთი, რომელიც ჩვენი წინამძღოლი იქნება, რადგან არ ვიცით, რა შეემთხვა იმ კაცს, მოსეს, რომელმაც გამოგვიყვანა ეგვიპტის ქვეყნიდან“ (გამ. 32:1).

მოსე გარკვეული დროის განმავლობაში მთის წვერზე იმყოფებოდა. მთის ძირას არავითარი აქტიურობა არ შეინიშნებოდა, ამიტომ ადამიანებმა გააკეთეს ის, რასაც ყოველთვის აკეთებენ, როცა ღმერთი არ მოქმედებს: ერთად შეიკრიბნენ. მართალია, ეს შეკრებები ღვთის სახელით მიმდინარეობს, მისგან ყოველთვის გამოდის რაღაც ისეთი, რაც ღვთის გულის საწინააღმდეგოა, როგორც ამას შემდეგში ვნახავთ.

ხალხი აჰარონთან იკრიბება, კაცთან, რომელიც თავიდან მოსესთან უნდა ყოფილიყო მთის წვერზე, მაგრამ არ წავიდა.

მას კონკრეტულ ადგილას დგომა და მოსეს დალოდება დაევალა, მაგრამ ესეც არ გააკეთა. რატომ იზიდავდა ადამიანებს ასეთი კაცი? იმიტომ, რომ მისგან სასურველს მიიღებდნენ. აჰარონს წინამძღოლობის ნიჭი ჰქონდა. ეს ღვთიური უნარია (რომ. 12:8). მასში გარკველი თვისებები დევს და ერთ-ერთია ადამიანების მაგნიტივით მიზიდვა. და ეს იმისგან დამოუკიდებლად ხდება, იყო თუ არა მთაზე ეს ადამიანი! ამით აიხსნება, როგორ არის შესაძლებელი ხუთიათასიანი ეკლესიის ქონა ისე, რომ ღმერთი არ ვლინდებოდეს! აჰარონი ღვთიურ უნარებს არა უფლის, არამედ ადამიანთა სურვილების დასაკმაყოფილებლად იყენებს. ის არ ყოფილა მთაზე ღვთის მოსასმენად, მაგრამ მასში ჩადებული ნიჭის გამო ადამიანები მიჰყვებიან. ეს არ არის გამომაფხიზლებელი აზრი? ხალხი აჰარონს შეევედრა: „ადექი, გაგვიკეთე ღმერთი, რომელიც ჩვენი წინამძღოლი იქნება, რადგან არ ვიცით, რა შეემთხვა იმ კაცს, მოსეს, რომელმაც გამოგვიყვანა ეგვიპტის ქვეყნიდან“. მათ არ უთქვამთ: „არ ვიცით, რა შეემთხვა ღმერთს“. მათ მოსეს დისკვალიფიკაცია ან სახელის გატეხა სურდათ. ამ ადამიანების ნათქვამის დედანში შესწავლისას ვიფიქრე, რომ მთარგმნელები ცოტათი შეშფოთდნენ სიტყვის სწორ მნიშვნელობასთან დაკავშირებით და ინგლისური სიტყვა „ღმერთები“ გამოიყენეს. შესატყვისი ებრაული სიტყვა გახლავთ ელოჰიმ. ეს სიტყვა ძველ აღთქმაში, დაახლოებით, 2250-ჯერ გვხვდება. აქედან, 2000 შემთხვევაში იგულისხმება ყოვლისშემძლე ღმერთი, რომელსაც ვემსახურებით. 32-ჯერ ნახსენებია დაბადების 1-ლ თავში. მაგალითად, პირველ მუხლში ვკითხულობთ: „ღმერთმა [ელოჰიმ} შექმნა ცანი და მიწა“. აქ ელოჰიმ თარგმნილია როგორც „ღმერთი“. ყოველთვის, როცა ამ თავში სიტყვა „ღმერთი“ ჩნდება, ეს არის ელოჰიმ-ი.

ძველ აღთქმაში, სიტყვა დაახლოებით, 250-ჯერ გამოიყენება ცრუ ღმერთების აღსაწერად. ის ყოველთვის კონტექსტში უნდა წავიკითხოთ, რომ გავიგოთ, რა უთხრა აჰარონმა შემკითხველებს: „ჩამოხსენით ოქროს საყურეები თქვენს ცოლებს, ძეებსა და ასულებს და მოიტანეთ ჩემთან“ (გამ. 32:2). ჩამოიხსნა მთელმა ხალხმა ოქროს საყურეები ყურებიდან და მიუტანეს აჰარონს: აიღო მათი ხელიდან აჰარონმა, გამოკვეთა საჭრეთელით დარიჯაგი და ხბო ჩამოასხა“ (გამ. 32:4). ამ მუხლში „გამოკვეთა“ გახლავთ ებრაული სიტყვა „იაცარ“. ეს ნიშნავს „ფორმის მიცემას“ (სტრონგის ლექსიკონი).

მხურვალე გული

როცა მან შეგროვილ ოქროს ხბოს ფორმა მისცა, ყველანი შეუერთდნენ: „ესაა შენი ღმერთი, ისრაელო, რომელმაც ეგვიპტის ქვეყნიდან გამოგიყვანა“ (გამ. 32:4). აქ ისევ გამოყენებულია ებრაული სიტყვა „ელოჰიმ“. ალბათ, უკვე ხვდებით, რა ხდება.

„ეს რომ დაინახა აჰარონმა, სამსხვერპლო ააგო მის წინ და თქვა: „უფლის დღესასწაულია ხვალ!“ (გამ. 32:5). „უფლის“ შესატყვისი ებრაულ დედანში გახლავთ „იაჰვე“, ყველაზე წმიდა სიტყვა ძველ აღთქმაში, რომელიც ერთი ჭეშმარიტი ღვთის საკუთარი სახელია. ის არასოდეს გამოყენებულა რომელიმე ცრუ ღმერთის მიმართ და არც სახელად მიკუთვნებია. სიტყვა იმდენად წმიდა იყო, რომ ებრაელი მნიგნობრები საერთოდ არ წერდნენ მას ტექსტებში. მათ ხმოვნები ამოიღეს და მხოლოდ იჰვჰ იწერებოდა, წმიდა ტეტრაგრამატონი, ენით გამოუთქმელი ოთხი ასო. მისი სახელის ხსენება არ შეიძლებოდა. მისი გამოთქმა დაცული იყო ამაოდ წარმოთქმისგან ისრაელის ცხოვრებაში.

რეალურად, აჰარონმა და ისრაელიანებმა ჩამოასხეს ხბო, ხელი გაიშვირეს მისკენ და თქვეს: „ესაა შენი ღმერთი, ისრაელო, რომელმაც ეგვიპტის ქვეყნიდან გამოგიყვანა“. მათ არ უთქვამთ: „აი, ბაყალი, რომელმაც ეგვიპტიდან გამოგვიყვანა“. არც რომელიმე სხვა ღვთაებისთვის მიუწერიათ თავიანთი გათავისუფლება. მათ აღიარეს, რომ იაჰვემ იხსნა და ეგვიპტიდან გამოიყვანა. მათ არ უარუყვიათ ღვთის განმკურნებელი ძალა, მხოლოდ მისი დიდება დააკნინეს.

ხბო გამოვიდა

ამ დროს კი მოსე ღმერთთან იყო მთაზე და არ იცოდა ხალხის ნამოქმედარის შესახებ. ღმერთმა უთხრა: „ჩადი ძირს, რადგან გაირყვნა შენი ხალხი, რომელიც გამოიყვანე ეგვიპტის ქვეყნიდან“ (გამ. 32:7). ამ მომენტისთვის ღვთის რისხვა პიკს აღწევდა. მან ისრაელიანებს „შენი ხალხი“ უწოდა და არა „ჩემი ხალხი“. ღმერთმა თქვა, რომ ისინი „გაირყვნენ“. სიტყვა „გარყვნა“ პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს „ხრწნას“. როცა ღვთის მთის ძირას ეკლესიობანას ვთამაშობთ, საბოლოო ჯამში, გავიხრწნებით, რადგან ასე ემართება ყველას, ვინც მისი გულიდან შორსაა. მოგვიანებით, ღმერთმა ისრაელს უთხრა:

„რადგან ორი ბოროტება ჩაიდინა ჩემმა ხალხმა: მე, ცოცხალი წყლების წყარო, მიმატოვეს და ამოკვეთეს თავიანთთვის ჭები, დანგრეული ჭები, წყალს რომ ვერ იკავებენ“ (იერ (2:13).

ის სიცოცხლის წყაროსთვალია. თუ იმას ჩავეჭიდებით, რაც წარსულში მოგვცა და მის გულს დავშორდებით, უკანდახევა გარდაუვალი იქნება. სწორედ ამიტომ, იესო ხაზს უსვამს: „თუ ვინმეს უნდა გამომყვეს, უარყოს თავისი თავი, ყოველდღე აიღოს თავისი ჯვარი და გამომყვეს“ (ლუკ. 9:23). მთაზე ყოველდღე უნდა ვიაროთ.

მოსე მთიდან ჩამოვიდა. როცა ბანაკში შესულმა ხბო დაინახა, რისხვით აღივსო. მან აჰარონს ჰკითხა: „რა დაგიშავა ამ ხალხმა, ასეთი დიდი ცოდვა რომ მოაწიე მასზე?“ აჰარონი თავს იმართლებდა: „უთხრა აჰარონმა: „ნუ აინთება ჩემი ბატონის რისხვა: შენ იცი, რომ ბოროტებისკენ არის მიდრეკილი ეს ხალხი. მითხრეს: გააკეთე ჩვენთვის ღმერთი (ელოჰიმ), რომელიც ივლის ჩვენ წინ, რადგან არ ვიცით, რა დაემართა მოსეს, კაცს, რომელმაც გამოგვიყვანა ეგვიპტის ქვეყნიდან. ვუთხარი: „ვისაც აქვს ოქრო, ჩამოიხსნას და მომცეს; ცეცხლში ჩავყარე და ეს ხბო გამოვიდა“ (გამ. 32:21-24). შეგიძლიათ, დაიჯეროთ, რომ მან ასე თქვა? ადრე წავიკითხეთ, რომ მან საჭრეთელი გამოიყენა გამოსაკვეთად. ახლა კი ცრუობს. ერთია, მოიტყუო მაშინ, როცა ღმერთი ჯერ არ გაბრაზებულა და მეორეა, იცრუო მისი განრისხების ჟამს. ამაზე ვილოცე: „უფალო, ის კი არ მინდა, რომ ეს ადამიანი გასამართლდეს ან რაიმე ამგვარი, მაგრამ ვერ ვხვდები, როგორ შერჩა აჰარონს ასეთი ცხადი ტყუილი? როგორ არ გაირღვა მიწა მის ფეხქვეშ, რომ შთაენთქა? ჩანს, ამ ტყუილზე მისთვის პასუხი არ გაგიცია“.

უფლის რეაქციამ დიდი გავლენა მოახდინა ჩემს ცხოვრებაზე და ამ წიგნის ხედვა შვა. სრულიად ახლებურად დავინახე, რა ხდება დღეს ეკლესიაში. ღმერთმა მითხრა: „ჯონ! აჰარონი მთის წვერზე არ ამოსულა. მას არ უხილავს ის, რაც მოსემ ნახა და ჩემთან არ დარჩენილა. ამიტომ მასში ღვთის ისეთი ხატება ჩამოყალიბდა, რა საზოგადოებაშიც გაიზარდა. ეს არის ის, რაც ამ საქმიდან გამოვიდა“. აჰარონმა ამ დრომდე მთელი ცხოვრება, დაახლოებით ოთხმოცი წელი ეგვიპტეში

გაატარა. ის გაიზარდა; მისი მშობლებიც იქ დაიბადნენ და დაიხოცნენ. მას ეგვიპტური კულტურა ეხვია გარს, იქ კი უხვად იყო თაყვანისცემის ობიექტები. აჰარონი არ ასულა მთაზე და ღმერთთან ურთიერთობა არ ჰქონია მოსეს მსგავსად და აი, იაჰვეს სახება ასეთი გამოვიდა იმ საზოგადოებიდან, რომელშიც გაიზარდა. აჰარონმა უფალს შორიდან შეხედა და მისი ფეხები დაინახა. ის არ შესულა მის თანდასწრებაში, როგორც მოსემ გააკეთა.

იესო ლაპარაკობს სასუფევლის „ხილვასა“ და სასუფეველში „შესვლაზე“ (იოან. 3:3,5). ჩვენ ხელახლა უნდა ვიშვათ, რომ ქვეყნიერებისგან გავთავისუფლდეთ, თუმცა მიღწეულით არ უნდა დავკმაყოფილდეთ. მასში შესასვლელად ვართ მოწოდებული. პავლემ ასე უთხრა მამაკაცებსა და დედაკაცებს, რომლებიც ლისტრაში, იკონიასა და ანტიოქიაში იშვნენ მაღლიდან: „მრავალი ჭირით გვმართებს ცათა სამეფოში შესვლა“ (საქმ. 14:21-22). ღმერთი უკვე გადარჩენილ ადამიანებს აფრთხილებს, თუ რასთან მოუწევთ შეჯახება ცათა სამეფოში შესასვლელად.

აჰარონი ეგვიპტიდან გათავისუფლდა, რაც თავისებური ხელახლა შობა იყო, მაგრამ ღმერთს ახლოს არ იცნობდა. ის ეკლესიობანას თამაშობდა მთის ძირას, რის შედეგადაც ღვთის სახება იქამდე დაიყვანა, რაც გარემოდან შეისისხლხორცა.

სხვა იესო

ახალ აღთქმაში პავლე ამ საკითხს განიხილავს:

> „ვინაიდან, ქვეყნიერების დასაბამიდან, ქმნილებათა განხილვით შეიცნობა უხილავნი ღვთისა - მისი მარადიული ძალა და ღვთაებრივობა - ასე რომ, ვერ გამართლდებიან ისინი. რადგან შეიცნეს ღმერთი და არ ადიდეს, როგორც ღმერთი, არც მადლობდნენ, არამედ ამაო გახდა მათი გონიერება და დაუბნელდათ უმეცარი გული“ (რომ.1:20-21).

ის არ განადიდეს როგორც ღმერთი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი ღმერთს იცნობენ, მაგრამ იმაზე ნაკლებ პატივს მიაგებენ, რისი ღირსიც არის. ისრაელიანებმა აღიარეს იაჰვესგან

დახსნა, მაგრამ არ მიაგეს პატივი, მოკრძალება და დიდება, რის ღირსიც იყო. მას შემდეგ ბევრი არაფერი შეცვლილა. პავლე იმ ადამიანებზე ლაპარაკობს, რომლებიც ახალი აღთქმის ეპოქაში ცხოვრობდნენ:

> „და უხრწნადი ღმერთის დიდება გაცვალეს ხრწნადი ადამიანის, ფრინველთა, ოთხფეხთა და ქვეწარმავალთა ხატების მსგავსებაში“. (რომ. 1:23)

ერთი ჭეშმარიტი ღვთის დიდებული სახება მწერების, ჩიტების, ცხოველებისა და მოკვდავი კაცის ხატებამდე დაიყვანეს. ჩვენი დასავლური საზოგადოება ჩიტებს, ოთხფეხა ცხოველებს ან მხოხავ არსებებს ეთაყვანება? სრულებითაც არა. ოქროს ხბო რომ ჩამოვასხათ და სახლის წინ მდელოზე დავიდგათ, ადამიანები სიცილს დაიწყებენ და გვეტყვიან: „გადაადნე ეგ, სამკაულები გააკეთე და გაყიდე!“

რას სცემს თაყვანს ჩვენი საზოგადოება? პასუხია: „საკუთარი თავი“, რაც არის გახრწნილი ადამიანი“. ისრაელი ისეთ საზოგადოებაში ცხოვრობდა, სადაც ცხოველებისა და მწერების ოქროს გამოსახულებებს სცემდნენ თაყვანს. თანამედროვე ეკლესიას გარს აკრავს კულტურა, რომელიც თაყვანს სცემს „მეობას“ ანუ გახრწნილ ადამიანს. როცა აჰარონი და სხვები ღვთის დიდებულ თანდასწრებას დაშორდნენ და მთის ძირას ჩავიდნენ, ღვთის სახებამ ის ფორმა მიიღო, რასაც ეგვიპტეში სცემდნენ თაყვანს – ცხოველებისა. დღეს, როცა მორწმუნეები ღვთის მთიდან უკან იხევენ, უფლის სახე იმის შესაბამისად ფორმირდება, რასაც ჩვენი საზოგადოება ეთაყვანება – საკუთარ თავს ანუ გახრწნილ ადამიანს.

სულში უკვე რამდენიმე წელია მიტრიალებს აზრი, რომლის შერყევა ვერ შევძელი. გამოდის, რომ იესოს იმ სახების მიხედვით ვემსახურებოდით, რომელიც თავად შევქმენით. მას უფალს ვუწოდებთ; მისეულ ხსნას, განკურნებასა და ძალის გადაცემას ვაღიარებთ. და მაინც, არის თუ არა ის მაღალთა შინა დიდების მარჯვნივ მჯდომარე თუ სხვა იესოა, რომელიც საკუთარი თავის მსგავსად შევქმენით და მაინც უფალს ვუწიდებთ?

მართვადი ღვთაება

კერპთაყვანისცემა თაყვანისცემის ძალზე მოხერხებული ფორმაა. კერპი თავის შემქმნელებს ყველაფერს აძლევს, რასაც მოისურვებენ – საკუთარი გულის კარნახით, რადგან სწორედ ისინი ქმნიან მას. თუ კერპის შემქმნელები სექსუალური სიამოვნებით არიან გატაცებული, კერპიც ისეთ დადგენილებებს მიაწვდის, რომლებიც მათ სურვილებს დააკმაყოფილებს. უფალი ნათლად ლაპარაკობს ამაზე, როცა ესაიას პირით მეტყველებს: „ვინ გამოსახა ღმერთი და კერპი ვინ ჩამოასხა, რომელსაც სარგებლობა არ მოაქვს?“ (ეს. 44:10). მოდი, ეს ზრახვა განვიხილოთ იმ თვალსაზრისით, თუ რა გააკეთა ისრაელმა აჰარონის მიერ კერპის ჩამოსხმამდე! ის და მთელი ერი ოქროს ხბოს იაჰვეს სახებად თვლიდნენ, რომელმაც ისინი ეგვიპტიდან იხსნა. „ადგნენ მეორე დღეს დილაადრიანად, სრულადდასაწველი შესწირეს და სამშვიდობო მსხვერპლიც მიიტანეს; დასხდა ხალხი საჭმელად და სასმელად, მერე ადგნენ და გამართეს ცეკვა-თამაში“ (გამ.32:6). მეორე დღეს ისინი საეკლესიო მსახურებაზე წავიდნენ ღვთის მთის ძირას. იაჰვეს მიმართ სიყვარული გამოთქვეს და ადიდეს. მსხვერპლები მოიტანეს, საგალობლები იმღერეს და ქადაგებები იქადაგეს. მათმა იაჰვემ ისეთი სიტყვა უთხრა, რისი გაგონებაც მოსწონდათ, რადგან სურვილებს უკმაყოფილებდა. ჭამეს, სვეს და სათამაშოდ გაემართნენ. ეს თამაში მათივე ხორცს ეამებოდა. იმ დროისთვის, როცა მოსე ძირს ჩამოვიდა, უკვე თავშვებულნი იყვნენ (გამ. 32:25).

ეს სცენარი უფრო კარგად გვაჩვენებს კერპთაყვანისცემის ფესვს. ეს ამბოხებაა და ღვთის სიტყვითაც დასტურდება: „რადგან ერთი ცოდვაა ჯადოქრობა და ურჩობა, კერპთაყვანისმცემლობა და თვითნებობა“ (1 სამ. 15:23).

ყველაფერი, რაც ეგვიპტელებს უნდა გაეკეთებინათ, იყო ხბოს დადგმა და მისთვის გარკვეული სახელის წოდება. ეს კერპი მათ მისცემდა გულის სასურველს შემოქმედის ნების საწინააღმდეგოდ. (ყველა ადამიანმა იცის ღვთის ნება, როგორც პავლე ამბობს: „ვინაიდან ცხადდება ზეციდან ღმერთის რისხვა ადამიანთა ყოველგვარ უღმერთობასა და უმართლობაზე, უმართლობით რომ აბრკოლებენ ჭეშმარიტებას. იმიტომ, რომ ცხადია მათთვის, რაც შეიძლება იცოდნენ ღმერთზე,

რადგან ღმერთმა განუცხადა მათ“ [რომ. 1:18-19]). ეგვიპტიდან გამოსული ისრაელიანებისთვის ძირითადი კონცეფცია იგივე რჩებოდა, მაგრამ აქ ერთი დიდი ცვლილება უნდა შევიტანოთ. ისრაელიანმა იაჰვეს სახელი უკვე იცოდა და მის ძალასაც შეეხო. თუ მას ამბოხებული გზების მიტოვება არ სურდა ღვთის გზებით სიარულის გამო, მაშინ სინდისისა და საკუთარი სურვილების დასაკმაყოფილებლად ისეთი სახების შექმნა ხდებოდა აუცილებელი, რომელიც იაჰვეს წარმოადგენდა და ყველაფერს მისცემდა, რასაც მოისურვებდა. ეს ძალზე ნატიფად მოხერხდა ისე, რომ ადამიანმა ვერც კი გააცნობიერა.

პავლემ კორინთოს ეკლესია გააფრთხილა:

> „მაგრამ ვშიშობ, რომ როგორც გველმა აცდუნა ევა თავისი მზაკვრობით, ასევე არ გაიხრწნას თქვენი გონება და არ გადაუხვიოთ უბრალოებასა და სიწმიდეს ქრისტეში. ვინაიდან სიხარულით იწყნარებთ მათ, რომლებიც მოდიან და გიქადაგებენ სხვა იესოს, რომელიც ჩვენ არ გვიქადაგია; და ღებულობთ სხვა სულს და სხვა სახარებას, რომელიც ჩვენგან არ მიგიღიათ“ (2 კორ. 11:3-4).

მომწონს მე-4 მუხლის ვარიანტი ბიბლიის Contemporary English Version-დან: „იესოზე გიამბეთ და მიიღეთ წმიდა სული, მიიღეთ ჩვენი სიტყვა. მაგრამ ზოგიერთ ადამიანს ნება მიეცით სხვა იესოზე მოეყოლა თქვენთვის. ახლა უკვე მზად ხართ სხვა სულისა და სხვა სახარების მისაღებად“.

თუ ჯერ კიდევ ვერ ველევით ქვეყნიური ცხოვრების წესს, რომელიც ღვთის ძალაუფლების მდინარების საპირისპიროა, შესაძლოა, შევინარჩუნოთ ის და თან ქვეცნობიერად „ჩვენს იესოს“ ვემსახუროთ, რომლის ნება ჩვენს საკუთარ სურვილებს შეესაბამება. ვერც კი ვხვდებით, ისე ვიძენთ მართვად ღვთაებას. ეს შემპარავი საცდურია და არა აშკარა ტყუილი. ჩვენს საცდურში საკუთარ თავს ვამშვიდებთ და ვეუბნებით: „იესო ჩემი მეგობარია“ ან „ღმერთმა იცის ჩემი გული“. ეს მართლაც ასეა! ღმერთი ხედავს ჩვენს გულს და იმაზე მეტად ესმის ჩვენი, ვიდრე თავად ჩვენ გვესმის. თუმცა ასეთ კომენტარს, ძირითადად, მაშინ ვაკეთებთ, როცა თავის გამართლება გვინდა ისეთ საქმეში, რომელიც ღვთის აღთქმას ეწინააღმდეგება. ფაქტობრივად, ეს ამბოხებაა. ჩვენი ბაგეები უწინდებურად

პატივს მიაგებენ მას, მაგრამ მის მიმართ შიში ადამიანურ დადგენილებებს ასწავლის:

„ეს ხალხი მხოლოდ სიტყვებით მიახლოვდება და მხოლოდ ბაგეთა მსახურებით მცემს პატივს, მათი გული კი შორს არის ჩემგან და მათი მოშიშება ჩემდამი გაზეპირებულ წესებად იქცა“ (ეს. 29:13).

ღვთის სიტყვას და მითითებებს ჩვენი კულტურის ზეგავლენით ჩამოყალიბებულ აზროვნებაში ვფილტრავთ. მისი დიდების სახება ჩვენი შეზღუდული აღქმით ყალიბდება და არა მისი ნამდვილი სახიდან, რომელსაც მთაზე ვხედავთ ღვთის ცოცხალი სიტყვის მეშვეობით.

მკვეთრი კონტრასტი ორს შორის ეკლესიაში

ნება მიბოძეთ, რამდენიმე მაგალითი მოვიყვანო. ერთმა ქალმა დამირეკა და მითხრა, რომ მისი ეკლესიის წევრთან ფიზიკურ მრუშობაში იმყოფებოდა. ქმარი ქრისტიანი არ იყო და სიტყვიერად (არა ფიზიკურად) აბუჩად იგდებდა მის რწმენას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დევნიდა მას. მან და იმ სხვა კაცმა ფიზიკური კავშირი განყვიტეს. „ქრისტიანი მეგობრები“ ქმართან გაყრას და იმ საყვარელ მორწმუნე ადამიანთან დაქორწინებას ურჩევდნენ, რადგან ღმერთმა მას მშვიდობისკენ მოუწოდა. ჩემი კითხვა ასეთი გახლდათ: რომელ „იესოს“ ემსახურებოდნენ ქალის მეგობრები? იმას ნამდვილად არა, ვინც მამა ღმერთის მარჯვნივ ზის. მათში ღვთის ხატება საზოგადოებამ ჩამოაყალიბა და ეს საზოგადოება გაყრის შემთხვევებით იყო გაჟღენთილი. გაყრილთა უმეტესობა საერთოდ არ გეგმავდა ამას. ასეთებს ბედნიერი ცხოვრება სურდათ საკუთარ ეგოისტურ ინტერესებზე დაყრდნობით. თავიანთ მეუღლეებთან დადებული აღთქმა მხოლოდ მაშინ არის მნიშვნელოვანი, როცა მათ ბედნიერებას ხელს არ უშლის.

ქალმა ამ ვითარებაზე ჩემი აზრის გამოხატვა მთხოვა. ის მართლა ეძებდა წინამძღოლის ნებართვას იმ გადაწყვეტილების დასადასტურებლად, რომელიც უკვე მიიღო. მისი ქმარი ზნეობრივ ერთგულებას არ იჩენდა. მას ვუთხარი, რომ ღმერთს გაყრა სძულდა, რადგან ეს ადამიანთა სამშვინველებს ხლეჩდა და ძალადობით ფარავდა (მალ. 2:16). ახალი აღთქმის

თანახმად, უფალი ცოლს უბრძანებს, არ გაეყაროს ქმარს და თუ გაეყრება, აღარ დაქორწინდეს (1 კორ. 7:10-11). ქალი გონებით მისმენდა, მაგრამ მოგვიანებით გავიგე, რომ ქმარს გაეყარა და სხვა კაცს გაყვა. შესაძლოა, ბედნიერია, მაგრამ მთის ძირას მყოფი ადამიანებიც ამასვე გრძნობდნენ, სანამ მოსე მთიდან არ ჩამოვიდა. მეორე მხრივ, ბევრ ღვთისმოშიშ ქალს ვიცნობ, რომელმაც ურწმუნო ქმართან ქორწინება შეინარჩუნა, რადგან ახლოს იცნობდა ღვთის გულს. ასეთები სიამოვნებას არ ეძებდნენ; მათ მსახურება სურდათ. ამ ღვთისმოსავი ცოლების შემყურე ქმრებმა, ბოლოს, გადარჩენა მიიღეს. შემიძლია დავამატო, რომ ზოგიერთებმა ხსნა ცოლების მრავალწლიანი ლოცვებისა და ქმრების წინაშე ქრისტიანული ცხოვრებით დამოწმების შედეგად მოიპოვეს.

მეორე შემთხვევა სხვა ქალს უკავშირდება, რომელიც ღვთიურ ბუნებას ასხივებდა. ქორწინებიდან რამდენიმე წლის შემდეგ აღმოაჩინა, რომ მისი ქმარი ჰომოსექსუალი იყო. ათი წელი ენით აღუწერელ ტანჯვაში გაატარა. ერთხელ კაცი გადაცმული პოლიციელისთვის სქესობრივი ურთიერთობის შეთავაზებისას დააკავეს და მათ უფროს შვილს აცნობეს მამის დაპატიმრების შესახებ. ქალი გამუდმებით ლოცულობდა ქმრისთვის. როცა მდგომარეობა აუტანელი შეიქნა, მან უფალს ჰკითხა, უნდა გაყროდა თუ არა ქმარს. ამაზე პასუხად მიიღო: „გაქვს გაყრის ბიბლიური საფუძველი და თუ ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებ, გაკურთხებ. თუ დარჩები და ქმრისთვის ლოცვაში იბრძოლებ, გამოვიყვან ამ ცოდვიდან და ერთად ორმაგად კურთხეული იქნებით“ (არ იფიქროთ, რომ ღმერთი ყოველთვის ასე ამბობს ცოლ-ქმრული ღალატის შემთხვევაში). ქალმა დარჩენა და ბრძოლა გადაწყვიტა. ამას გარკვეული დრო დასჭირდა. მისი ქმარი სასწაულებრივად გათავისუფლდა და უკვე თხუთმეტი წელია, რაც იმ ცოდვას თავი დააღწია. ახლა ის უაღრესად თანამგრძნობი უფროსი პასტორია. მათთან მიქადაგია და მინდა გითხრათ, რომ ეს ქალი ერთ-ერთი ყველაზე ღვთისმოსავი ადამიანია, რომელსაც ოდესმე შევხვედრივარ. რომელი ქალი გაემართა მთისკენ გარდასაქმნელად? პირველი ქმარს გაეყარა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ იესოს მისთვის მშვიდობის შენარჩუნება სურდა, თუმცა ღვთის სიტყვის თანახმად, ის ქმართან უნდა დარჩენილიყო. მეორეს მართლაც ჰქონდა

გაყრის ყოველგვარი ბიბლიური მიზეზი, მაგრამ თავისი უფლებები გვერდზე გადადო და ქმრის სიცოცხლისთვის ბრძოლა გადაწყვიტა. იესომაც უარი თქვა თავის უფლებებზე, რომ დედამიწაზე მოსულიყო ჩვენს ნაცვლად ჯვარცმისთვის! რომელი ქალი გრძნობდა მეტად ღვთის გულისცემას? რატომ? ის მთაზე იყო.

მორწმუნის ცხოვრებაში ორიდან ერთ-ერთი ხდება: ან იესოს სახების შესატყვისი გახდება და ღვთის თანდასწრებაში წარმოთქმულ სიტყვას თავის შეცვლის საშუალებას მისცემს ან იესოს ისეთ სახებას დაამსგავსებს, როგორიც მისმა გულმა უკარნახა. თუ მთაზე ახვალ, შეიცვლები. თუ მთის ძირას დარჩები აჰარონის მსგავსად, ღვთის რეალური სახება შეიცვლება შენში.

როცა მოსე ღმერთთან გატარებული ორმოცი დღის შემდეგ მთიდან ჩამოვიდა, მისი სახე ბრწყინავდა: „სინაის მთიდან ჩამოსვლისას მოწმობის ორივე დაფა ხელში ეჭირა მოსეს და არ იცოდა, რომ ბრწყინავდა მისი სახის კანი უფალთან საუბრის გამო“ (გამ. 34:29).

ქალმა, რომელიც ქმრის მხარდასაჭერად იდგა, არ იცოდა თავისი სიწმიდის შესახებ. ყოველთვის, როცა მას ველაპარაკები, მიზიარებს, თუ რამდენი რამის გაკეთება უხდება ღმერთს მის შესაცვლელად. ვერც კი ხვდება, როგორ ანათებს. ეს ყველა ადამიანის შემთხვევაში ასეა, რომელიც სიწმიდეში დადის. წერილი აცხადებს: „უმზირეთ მას და გაბრწყინდით“ (ფს. 34:5). ღვთის შეხედვის უნარი აქვს ადამიანს, რომელმაც ეგვიპტის გულისთქმები მოიშორა. ასეთებს ერთი სურვილი დარჩათ: შეიცნონ დიდების უფალი. ამრიგად, საკუთარ თავს ერთი მნიშვნელოვანი კითხვა უნდა დავუსვათ: იესო, რომელსაც ვემსახურები, არის თუ არა ის, ვინც მაღალთა შინა ზის დიდების მარჯვნივ თუ ეს სხვა იესოა, რომელიც იმ საზოგადოების გზებისა და სურვილების თანახმად ჩამოყალიბდა, რომელშიც ვცხოვრობ?

თავი 7

ზრახვები თუ სურვილები?

ჩვენი სურვილები ჯვარს უნდა დავუმორჩილოთ.

ყველაფერი, რაზეც აქამდე ვიმსჯელეთ, საუცხოო შესავალი იქნება სიტყვა „მისადაგების“ მნიშვნელობის გასაგებად. უებსტერის ლექსიკონი მას ასე განმარტავს: „დამსგავსება მანერებში, აზრებსა და ზნეობრივ თვისებებში“. ღვთის სიტყვა გვარიგებს: „ნუ მიესადაგებით ამ წუთისოფელს, არამედ გარდაისახენით თქვენი გონების განახლებით“ (რომ. 12:2). უკეთ რომ გავიგოთ ღვთის სულის ნათქვამი, ბიბლიის დედანს მივმართოთ. ამ მუხლში სიტყვა „მისადაგება“ გახლავთ ბერძნული „სისხიმატიზო“. სიტყვის განმარტება კიდევ უფრო ნათელ სურათს გვაწვდის. სტრონგის ლექსიკონის თანახმად, ეს არის „გარკვეული მოდელის შესაბამისი საგანი ანუ ერთი და იგივე ნიმუშის მსგავსი (მხატვრულად)“. ვაინის ლექსიკონი გვეუბნება, რომ ეს გახლავთ „ყალიბი, რომ ერთი საგანი მეორეს დაამსგავსოთ“. ორივე ლექსიკონი ყურადღებას ამახვილებს ერთი საგნის მეორეს შესაბამისად ჩამოყალიბებაზე.

აჰარონმა მისთვის მიცემული ოქროთი ხბო „გამოიყვანა“. გარეგნული ქმედება იმის გამოსახულება გახლდათ, რაც შიგნით ჩამოყალიბდა. ეგვიპტის ზეგავლენა, რომლისგანაც

ის ვერ განიწმიდა, მის სამშვინველში გამოისახა. მასში იყო ის, რაც გამოვიდა. ის ეგვიპტეს დაემსგავსა და როგორც წინა თავში ვნახეთ, ნამდვილად არ უნდოდა ღვთის დიდებულ თანდასწრებასთან მიახლოება, რომ გარდაქმნილიყო, როგორც ეს მოსემ გააკეთა. ხალხმაც აჰარონის მაგალითს მიბაძა. ღმერთმა მათზე თქვა: „არ შეუწყვეტია მეძავობა ეგვიპტესთან, რადგან მასთან იწვა ყმაწვილობაში, მათ სრისეს მისი ნორჩი მკერდი და მასზე დაღვარეს თავიანთი გარყვნილება (ინგლისურში „გულისთქმა“)“ (ეზეკ. 23:8). ლექსიკონის თანახმად, სიტყვა „გულისთქმა“, უბრალოდ, „სურვილს“ ნიშნავს. ბიბლიის გაფართოებული თარგმანი ხაზს უსვამს მნიშვნელობას: „მასზე დაღვარეს თავიანთი ცოდვილი სურვილები. სურვილი ადამიანის მამოძრავებელი ფაქტორია. ყოველთვის მის მიმართულებას მივდევთ.

სურვილები და ზრახვები ერთი და იგივე არ არის

სურვილი და ზრახვა ორი განსხვავებული რამ გახლავთ, თუმცა ზოგიერთები მათ აიგივებენ. შესაძლოა, ძალზე კარგი და კეთილშობილური ზრახვები გქონდეთ, მაგრამ ჭეშმარიტ სურვილებად ვერ გადაიქცეს. რამდენიმე ადამიანმა მითხრა, რომ ქვეყნიერების ზეგავლენისგან თავის დაღწევა და ღმერთზე მიწებება სურთ, მაგრამ ასე არ იქცევიან. სწორედ ამიტომ ამბობს იაკობი, რომ „ყოველი ცდუნდება თავისი გულისთქმით, რომელიც წარიტაცებს და აცდუნებს მას“ (იაკ. 1:14). ის განაგრძობს: „ნუ ტყუვდებით, ჩემო საყვარელო ძმებო!“ (იაკ.1:16). (რასაკვირველია, სურვილის დადებითი მხარეც არსებობს, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე უარყოფით ასპექტთან გვაქვს).

ღმერთმა კი არა, კომედიანტმა თქვა: „ეშმაკმა ამის გაკეთება მაიძულა“. ეშმაკს არ შეუძლია მორწმუნის იძულება, რომ რამე აკეთებინოს. მას მხოლოდ შეტყუება ძალუძს, მაგრამ თუ რამე არ გინდა, იმით ვერავინ მიგიტყუებს. მორწმუნეების უმეტესობას ცოტაოდენი კოკაინი ან ჰალუცინოგენი ლუსი, რომ შესთავაზონ, ისინი ყოველგვარი ყოყმანის გარეშე უარს იტყვიან მათზე, რადგან სურვილი არ აქვთ; ამიტომ ამ საშუალებებით მათი ცდუნება ამაოა. ამავდროულად, ბევრი მორწმუნე, ისრაელის მსგავსად, უარს არ ამბობს სურვილებზე,

რომელთაც ქვეყნიერება სთავაზობდა, როცა ურწმუნო იყო. ამ მიზეზის გამო, მათი ცდუნება ადვილია.

ჩვენი სურვილები ჯვარს უნდა დავუმორჩილოთ: „ხოლო მათ, ვინც ქრისტესნი არიან, ჯვარს აცვეს თავიანთი ხორცი ვნებებთან და გულისთქმებთან ერთად“ (გალ. 5:24). ამას ღმერთი არ აკეთებს ჩვენს ნაცვლად; ეს ჩვენ უნდა ვაკეთოთ. თუმცა მისი მადლის გარეშე ვერაფერს შევძლებთ და მაინც, ასე უნდა მოვიქცეთ! ნებისმიერი არასწორი სურვილი გვაცდუნებს, რომელიც ჯვრისთვის არ დაგვიმორჩილებია. თუ ქვეყნიური გზებით სიარულის წადილს არ მოვიშორებთ, ადვილად დავუბრუნდებით ძველ ცხოვრებას ისრაელის მსგავსად. სწორედ ამ მიზეზის გამო აღიარებს პავლე: „წუთისოფელი ჩემთვის არის ჯვარცმული, მე კი – წუთისოფლისთვის“ (გალ. 6:14).

მას შემდეგ, რაც კალიფორნიის ეკლესიაში მონანიებაზე ვიქადაგე, პასტორმა საჭმელად წამიყვანა და პირადი დამოწმება გამიზიარა. გადარჩენის მიღებისას ბევრი შემბორკავი ცოდვა მოიცილა, თუმცა ვერაფრით შეძლო დღეში ორი კოლოფი სიგარეტის მოწევის ჩვევის მოშორება. მან მითხრა:

– ჯონ, ყოველგვარი ბიბლიური მეთოდი ვცადე, რაც ვიცოდი, რომ ამ დამოკიდებულებისგან თავი დამეღწია. ვლოცულობდი, ვმარხულობდი, სიტყვას ვაღიარებდი და სხვებს ჩემთვის ლოცვას ვთხოვდი. ფაქტობრივად, ჩვენს ეკლესიაში საქადაგებლად მოწვეული ყველა მსახურის ლოცვით მოწოდებას ვეხმაურებოდი და წინ გამოვდიოდი. ვაღიარებდი ჩემს ამ მიდრეკილებას და განთავისუფლებისთვის ლოცვას ვითხოვდი. ასე ვიქცეოდი ორი წლის განმავლობაში.

ორი წლის ტანჯვის შემდეგ მან მეგობარი თავის ეკლესიაში წაიყვანა მახარებლის მსახურებაზე. ის მეგობარი არ იყო გადარჩენილი, მასაც ჰქონდა სიგარეტზე დამოკიდებულება და დღეში რამდენიმე კოლოფს ეწეოდა. იმ საღამოს მეგობარი ხსნის მოწოდებას გამოეხმაურა. როცა მახარებელმა მისთვის ილოცა, დიდებული გადარჩენა მიიღო და სიგარეტის მიდრეკილებისგან მეყსეულად გათავისუფლდა.

პასტორმა განაგრძო:

– ჯონ, ძალიან გამიხარდა მეგობრის ამბავი, მაგრამ ღმერთზე გავნაწყენდი. მეგობარი სახლში წავიყვანე და მისი ხსნის გამო სიხარულიც გამოვხატე, რამდენადაც შემეძლო.

სახლში რომ დავბრუნდი, ღმერთს ვუთხარი, რომ გაბრაზებული ვიყავი. სასტუმრო ოთახში დავჯექი და ვთქვი: „ღმერთო, ვმარხულობდი, ვლოცულობდი და ჩემი ეკლესიის და ყოველი მოწვეული მსახურის წინაშე თავს ვიმდაბლებდი, მაგრამ მაინც არ გამათავისუფლე. საღამოს ჩემი მეგობარი მოვიყვანე და მან უცბად მიიღო გადარჩენა და სიგარეტის დამოკიდებულებისგანაც გათავისუფლდა. მე რატომ არ მიშველე?

შემდეგ მან თქვა:

– ჯონ, როცა ეს სიტყვები წარმოვთქვი, ღმერთმა ყურში გასაგონი ხმით მიპასუხა. არ ვიცი, შინაგანად გავიგონე ხმა თუ გარეგანად, მაგრამ ვიცი, რომ ის იყო. როცა შევყვირე, „ღმერთო, ... რატომ არ გამათავისუფლე? მტკიცედ ნათქვამი სიტყვა მომესმა: „იმიტომ, რომ შენ ჯერ კიდევ გიყვარს ის!“

პასტორმა მითხრა:

– ერთი კი შევხედე სიგარეტის კოლოფს, რომელიც ხელში მეჭირა და გადავაგდე. იმის შემდეგ მას არასდროს შევხებივარ!“

ის ორწელიწადნახევარი არწმუნებდა საკუთარ თავს და სხვებსაც, თუ როგორ უნდოდა გათავისუფლება, მაგრამ ეს არ იყო მისი ნამდვილი სურვილი, არამედ მხოლოდ განზრახვა. სწორედ ამიტომ მარტივად ვარდებოდა საცდურში, რომელზეც ამტკიცებდა, რომ არ უნდოდა.

შემდეგ ღმერთმა მისი ნამდვილი სურვილი გამოააშკარავა. როცა მოინანია და ჯვრის ძალას დაუმორჩილა, ღვთის მადლი იქვე იყო მის გასათავისუფლებლად. გათავისუფლება მასსა და ღმერთს შორის თანამშრომლობით მოვიდა.

ეს მაგალითი უშუალოდ შეეხება ისრაელსა და ქვეყნიურ ნიმუშებს, გზებსა და მანერებს დღევანდელ ეკლესიაში. გაიხსენეთ, რომ ისრაელი ეკლესიის ტიპია. ღმერთმა თქვა, რომ ისრაელს არ მიუტოვებია მეძავობის ის სახე, რომელიც ეგვიპტეში დაიწყო, როცა მისი სინორჩისას კაცებთან წვებოდა, ყმაწვილურ მკერდს უშვერდა და ისინიც მასზე თავიანთ გულისთქმას ღვრიდნენ. ხალხს შეეძლო უარი ეთქვა ამაზე მოსეს მსგავსად, მაგრამ არ სურდა.

ქვეყნიური სურვილი

ეგვიპტიდან გათავისუფლებულთაგან მოსე იყო ქვეყნიერულ გზებში ყველაზე მეტად ჩართული ადამიანი. ის ფარაონის

სახლში გაიზარდა, ეგვიპტურ სიბრძნეს ეზიარა და ყველა მეგობარი ეგვიპტელი ჰყავდა. სხვა ებრაელი მამაკაცები და ქალები, ყოველ შემთხვევაში, თავიანთ ხალხში იზრდებოდნენ ეგვიპტეში. მათ მიმართ ქვეყანა მკაცრი გახლდათ, მაგრამ მოსეს მიმართ კეთილგანწყობილი იყო თავისი საგანძურებითა და სიბრძნით. ისინი მოსეს დონეზე არ იყვნენ ჩართული მთელ იმ სისტემაში. ამრიგად, თუ ვინმეს შეეძლო ეთქვა, რომ უძნელდებოდა ეგვიპტური სურვილებისგან თავის დაღწევა, ეს სწორედ მოსე უნდა ყოფილიყო. თუმცა მას არ ჰქონდა მიდრეკილება ეგვიპტის რაიმე ფორმისკენ, ხოლო ისრაელიანები გამუდმებით მისკენ იწეოდნენ.

დღეს ჯვრის სათქმელს ვარბილებთ მათთვის, ვინც ჰოლივუდიდან, პროფესიული სპორტიდან, საჯარო სამსახურიდან ან ქვეყნიერების სისტემაში ჩაძირული სხვა ტიპის ცხოვრებიდან მოვიდა. მათთან დათმობაზე მივდივართ და ქვეყნიურ მანერებსა და გზებს ვამართლებთ.

ამით მათ ზიანს ვაყენებთ და არავითარი სიკეთე არ მოგვაქვს. როცა მათ შერბილებულ სახარებას ვუქადაგებთ, უფლის მთისკენ მიმავალ გზას ვუღობავთ. ისინი მღელვარებით იწყებენ, მაგრამ თანდათან ქვეყნიერებისკენ იწევენ. თუ მთლად იქეთ არ გადაიხრებიან, მაინც წარმოქმნიან ისეთ „იესოს“, რომელიც მამა ღმერთის მარჯვნივ მჯდომარეს საერთოდ არ ჰგავს. ისინი გადარჩენას აღიარებენ და უფლის შეცნობას ესწრაფვიან, მაგრამ თავიანთ რეალურ სურვილებთან შეხება არ აქვთ. სინამდვილეში ქვეყნიური სურვილები იზიდავთ.

ისრაელმა ღვთის შეცნობისა და მასთან ერთად სიარულის სურვილი აღიარა. როგორც წინა თავებიდან გახსოვთ, ღმერთმა თავისი დიდების გამოცხადებამდე მოსეს ხალხის მასთან მიყვანა უბრძანა. უფლის ხმა რომ მოესმინათ და მისი აღთქმა დაეცვათ, სამეფო მღვდლები იქნებოდნენ. მოსე მთიდან დაეშვა, რომ ისრაელიანთათვის ღვთიური პირობები წარედგინა. აი, როგორი იყო მათი პასუხი:

> „და მივიდა მოსე, მოიწვია უხუცესნი ხალხიდან და მოახსენა ყველაფერი, რაც უბრძანა უფალმა. მიუგო მთელმა ხალხმა ერთად და თქვა: „რაც თქვა უფალმა, ყველაფერს ავასრულებთ“. და მოახსენა მოსემ ხალხის სიტყვები უფალს“ (გამ. 19:7-8).

მათი პასუხი გულწრფელი იყო, მაგრამ ჩვენ ვიცით, რაც მოხდა. ხალხმა უკან დაიხია და უფლის დიდება შეიცვალა მის გულსა და გონებაში. ისინი თავიანთ ზრახვებზე ლაპარაკობდნენ და არა სურვილებზე. ისინი ნამდვილ სურვილებს მოწყვეტილი იყვნენ, ხოლო ეგვიპტის სურვილები მათ ღმერთთან მიახლოების საშუალებას არ აძლევდა.

ორი კატეგორიის ჯგუფი ეკლესიის წიალში

რატომ მოხდა ასე, რომ ეგვიპტურ სისტემაში ნაკლებად ჩართული ისრაელიანები მაინც მისკენ ილტვოდნენ, ხოლო მოსეს ეგვიპტის გზებთან რაიმე საერთოს ქონა არ სურდა? რატომ არ აინტერესებდა ერთ დროს ქვეყნიერებაში გადახლართულ ადამიანს მისი გზები? თუ ორივეს გამოვიკვლევთ, განსხვავებას დავინახავთ. ასევე თვალწინ წარმოგვიდგება ადამიანთა ორი განსხვავებული ჯგუფის ნათელი სურათი, რომლისგანაც დღევანდელი ეკლესია შედგება. ერთ ჯგუფს მოსე განასახიერებს, ხოლო მეორეს – ისრაელის ძეები. დავინახავთ, რატომ ესადაგებიან ერთნი ქვეყნიერებას, ხოლო სხვებს იმის მიუხედავად, რომ მონობის დიდი ბორკილებიდან გამოვიდნენ, ქვეყნიერებაზე დაბრუნების არავითარი სურვილი არ გააჩნიათ.

ისრაელის ძეები საუკუნეების განმავლობაში ლოცულობდნენ და ეგვიპტის მჩაგვრელებისგან გათავისუფლებას ითხოვდნენ. მათ აღთქმულ მიწაზე დაბრუნება სურდათ. ღმერთმა მხსნელი გაუგზავნა მოსეს სახით. უფალმა ასე უთხრა მოსეს: „ჩამოვედი, რომ ვიხსნა იგი ეგვიპტელთაგან და მივიყვანო მაგ ქვეყნიდან კარგ და ვრცელ ქვეყანაში, სადაც მოედინება რძე და თაფლი“ (გამ. 3:8). შემდეგ ღმერთმა მას თავისი სიტყვა და ნიშნები მისცა, რომ ფარაონისთვის ხალხის გაშვება ეთხოვა.

მოსე პირველად დაბრუნდა ეგვიპტეში ორმოცი წლის შემდეგ, რომ ღვთის სიტყვა ფარაონთან მიეტანა. თუმცა თავდაპირველად ისრაელიანებთან მივიდა და განთავისუფლების ღვთიური ამბავი ამცნო. როცა ეს სიახლე გაიგონეს, წერილის თანახმად, თქვეს: „ირწმუნა ხალხმა, რომ გაიხსენა უფალმა ისრაელის ძენი და რომ იხილა მათი ტანჯვა. მუხლი მოიყარეს და თაყვანი სცეს“ (გამ. 4:31).

შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ, რა ემოციები გადმოიღვარა ამ შეხვედრაზე? მათ მთელი ცხოვრება მონობაში გაატარეს. მათი მამები, პაპები და კიდევ უფროსი თაობა მონები იყვნენ. ოთხასი

წლის განმავლობაში ლაპარაკობდნენ დახსნის დაპირებასა და საკუთარი მიწის ფლობაზე. (საჭიროა აღნიშვნა, რომ შეერთებული შტატები არსებობის მხოლოდ ორას ორმოცდაათი წელს ითვლის). ახლა კი, ისინი თავიანთ გამომხსნელს უყურებენ. ხალხი ენით აღუწერელ სიხარულს განიცდიდა. მათ დაინახეს მოსეს მიერ მოხდენილი ნიშნები და ენთუზიაზმით ირწმუნეს მისი. ადვილად წარმომიდგენია, როგორ ტირიან, ყვირიან და შესძახიან: „რა საოცარი ამბავია! როგორც იქნა, დადგა ეს დღე! ღმერთი ჩვენს გასათავისუფლებლად მოვიდა!“ ქებამ და მადლიერებამ ბოლოს იქამდე მიიყვანა, რომ ქედი მოიდრიკეს ღვთის თაყვანისცემის ნიშნად.

მოსემ შეხვედრა დატოვა და ფარაონისკენ გაემართა, რომ უფლის უწყება მასთანაც მიეტანა. მან ფარაონს უთხრა: „გაუშვი მისი ხალხი!“ ფარაონის რეაქცია მათი ტანჯვის დამძიმებაში გამოიხატა. აღარ ეძლეოდათ ნამჯა აურაცხელი რაოდენობის აგურების დასამზადებლად, რომლებიც ისრაელიანებს ყოველდღიურად უნდა ეწარმოებინათ. ღამით ნამჯა უნდა ეძებნათ, ხოლო დღისით ემუშავათ. ნამჯის არქონის მიუხედავად, აგურების საერთო რაოდენობას არაფერი აკლდებოდა. ღვთის განთავისუფლების სიტყვამ მათი საშრომი და ტანჯვა უფრო გაზარდა.

ისრაელის ძეთა დამოკიდებულება შეიცვალა. მათ წუწუნი დაიწყეს და მათეს უთხრეს: „თავი დაგვანებე და ფარაონისთვის ქადაგებას შეეშვი. საქმეს უფრო გვიფუჭებ“. სწორედ ისინი სცემდნენ ღმერთს თაყვანს რამდენიმე დღის წინ, როცა მოსემ პირველად მოიტანა ახალი ამბავი. როცა ღმერთმა ისრაელიანები საბოლოოდ გაათავისუფლა ეგვიპტიდან, ფარაონის გული ისევ გასასტიკდა და ხალხს უდაბნოში გამოეკიდა საუკეთესო ეტლებით და მეომრებით. უკან დადევნებული ეგვიპტე რომ დაინახეს, ებრაელებმა ისევ დაიწყეს წუწუნი: „განა ამას არ გეუბნებოდით ეგვიპტეში: „დაგვეხსენი, ეგვიპტელთა მსახურები ვიქნებით-თქო? რადგან უდაბნოში დახოცვას, ეგვიპტელთა მონობა გვირჩევნია“ (გამ. 14:12).

სინამდვილეში ისინი ამბობდნენ: „რატომ უნდა ვაკეთოთ ის, რასაც შენ ამბობ, თითქოსდა ღმერთმა გითხრა, მაგრამ ჩვენი ცხოვრება კიდევ უფრო შესაბრალისი ხდება?“ უფრო ცუდად ვართ, უკეთესად არ ვართ“. მათ სასწრაფოდ შეადარეს წარსული ცხოვრება ახლანდელ მდგომარეობას. ყოველთვის,

როცა ეს ორი ერთმანეთს არ აბალანსებდა, ისრაელიანებს უკან დაბრუნება სურდათ. თავიანთი საუკეთესო ინტერესების დაკმაყოფილება უნდოდათ და არა ღვთის ნების შესრულება. ოჰ, როგორ აკლდათ ღვთის მიმართ ლტოლვა საკუთარი ცხოვრების სიყვარულის პირობებში!

ღმერთმა ზღვა გააპო. ისრაელიანებმა მშრალ მიწაზე გაიარეს და თავიანთი მჩაგვრელების დახრჩობა იხილეს. მათ ღვთის სიკეთე ირწმუნეს და მის წინაშე ცეკვა და ქება გააჩაღეს: „აიღო წინასწარმეტყველმა მირიამმა, აჰარონის დამ, დაფდაფი ხელში, და მიჰყვა ყველა ქალი უკან დაფდაფებითა და ფერხულით“ (გამ. 15:20). წარმოგიდგენიათ ერთი მილიონი მოცეკვავე და დაფდაფების დამკვრელი ქალი? რა თაყვანისცემის საღამოა!

ისინი მტკიცე მორწმუნეები იყვნენ და არაფერს შეეძლო მათი უკან დაბრუნება. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ ღვთის სიკეთეში არასოდეს დაეჭვდებოდნენ! თუმცა საკუთარ გულს არ იცნობდნენ — ზრახვებზე წარმოდგენა ჰქონდათ, მაგრამ სურვილებზე – ნურას უკაცრავად.

კიდევ ერთი გამოცდის დღე დადგება და მათი ორგულობა გამოაშკარავდება. სულ რაღაც სამი დღის შემდეგ ჩივილს დაიწყებენ, რომ მწარე წყალი არ უნდათ — ტკბილი ურჩევნიათ (იხ. გამ. 15:22-25). მათი ფიქრები უკვე გადაწვდა ეგვიპტეს, რა ჰქონდათ იქ და რა აკლდათ ღვთის უდაბნოში.

კიდევ რამდენიმე დღე გავიდა და ისრაელიანები საკვების ნაკლებობაზე აწუწუნდნენ: „ნეტავ მომკვდარიყავით უფლის ხელით ეგვიპტის ქვეყანაში“ (გამ. 16:1-4). ისინი ღმერთს ახსენებენ დრტვინვაში მისივე ნების საწინააღმდეგოდ. რა რელიგიურია! ხედავთ მათ თვალთმაქცობას?

ასეთი დამოკიდებულება მანამ გრძელდებოდა, სანამ კულმინაციას არ მიაღწია ფარანის უდაბნოში შესვლისას. იქ ღმერთმა მოსეს თორმეტი ტომის მეთაურების გაგზავნა დაავალა, რომ დაპირებული ქვეყანა გამოეკვლიათ. მთავრები ქანაანში ორმოცი დღით გაემგზავრნენ. მათგან ათმა სასოწარმკვეთი ამბავი მოიტანა: „ვერ შევძლებთ იმ ხალხის წინააღმდეგ გასვლას, რადგან ჩვენზე ძლიერია იგი“ (რიცხვ. 13:31).

მართალია, ერთი მთავარი, ქალები, მტკიცედ დადგა სხვების წინაშე (რომელსაც შემდეგ იეშუა ნავეს ძეც შეუერთდა), ხალხი ცუდი ამბით განიმსჭვალა და მთელი ღამე მოთქვამდა:

ზრახვები თუ სურვილები?

„რისთვის მივყავართ უფალს ამ ქვეყანაში, რათა მახვილით დავეცეთ? ნადავლად იქცევიან ჩვენი ცოლები და ჩვენი ბავშვები. განა უმჯობესი არ იქნება ჩვენთვის ეგვიპტეში დაბრუნება!“ უთხრეს ერთმანეთს: „ამოვირჩიოთ მეთაური და დავბრუნდეთ ეგვიპტეში“ (რიცხვ. 14:1-3). ისინი ყოველ ჯერზე წუწუნს იწყებდნენ, როცა მათთვის არასასურველ ვითარებაში აღმოჩნდებოდნენ. სანამ ყველაფერი კარგად მიდიოდა, ღვთის სიტყვას იცავდნენ და თითქოს მოსწონდათ კიდეც. იმ შემთხვევაში, როცა მორჩილება მათთვის არასასურველი მიმართულებით სიარულს მოითხოვდა და ხორცი უკმაყოფილო იყო, დრტვინვას იწყებდნენ. „განა უმჯობესი არ იქნება?“ - ეს სიტყვები მათი გულის მდგომარეობას კარგად ასახავს. „გულის სავსებისგან მეტყველებს ბაგე“ (მათ. 12:34). მათი ძირითადი ცხოვრებისეული მოტივაცია ზეწოლის პირობებში მოქმედებით და ნათქვამი სიტყვებით გამოაშკარავდა. ყველაფერი მათთვის უნდა ყოფილიყო, ყურადღების ცენტრში საკუთარი ცხოვრება ჰყავდათ და არა ღვთის გული.

განსხვავებული ფოკუსი

მოსე სულ სხვა კაცი გახლდათ. ეგვიპტელმა დიდებულმა ღვთის ერთან ტანჯვა არჩია ეგვიპტის სიკეთეში ცხოვრებას. ისრაელის ძეებს თავიანთი გაჭირვება არ ამოურჩევიათ, მაგრამ მოსეს წინაშე ყოველგვარი სარგებელი იდო, რომლის შეთავაზებაც კი ქვეყნიერებას შეეძლო, მან კი ყველაფერზე უარი თქვა: „ქრისტესათვის ლანძღვა მეტ სიმდიდრედ მიიჩნია, ვიდრე ეგვიპტის საგანძურები, ვინაიდან საზღაურს უყურებდა“ (ებრ. 11:26).

ისრაელიანებმა სწრაფად დაივიწყეს გადატანილი სიძნელეები და ეგვიპტეში (ქვეყნიერებაზე) დაბრუნება მოინდომეს. მათ მხოლოდ ის საგნები ახსოვდათ, რითაც დღესასწაულობდნენ და ახლა, ღვთიური გამოცდისას, მოაკლდათ. მეორე მხრივ, მოსემ ტანჯვა არჩია, „ვინაიდან საზღაურს უყურებდა“.

რა იყო საზღაური? პასუხი ღვთიური შეთავაზებისას ჩნდება, რაც მოსეს და მის ხალხს ოთხას წელზე მეტი ხნის განმავლობაში ნანატრ აღთქმულ მიწას მისცემდა (ეს მანამ მოხდა, სანამ მთავრები ქვეყანას დაზვერავდნენ. ამ დროს ხალხს ჯერ კიდევ ჰქონდა აღთქმული მიწისკენ სწრაფვა).

უფალმა მოსეს უთხრა:

> „აიყარეთ ახლა აქედან და წადით, შენ და ხალხი, ეგვიპტის მიწიდან რომ გამოიყვანე, ქვეყანაში, რომელზეც შევფიცე აბრაჰამს, ისაკს და იაკობს, ასე: 'შენს შთამომავლობას მივცემ-მეთქი.' წაგიმძღვარებ წინ ანგელოზს და განვდევნი ქანაანელებს, ამორელებს, ხეთელებს, ფერიზელებს, ხიველებს და იებუსელებს" (გამ. 33:1-2).

შემოთავაზებული დაპირება, რომელსაც ელოდნენ, უკვე მათ წინ იდო. უცხო მიწაზე ოთხასწლიანი ცხოვრების შემდეგ, წინამძღოლის წინაშე მდიდარი მიწის შემოთავაზება გაჩნდა. მაგრამ ერთგვარი ხრიკიც არსებობდა. ღმერთი განაგრძობდა: „ქვეყნისკენ, სადაც მოედინება რძე და თაფლი; თვითონ მე კი აღარ ვივლი შენ შორის, რადგან ქედმაგარი ხალხი ხარ, ვაითუ მოგსპო გზაში" (გამ. 33:3).

ღმერთმა მოსეს ხალხის აღთქმულ მიწაზე მიყვანა დაავალა, რომელსაც ასეულობით წლები ელოდებოდნენ დასამკვიდრებლად. მას რჩეული ანგელოზის თანხლებაც ჰქონდა გარანტირებული, თუმცა თავად ღმერთი არ გაუძღვებოდათ. მოსემ სწრაფად უპასუხა: „თუ თავად შენ არ წაგვიძღვები, აქედან ნუ გაგვიყვან" (გამ. 33:15). მოსე არ ყოყმანობდა და არ ვაჭრობდა პასუხის გაცემისას. ის დაუფიქრებლად დარჩებოდა ღმერთთან ერთად გადამხმარ უდაბნოში იმის ნაცვლად, რომ ვაზის, ნაკადულებისა და მშვენიერი სახლების ქვეყანაში ღვთის გარეშე გამგზავრებულიყო.

მიხარია, რომ აღთქმული მიწისკენ ღვთის გარეშე წასვლის იდეა ისრაელის ძეებს არ წარუდგინეს. ისინი გამუდმებით წუწუნებდნენ რთულ პერიოდებში და ეგვიპტეში დაბრუნებას ლამობდნენ. თუ ეგვიპტეში ღვთის გარეშე დაბრუნებაზე თანახმა იყვნენ, მით უმეტეს წავიდოდნენ აღთქმულ მიწაზე ანგელოზის თანხლებით. მათი ჯილდო იყო ის, რასაც დიდი სარგებლობა მოჰქონდა.

მოსესთვის აღთქმა არაფერს ნიშნავდა ღვთის თანდასწრების გარეშე. მან შემოთავაზებაზე უარი თქვა იმის მიუხედავად, რომ ეს უფრო კომფორტულ ცხოვრებას ნიშნავდა, მაგრამ არ ეყოლებოდა ის, ვისთვისაც მისი გული ცემდა. მან ღვთის შემეცნება

ყველაფერზე მაღლა დააყენა: „თუ ვპოვე მადლი შენს თვალში, გემუდარები, მაუწყე შენი გზები“ (გამ. 33:13). ის არ ითხოვდა მიწას, სიმდიდრეს, პატივს ან ნებისმიერ სხვა მატერიალურ აქტივს. ეს ყველაფერი ეგვიპტეშიც ჰქონდა და მიხვდა, რომ ამას კმაყოფილება არ მოუტანია. მყისვე, როცა აღთქმულ მიწაზე ღვთის თანდასწრების გარეშე გამგზავრებაზე უარი თქვა, გულიდან აღმოხდა: „მახილვინე შენი დიდება“ (გამ. 33:18).

მოსემ მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო. ის ღვთის შემეცნების ჯილდოს ეძებდა. ქვეყნიერების მიზიდულობაზე უარის თქმა უმნიშვნელო ფასი იყო ღვთის დიდების ჯილდოსთან შედარებით. ვინაიდან მან ქვეყნიური საზღაური უარყო, ღმერთთან მთაზე მიახლოება შეძლო. თავად ხალხმა კი ეს ვერ მოახერხა. ეგვიპტის წყურვილი ჯერ კიდევ მათში იდო. ისრაელიანების გულებში არ მოხდა ქვეყნიერებისგან გამოყოფა, რის გამოც ვერ შეძლეს გარჩევა, რა იყო ქვეყნიერებისგან და რა იყო ღვთისგან.

თუ ქვეყნიერების სურვილიც გკლავთ და ღვთის ახლოს შეცნობაც გსურთ, ღვთის სახება მახინჯდება. მას ნამდვილად ვერ გაიცნობთ და „სხვა“ იესო შეგრჩებათ. ისრაელიანებს ღვთიური განთავისუფლება უნდოდათ, მაგრამ ეგვიპტესაც ვერ თმობდნენ. სწორედ ამიტომ ვერასოდეს შეძლეს „ეგვიპტეში დაწყებული მეძავობის მოშორება“. ისინი ქვეყნიერებას მიესადაგნენ, მათში ეგვიპტის სურვილები გამოისახა და ღვთის მაგარი ხელით მონობიდან დახსნის მიუხედავად, ვერ მიიღეს ეგვიპტის გულიდან ამოღების გადაწყვეტილება.

ძირეული ცხოვრებისეული მოტივაცია

მოსესა და ისრაელიანებს შორის გამყოფი ფაქტორი მათი შინაგანი ცხოვრებისეული მოტივაცია გახდა. მოსეს ღმერთი უნდოდა და მის შესაცნობად ნებისმიერ ფასს გადაიხდიდა. ისრაელის ძეებს ის ერჩივნათ, რაც საუკეთესოდ ეჩვენებოდათ. თუ ღვთის კვალზე სიარულის სარგებელი მათი ბუნებრივი გრძნობებისთვის მოსაწონი იყო, სიხარულით იღებდნენ, ხოლო თუ სარგებელი არ ჩანდა, სხვა მიმართულებას ირჩევდნენ, რაც თვალში უმჯობესად უჩანდათ. ღვთის შემეცნებას ყოველთვის მივყავართ იქეთკენ, რაც ჩვენთვის უმჯობესია, რადგან იგი სრულყოფილი სიყვარულია. და მაინც, ხშირ შემთხვევაში ეს ცოდნა ბუნებრივი შეგრძნებებისთვის უჩინარია.

მოსეს ღმერთი უყვარდა იმისთვის, თუ რას წარმოადგენდა უფალი; ისრაელს ღმერთი უყვარდა იმის გამო, რასაც მათთვის აკეთებდა. თუ მისი საქმე ხალხის სურვილებს არ შეესაბამებოდა, იმ გზას ადგებოდნენ, რაც უკეთესი ეგონათ. ისრაელის ცხოვრებისეული თვალთახედვა დიდად არ განსხვავდებოდა ქვეყნიერების ძირითადი მოტივაციისგან. იოანემ განაცხადა: „ვინაიდან ყოველივე, რაც წუთისოფელშია - ხორციელი გულისთქმა, თვალთა გულისთქმა და ამაო დიდება ცხოვრებისა - მამისგან კი არა, წუთისოფლისგან არის“ (1 იოან. 2:16).

ქვეყნიერებაზე მყოფებს სურთ ის, რაც მათ გრძნობებს ან სტატუსს კმაყოფილებას მიანიჭებს. ასე ცხოვრობდა ისრაელი და თუ ღვთის მორჩილება დაუყოვნებელ სარგებელს მოუტანდა, სიხარულით მიყვებოდა მას.

მოსე და ისრაელი საუცხოოდ წარმოადგენენ დღევანდელი ეკლესიის შემადგენელი ადამიანების ორ კატეგორიას. ეს ფუნდამენტური განსხვავება ეკლესიის გამყოფი ხაზია, რომელიც ჭეშმარიტ თაყვანისმცემლებსა და იესოს უფლობის ეგოისტურად აღმსარებლებს ააშკარავებს.

ახლა უფრო ნათლად ვიგებთ ახალ აღთქმაში იესოს ნათქვამ სიტყვებს:

> „მოწაფეებთან ერთად ხალხსაც მოუხმო და უთხრა: „თუ ვინმეს სურს გამომყვეს, უარყოს თავი, აიღოს თავისი ჯვარი და გამომყვეს. რადგან, ვისაც სულის შენარჩუნება სურს, იგი დაკარგავს მას; ხოლო ვინც ჩემი ანდა სახარების გულისთვის დაკარგავს სულს, იგი შეინარჩუნებს მას“ (მარკ. 8:34-35).

ჯვარცმა ჩვენი სურვილებისა და მისწრაფებების სრულ სიკვდილს წარმოადგენს. ვინც ჯვარს იღებს, სწამს, რომ ღმერთი ერთგული, სამართლიანი და მოსიყვარულე შემოქმედი და ბატონია. ასეთებმა იციან, რომ მთელი სიცოცხლე მისგან მოდის და მის გარეშე ჭეშმარიტი სიცოცხლე არც არსებობს.

მოსე საერთო სურათს ხედავდა; ისრაელი კი – მხოლოდ თავის თავს. მოსე ხვდებოდა, რომ ღმერთი წმიდაა და მასთან მისაახლოებლად ქვეყნიერებისა და მისი ყოველგვარი ფორმისგან სრული გამოყოფა მოეთხოვებოდა. ის აცნობიერებდა, რომ საკუთარ თავზე უარის თქმით ღვთის შემეცნებას იძენდა.

პავლეც ხედავდა საერთო სურათს და ორი ეკლესიისადმი მიწერილ ეპისტოლეებში მისი ცხოვრების ძირითად მოტივაციას ვხედავთ:

> „მე კი ნუმც დამეკვეხნოს, თუ არა ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ჯვრით, რითაც წუთისოფელი ჩემთვის არის ჯვარცმული, მე კი – წუთისოფლისთვის“ (გალ. 6:14).

„მაგრამ, რაც ჩემთვის მოგება იყო, წაგებად ჩავთვალე ქრისტეს გულისთვის. ახლაც ყველაფერი წაგებად მიმაჩნია ჩემი უფლის იესო ქრისტეს შეცნობის უპირატესობის გამო, რისთვისაც უარი ვთქვი ყოველივეზე და ყველაფერს ნაგვად მივიჩნევ, რათა ქრისტე შევიძინო“ (ფილ. 3:7-8).

ის არ იყო ცდუნებული. მას არ სურდა ქვეყნიერება. მის მიერ შემოთავაზებულ სიამოვნებასა და სიკეთეზე უარის თქმის ფასი საგრძნობლად მცირეა ღვთის სწორუპოვარი სიდიადის შემეცნებასა და მიყოლასთან შედარებით, რომელიც თავად სიცოცხლეა.

თავი 8

კონტრკულტურა თუ სუბკულტურა?

არ უნდა მივბაძოთ ქვეყნიერების ნიმუშებსა თუ მანერულობას და არ უნდა ვიმოქმედოთ ქვეყნიერების მკვიდრთა მსგავსად.

ხალხმა ვერ აიტანა ღვთის გამოვლინება მის მთაზე. სანამ გამოჩნდებოდა, აღიარებდნენ, რომ უფალი სურდათ, სინამდვილეში კი ასე არ იყო. თავიანთ გულებში ეგვიპტეს არ გამოეყვნენ; მისი გზებით სიარული არ მოიშალეს. როცა ე. წ. „ღმერთი“ ეგვიპტის მანერებისა და წეს-ჩვეულებების მსგავსებაში იქნა შემოთავაზებული, იფიქრეს, რომ ეს მშვენიერი იყო და ახლა უკვე შეეძლოთ, ერთად ჰყოლოდათ ღმერთი და თავიანთი ნამდვილი სურვილი – ეგვიპტე. ისინი ეგვიპტელების მსგავსები დარჩებოდნენ და თან იაჰვეც ეყოლებოდათ.

ცხოვრების სტილის უამრავი ნიმუში და მანერულობა ქვეყნიერების სულით ყალიბდება (სატანას „ჰაერის ძალთა მთავარი“ (ეფეს. 2:2) და „ქვეყნიერების მთავარი“ (2 კორ. 4:4]) ეწოდება). თუ მასზე უარს არ ვიტყვით ღვთის თანდასწრებასთან მიახლოების საზღაურისთვის, გამუდმებით უკან დავიხევთ ქვეყნიერების მმართველი სულის გავლენით. თუმცა ღმერთი გვიბრძანებს: „არ მოიქცეთ ეგვიპტის ქვეყნის მცხოვრებთა მსგავსად“ (ლევ. 18:3).

არ გვმართებს ქვეყნიერების ჩვეულებებისა და მანერების მიბაძვა ან მისი მკვიდრების მსგავსად მოქცევა. პავლე იგივეს ადასტურებს: „და ნუ მიესადაგებით ამ წუთისოფელს, არამედ გარდაისახენით თქვენი გონების განახლებით“ (რომ. 12:2).

ღვთის სამეფო და ქვეყნიერების გზები ორი განსხვავებული მიმართულებით მოძრაობს. მათ შორის არ არის არავითარი ჰარმონია, როგორც იესო მიუთითებს: „თუ სძულხართ წუთისოფელს, იცოდეთ, რომ თქვენზე უწინ მე შემიძულა. თქვენ რომ წუთისოფლისანი ყოფილიყავით, წუთისოფელს ეყვარებოდა თავისიანები. და რაკი არა ხართ წუთისოფლისანი, არამედ მე გამოგარჩიეთ წუთისოფლიდან, ამიტომ სძულხართ წუთისოფელს“ (იოან. 15:18-19).

იესომ ამოგვირჩია, რომ ქვეყნიური ცხოვრების წესისგან ვეხსენით და გვიმარტავს, რატომ ვძულვართ მას. ნუთუ მართლა ვძულვართ? ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ეკლესია ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში იესოს სიტყვების უზუსტობის დამტკიცებას ლამობს. ყველანაირად ვცდილობთ, რომ მას მოვერგოთ.

ქვეცნობიერად გვწამდა, რომ წუთისოფლის მოწონებას დავიმსახურებდით და ამას იესოც მოგვიწონებდა! თუმცა იესო ამბობს, რომ ქვეყნიერებას მხოლოდ მაშინ ვეყვარებით, თუ მისი კუთვნილება ვიქნებით. ხომ არ ვცდილობდით მის საკუთრებაში ყოფნას, როცა მას არცკი უნდა დავმსგავსებოდით?

პირველი და თანამედროვე ეკლესიის შედარება

ადრეულ, განსაკუთრებით, მეორე და მესამე საუკუნეების ეკლესიაზე წამიკითხავს და მათსა და ჩვენს შორის უზარმაზარი სხვაობა დავინახე. მათი გამორჩეული ნიშანი გახლდათ გამოყოფილი ცხოვრების სტილი. არავის შეეძლო მათში წუთისოფლის მანერების, მეთოდებისა და ჩვევების პოვნა. ისინი საერთოდ არ ჰგავდნენ გარშემომყოფ საზოგადოებას, რადგან სრულიად განსხვავებული პრინციპებისა და ფასეულობების ნაკრებით ცხოვრობდნენ. ღვთის სიტყვამ ნამდვილად ჩამოაყალიბა მათი ცხოვრება.

ურწმუნოები პირველ ქრისტიანებზე ამბობდნენ, რომ თავიანთ თემებში ხიზნებივით ცხოვრობდნენ და მართალია,

ხორციელად დადიოდნენ, ხორცის მიხედვით არ ცხოვრობდნენ. ისინი სულიერ დადგენილებებს იცავდნენ და კიდევაც აღემატებოდნენ. მათ არ აინტერესებდათ რესპექტაბელური სიამოვნებები, საზოგადოებრივი სპორტული შეჯიბრებები და გართობები. მათ ადამიანები უყვარდათ, მაგრამ ყველასგან იდევნებოდნენ. მათ არცხვენდნენ, მაგრამ ამ სირცხვილში იყვნენ განდიდებულნი. მათ მოძულეებს არ შეეძლოთ სიძულვილის მიზეზის დასახელება. თანამედროვეობაში, ჩვენს მოძულეებს დიდი ძალისხმევა არ დასჭირდებათ თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულების წონადი მიზეზის მოსაძიებლად. პირველი ქრისტიანების ასეთი აღწერა, შესაძლოა, ახლანდელი ეკლესიის მხოლოდ მცირე ნაწილს შეესაბამებოდეს. ჩვენ ბევრი სკანდალური ამბავი გვსმენია მსახურების ყველა დონეზე. ეს ტრაგიკული ინციდენტები ჩვენმა ეგოისტურმა სურვილებმა წარმოშვა. არა მარტო წინამძღოლები, არამედ მთელი ეკლესიები ცხოვრობენ მატერიალისტური ცხოვრების წესით და ქვეყნიერების სიამოვნებასა და საგანძურებს ელტვიან. სინდისის ქენჯნის გარეშე დავეწყობით იგივე ფილმების, გართობისა და თავშესაქცევის სანახავად, რომელთაც ქვეყნიერება ესწრაფვის.

კიპრიანე ძალზე მდიდარი რომაელი გახლდათ, რომელმაც სიცოცხლე იესოს მიუძღვნა ორმოცი წლის ასაკში. ისე უხაროდა ქრისტეს პოვნა, რომ მთელი ქონება გაყიდა და ღარიბებს დაურიგა.

მოგვიანებით ის ეკლესიის უხუცესი გახდა. აი, რას წერდა კიპრიანე:

> „ერთადერთი მშვიდობიანი და საიმედო სიმყუდროვე, ერთადერთი გულდაჯერება, რომელიც მტკიცე, შეურყეველი და უცვლელია, შემდეგში მდგომარეობს: ადამიანი ამ ქვეყნიერების ამაოებას უნდა მოშორდეს და გადარჩენის მყარ ღუზას მოეჭიდოს, ხოლო თვალები დედამიწიდან ზეცისკენ (ღვთის მთისკენ) აღაპყროს ... მას, ვინც ამ წუთისოფელზე დიდია, არ შეუძლია რაიმეს ელტვოდეს, რაიმე სურდეს ამ ქვეყნიერებიდან (კიპრიანეს წერილი დონატუსს, ნაწილი 14).

პირველ ქრისტიანებს სჯეროდათ, რომ ახლანდელი და მომავალი ქვეყნიერება დაპირისპირებულ მტრებს წარმოადგენ-

დნენ, შესაბამისად, არ შეგვიძლია ერთდროულად ორივესთან მეგობრობა. იაკობი აშკარად ამბობს: „მრუშნო, განა არ იცით, რომ წუთისოფლის მეგობრობა ღვთის მტრობაა? ასეა, ვისაც წუთისოფლის მეგობრობა სურს, იგი ღმერთის მტერი ხდება!“ (იაკ. 4:4).

რატომ უწოდებს მორწმუნეებს მრუშებს, რომლებიც ამ ქვეყნიერებით ტკბობას ესწრაფიან? მრუშს აღთქმა ერთთან აქვს დადებული, მაგრამ სხვასთან კავშირს ეძებს. ჩვენ, როგორც მორწმუნეები, ღმერთთან აღთქმაში ვართ. მაშ, რატომ ვცდილობთ ქვეყნიერების ნიმუშების, მანერებისა და გზების მიბაძვას? შესაძლოა, არაფრით გამოვირჩევით ძველი ისრაელისგან, რომელმაც ეგვიპტის წყურვილზე უარი არ თქვა ღმერთთან მიახლოების პრივილეგიის გამო?

კონტრკულტურა სუბკულტურის წინააღმდეგ

ადრეული ეკლესია კონტრკულტურული გახლდათ. დღეს ეკლესიის დიდი ნაწილი სუბკულტურას წარმოადგენს. რაშია განსხვავება? კონტრკულტურა გახლავთ ადამიანთა ჯგუფი, რომლის ცხოვრების წესი უარყოფს ან ეწინააღმდეგება საზოგადოებაში გაბატონებულ ფასეულობებსა და ქცევის ნიმუშებს. მათი ცხოვრება სრულიად განსხვავებულ პრინციპებს ექვემდებარება. პირველ ეკლესიაში ეს დამოკიდებულება კარგად აისახებოდა. პეტრემ პირველ მოქცეულებს ასე უთხრა: „გადაირჩინეთ თავი ამ გარყვნილი თაობისგან“ (საქმ. 2:40). The Message-ის თავისუფალი თარგმანი კიდევ უფრო მკვეთრად გამოხატავს პეტრეს ნათქვამს: „გაიქეცით, სანამ შეგიძლიათ; გაეცალეთ ამ სნეულ და უგუნურ კულტურას!“

მეორე მხრივ, სუბკულტურა – ადამიანთა განსაკუთრებული ჯგუფია, რომელიც ჯერ კიდევ არსებულ კულტურას ეკუთვნის. მართალია, გარკვეული ნიშნები ამ ჯგუფის ადამიანებს გამოარჩევს, ზოგადად, მაინც საზოგადოებასთან კავშირში არიან. დღევანდელი ეკლესია ამ აღწერას შეესაბამება. ჩვენ გვაქვს ისეთი იარლიყები, როგორიცაა „ზეციდან შობილი“ და „გადარჩენილი“. ჩვენ ჯგუფებს ან წრეებს მივეკუთვნებით: ევანგელურს, სრულად ევანგელურს, ხარიზმატულს, დენომინაციურს და ა. შ. მიუხედავად ამისა, საზოგადოებას მჭიდროდ ვუკავშირდებით.

კონტრკულტურა თუ სუბკულტურა?

ჩვენი საზოგადოება სრულიად განსხვავებული ცხოვრების წესის მქონე ადამიანებს აერთიანებს. ამერიკელთა ცხოვრების წესის ამსახველი გრაფიკი რომ დაგვეხატა, ერთ ბოლოში უკიდურესი ლიბერალები, ხოლო მეორეში კონსერვატორები იქნებოდნენ, მათ შორის არსებული უამრავი ვარიაციით. უკიდურეს ლიბერალებში ვპოულობთ როკ-ვარსკვლავებს, ცნობად სახეებს და სხვებს, რომლებიც უჩვეულოდ იმოსებიან, ხოლო ზოგიერთები, საერთოდ, საწინააღმდეგო სქესის ტანსაცმელს ამჯობინებს. ეს ადამიანები გამორჩეულად არანორმალური ცხოვრების წესს მისდევენ და პირად თუ საჯარო ცხოვრებაში უტიფარ ქმედებებს სჩადიან. ვიღაცები თმებს შავად იღებავენ და კანს ითეთრებენ. სხვები გარყვნილი ცხოვრების წესს ამჯობინებენ. მათ საზოგადოების უკიდურეს სეგმენტად ვთვლით, რომელთაც ეკლესიის წევრების უმეტესობა არასოდეს მიბაძავდა.

მეორე ბოლოში კი კონსერვატულ ამერიკელებს შეხვდებით. ამ მამაკაცებისა და ქალების ცხოვრობის წესს ბევრი ნორმალურს უწოდებს. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების ეს ნაწილი თავს „კარგს“ უწოდებს, საერთო კულტურას ეკუთვნის და ჰაერში გაბატონებული მთავრის ზეგავლენის ქვეშ არის მოქცეული. ზოგჯერ „სიკეთე“ ღვთის უდიდესი მტერია. გაიხსენეთ, რომ ევას თავისი არჩევანი სიკეთედ ეჩვენებოდა, მაგრამ ღვთის გზებისგან ძალიან შორს იყო. იმის ნაცვლად, რომ მორწმუნეები სრულიად გამოყოფილი ცხოვრების წესს მისდევდნენ, რომელიც ღვთის სამეფოს ძალაუფლებაზეა დაფუძნებული, ისე ცხოვრობენ, როგორც კონსერვატული ურწმუნოები. ვამბობთ, რომ ამ ქვეყნიერებას არ ვეკუთვნით, მაგრამ უმეტესობისთვის ეს თეორია უფროა, ვიდრე რეალობა. იმის გამო, რომ საზოგადოებასთან ვართ დაკავშირებული, მისი საზღვრების ცვლილებებთან ერთად ჩვენც ვიცვლებით.

ღვთის სიტყვა გვასწავლის, რომ „ვერიდოთ ბოროტს“ (1 თეს. 5:22) და მოგვიწოდებს შემდეგს: „და ნუ ეზიარებით სიბნელის უნაყოფო საქმეებს, არამედ ამხილეთ. რადგან, რასაც ისინი ფარულად აკეთებენ, სალაპარაკოდაც კი სამარცხვინოა“ (ეფეს. 5:11-12). ვითვალისწინებთ ამ გაფრთხილებებს?

დღეს კინოინდუსტრია თავის ფილმებს რეიტინგებს ანიჭებს. მორწმუნეთა უმარვლესობა და კონსერვატულად

განწყობილი ამერიკელები ცუდს ვერაფერს ხედავენ PG-13 ტიპის ფილმების ყურებაში, თუ მათში გადაჭარბებით არ ისმის უცენზურო სიტყვები და შიშველი სცენებსაც ვერ შეხვდებით. მიუხედავად ამისა, რომ ამ ფილმების უმეტესობაში არ არის უცენზურო სიტყვები და შიშველი სცენები, მათში მაინც ნახავთ უპატივცემულობას, რისხვას, სიძულვილს, ძალადობას ან ქორწინების გარეშე კავშირებზე მინიშნებებს. ბევრი მორწმუნე ასეთ უღვთო ქცევას დაუფიქრებლად უყურებს.

ახლა, ავიღოთ PG-13 რეიტინგის მქონე ფილმი და ვაჩვენოთ ამ ქვეყნის ადამიანებს, რომლებიც 1940-იან წლებში ცხოვრობდნენ. როგორი იქნება მათი რეაქცია? ბევრ მათგანს ფილმების შინაარსი ძრწოლას მოგვრიდა. რა მოხდა? კონსერვატული ამერიკის გამყოფი ხაზი შეიცვალა და მასთან ერთად ეკლესიის საზღვრებიც გადაიწია. ის, რაც 1940-იანი წლების ურწმუნო ამერიკელებს გააოგნებდა, დღეს ნორმალურად ითვლება ეკლესიის მორწმუნეთა შორის. ღვთის სამეფოს გზები გვმართავდა თუ ეგვიპტის სურვილებმა გვძლია?

ღვთის სამეფოს გზები და სტანდარტები მუდმივია, ვინაიდან ღმერთი არ იცვლება. წერილი აცხადებს, რომ მასში არ არის ჩრდილი ცვალებადობისა. როცა ღმერთი გვეუბნება, რომ ბოროტების ნატამალიც კი მოვიშოროთ და სამარცხვინოა იმაზე ლაპარაკი, რასაც უღვთო ხალხი აკეთებს, რატომ დავმწკრივდებით, გამომწერები ვხდებით ან ფულს ვიხდით ჩვენ გვერდით მცხოვრები გახრწნილი თაობის მიერ ჩამოყალიბებული ურთიერთობების, მანერებისა და ნიმუშების სანახავად? მეგობარმა მითხრა, რომ ლოცვაში ღრმად ჩაძირულმა გაიგონა, როგორი გრძნობით ჰკითხა ღმერთმა: „რატომ ერთობა ჩემი ხალხი იმით, რამაც ხელებზე ლურსმნები დამაჭედა?“ აქვს თუ არა გარჩევის უნარი გართობის ინდუსტრიას? წარმოდგენა აქვთ თუ არა ხელმძღვანელებსა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს იმ ნაყოფებზე, რომელთაც ღმერთი თავის ერში ეძებს? მაშ, რატომ ვეყრდნობით რეიტინგებს და არ ვიყენებთ გარჩევის უნარს? შეიცვალა თუ არა ღმერთი ბოლო ოცი წლის განმავლობაში, რომ ჩვენი თაობის ტენდენციებს მორგებოდა? აბსოლუტურად, არა! თუ ღვთიური სტანდარტები არ იცვლება, რატომ შეიცვალა რიგითი ამერიკელი მორწმუნის სტანდარტები? ჩვენი ცხოვრების წესით უფრო თანამედროვე

კულტურას ვუკავშირდებით, ვიდრე ღვთის სამეფოს. ჯერ კიდევ არ გვითქვამს უარი ეგვიპტის სურვილებზე.

ეს მოდელი თვალსაჩინოა ცხოვრების ყველა სფეროში – ტანსაცმელში, ვარცხნილობაში, ფულსა და ბიზნესთან დამოკიდებულებაში, პოლიტიკაზე შეხედულებასა და სხვა მრავალში. პირველი ეკლესიის ხალხმა თავისი კულტურის უღმერთო შეხედულებების, მანერებისა და გართობის უარყოფა მოახერხა, ვინაიდან ღვთის გზების შესაბამისად გარდაიქმნა. ეს იყო მწყურვალი ეკლესია, რომელსაც თავისი გამომსყიდველის შეცნობა საკუთარ კომფორტსა და სიამოვნებაზე მეტი უღირდა. ქვეყნიერების საცდურები მათ უმრავლესობაზე ზეგავლენას არ ახდენდა უფლისადმი მათი ლტოლვის გამო. ყველაფერზე უარის თქმა არაფერია გამომსყიდველის შეცნობის საზღაურთან შედარებით. ისინი არა მარტო აღიარებდნენ ამას, არამედ ასე ცხოვრობდნენ კიდეც. ცხოვრების ამ წესმა მათში ჯანსაღი დისციპლინა ჩამოაყალიბა.

უფრო გვიანდელი კონფესიებისა და ჯგუფებისგან განსხვავებით, პირველი მორწმუნეები, როგორც წესი, არ ცდილობდნენ სიწმიდის კანონმდებლობით შენარჩუნებას სხვადასხვა წესების, კანონებისა და დადგენილებების შემოღებით. ისინი ჯანსაღ სწავლებას, სულიწმიდის ჭეშმარიტ წინამძღოლობას, ღვთისმოსაობის ნიმუშებსა და მსახურებისთვის თავის მტკიცედ მიძღვნას ეყრდნობოდნენ. ეკლესიები, რომლებიც სიწმიდის მისაღწევად გარეგნულ რეგულაციებს იყენებენ, ჩვეულებრივ, რელიგიურ რჯულისმჩხრეკელებს (ლეგალისტებს) შობენ. პირველი ეკლესია ხაზს უსვამდა შეცვლილი გულის მნიშვნელობას, რომელიც ღვთისმოსაობით ცხოვრების წესს უზრუნველყოფდა. გარეგნული მანერები ამაოდ ითვლებოდა, თუ ადამიანის შინაგან ცვლილებას არ გამოხატავდა.

ღვთის ეჭვიანობას ხომ არ აღვძრავთ?

დღეს ჩვენს ოჯახებში ქვეყნიერება შემოვუშვით ტელევიზიის, ვიდეოს, ჟურნალების, გაზეთებისა და სხვა საშუალებების მეშვეობით. ბევრჯერ დავნაღვლიანდი, როცა მორწმუნეთა სახლების საბავშვო ოთახების კედლებზე გაკრული სპორტსმენების პლაკატები და კინოვარსკვლავების ფოტოები, ასევე

ჰოლივუდის ცნობადი სახეების და საზოგადოების სხვადასხვა კერპების ამსახველი ჟურნალები ვნახე. რატომ ვადიდებთ ამ მამაკაცებსა და ქალებს, რომელთაც საზოგადოება ეთაყვანება?

რაც შეეხება კერპებს, პავლე გვაფრთხილებს: „არ შეგიძლიათ სვათ უფლის სასმისი და ეშმაკთა სასმისი; არ შეგიძლიათ უფლის სუფრასაც ეზიაროთ და ეშმაკთა სუფრასაც. ნუთუ ვბედავთ უფლის გამოწვევას? განა მასზე ძლიერები ვართ?“ (1კორ. 10:21-22). რატომ გვაინტერესებს ის, რაც ქვეყნიერებას აინტერესებს?

ჩემი ოჯახი მრავალი წლის განმავლობაში იცნობდა ერთ ცნობილ პროფესიონალ მოჭიდავეს. მის ოჯახს უფალი მრავალ ასპექტში შეეხო. დედამ, შვილებმა და ერთმა ნათესავმა გადარჩენა მიიღეს. მოჭიდავემაც გაიგო ჩვენგან სახარების შესახებ. მან იცის, რომ იესოს კვალზე სიარულისთვის საფასური უნდა გადაიხადოს. ჯერ მზად არ არის, რომ ყველაფერი მიატოვოს და მას გაყვეს. ერთი მხრივ, პატივს ვცემ მის სიწრფელეს, ვინაიდან ეკლესიაში მრავალი ამბობს, რომ ყველაფერზე უარს იტყვიან, ოღონდ იესოს კვალზე იარონ, მაგრამ სიტყვას არ ასრულებენ.

ამ ადამიანს ალეგორიის სახით ვიყენებ, როცა ქრისტიანულ კონფერენციებზე ქადაგებისას სულიერ ძალაზე ვლაპარაკობ. გული მეფლითებოდა, როცა ადამიანები აღფრთოვანებით მოდიოდნენ ჩემთან და მისი ვინაობის გაგება სურდათ. მინდოდა, მეყვირა: „რატომ უნდა იცოდეთ, ვინ არის? რატომ უყურებთ პროფესიონალურ ჭიდაობას?“ თავს მხოლოდ იმიტომ ვიკავებდი, რომ ლეგალისტად არავის ჩავეთვალე. ალბათ, ასე არ უნდა მოვქცეულიყავი. ვღელავ ამ ადამიანის გამო, მაგრამ ვერ ვუყურებ ტელევიზორში, რადგან ეს წარმოდგენა სიბნელითაა სავსე. ასე ვფიქრობ: „როგორ შეუძლიათ მორწმუნეებს ასეთი სცენის რეგულარულად ყურება? სად არის ღვთის თანდასწრებისადმი მათი მოშურნეობა?“

გამოსაფხიზლებელი ძახილი

რაღაც დროის წინ გამოსაფხიზლებელი ძახილი გავიგე, რომელმაც კიდევ უფრო გააღვივა ჩემი მისწრაფება ამ თემის განსახილველად. ერთ ეკლესიაში ვმსახურობდი ღვთის ძიების თემით. ძლიერი მსახურება მრავალი ადამიანის გულს შეეხო.

მეორე დღეს ვისვენებდი. ცოლ-შვილთან ერთად ვიმოგზაურეთ და გზაში გარკვეული დრო დავყავით. პასტორმა ყველა წინამძღოლი მოზიარეობისთვის დაპატიჟა.

ვჭამდით და ვსაუბრობდით. დიალოგის დიდი ნაწილი ბოლო მსახურებაზე ღვთის შეხებას მიეძღვნა. ვახშმის შემდეგ ფილმის ყურება გადავწყვიტეთ. ვიღაცას ერთი ძალზე პოპულარული ფილმის ვიდეო აღმოაჩნდა. ვფიქრობდი, რომ მთავარი როლის შემსრულებელი მართლაც ნიჭიერი ადამიანი იყო და ფილმის PG-13 რეიტინგის მიუხედავად ვთქვი, რომ მისი ნახვა მინდოდა.

დასაწყისშივე აჩვენეს მკვლელობის გრაფიკული სცენა. შევშფოთდი, მაგრამ ყურება გავაგრძელე. მართალია ფილმში მკვლელობა მეტად აღარ ყოფილა, მაგრამ იყო ბევრი ჩხუბი, სიძულვილი, რისხვა, ნაღველი და სიცრუე. მთელი ამ დროის განმავლობაში გულში განგაში მქონდა. დავიწყე ფიქრი, რომ ადრე ღვთიურ საგნებზე ვლაპარაკობდით, სიცოცხლესა და სინათლეს ვგრძნობდით, ახლა კი სიბნელეს გავუღეთ კარი. ვგრძნობდი, რომ უვარგისი მოწმე ვიყავი.

შემდეგ ჩემი ერთ-ერთი შვილი ოთახში ისეთ დროს შემოვიდა, როცა მსახიობმა მკვლელობა გაიხსენა. ბიჭი შეძრწუნდა. ოთახიდან გავარდა და უფროს ძმასთან ერთად ჩემს ცოლთან წავიდა (რომელმაც ფილმის დაწყებისთანავე დაგვტოვა) ნუგეშის მისაღებად. მას ვერ გაეგო, როგორ უყურებდა მამამისი ასეთ ფილმს. მან იკითხა: „დედა, ამ ფილმის რეიტინგი PG-13 თუ R-ია. რატომ უყურებს მამა?“

როცა ფილმი დასრულდა, ძალადობის შეგრძნება დამეუფლა. ვიცოდი, რომ სისულელე ჩავიდინე. წინამძღოლებს გამოვემშვიდობე და ეს მათთან უკანასკნელი შეხვედრა იყო იმ მოგზაურობის განმავლობაში. აი, ასე მივატოვე ისინი! ცოლს მოვუბოდიშე, როცა შვილის ნათქვამი გადმომცა. მეორე დღეს ბიჭებსაც მოვუბოდიშე და ვუთხარი, რა დიდად შევცდი. შევცოდე ღვთის, ცოლ-შვილისა და იმ წინამძღოლების წინაშე. მათ წყალობა გამოიჩინეს და დიდსულოვნად მაპატიეს, მაგრამ ამ საკითხზე მუშაობა კიდევ მოუხდათ.

სხვა ქალაქში ერთ ღვთისმოსავ წყვილს ვესტუმრეთ. ისინი ჩემი ახლობლები არიან. როცა 70-იანი წლების ბოლოს ზეციდან ვიშვი, ეს ადამიანები ჩემს ცხოვრებაში შემოვიდნენ და ჩემი მენტორები გახდნენ. კაცი პერდიუს უნივერსიტეტის მკვლევარი

იყო. მან ბევრი მოიყვანა უფალთან და სულიერ ზრდაში მრავალ მოწაფეს დაეხმარა. ამ ადამიანს უყვარდა ღვთის სამეფოს საქმეებზე ლაპარაკი. ჩემმა ბიჭმა ამ წყვილს უამბო, რა ფილმს უყურა მამამისმა პასტორის სახლში. მოგვიანებით ჩემმა ცოლმა მითხრა ამის შესახებ. ძალიან შემრცხვა და დავნაღვლიანდი, რომ ჩემმა მეგობრებმა გაიგეს, რა ჩავიდინე.

მაშინვე უფალს მივმართე ლოცვაში. ღმერთი ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე დამელაპარაკა და მაჩვენა, რომ ეს გამოსაფხიზლებელი ძახილი იყო. თუ ასე დამამწუხრა ამბავმა, რომ მორწმუნე წყვილმა ჩემი შეცდომის შესახებ შეიტყო, რას ვფიქრობდი მის რეაქციაზე, როცა სულიწმიდის ტაძარი – ჩემი თავი – ასეთ სიბნელეს დავუმორჩილე? ჩემი მწუხარება აღუწერელი იყო. მადლობა ღმერთს, რომ მწყალობელი და მადლით სავსეა თავის პატიებაში!

ერთი თვალისამხელი გამოცხადება

ღმერთმა ეს შემთხვევა გამოიყენა, რომ ჩემთვის ჭეშმარიტება ეჩვენებინა ქვეყნიერებისგან გამოყოფის პასუხისმგებლობაზე. მისმა გამოცხადებამ, როგორც ყოველთვის, ჩემი აზროვნება და ცხოვრების წესი შეცვალა. მოგვიანებით, იმ კვირაშივე ღმერთმა ლოტი, აბრაჰამის ძმისშვილი გამოიყენა იგივე ჭეშმარიტების ილუსტრაციისთვის.

ღმერთმა აბრაჰამს უთხრა, რომ დაეტოვებინა თავისი სამშობლო, ნათესავები და მამის სახლი, ხოლო მისგან დიდ ერს შექმნიდა და აკურთხებდა.

აბრაჰამი წავიდა და ძმისშვილი ლოტიც გაჰყვა. ამ ადამიანების წასვლა გადარჩენის პირველსახე იყო, ისევე როგორც, მოსესა და ისრაელის შემთხვევაში, რომლებიც ეგვიპტიდან გამოვიდნენ. აბრაჰამმა სახლი გამოცხადებით დატოვა, მაგრამ ლოტს ეს არ გაუკეთებია. აბრაჰამს მოსეს მსგავსი მოტივი ჰქონდა, ხოლო ლოტი უფრო ისრაელის ძეებს წააგავდა. ლოტის აბრაჰამთან ერთად გამოსვლის შედეგი გახდა ის, რომ ღვთის კურთხევაში შევიდა. ძალზედ მდიდარი იყო აბრამი ჯოგებითა და ოქრო-ვერცხლით (დაბ. 13:2), ხოლო ლოტსაც „რომელიც აბრამთან ერთად მგზავრობდა, ასევე ჰყავდა მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი და ჰქონდა კარვები“ (დაბ. 13:5). თუმცა იმ დროს,

როცა საკუთარი სარგებლის მომლოდინე ადამიანი ღვთის მაძიებელთან ერთად მიდის, კონფლიქტი წარმოიშობა, რადგან ხორცი ყოველთვის ეწინააღმდეგება სულს და საბოლოო ჯამში, მასთან ბრძოლას იწყებს. აქედან ვიგებთ, რომ „დავა ჰქონდათ ერთმანეთში აბრამისა და ლოტის მწყემსებს“ (დაბ. 13:7). ეძებდა რა ღვთის გულის სიამეს, აბრაჰამმა თავის ძმისშვილს უთხრა:

> „ნუ იქნება უთანხმოება ჩვენ შორის, ჩემსა და შენს მწყემსებს შორის, რადგან ძმები ვართ. განა მთელი ქვეყანა ჩვენ წინ არ არის? გავიყაროთ; თუ შენ მარცხნივ წახვალ, მე მარჯვნივ წავალ; ხოლო თუ მარჯვნივ წახვალ, მე მარცხნივ წავალ“ (დაბ. 13:8-9).

აბრაჰამის გული ღვთისკენ იწევდა. პირადი გამორჩენით დაინტერესება აღარ იყო მისი ცხოვრების მამოძრავებელი ძალა. მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, რას შესთავაზებდა ქვეყნიერება, რადგან „ეძებდა ქალაქს საფუძვლიანს, რომლის ხუროთმოძღვარი და მშენებელი ღმერთია“ (ებრ. 11:10). მისი მზერა მარადისობისკენ იყო მიპყრობილი. უკეთესი მიწის არჩევა აბრაჰამისთვის პრიორიტეტული არ გახლდათ. გადარჩენილები, რომლებიც ისრაელიანების მსგავსად ღვთისადმი სწრაფვას მოკლებული არიან, ქვეყნიერებაზე საკუთარი გამორჩენის ძებნას იწყებენ, რადგან მათი ჯილდო აქ არის. აბრაჰამმა ლოტს დაუთმო და პირველს მიანიჭა მიწის არჩევის უფლება.

> „აღაპყრო თვალები ლოტმა და დაინახა, რომ იორდანეს მთელი ტაფობი, ცოყარის მისადგომამდე კარგად ირწყვებოდა, როგორც უფლის ბაღი, როგორც ეგვიპტის მიწა. ეს იქამდე, ვიდრე უფალი სოდომსა და გომორას მოსპობდა. და აირჩია ლოტმა იორდანეს მთელი ტაფობი. დაიძრა ლოტი აღმოსავლეთისკენ და გაეყარა კაცი თავის ძმას“ (დაბ. 13:10-11).

ლოტის მიერ ამორჩეული მიწა მიმზიდველი იყო. ის აყვავებასა და კომფორტს ხედავდა, რომელიც დაბლობზე ელოდა. იმ ტერიტორიას კარგად იცნობდა, რადგან იქ ადრეც გაევლო (დაბ. 13:3). სავარაუდოდ, კარგად იცოდა, რომ „ბოროტნი იყვნენ

სოდომელები და ძალიან სცოდავდნენ უფლის წინაშე“ (დაბ. 13:13). შესაძლოა, იმ მიმართულებით მისი ხანგრძლივი მზერა ამით აიხსნებოდა. ვფიქრობ, აწონ-დაწონა სოდომის კურთხევა მისი თანმხლები ბოროტების წინააღმდეგ. თუმცა „კარგი ცხოვრების“ სწრაფვა მასში ძლიერად იყო ფესვგადგმული, ვიდრე უფლისკენ ლტოლვა, რომელიც აბრაჰამს ჰქონდა. ამიტომ ლოტმა იმ ქვეყნის ბოროტებაზე თვალი დახუჭა. ალბათ, დარწმუნებული იყო, რომ მას არაფერი შეეხებოდა.

ვფიქრობ, მან „სოდომამდე დასცა კარვები“, რომ გახრწნილი საზოგადოების ცენტრიდან შორს ყოფილიყო. ბევრ საქმეში სწორედ ისე იქცეოდა, როგორც თანამედროვე ქრისტიანები არიან. ისინი ასე ფიქრობენ: „ცოტათი ჩავერევი ქვეყნიურ სისტემაში, მისი არაწმიდა ნაწილებისგან მოშორებით ისე, რომ მათში არ ჩავერთო“.

ასეთი შეხედულება, სულ მცირე, უგუნურებაა! ქვეყნიერებას მიზიდულობის ძალა აქვს, რომლის შიგნით საცდური იმალება და თუ თქვენში არის რაიმე სახის ეგოისტური სარგებლის მიღების სურვილი, ისე ჩაგითრევთ, როგორც მაგნიტი, რომელიც ზოგიერთი სახის ლითონს იზიდავს, ხოლო სხვებს – არა. შესაძლოა, ლოტის განზრახვა კეთილშობილური იყო, როცა სოდომის ქალაქებისგან თავს შორს იჭერდა, მაგრამ მოგვიანებით ქალაქის გარეთ, კარავში ცხოვრება შეწყვიტა. ის სოდომის კარიბჭესთან დამკვიდრდა (დაბ. 19:1-3). ლოტი ქალაქმა მიიზიდა. დარწმუნებული ვარ, რომ იქამდე სარგებლის მიღებამ მიიყვანა, თუმცა ახალი აღთქმის მიხედვით, ურჯულოთა ბინძური ქცევის შემყურე მისი მართალი სული იტანჯებოდა: „ეს მართალი კაცი, რაკი მათ შორის ცხოვრობდა, დღითი დღე იტანჯებოდა თავისი მართალი სულით, რაკი ხედავდა და ისმენდა მათ უკანონო საქმეებს“ (2 პეტრ. 2:8).

არასოდეს დამავიწყდება, რა გამიმხილა ღმერთმა იმ კვირას. სიტყვები „ხედავდა და ისმენდა“, ასევე „უკანონო საქმეები“ განსაკუთრებით მომხვდა გულზე. ლოტი ხედავდა და ისმენდა მათი უკანონო საქმეების შესახებ და ამით თავის მართალ სულს ტანჯავდა. შეიძლება იფიქროთ: *„ყოველდღე მესმის ურჯულოების შესახებ. ვხედავ და მესმის სამსახურში, სკოლაში, საჯარო სივრცეში. როგორ შეიძლება არ გაიტანჯოს ჩემი სული?“* უფალმა გასაღები მომაწოდა. როცა სამსახურში,

სკოლაში ან ნებისმიერ სხვა ადგილას მიდიხართ ყოველდღიური საქმიანობისთვის, ეს თქვენი მისიონერული ასპარეზია. ღმერთი სინათლედ გგზავნით ბნელ ადგილებში. იქ ადამიანებს აღმდგარი იესოს ძალაზე დაუმოწმებთ, რომლებიც სხვა გზით ვერასოდეს მოხვდებოდნენ სახარებისეულ შეკრებაზე. მაშინ მათი ურჯულო საქმეების გამო ადამიანის სული არ გაიტანჯება.

ლოტი, პირიქით, ურწმუნოებთან ახლოს ცხოვრებას ირჩევდა საკუთარი სარგებლის ან სიამოვნების მისაღებად. როცა თქვენ, მორწმუნე, ისეთი ვიდეოფილმის ნახვას გადანყვეტთ, რომელშიც უმართლობა უხვადაა ან ქვეყნიერების სულით გაჟღენთილ ჟურნალს კითხულობთ ან დასვენების ან გართობის ადგილებში წასვლას აპირებთ, სადაც ურჯულოება ყვავის, თქვენ მართალი სულის ტანჯვას არჩევთ. ამაზე უარესი ის გახლავთ, რომ ამით საკუთარ თავს უფლის მთასთან მიახლოების პრივილეგიას ართმევთ.

სად ვიპოვით მოსვენებას ჩვენი სულისთვის?

შეიძლება გააპროტესტოთ: „იესოს ხომ შეეძლო ცოდვილებთან ჭამა?“ დიახ, მართალია. ის შეკრებებზე დადიოდა ცოდვილების მოსაქცევად, რაც ჩვენც უნდა ვაკეთოთ. ის იქ გასართობად ან დასასვენებლად არ მიდიოდა. შესაძლოა, იკითხოთ: „მაშ, სად უნდა წავიდეს მორწმუნე დასასვენებლად?“ იესო უდაბურ ადგილებში მიდიოდა (მარკ. 6:31).

ეს ნიშნავს ადგილს, რომელიც ქვეყნიურ სისტემას მოშორებულია. ადრე ჩემი საყვარელი დასასვენებელი ადგილი სანაპირო ზოლი იყო. ახლა წყნარ სანაპიროს ვერსად ვპოულობ. ადამიანთა უმეტესობა იქ მხოლოდ ქვედა საცვლის ანაბარა დარბის (საინტერესოა, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა 1940-იან წლების საზოგადოებაზე თანამედროვე მჭიდროდ მომდგარი საცურაო კოსტიუმები. ამის ხილვა კონსერვატულ მორწმუნეებს ელდას მოგვრიდა. არავითარ შემთხვევაში არ ვცდილობ ლეგალისტობას ან ძველმოდურობას, მაგრამ მინდა გავიგო, ქვეყნიერებას სუბკულტურის სახით იმაზე მეტად ხომ არ ვუკავშირდებით, ვიდრე გვგონია?). ახლა სანაპიროს ნაცვლად მთებში, ხშირ ტყეში ან ტბებზე მივდივარ. ამ ადგილებში ვისვენებ ქვეყნიერების ამაოებისგან და ნამდვილად ვამშვიდებ ჩემს სულს.

რატომ ხდება, რომ ზოგიერთ მორწმუნეს მაინცდამაინც იმ ადგილას უნდა დასვენება და სიმშვიდის ძიება, სადაც ყველაზე მკაფიოდ ჩანს ქვეყნიერების მანერები და ქცევის ნიმუშები? ღვთის თანდასწრებისგან გაქცევით გვინდა სიმშვიდის მოპოვება თუ თავს ვიწყნარებთ, რომ უფლის მშვიდი თანდასწრებით ვისიამოვნოთ? შესაძლოა, ვერ გავაცნობიერეთ, რომ მისი თანდასწრების აღთქმა ქვეყნიერებისგან გამოყოფილ და მასთან მიახლოებულ ადამიანებს ელოდება?[1]

1. ამ თავის ზოგიერთი შენიშვნა შთამაგონა დევიდ უ. ბერკოტის წიგნის `Will the Real Heretics Please Stand Up?` მე-3 და მე-4 თავებმა (Tyler, TX.: Scroll Publishing, 1989).

MessengerX

თქვენი აპლიკაცია ყოველდღიური დამოწაფებისათვის

სრულიად უსასყიდლოდ!

უბრალოდ ჩამოტვირთეთ
პორტატული მოწყობილობაზე
და დაიწყეთ!
ან ისარგებლედ ვებრესურსებით:

MessengerX.com

130+ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲢᲘᲐ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ

იხილეთ და ჩამოტვირთეთ თარგმნილი მასალა 130-ზე მეტ ენაზე

რესურსები მეგობრებს გაუზიარეთ და სასწავლო ჯგუფები შექმენით.

მუდმივად ემატება ახალი მასალები

უყურეთ! წაიკითხეთ! უსმინეთ!

აღმოაჩინეთ მდიდარი ბიბლიოთეკა: სასწავლო პროგრამები, ელექტრონული და აუდიო-წიგნები, მოკლემეტრაჟიანი ფილმები და მრავალი სხვა.



იპოვე ყველაზე მნიშვნელოვანი

იპოვე შემდეგი თემები: ოჯახური დინამიკა, ჯანსაღი ურთიერთობები, ცხოვრებისეული მიზნის პოვნა, პონაგრაფიისაგან თავისუფალი ცხოვრება, რწმენის ზრდის საშუალებები, ღმერთის ხმის მოსმენა, წინამძღოლობა ბიზნესში და მრავალი სხვა.

ზრდის ხელშემწყობი მოგზაურობა

MessengerX.com - **მზადაა დაგეხმაროთ მომდევნო ნაბიჯების გადადგმაში. ამრიგად, ჩვენ დავამუშავეთ დამოწაფების მოგზაურობა მძლავრი ინსტრუმენტების გამოყენებით სწორი მიმართულების შესანარჩუნებლად.**

ყოველდღიური მოზიარეობა

უყურე, წაიკითხე ან მოუსმინე მოკლე და ძლიერ სულიერ სწავლებებს, რომლებიც დაგეხმარება შენი მოწოდების აღმოჩენაში და ღმერთთან ყოველდღიურად უფრო და უფრო დაახლოვებაში.

შესანიშნავი ფუნქციები, რომლებიც მოგეწონებათ!

- მარტივი და ადვილად გასაზიარებელი ინსტრუმენტები სიტყვის გასავრცელებლად.
- Chromecast და AirPlay თქვენს რჩეულ სმარტ-ტელევიზორზე.
- შეინახეთ ადრე წარმოებული მოქმედებები ნებისმიერ მოწყობილობაზე. რჩეულები შეინახეთ ბიბლიოთეკაში ადვილი წვდომისათვის.
- ჩამოტვირთედ საკუთარი მოწყობილობაში კავშირის არქონის დროს დასათთვარიელებლად.
- მძლავრი საძიებო სისტემა და ფილტრაცია სასურველის საპოვნელად.
- აუდიო წიგნების თანმიმდევრულ თავებზე ავტომატურად გადასვლა, აუდიო ბიბლია და ქება-თაყვანისცემა თქვენს ენაზე.

MessengerX - ადვილია, როგორც 1-2-3!



1 ჩამოტვირთეთ **MessengerX** -ის აპლიკაცია App Store - დან ან Google Play - დან

2 შექმენით ანგარიში და გადაიყვანეთ თქვენს ენაზე.

3 დაათვარიელეთ, წაიკითხეთ, უყურეთ, მოუსმინეთ, ჩამოტვირთეთ და გააზიარეთ სასურველი რესურსები.

იყავი დამოწაფეებული და დაიმოწაფე სხვები!

თქვენ, როგორც **MessengerX**-ის ნაწილი, თარგმნილ რესურსებს მთელ მსოფლიოს გაუზიარებთ.

რადგან ყველა იმსახურებს ცოდნას!

MessengerX.com

ჩამოტვირთეთ: App Store

იხილეთ: Google Play

ხელმისაწვდომია ყველა ბრაუზერზე

თავი 9

გადამრჩენელი მადლი

მადლი აღიწერება როგორც ურჯულოებისა და ამქვეყნიური სურვილებისგან თავისუფალი ცხოვრების უნარი. ეს ღვთის წინაშე წმიდად ცხოვრების ძალის არსი გახლავთ.

ძველი აღთქმა, ცხადია, არ შეიცავს ყავლგასულ წერილებს. პირიქით, იესო ამბობს: „არ იფიქროთ, თითქოს რჯულის ან წინასწარმეტყველთა გასაუქმებლად მოვედი. გასაუქმებლად კი არა, აღსასრულებლად მოვედი“ (მათ. 5:17). როგორ გავიგებთ წერილების გააზრების გარეშე, რა შეასრულა მან და ამჟამად ასრულებს თუ არა.

ახლა, როცა წარმოდგენა შეგვექმნა, რომ ძველი აღთქმიდანაა ღვთის სურვილი თავის ერში დამკვიდრების შესახებ, დავუბრუნდეთ ახალი აღთქმის იმ ადგილს, სადაც პავლე ხსენებულ აზრს ციტირებს:

> „ნუ შეებმებით ურწმუნოებთან უცხო უღელში. რადგან რა აქვს საერთო სიმართლეს ურჯულოებასთან? რა აქვს საერთო ნათელს წყვდიადთან? რა შეთანხმება აქვს ქრისტეს ბელიართან? ან რა წილი აქვს მორწმუნეს ურწმუნოსთან?

> რა კავშირი აქვს ღვთის ტაძარს კერპებთან? რადგან თქვენ ცოცხალი ღვთის ტაძარი ხართ, როგორც თქვა ღმერთმა:
>
> „დავმკვიდრდები და
> ვივლი თქვენ შორის და
> ვიქნები თქვენი ღმერთი და
> იქნებით ჩემი ხალხი“ (2 კორ. 6:14-16).

ღმერთი სამ განცალკევებულ აღთქმას იძლევა. პირველ რიგში, ის ჩვენთან დამკვიდრდება და ჩვენ შორის ივლის. მეორე, ის ჩვენი ღმერთი იქნება. მესამე, ჩვენ მისი ერი ვიქნებით. ეს მისი დაპირებებია, რომლებიც პირველად ახალ აღთქმაში არ თქმულა. პავლე მხოლოდ იმას იმეორებს, რაც უფალმა არაერთხელ გაუმეორა ისრაელს. ჩვენ მიმართ მისი სურვილები არ შეცვლილა. ერთხელ ისრაელს ზუსტად ასე უთხრა: „ვივლი თქვენ შორის და ვიქნები თქვენი ღმერთი და იქნებით ჩემი ხალხი“ (ლევ. 26:12). ასეთი იყო მისი სურვილი დასაწყისიდანვე. როგორც გავიგეთ, ჩვენში დამკვიდრების სურვილზე თავის დიდებაში გააცხადა. სულიწმიდა პავლე მოციქულის მეშვეობით იგივეს გადასცემს ახალი აღთქმის მორწმუნეებს:

> „ამიტომ გამოდით მათგან და
> გამოეყავით! - ამბობს უფალი - უწმიდურს
> ნუ მიეკარებით და მე მიგიღებთ თქვენ.
> ვიქნები თქვენთვის მამა, და თქვენ
> იქნებით ჩემთვის ძენი და
> ასულნი - ამბობს უფალი
> ყოვლისმპყრობელი“ (2 კორ. 6:17-18).

პირობები არაფრით გამოირჩევა იმისგან, რაც მოსესა და ისრაელის ძეების შემთხვევაში იყო. ქვეყნიერების სისტემას უნდა ჩამოვშორდეთ. თუ უფალს დავემორჩილებით, მიგვიღებს და თავს გაგვიცხადებს. თუ ამას არ გავაკეთებთ, ჩვენი ხვედრი ებრაელებისაზე უარესი იქნება. ღმერთმა მოსეს ხალხის გაწმედა დაავალა. მისთვის გამოყოფა ერს ღვთის დიდების დანახვის საშუალებას მისცემდა. ჩვენც ზუსტად ასეთი მითითება გვაქვს გამოყოფის შესახებ. პარაფრაზირებით ღმერთი ამბობს:

„ქვეყნიერებისგან დაგიხსენით. ახლა ქვეყნიერება თქვენგან ამოიგდეთ!“ მორჩილება მისი დიდებისთვის გაგვამზადებს.

მოსეს მითითება მიეცა, რომ ისრაელიანები „სამოსის გასარეცხად“ მოემზადებინა. მათ თავად უნდა მოეშორებინათ ეგვიპტის ჭუჭყი, ხოლო ჩვენ გვეუბნებიან: „ამიტომ, ჩემო საყვარელნო, როცა ასეთი აღთქმანი გვაქვს, განვიწმიდოთ ხორცისა და სულის ყოველგვარი სიბილწისგან და ღვთის მოშიშებით აღვასრულოთ სიწმიდე“ (2 კორ. 7:1).

სიწმიდე უნდა აღვასრულოთ და ხორცისა და სულის ყოველგვარი მანკი მოვიშოროთ. ისრაელის მსგავსად უნდა ჩამოვიბანოთ ქვეყნიერების ჭუჭყი. პავლე არ ამბობს: „ღმერთი გაგწმედთ ყოველგვარი სიბილწისგან“ ან „იესოს სისხლი იზრუნებს თქვენს განწმედაზე“. აზრი უფრო ნათელია დედანში. ბერძნული სიტყვა „აღსრულება“ გახლავთ *epiteleo*. თაიერის ბერძნული ლექსიკონი სიტყვას ასე განმარტავს: „პასუხისმგებლობის აღება დასრულებაზე, მიღწევაზე, სრულყოფაზე, აღსრულებაზე“. ეს ჩვენ გვადებს პასუხისმგებლობას განწმედის დაწყებასა და დასრულებაზე.

რასაკვირველია, ამას ღვთის მადლის გარეშე ვერასოდეს შევძლებდით, რადგან მადლი ღვთისგან ბოძებული ნიჭია იმის საკეთებლად, რასაც ჭეშმარიტება მოითხოვს. ეს ღვთის სიტყვის დამორჩილების ძალას გვაძლევს. ეს ხსნის, თუ რატომ ამბობს პავლე:

> „ჩვენ, როგორც თანამშრომელნი, შეგაგონებთ, რომ ფუჭად არ მიიღოთ ღვთის მადლი“ (2 კორ. 6:1).

რაღაცის ამაოდ მიღება ნიშნავს, რომ არ გამოიყენო მისი პოტენციალი. დავუშვათ, ვულკანთან ახლოს ვცხოვრობ. გამოცხადდა, რომ ის მომდევნო ოცდაოთხ საათში ამოიფრქვევა. გადაადგილების საშუალების გარეშე დავიღუპები. ოცდაოთხ საათში ფეხით მთას საკმარისი მანძილით ვერ მოვშორდები. ავტომობილის გარეშე განწირული ვარ. ჩემი გაჭირვების შემყურე გულუხვი და მოსიყვარულე კაცი კარზე მიკაკუნებს, მანქანას მაძლევს, ხელში გასაღებს მიდებს და ამბობს: „მანქანა შენია. ახლა გადარჩენილი ხარ“.

მიხარია, რომ გადამარჩინეს. მანქანის ყიდვას ვერ შევძლებდი, რადგან ჯიბეში პენიც არ მეგდო. ამ ადამიანმა უსასყიდლოდ მაჩუქა ავტომობილი, რომელიც უსაფრთხო ადგილას გამიყვანს.

მეგობრებს ვურეკავ და აღფრთოვანებით ვეუბნები: „გადამარჩინეს! არ მოვკვდები! ერთმა თანაგრძნობით სავსე ადამიანმა მანქანა მაჩუქა, რომ ამ კატასტროფას თავი დავაღწიო. განა ეს საოცარი არ არის?!“ შემდეგ რუკას ვიღებ და წიგნსაც ვყიდულობ, რომელიც მანქანის უფრო ოსტატურად მართვას შემაძლებინებს.

თუმცა მომდევნო 24 საათის განმავლობაში ისევ სახლში ვრჩები. მანქანაში ჩაჯდომას ვერ ვასწრებ, რომ თავისუფლება მოვიპოვო. ვულკანი ამოიფრქვა და დაღუპვისკენ მივექანები. საჩუქარი, რომელსაც თავისუფლებაზე უნდა გამოვეყვანე, ამაო გამოდგა, ვინაიდან მისით ვხარობდი და არაფერი მოვიმოქმედე. ამის შემდეგ, ვინც ჩემი მდგომარეობის შესახებ შეიტყო, თქვა: „ტყუილად მიიღო ავტომობილი!“

ზუსტად ასევე, ღვთის მადლის ამაოდ მიღება ნიშნავს, რომ მან მოგვცა ქვეყნიერების საცდურებისგან თავის დაღწევის ძალა, მაგრამ ჩვენ ის უგულებელვყავით.

არაბიბლიური მადლი

თანამედროვე ეკლესიაში მაცდური შეხედულება არსებობს. ის მადლის დაუბალანსებელი სწავლებით იქნა ჩაფიქრებული და გავრცელებული. ხშირად მადლი განიხილება როგორც გამამართლებელი მიზეზი ან ხორციელობით სავსე ცხოვრების საფარი. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ის ეგოისტური, ქვეყნიური ცხოვრების სტილის გასამართლებლად გამოიყენება. ბევრი ქრისტიანული ჯგუფი ხაზგასმით აღნიშნავს ღვთის მადლს და ამავდროულად უგულებელყოფს მის სიწმიდესა და სამართლიანობას. ამ უკიდურესად მარცხენა მხარეს გადაადგილებამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ მრავალს ღვთის მადლზე დამახინჯებული წარმოდგენა შეექმნა. ამის გამო ბევრმა ამაოდ მიიღო ის. ეს უბრალო საფარი როდია. დიახ, ის ყველაფერს მოიცავს, მაგრამ საზღვრებს არ ცდება: ის მორჩილებით ცხოვრების შესაძლებლობას და ძალას გვაძლევს. მთაზე ქადაგებისას იესო (მათ. 5) ამ სიტყვებს იმეორებს: „გსმენიათ, რომ ძველ ხალხს ეთქვათ ... მე კი გეუბნებით თქვენ“ (მმ.

21-22). ეს ნიმუში კიდევ ოთხჯერ მეორდება ამ თავის ბოლოს (მმ. 27-28, 31-32, 33-34, 43-44). რას აკეთებს იგი? იესო მოსეს რჯულის მოთხოვნების ციტირებას ახდენს: „გსმენიათ, რომ თქმულა ...“ შემდეგ წარმოადგენს, თუ რას ითხოვს ღმერთი მორწმუნისგან ახალ აღთქმაში: „მე კი გეუბნებით ...“. იგი მოსეს რჯულს მადლითა და ჭეშმარიტებით უპირისპირდება.

იოანე ამბობს: „ვინაიდან რჯული მოსეს მეშვეობით მოგვეცა, ხოლო მადლი და ჭეშმარიტება იესო ქრისტეს მეშვეობით გამოჩნდა“ (იოან. 1:17). იესოს მადლის განზომილება შემოყავს, რომელიც ღვთიურ ძალას გვანიჭებს და კანონის მკვდარი ფორმულისგან გვათავისუფლებს. რჯული გარეგნული შეზღუდვაა, ხოლო მადლი – შინაგანი გარდაქმნა.

ხშირად მესმის მორწმუნეებისა და მსახურების წუწუნი რჯულის მკაცრ მოთხოვნებზე, ხოლო შემდეგ შვებას გამოხატავენ, რომ მადლის ქვეშ არიან და ამ მკაცრი ცხოვრების წესისგან გათავისუფლდნენ. რა გაეწყობა! მეც დიდად ვხარობ, რომ რჯულის ქვეშ არ ვარ, თუმცა ეს სულ სხვა მიზეზის გამო ხდება. ღვთიური სიწმიდის სტანდარტი უფრო რბილი როდია. სწორედ რომ პირიქითაა! აღმოვაჩინე, რომ მისი სტანდარტი მადლის ქვეშ კიდევ უფრო ამაღლდა!

მოდი, ჩავუღრმავდეთ იესოს მიერ მოყვანილ შედარებას მთაზე ქადაგებაში:

> „გსმენიათ, რომ ძველ ხალხს ეთქვათ: არა კაც კლა! ვინც მოკლავს, მსჯავრდადებული იქნება. მე კი გეუბნებით თქვენ, რომ ყოველი, ვინც თავის ძმას უმიზეზოდ განურისხდება, სამსჯავროს თანამდები იქნება; ვინც თავის ძმას ეტყვის – რაკა, სინედრიონის თანამდები იქნება; ხოლო, ვინც ეტყვის სულელო, ცეცხლის გეენას თანამდები იქნება“ (მათ. 5:21-22).

სიტყვა „რაკა“ „თავგამოცარიელებულს“ ნიშნავს. ეს დამცინავი ტერმინი იყო და ქრისტეს დროს ებრაელებს შორის ხშირად გამოიყენებოდა. თუ რისხვა იმ დონეს აღწევდა, რომ ადამიანი ძმას „თავცარიელს“ დაუძახებდა, იესოს სიტყვისამებრ, მას ცეცხლის გეენაში მოხვედრის საშიშროება ემუქრებოდა. სიტყვა „სულელი“ უფრო „უღმერთოს“ ნიშნავდა. მაგალითად:

„თქვა უგუნურმა თავის გულში: „არ არის ღმერთი“ (ფს. 14:1). ძმისთვის სულელის დაძახება სერიოზულ ბრალდებას წარმოადგენდა. მსგავსს არავინ იტყოდა, სანამ სიბრაზე სიძულვილში არ გადაიზრდებოდა. სხვისთვის „რაკას“ ან „სულელის (უგუნურის)“ დაძახება იგივეა, თითქოს ეთქვას: „ვერ გიტან“ და ეს მართალია.

ძველ აღთქმაში ადამიანი მკვლელობაში დამნაშავე ხდებოდა, როცა ვინმეს სიცოცხლეს გამოასალმებდა. ახალ აღთქმაში, ღმერთი ძმისადმი სიძულვილს მადლის კონტექსტში მძიმე მკვლელობას უტოლებს. „ყოველი, ვისაც სძულს თავისი ძმა, კაცისმკვლელია; ხოლო თქვენ იცით, რომ არც ერთ კაცისმკვლელს არა აქვს საუკუნო სიცოცხლე, რომელიც მასში მკვიდრობს“ (1 იოან. 3:15).

რჯულის მიხედვით, ადამიანი მკვლელობაში რომ დაედანაშაულებინათ, მას ვინმესთვის დანა უნდა ჩაერტყა. მადლის მიხედვით, თუ სხვას პატიებაზე უარს ეუბნებით ან წინასწარ შექმნილ აზრს ან სიძულვილის რაიმე ფორმას გულის მართვის უფლებას აძლევთ, ჩანს, რომ ღვთის მადლი თქვენში არ მკვიდრობს ან ის უგულებელყავით, როგორც ამაო. ამრიგად, იესო მადლს უფრო „დამფარავის“ ფუნქციით გვაწვდის თუ ღვთიურ ძალად გვიცხადებს, რომელიც წმიდად ცხოვრების უნარს გვაძლევს? აი, კიდევ ერთი შედარება:

> „გსმენიათ, რომ თქმულა: არ იმრუშო! მე კი გეუბნებით, რომ ყველა, ვინც ქალს გულისთქმით უყურებს, უკვე იმრუშა მასთან თავის გულში“ (მათ. 5:27-28).

ძველი აღთქმის ფარგლებში განაჩენი გამოჰქონდათ, როცა მრუშობის აქტი ხდებოდა. ამისგან განსხვავებით, ახალ აღთქმაში ღმერთი მამაკაცს დამნაშავეს უწოდებს, როცა ქალს გულისთქმით უყურებს. რჯულის მიხედვით, ეს ცოდვა ფიზიკურად უნდა ჩაგედინათ, მაგრამ ახალი აღთქმის მადლის ეპოქაში თუ მრუშობის ჩადენა მოგინდათ, საკმარისია, მოისურვოთ! ნუთუ ეს ჰგავს იმ მადლს, რომლითაც ვცხოვრობდით და რასაც ამერიკაში გვასწავლიდნენ? ეს დიდ და საიმედო საფარველს ჰგავს თუ ღვთისგან ბოძებულ უნარს წმიდა ცხოვრებისთვის?

თუ მადლი უბრალო საფარველია, მაშინ იესო იგივე მადლს ეწინააღმდეგება, რომლის მოსაცემადაც მოვიდა. თუმცა ეს ასე არ გახლავთ: „ვინაიდან გამოჩნდა ღვთის მადლი, რომელიც ყველა ადამიანის მხსნელია, რომელიც გვასწავლის, რომ უარვყოთ უღმერთობა და ამქვეყნიური გულისთქმანი, და გონივრულად, სიმართლითა და ღვთისმოსაობით ვიცხოვროთ ამ წუთისოფელში“ (ტიტ. 2:11-12). მადლი გამოიხატება, როგორც უღვთოობისა და ამქვეყნიური გულისთქმებისგან თავისუფალი ცხოვრების უნარი. ეს გახლავთ ძალის არსი, რომელიც ღვთის წინაშე წმიდად დგომის საშუალებას გვაძლევს.

ებრაელთა მიმართ წერილის ავტორი მოგვიწოდებს: „ამიტომ ჩვენ, ვინც შეუძრავ სამეფოს ვღებულობთ, გამოვიჩინოთ მადლიერება, რომლითაც ვემსახურებით ღმერთს სათნოდ, მოწიწებითა და მოშიშებით“ (ებრ. 12:28). კიდევ ვიმეორებთ, რომ მადლი არ განიმარტება როგორც ცოდვის დაფარვის საშუალება, არამედ ძალა, რომელიც ღვთის ღირსეულად მსახურების საშუალებას იძლევა. ამაოდ მიღებული მადლი გულის გარდაუვალ ცვლილებას იწვევს ქვეყნიერების სიბილწეების მიმართულებით. ამიტომ სიწმიდის ნაყოფი ჩვენი გადარჩენის მტკიცებულებაა.

საქმეებით გადარჩენა

ზოგიერთები საპირისპირო აზრს გამოთქვამენ: „ბიბლია ხომ ამბობს: „მადლით ხართ გადარჩენილი, რწმენის მეშვეობით. არა საქმეებით; და ეს ღვთის ნიჭია“ (ეფეს. 2:8-9 *ავტორის პარაფრაზირება)?*

დიახ, ეს მართლაც ასეა. შეუძლებელია ღვთის სამეფოს მემკვიდრეობის შესაფერისი ცხოვრების საკუთარი ძალებით გავლა, რადგან ყველამ შესცოდა და ვერ მიაღწია ღვთის სიმართლის სტანდარტს. ვერავინ და ვერასოდეს შეძლებს ღვთის წინაშე წარდგომას და გამოცხადებას, რომ საქმეები, ქველმოქმედება ან ღვთისმოსაობით ცხოვრება ღვთის სამეფოს დამკვიდრების უფლებას აძლევს. ყველამ შევცოდეთ და ცეცხლის ტბას ვიმსახურებდით.

ჩვენს ნაკლოვანებებზე ღვთის პასუხია გადარჩენის ნიჭი მისი მადლის მეშვეობით. საჩუქრის გამომუშავება შეუძლებელია.

რომ. 4:4 ამბობს: „საქმის აღმსრულებელს საზღაური ჩაეთვლება არა მადლის, არამედ ვალდებულების მიხედვით“. თქვენ მიერ განვლილი ცხოვრება ვერასოდეს იქნება საკმარისად კარგი, რომ დამსახურებად ჩაგეთვალოთ ან მისი ყიდვა შეძლოთ. მთელი ცხოვრება მსხვერპლად რომ გაიღოთ და კეთილი საქმეებით აივსოთ, ამ მადლს მაინც ვერ დაიმსახურებთ. ეს არის უსასყიდლო ნიჭი და მას იესო ქრისტეს რწმენით იღებთ.

მოდი, დავასრულოთ სწავლება და შუა გზაზე არ გავჩერდეთ. გავიხსენოთ ჩვენი მაგალითი ადამიანზე, რომელსაც ვულკანი ემუქრება: ავტომობილი ნაჩუქარია. მისი ყიდვა შეუძლებელი იყო; ჩვენს გმირს საამისო ფული არ ჰქონდა. თუმცა მისი მიღებისთანავე საჩუქრის პოტენციალი უნდა გამოეყენებინა. მას მოქმედება ანუ ტერიტორიის დატოვება გადაარჩენდა. ამის მიუხედავად, თავის მადლს ვერავინ იყიდის. ეს უსასყიდლოდ მოგვეცა და მისი გამომუშავება არ შეგვიძლია. და მაინც, მისი პოტენციალი უნდა გამოვიყენოთ.

აი, ამიტომ უცხადებს იაკობი მორწმუნეებს გაბედულად: „ასევეა რწმენაც - თუ საქმენი არ გააჩნია, თავისთავად მკვდარია“ (იაკ. 2:17). იაკობი პავლეს არ ეწინააღმდეგება. ის ავსებს ანუ აზუსტებს პავლეს წერილს. იაკობი მიუთითებს იმაზე, რაც არ გააკეთა ჩვენმა ზემოხსენებულმა მეგობარმა – არ ჩაჯდა მანქანაში და არ წავიდა ანუ მადლი შესაბამისი საქმეების გარეშე არაეფექტურია და მიმღებისთვის ამაო აღმოჩნდა.

ის განაგრძობს: „მაგრამ ვინმე იტყვის: „შენ გაქვს რწმენა, მე კი მაქვს საქმენი“. მაჩვენე შენი რწმენა საქმეთა გარეშე და გაჩვენებ ჩემს რწმენას ჩემს საქმეთაგან“ (იაკ. 2:18). იაკობი ამტკიცებს, რომ სიწმიდეში ცხოვრება მტკიცებულებაა, რომ ადამიანმა ღვთიური მადლის ნიჭი მიიღო რწმენით. მადლი, შესაბამისად, დამორჩილების სურვილსა და უნარს იძლევა. აი, რატომ ამბობს პავლე: „სარწმუნოა ეს სიტყვა და მსურს, რომ მტკიცედ ილაპარაკო ამაზე, რათა ღვთის მორწმუნენი გულმოდგინედ ცდილობდნენ კეთილი საქმეების კეთებას; ეს კარგი და სასარგებლოა ადამიანთათვის“ (ტიტ.3:8).

იაკობი ხაზს უსვამს: „ხომ ხედავთ, საქმით მართლდება კაცი და არა მხოლოდ რწმენით“ (იაკ. 2:24). ო, როგორი განაცხადია! გავბედავ მტკიცებას, რომ ბიბლიაში ამ მუხლის არსებობაზე მცირემ თუ იცის ევანგელური და ხარიზმატული ეკლესიებიდან.

გარკვეული დროის წინ ქადაგება ამ მუხლის გამოკვეთით დავიწყე. მისი წაკითხვის შემდეგ დარბაზში სიჩუმემ დაისადგურა. ადამიანები იმდენად იყვნენ მიჩვეულნი ქადაგებებს, სადაც საქმეებზე არ იყო ლაპარაკი, რომ ნათქვამიდან აზრის გაგებას რამდენიმე წამი დასჭირდა. რასაკვირველია, შემდეგ მუხლი კონტექსტში წავიკითხე, მაგრამ მათი გულები უკვე გახსნილი იყო, ხოლო ყურადღება – გამახვილებული. იაკობი ამ აზრს აბრაჰამის, რწმენის მამის მაგალითით ამყარებს:

> „განა მამაჩვენი აბრაჰამი, საქმით არ გამართლდა, როცა თავის ძეს ისაკს სამსხვერპლოზე სწირავდა? ხედავ, რწმენა მოქმედებდა მის საქმეებთან ერთად. საქმეებით კი სრული შეიქმნა რწმენა; და აღსრულდა წერილი, რომელიც ამბობს: „ერწმუნა აბრაჰამი უფალს, ეს სიმართლედ ჩაეთვალა მას და ეწოდა ღვთის მეგობარი“ (იაკ. 2:21-23)

რას ეძებს იესო ჩვენში?

არცთუ დიდი ხნის წინ, ლოცვისას უფალმა განცხადებები გააკეთა, რომლებიც იმდენად უპირისპირდებოდა ჩვენს ეკლესიებში ნასწავლს, რომ გაოგნებული დავრჩი. ერთხანს, შევფიქრიანდი კიდეც, იყო თუ არა ღვთისგან, მაგრამ წერილში ამოვიცანი, რაზე მელაპარაკებოდა.

სანამ ამ მტკიცებულებებს გაგიზიარებდეთ, საკითხის არსი უნდა აღვწერო. გამოცხადების წიგნის დასაწყისში მოცემულია გზავნილი შვიდი სხვადასხვა ეკლესიისთვის. ეს ისტორიულად არსებული ეკლესიები გახლავთ, მაგრამ სიტყვა წინასწარმეტყველური რომ არ იყოს, ღმერთი წმიდა წერილში არ ჩართავდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს მიმართვა დღესაც აქტუალურია.

პირველი მტკიცებულება, რომელიც უფალმა ლოცვაში მომცა. ასეთი იყო:

– ჯონ, შეამჩნიე, რომ ჩემი პირიდან გამოსული გამოცხადების წიგნის შვიდივე ეკლესიას უწყება შემდეგი სიტყვებით იწყებოდა: „ვიცი შენი საქმეები“?

- *პირველი ეკლესია*: ეფესოს ეკლესიის ანგელოზს მისწერე … „ვიცი შენი საქმეები“ (გამოცხ. 2:1-2).
- *მეორე ეკლესია*: სმირნის ეკლესიის ანგელოზს მისწერე … „ვიცი შენი საქმეები“ (გამოცხ. 2:8-9).

- *მესამე ეკლესია*: პერგამოს ეკლესიის ანგელოზს მისწერე … „ვიცი შენი საქმეები“ (გამოცხ. 2:12-13).
- *მეოთხე ეკლესია*: თიატირის ეკლესიის ანგელოზს მისწერე … „ვიცი შენი საქმეები“ (გამოცხ. 2:18-19).
- *მეხუთე ეკლესია*: სარდის ეკლესიის ანგელოზს მისწერე … „ვიცი შენი საქმეები“ (გამოცხ. 3:1).
- *მეექვსე ეკლესია*: ფილადელფიის ეკლესიის ანგელოზს მისწერე … „ვიცი შენი საქმეები“ (გამოცხ. 3:7-8).
- *მეშვიდე ეკლესია:* ლაოდიკიის ეკლესიის ანგელოზს მისწერე … „ვიცი შენი საქმეები“ (გამოცხ. 3:14-15).

„ვიცი შენი საქმეები“ იყო პირველი სიტყვები, რომლებიც ყველა იმ ეკლესიას უთხრა. ვიფიქრე: როგორ დავშორდით იმ აზრს, რაზეც მან აქცენტი გააკეთა და რასაც ჩვენში ეძებს? ამას რომ ვიაზრებდი, გავიგონე, როგორ წარმოთქვა უფალმა მეორე მტკიცებულება, რომელმაც განსაკუთრებულად გამაოგნა:

– ჯონ, შეამჩნიე თუ არა, რომ არავისთვის მითქვამს, „ვიცი თქვენი გული“?

მაშინ გავიფიქრე, რამდენჯერ ვიჯექი კონსულტაციაზე მორწმუნესთან, რომელიც გარყვნილ ან ქვეყნიური ცხოვრების წესს მისდევდა და თან მტკიცე დამაჯერებლობით ამბობდა: „ღმერთმა იცის ჩემი გული!“

იესო ჩვენს განზრახვებს, სურვილებსა და სიმართლის ცოდნას კი არ უყურებს, არამედ საქმეებს. ვაძლევთ თუ არა ღვთის მადლს ჩვენს ცხოვრებაში სიწმიდის წარმოქმნის საშუალებას თუ ამაოდ მივიღეთ მადლი?

სიტყვა „რწმენის“ მცდარი გაგება

ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ასე დავშორდით მადლის ჭეშმარიტ მნიშვნელობას, სიტყვა „რწმენის“ არასწორ განმარტებაში მდგომარეობს. ჩვენს დღეებში სიტყვა გონებრივ თანხმობამდე დაიყვანეს. უამრავმა ადამიანმა ილოცა ცოდვილის ლოცვით, რადგან იესოს არსებობის სჯერათ და ემოციურად შეიძრნენ ქადაგებებით, რომლებიც კონფლიქტს არ წარმოშობს და მონანიების მოწოდებისგან დაცლილია. მათ უარი არ უთქვამთ ცხოვრების წესზე, რომელშიც იგივეს ეძებენ, რაც

ქვეყნიერებას იზიდავს. ისინი საკუთარი თავისთვის ცხოვრებას განაგრძობენ ინტელექტუალურ ან ემოციურ გადარჩენაზე დაყრდნობით, რაც რეალური არ გახლავთ.

წერილში რწმენა არა მარტო იესოს არსებობის აღიარებას ნიშნავს, არამედ მისი ნებისა და მისი სიტყვის მორჩილებას. ებრ.5:9-ში ვკითხულობთ: „და სრულქმნილი, მარადიული გადარჩენის მიზეზი შეიქმნა ყველა მისი მორჩილისთვის“. რწმენა მორჩილებას ნიშნავს. აბრაჰამის მიერ ქმნილი მორჩილების საქმეები მისი რწმენის დასტური გახლდათ. მან ყურად იღო განწმედის მოწოდება და მიატოვა მამისეული ოჯახი, მეგობრები და სამშობლო. მოგვიანებით აბრაჰამმა მისთვის ყველაზე სანუკვარი, საკუთარი ძე, გაიღო. მისთვის ღვთის მორჩილებაზე ძვირფასი არაფერი იყო, შვილის ჩათვლით. ეს არის ნამდვილი რწმენა. სწორედ ამიტომ ითვლება ის „ყველა ჩვენგანის მამად“ (რომ. 4:16). ვხედავთ თუ არა დღეს ამ რწმენას ეკლესიაში? ასე როგორ მოვტყუვდით?

მხოლოდ იმის თქმა, რომ რწმენა გაქვთ, თქვენს გადარჩენაზე არ მეტყველებს. როგორ შეიძლება რწმენა ნამდვილი იყოს შესაბამისი მორჩილების საქმეების გარეშე, რომლებიც ჭეშმარიტ სიწმიდეს წარმოშობს? კიდევ ერთხელ გაიხსენეთ იაკობის სიტყვები: „ხომ ხედავთ, საქმით მართლდება კაცი და არა მხოლოდ რწმენით“.

ყველა არა, ვინც ამბობს: „უფალო, უფალო!“

ნამდვილ მორწმუნედ მივიჩნევთ არა იმას, ვინც ასე აღიარებს, არამედ აქვს თუ არა „სიწმიდის ნაყოფები“ (რომ. 6:22). იესო ამ აზრს მეტ სიცხადეს ანიჭებს შემდეგი ნათქვამით: „ასე რომ, მათი ნაყოფით იცნობთ მათ. ყველა, ვინც მეუბნება: უფალო, უფალო! როდი შევა ცათა სამეფოში, არამედ ის, ვინც აღასრულებს ჩემი ზეციერი მამის ნება-სურვილს“ (მათ.7:20-21).

ნება მიბოძეთ, ეს მუხლი თანამედროვე ენით გამოვთქვა: „ვინ არის მორწმუნე და ვინ – არა, იმით კი არ ამოიცნობთ, რას აღიარებს სიტყვით, არამედ ჩემი მამის ნების მორჩილებით“. ყველა, ვინც ამბობს: „ქრისტიანი ვარ, ხოლო იესო ჩემი უფალია“, როდი შევა სამოთხეში, არამედ ის, ვინც ზეციერი მამის ნებას ასრულებს“.

იესო აგრძელებს: „ბევრი მეტყვის იმ დღეს: უფალო, უფალო! განა შენი სახელით არ ვწინასწარმეტყველებდით? განა შენი სახელით არ ვდევნიდით ეშმაკებს და განა შენი სახელით არ ვახდენდით მრავალ სასწაულს? მაშინ მე განვუცხადებ

მათ: არასოდეს მიცვნიხართ თქვენ, გამშორდით, მოქმედნო ურჯულოებისა“ (მათ. 7:22-23).

თანამედროვე ენით: „ბევრი ადამიანი მაღიარებს უფლად და ცოდვილის ლოცვით ილოცებს. მათგან ბევრი თვლის, რომ „სრული სახარება“ სწამს. დიახ, ისინიც კი, ვინც სასწაულებს ახდენს ჩემი სახელით, შეძრწუნებული იქნებიან ამის გააზრებით იმ დღეს.

ისინი ცათა სამეფოში დამკვიდრებას ელოდებიან, მაგრამ ჩემგან ასეთ სიტყვებს გაიგონებენ: „მომშორდით თქვენ, ვინც ჩემი ზეციერი მამის ნებას არ ემორჩილებოდით“. ეს ჩემი ნაამბობი ან ჩემი სიტყვები როდია. უსიამოვნოა იმაზე ფიქრი, რომ მისი უფლობის მაღიარებელ ადამიანებს ცათა სამეფოში შესვლა აეკრძალებათ. დიახ, იმათაც კი, ვინც უფლის სახელით ეშმაკებს დევნიდა და სასწაულებს ახდენდა!

ზოგიერთი კომენტატორი იმის მტკიცებას ცდილობდა, თითქოს იესო სხვა ადამიანებზე ლაპარაკობს, რომელთაც იგი არასოდეს მიუღიათ. ეს განმარტება არასწორია, ვინაიდან თუ ადამიანს იესოს სახელით გადარჩენა არ უღიარებია, ზებუნებრივი საქმეების კეთება არ შეუძლია. საქმეთა წიგნში აღწერილია შემთხვევა, როცა ამის გაკეთებას შეეცადნენ. სკევას შვიდმა ვაჟმა მხნეობა მოიკრიბა და ბოროტი სულით შეპყრობილზე იესოს სახელის გამოცდა გადაწყვიტა. მათ ასე თქვეს: „გაფიცებთ იესოს, რომელსაც პავლე ქადაგებსო“. ამას აკეთებდა ერთი იუდეველი მღვდელმთავრის, სკევას შვიდი ვაჟი. მაგრამ მიუგო ავმა სულმა და უთხრა მათ: „იესოსაც ვიცნობ და პავლეც ვიცი, თქვენ კი ვინა ხართ?“ დაეძგერა მათ ის კაცი, რომელშიც ავი სული იყო, სძლია და ისე სცემა, რომ შიშვლები და დასახიჩრებულები გამოცვივდნენ იმ სახლიდან“ (საქმ. 19:13-16).

1980-იანი წლების ბოლოს ლოცვისას გამომაფხიზლებელი სულიერი ხილვა მქონდა. უამრავი ადამიანი დავინახე, იმდენად ბევრი, რომ დათვლა შეუძლებელი იყო. ასეთი მასშტაბის თავყრილობა არასოდეს მენახა. ისინი ზეციურ კარიბჭესთან შეკრებილიყვნენ. ყველანი შესვლის ნებართვას და უფლისგან შემდეგი სიტყვების მოსმენას ელოდებოდნენ: „მოდით, მამაჩემის მიერ კურთხეულნო, დაიმკვიდრეთ წუთისოფლის დასაბამიდან თქვენთვის გამზადებული სამეფო“ (მათ. 25:34). ამის ნაცვლად მოძღვრისგან მოისმინეს: „არასდროს გიცნობდით! მომშორდით!“

შესაძლოა, იკითხოთ: „თუ იესომ თქვა, რომ მათ არასოდეს იცნობდა, როგორ შეძლეს ეშმაკების განდევნა და სასწაულების მოხდენა მისი სახელით?“ პასუხი იმაშია, რომ ეს მამაკაცები

და ქალები იესოსთან გადარჩენის სიკეთის გამო გაერთიანდნენ. მათ იესო მიიღეს ხსნისთვის ისრაელის ძეების მსგავსად, მაგრამ არ შეიცნეს ღვთის გული; ისინი მას მიყვებიან ღვთიური უზრუნველყოფისთვის. მისგან მხოლოდ სარგებლის მიღებას ელიან. მათი მსახურება ეგოიზმით არის ნაკარნახევი და არა სიყვარულით.

იესოს სიტყვებში, „არასოდეს მიცვნიხართ“, გამოყენებულია სიტყვა „ცნობა“, რაც ბერძნულ ginosko-ს შეესაბამება. ახალ აღთქმაში ის გამოიყენება მამაკაცსა და ქალს შორის სქესობრივი აქტის აღსანიშნავად (მათ. 1:25). მასში იგულისხმება სიახლოვე. იესო ფაქტობრივად ამბობს: „ახლოს არასოდეს გიცნობდით“. მოსე ღმერთს ძალზე ახლოს იცნობდა, მაგრამ ისრაელს მხოლოდ მისი სასწაულები ჰქონდა ნანახი, რომელთაც ღმერთი მათ ცხოვრებაში ახდენდა. აქ არავითარი განსხვავება არ არის.

1 კორ. 8:3-ში ვკითხულობთ: „ვისაც ღმერთი უყვარს, ის შეცნობილია მისგან“. სიტყვა „შეცნობილია“ იგივე ბერძნული სიტყვა ginosko გახლავთ. ღმერთი ახლოს იცნობს მას, ვისაც ის უყვარს, ასეთებმა მისთვის სიცოცხლე დათმეს (იოან. 15:13). მხოლოდ ამის გაკეთებით შეიძლება ღვთის სიტყვის დაცვა. იესო ამ ჭეშმარიტებაზე მიუთითებს: „ვისაც არ ვუყვარვარ, არ იცავს ჩემს სიტყვებს“ (იოან. 14:24). იესოსადმი სიყვარულის ჭეშმარიტი დასტური ნათქვამი სიტყვა კი არა, მორჩილებაში ცხოვრებაა. იოანე განმარტავს:

> „იმით გავიგებთ, რომ შევიცანით იგი, თუ ვიცავთ მის მცნებებს. ვინც ამბობს, შევიცანიო იგი, მაგრამ მის მცნებებს არ იცავს, ცრუა და ჭეშმარიტება არ არის მასში. ხოლო ვინც მის სიტყვას იცავს, მასშია ჭეშმარიტად აღსრულებული ღვთის სიყვარული; ამით ვიგებთ, რომ მასში ვართ“ (1 იოან. 2:3-5).

იუდაც შეუერთდა იესოს. ისე ჩანდა, თითქოს უყვარდა და ყველაფერი მიატოვა, რომ მას გაყოლოდა. ის დევნისას იესოს გვერდით რჩებოდა და სხვა მოწაფეების მსგავსად მისგან არ წასულა (იოან. 6:66). ის ეშმაკებს დევნიდა, სნეულებს კურნავდა და სახარებას ქადაგებდა. დიახ, დაწერილია, რომ „მოუხმო თორმეტს, მისცა მათ ძალა და ხელმწიფება ყველა ეშმაკზე, და სნეულებათა განსაკურნებლად. მიავლინა ისინი ღმერთის სამეფოს საქადაგებლად და სნეულთა განსაკურნად“

(ლუკ. 9:1-2). ტექსტში არ არის ნათქვამი თერთმეტი მოწაფე: იუდა მათ რიცხვშია.

თუმცა იუდას ზრახვები თავიდანვე არასწორი იყო. მას არასოდეს მოუნანიებია თავისი ეგოიზმი. მისი ხასიათი შემდეგი სიტყვებით იხსნება: „ჰკითხა: „რას მომცემთ, რომ გადმოგცეთ იგი?“ (მათ. 26:15). ის ცრუობდა და იტყუებოდა სარგებლის მისაღებად. (მათ. 26:25). იესოს მსახურების ქისიდან ფულს იღებდა პირადი საჭიროებისთვის. „იუდა ისკარიოტელმა, ერთმა მისმა მოწაფეთაგანმა, რომელსაც უნდა გაეცა იგი, თქვა: „რატომ არ გაიყიდა ეს ნელსაცხებელი სამას დინარად და ღარიბებს არ დაურიგდა?“ ეს იმიტომ კი არ თქვა, რომ ღარიბებზე ზრუნავდა, არამედ იმიტომ, რომ ქურდი იყო. ყულაბა მას ჰქონდა და რასაც შიგ ყრიდნენ, ის იღებდა“ (იოან. 12:4-6). მისი სამარცხვინო საქციელების სია ამით არ სრულდება. ის არასდროს არ იცნობდა იესოს, თუმცა მასთან სამწელიწადნახევარი გაატარა.

დღეს რამდენი ადამიანი ჰგავს იუდას? მათ შესაწირები მოაქვთ, სახარებას ქადაგებენ და შესაძლოა, სულიწმიდის ნიჭებშიც მოქმედებენ, მაგრამ უფალს ახლოს არ იცნობენ. მთელი მათი შრომა ანგარებითაა ნაკარნახევი.

იესო კითხვას სვამს: „რატომ მომმართავთ: „უფალო, უფალო“ და იმას კი არ აკეთებთ, რასაც გეუბნებით? (ლუკ. 6:46). სიტყვა „უფალი“ ამ მუხლში წარმოდგება ბერძნული „kurios“-დან. სტრონგის ბერძნული სიტყვების ლექსიკონი მას განმარტავს, როგორც „ძალაუფლებით ყველაზე მაღლა მდგომს ან უფალს“. იესო ხსნის, რომ მას ბევრი აღიარებს უფლად, მაგრამ მათთვის უმაღლეს ძალაუფლებად არ აღიქმება. ისე ცხოვრობენ, რომ არ შეესაბამება მათივე აღიარებას; მაშინ ემორჩილებიან ღვთის ნებას, როცა მათი გულის სურვილებს არ ეწინააღმდეგება. თუ ღვთის ნებას ისინი სხვა მიმართულებით მიჰყავს მათი სურვილებისგან განსხვავებით, საკუთარ გზებს არჩევენ, მაგრამ იესოს მაინც „უფალს“ უწოდებენ.

ხშირად მსახურებაში წარმატება, გამორჩეულად, ციფრებით იზომება. ასეთმა მიდგომამ ბევრი ადამიანი აიძულა, რომ ყველაფერი გაეკეთებინა სცენის – „მოქცეულებით“, ხოლო ეკლესიის – „წევრებით“ გასავსებად. ამისთვის ისინი იესოზე როგორც მხსნელზე ქადაგებენ და არა უფალზე.

ძირითადი სათქმელი ასეთია: „მოდით იესოსთან და მიიღეთ გადარჩენა, მშვიდობა, სიყვარული, სიხარული, აყვავება, წარმატება, ჯანმრთელობა და მრავალი სხვა!“ დიახ, იესო ყველა ამ აღთქმის აღსრულებაა, მაგრამ სარგებელზე ისეთი გადამეტებული აქცენტი კეთდებოდა, რომ სუფთა სახარება ცხოვრებისეულ პრობლემებზე პასუხამდე დაიყვანეს, რომელსაც ზეცის გარანტია მოჰყვება.

ასეთი ქადაგება ცოდვილებს მხოლოდ აცდუნებს. მათ ესმით სიტყვა ღვთის მოახლოებაზე მონანიების აუცილებლობის გარეშე: „მიეცით ღმერთს შანსი. ის მოგცემთ სიყვარულს, მშვიდობასა და სიხარულს!“ ასე მოქცევით მონანიებას გვერდს ვუვლით, რომ „მოქცეულები“ გაგვიმრავლდეს. მოქცეულები ეკლესიას შეუერთდნენ, მაგრამ ვინ არიან ეს ადამიანები?

იესო მის თანამედროვე მსახურებს ამხელდა: „შემოივლით ზღვასა და ხმელეთს, რათა ერთი ვინმე მაინც მოაქციოთ, და როცა მოაქცევთ, გეენის ძედ გადააქცევთ, თქვენზე ორჯერ უარესად“ (მათ. 23:15). ადვილია მოქცეულთა მიზიდვა, მაგრამ წარმოადგენენ კი ისეთ მამაკაცებსა და ქალებს, რომლებიც ღვთისკენ ილტვიან თუ უფრო დაპირებები მოსწონთ? ჩვენ დავინახეთ სხვაობა მოსესა და ისრაელის ძეებს შორის. იესომ ნათლად დაანახა შეკრებილ ხალხს: „თუ ვინმეს სურს გამომყვეს, უარყოს თავი, აიღოს თავისი ჯვარი და გამომყვეს. რადგან, ვისაც სულის შენარჩუნება სურს, იგი დაკარგავს მას; ხოლო ვინც ჩემი ანდა სახარების გულისთვის დაკარგავს სულს, იგი შეინარჩუნებს მას“ (მარკ. 8:34-35). ერთადერთი, რაც უნდა გააკეთოთ, საკუთარი ცხოვრების გადარჩენა უნდა „მოინდომოთ“ და მას მაშინ დაკარგავთ. მას არ უთქვამს: „ვისაც სურს ჩემი გულისთვის სულის დაკარგვა“. უბრალო „სურვილი“ საკმარისი არ გახლავთ. იესო კეთილ ზრახვებს როდი ეძებს.

მდიდარ ახალაზრდა მმართველს ძალიან სურდა გადარჩენა. მან იესოსთან მიირბინა და მის წინაშე მუხლი მოიდრიკა საუკუნო სიცოცხლის მიღების ვედრებით. თუმცა ეს ემოციური სურვილი საკმარისი არ აღმოჩნდა. იესომ მას ასე უთხრა: „ერთი რამ გაკლია“ (იხ. მარკ. 10:17-22). ჭაბუკი წავიდა, როცა ჯვრის საფასური გაიაზრა. ყოველ შემთხვევაში, მისი გულწრფელობა პატივისცემის ღირსია.

მხურვალე გული

ათასობით ადამიანი, რომელიც ეკლესიაში არ დადის, სიხარულით მიიღებდა გადარჩენის თანმდევ სიკეთეებს, თავისი ცხოვრების გაკონტროლება რომ შეძლებოდა. ჩანს, ისინი ხვდებიან, რაც ბევრს გამოეპარა ეკლესიაში. ღვთის მსახურებისთვის ფასის გადახდაა საჭირო. ისინი ღმერთთან წრფელები არიან; მათ არ სურთ ფასის გადახდა. მეორე მხრივ, არიან მოტყუებულები. ისინი ეკლესიაში დადიან, იესოს „უფალს“ უწოდებენ და მის დაქვემდებარებას აღიარებენ, სინამდვილეში კი არასოდეს დამორჩილებიან.

ორი სხვადასხვა სიტყვა

ვიმედოვნებ, ახლა ხედავთ განსხვავებას იესოს ნაქადაგებ მადლსა და იმ მადლს შორის, რომელიც ჩვენ ვირწმუნეთ. თანამედროვე ქადაგება მადლზე, ხშირად, ზედმეტად უსვამს ხაზს: „ირწმუნეთ იესო, ილოცეთ ცოდვილის ლოცვით, აღიარეთ საკუთარ მხსნელად და ცათა სამეფოში შეხვალთ“. ნაკლებს ლაპარაკობენ საკუთარი თავისა და ქვეყნიერების უარყოფაზე. შემდეგ, როცა ადამიანები ეკლესიაში იმყოფებიან, ცოტას ისმენენ ძალაზე, რომელსაც მადლი იძლევა სიცოცხლისა და სიწმიდისთვის. როცა მოქცეულ ადამიანებს ამას ასწავლიან, ითვლება, რომ ნებისმიერი უწმიდური ცხოვრება ან დაუმორჩილებლობა ღვთის მადლის კარტ-ბლანშით იფარება. შეიძლება თუ არა ეს იყოს ღვთის ცეცხლისა და მისი ძალის არარსებობის მიზეზი ჩვენს ეკლესიაში? იმედი მაქვს, სათქმელს იმ სულში მიიღებთ, რომლითაც გადმოგეცით.

მიყვარს ღვთის ერი! მსურს, რომ წარმატებას მიაღწიონ ისე, როგორც მათი სამშვინველი აღწევს წარმატებას. ამიტომ თავს ვალდებულად ვთვლი, რომ ეს ჭეშმარიტება გამოვაცხადო. ვიცი, რომ სწავლება და დოქტრინა ადამიანის სიცოცხლესა და რწმენას აყალიბებს. ტკივილისგან გული მეფლითება იმ უამრავი ადამიანის გამო ეკლესიაში, რომლებიც ნელ-თბილ მდგომარეობაში მიაძინეს და ღვთიური ცეცხლი დაუმალეს.

პავლე ტიმოთეს შეაგონებდა: „იფხიზლე საკუთარ თავსა და მოძღვრებაზე; მტკიცედ მიჰყევი ამას, ვინაიდან ასეთი მოქმედებით საკუთარ თავსაც იხსნი და შენს მსმენელთაც“ (1ტიმ. 4:16). ამ გაფრთხილებას ყური უნდა ვუგდოთ. დამახინჯებული ჭეშმარიტება კარგად ჟღერს და გონებას კიდეც იზიდავს, მაგრამ ადამიანი სიცრუემდე მიჰყავს.

გადამრჩენელი მადლი

ღვთიური სიტყვის ჭეშმარიტება გამოგკვებავთ და გაგამაგრებთ. ის სწორი და არასწორი აზროვნების გარჩევას გასწავლით. დამახინჯებული ჭეშმარიტება მსახურების უფლებას გართმევთ. სწორედ ამიტომ მოგვიწოდებს ღმერთი, რომ მის სიტყვას სრული ყურადღებით მოვეკიდოთ. ეს თავი მოიცავს როგორც გაფრთხილებას, ისე გამხნევებას. გაფრთხილება: ნუ მისცემთ უფლებას არასწორ მოძღვრებას მადლზე, რომ მასზე უფლება წაგართვათ და თქვენს ცხოვრებაში ამაო აღმოჩნდეს. გამხნევება: არსებობს წმიდად ცხოვრების ძალა ღვთის მადლის შემწეობით. დაე, თქვენთან იყოს ჩვენი უფლის იესოს მადლი!

თავი 10

რთული დღეები

მისი სიყვარულიდან გამოდის ცეცხლი, რომელიც ენთუზიაზმს აღვივებს. ისინი სიამოვნებას იღებენ მისი მორჩილებით.

„ეცადეთ ... სიწმიდე იქონიოთ ... ურომლისოდაც ვერავინ იხილავს უფალს. გაფრთხილდით, რომ რომელიმე თქვენგანს არ მოაკლდეს ღვთის მადლი“.
– ებრაელთა 12:14-15

სიწმიდის გარეშე ვერავინ იხილავს უფალს. მართლა დავიჯერეთ ეს სიტყვები თუ ბიბლიის ერთ კარგ ციტირებად მივიჩნიეთ? ეკლესია მას მცნებად თვლიდა თუ მოტივაციის აღმძვრელ პოეტურ მტკიცებულებად, რომელიც ცხოვრების იდეალური წესისკენ სწრაფვაში გვეხმარება და რასაკვირველია, ჩვენს დროში მიუღწეველია? რა ჰქონდა მხედველობაში ებრაელთა წერილის ავტორს, როცა ამბობდა: „გაფრთხილდით, რომ რომელიმე თქვენგანს არ მოაკლდეს ღვთის მადლი“? როგორ შეიძლება მოგვაკლდეს ღვთის მადლი, რომელზეც ჩვენი ეკლესიების უმეტესობაში ასწავლიდნენ ბოლო ოცდა-

ხუთი წლის მანძილზე? არის თუ არა ეს, უბრალოდ, „გადაჭარბებული“ მტკიცება ღვთისგან, რომ დაგვაფრთხოს და ამით პრობლემებისგან დაგვიცვას? არავითარ შემთხვევაში!

მორწმუნეები, რომლებიც არ იცვლებიან

როგორც წინა თავში ვილაპარაკე, მეტისმეტად ბევრი ადამიანისთვის მადლი დიდ შენიღბვას წარმოადგენს, რომელიც მორწმუნეებს, პარქტიკულად, მორჩილებასა და სიწმიდეში სიარულის ნებისმიერი პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს. თუმცა ეს შეხედულება კიდევ ერთხელ აღმოჩნდება მცდარი წერილის შემდეგი მტკიცებულების თანახმად: „არ გქონდეს ღვთის მადლი ნიშნავს – არ იცხოვრო მისი პოტენციალის გამოყენებით. ეს ნიშნავს, რომ ღვთის მადლის ნიჭს ამაოდ იღებ და შეუცვლელი რჩები“.

პავლემ წინასწარ განჭვრიტა მრავალი მორწმუნის შეუცვლელობის ეს მდგომარეობა უკანასკნელი ჟამისთვის. ამ დღეების აღწერისას ის ამბობს, რომ „საზარელი ჟამი“ იქნება. საინტერესოა მოსმენა, თუ როგორ უწოდებს „ჩვენი რელიგიური თავისუფლების დროს საზარელს“, როცა თავად ქვებით ქოლავდნენ, ჯოხით სცემდნენ, ბორკილებს ადებდნენ, აპატიმრებდნენ და ამათრახებდნენ მტკიცე სახარებისეული პოზიციის გამო. მიუხედავად ამისა, ის წერს, რომ ჩვენი დღეები გაცილებით რთული იქნება იმიტომ, რომ უფალ იესოს მორწმუნეებს გაცილებით მეტი ლტოლვა ექნებათ სიამოვნებებისკენ, ვიდრე ღვთისკენ. ზოგიერთები იქნებიან ამაყები; სხვები – უმადურები; მესამენი — უპატიებელნი. მორწმუნეთა შორის იქნებიან ურჩნი და უწმიდურნი და ბევრს არ ექნება თავშეკავება. დანარჩენები სიჯიუტეს გამოიჩენენ.

პავლე ამბობს, რომ ამ მამაკაცებსა და ქალებს ქრისტიანობის მხოლოდ გარეგნული სახე ექნებათ, „სინამდვილეში კი ღმერთის ძალის უარმყოფელნი“ იქნებიან, რომელსაც ღვთისთვის სათნო ადამიანებად მათი გარდაქმნა შეეძლო (2 ტიმ. 3:1-5). ასეთებმა მადლის ძალას ცვლილების საშუალება არ მისცეს, რომ ფულისა და სიამოვნების მოყვარულებისგან ღვთისა და ადამიანების მოყვარულებად გადაექცია. ისინი უწმიდურები დარჩნენ და ღვთის მადლი ამაოდ მიიღეს.

შემდეგ პავლე ამბობს, რომ შეუცვლელი „მორწმუნეები“ ყოველთვის „სწავლობენ, თუმცა ვერასოდეს აღწევენ ჭეშმარიტების შემეცნებას“ (მუხ. 7). დღეს ამერიკაში იმაზე მეტი ქრისტიანული სწავლება გვაქვს, ვიდრე ოდესმე ისტორიაში ან ნებისმიერ სხვა ქვეყანაში. მილიარდობით დოლარი დაიხარჯა სახარების გავრცელებაზე წიგნების, აუდიო-ვიდეოკასეტების, ტელევიზორების, თანამგზავრული კავშირის მეშვეობით, რომ არაფერი ვთქვათ უამრავ საეკლესიო მსახურებასა და კონფერენციაზე. მიუხედავად ამისა, ხორციელ ეკლესიად გადავიქეცით, რომელიც ეგვიპტის სურვილებს არ გამოეყო. პავლე საზარელს უწოდებს არა მისი ფიზიკურად დევნის ეპოქას, არამედ ჩვენი თანამედროვე ეკლესიის ჟამს.

ერთ მსახურ მეგობართან ერთად სადილობისას გავიგე, რომ აფრიკის ქვეყანაში უმოგზაურია, სადაც მოსახლეობის უმეტესი ნაწილი მუსულმანია. ამჟამად ისინი ქრისტიანებს აწამებენ და ხოცავენ. მან იმ ადამიანებთან შეხვედრებზე მიამბო, რომლებიც აწამეს, მაგრამ მაინც შეინარჩუნეს თანამემამულეთათვის სახარების ქადაგების სწრაფვა. როცა ჩემი მეგობარი ყოველდღე უქადაგებდა მორწმუნეებს, იმ სახრჩობელის გვერდით ჩავლა უწევდა, რომელსაც ქრისტიანების დასასჯელად იყენებდნენ.

მან თქვა:

– ჯონ, საინტერესოა, რამდენი ამერიკელი გააგრძელებდა ეკლესიაში სიარულს, ამ ადგილის გვერდით გავლა რომ დასჭირვებოდა, სადაც რწმენისთვის ჩამოკიდებდნენ.

შემდეგ მან ერთი რამ თქვა, რაც პავლეს მოსაზრებას ეთანხმება:

– ჯონ, ამერიკაში რელიგიის თავისუფლება გვაქვს, რაც მათ არ აქვთ. სამაგიეროდ, იქ არის სულიერი თავისუფლება, რომელიც ამერიკაში არ გვაქვს.

პავლეს სიტყვებით, უკანასკნელ დღეებში საზარელი დრო მორწმუნეების დევნის გამო კი არ დადგება, არამედ ეკლესიის ხორციელი ცხოვრების წესის გამო. შესაძლოა, ბოროტად გამოვიყენეთ ჩვენი თავისუფლება?

კონფერენციაზე, სადაც გამოვდიოდი, სუფრასთან ერთი მსახურის პირისპირ ვიჯექი, რომელიც ის-ის იყო აზიის კომუნისტურ ქვეყანაში მოგზაურობიდან დაბრუნდა. ქრისტიანების დევნა იმდენად დიდია, რომ იატაკქვეშ იკრიბებიან.

შეხვედრის ორგანიზატორი პასტორი და მისი ლიდერები არაერთხელ დააპატიმრეს. ციხეში იქ მყოფი დამნაშავეებისთვის სახარების ქადაგებას აგრძელებდნენ და ბევრმა მათგანმა მიიღო გადარჩენა. ხელისუფლება ისე განრისხდა, რომ ლიდერები და პასტორი იზოლირებულ საკნებში ჩასვა. პასტორი ასზე მეტჯერ დააპატიმრეს და საერთო ჯამში, ციხეში ათ წელზე მეტი დაჰყო.

მათი შეკრებები შეუფერხებლად მიმდინარეობდა უკანასკნელის გამოკლებით. პოლიციამ კრებულის ადგილსამყოფელი აღმოაჩინა და რომ არა მათ მიერ დაყენებული დამკვირვებლები, ყველას დააპატიმრებდნენ. სანამ დაიშლებოდნენ, შეხვედრა ერთ მოშორებულ ადგილზე დანიშნეს მომდევნო დილით ადრე, სანამ მსახურის წასვლის დრო დადგებოდა. მეორე დილას მოვიდნენ და ლოცვა ითხოვეს. ამ ქალმა მითხრა:

– ჯონ, ვგრძნობდი, რომ მათ უნდა ელოცათ ჩემთვის და არა პირიქით. თუმცა ვიცოდი, რომ ღმერთი მათ რწმენას პატივს მიაგებდა.

ბოლო შეხვედრის წინ პასტორმა ტირილი დაიწყო. როცა მსახურმა ქალმა მიზეზი ჰკითხა, უპასუხა, რომ თავისი ხალხის გამო ღელავდა. ცრემლმომდგარმა თქვა:

– ჩვენი თავისუფლების მეშინია.

მსახური ქალი გაოგნებული დარჩა:

– რატომ გეშინიათ თავისუფლების? – ჰკითხა მან.

პასტორი გაოგნდა.

– რატომ გეშინიათ თავისუფლების? – ჰკითხა მან, – თქვენზე ნადირობდნენ, გდევნიდნენ და ციხეშიც არაერთხელ აღმოჩნდით. იფიქრეთ ამ ყველაფერზე, რას გააკეთებდით, თქვენ და ეკლესიის წევრები თავისუფლები რომ ყოფილიყავით!

კაცმა განაგრძო:

– ვშიშობ, რომ თავისუფლების მოპოვებისას ეს მამაკაცები და ქალები ხორციელები და ამქვეყნიურები გახდებიან და რწმენიდან გადავარდებიან, როგორც სხვებს დაემართა დასავლურ ეკლესიებში.

როგორ შეეძლო ქალს მასთან კამათი, როცა იმ ადამიანის ღვთისა და თავისი ხალხის მიმართ თავდადებას ხედავდა? იყო თუ არა ეს ტიპური ერთგულება, რომელიც დასავლურ სამყაროში უნახავს? დევნილ ქრისტიანებზე ვფიქრობთ, რომ რთულ პერიოდს გადიან, მაგრამ წერილის თანახმად, ვინ გადის

გასაჭირს? პავლე ამბობს, რომ ჩვენ, რელიგიური თავისუფლების მქონე, მაგრამ ქვეყნიურ ეკლესიას დაგვიდგება საზარელი ჟამი.

რელიგიურმა თავისუფლებამ არ გაგვხადა ამქვეყნიურები, თუმცა კი ხელშემწყობი გარემო შექმნა იმ შინაგანი სურვილების განსავითარებლად, რომლებიც ისედაც ქვეყნიერებისკენ გვეწეოდა. ჩვენი ნამდვილი პრობლემა, ძველი ისრაელის მსგავსად, არის ღვთის განდიდებისკენ სწრაფვის არარსებობა. ისრაელის მსგავსად, ეს პრობლემა სიამოვნებისა და ხორციელი სურვილებისადმი ჩვენი მიდრეკილებიდან მოდის.

იესოს სიტყვა უკანასკნელი დროის ეკლესიისთვის

წინა თავში მოკლედ მიმოვიხილეთ გამოცხადების წიგნის შვიდი ისტორიული ეკლესიისადმი მიწერილი წერილები. ბევრი ღვთისმეტყველი ეთანხმება მოსაზრებას, რომ შვიდი ეკლესია ზოგად ქრონოლოგიურ მოდელს წარმოადგენს, რომელიც ეკლესიის განვითარებას ასახავს პირველი საუკუნეებიდან უშუალოდ იესო ქრისტეს მეორედ მოსვლამდე არსებულ პერიოდამდე.

თუმცა უფლის მეორედ მოსვლის არც დღე ვიცით და არც საათი, იესო ამბობს, რომ დროის გამოცნობა შეგვიძლია. სწავლულთა უმეტესობა ეთანხმება აზრს, რომ მეორედ მოსვლის პერიოდში ვცხოვრობთ, ამიტომ ბოლო, ლაოდიკიის ეკლესიის შეგონება ჩვენ გვეხება: „ლაოდიკიის ეკლესიის ანგელოზს მისწერე: ასე ამბობს-თქო ამინი, ერთგული და ჭეშმარიტი მოწმე, ღმერთის ქმნილების დასაბამი“ (გამოცხ. 3:14).

იესო თავის თავს ერთგულ და ჭეშმარიტ მოწმეს უწოდებს. „ერთგული“ ნიშნავს თანმიმდევრულსა და მდგრადს. „ჭეშმარიტება“ ნიშნავს, რომ ის მხოლოდ სიმართლეს ილაპარაკებს, თუნდაც არასასიამოვნო იყოს. „ერთგული“ და “ჭეშმარიტი“ ნიშნავს, რომ ის თანმიმდევრულად ერთგული იქნება რეაქციის ან ზეწოლის მიუხედავად. ცრუ მოწმე იცრუებს და პირმოთნეობას გამოიჩენს. მხოლოდ იმას გეტყვით, რის გაგონებაც გსურთ და თქვენთვის მნიშვნელოვანს დაგიმალავთ. უპატიოსნო ვაჭრებს თქვენი ფული უნდათ, ამიტომ კარგ დამოკიდებულებას იქონიებენ და მხოლოდ იმას იტყვიან, რის გაგონებაც გესიამოვნებათ, თუმცა მათი მოტივი თქვენგან მოგების მიღება იქნება. ჩვენ, როგორც ეკლესიამ, ისეთი მსახურები მივიღეთ, რომლებიც

ყურისთვის სასიამოვნოზე გვიქადაგებენ. მხოლოდ სასურველი და საუცხოო რამეების მოსმენა გვინდოდა, იმ ჭეშმარიტების უგულებელყოფით, რომლის გაგებაც აუცილებელი იყო.

იესო გვანუგეშებს და გვაშენებს, მაგრამ არა სიმართლის საშინელი უგულებელყოფის ფასად. მას უყვარს და პატიობს, თუმცა სჯის და გამოსწორება სურს. მოისმინეთ მისი სიტყვები: „ვიცი შენი საქმენი: არც ცივი ხარ, არც ცხელი; ო, ნეტა ან ცივი იყო ან ცხელი!“ (გამოცხ. 3:15).

იგი ახსენებს „საქმეებს“ და არა „განზრახვებს“. ჯოჯოხეთის გზა კეთილი განზრახვებით არის მოფენილი. საიდან იცის მათი მდგომარეობის შესახებ? პასუხი ისევ ნათელია: მათი საქმეებიდან ანუ ქცევიდან.

ცივი ადამიანების მოქმედება აშკარად ეწინააღმდეგება ღმერთს. ისინი თავს იმად არ აჩვენებენ, რასაც არ წარმოადგენენ; ისინი დაღუპულები არიან და ამის შესახებ უწყიან. მათ იციან, რომ ღმერთს კი არა სხვა ღმერთებს ემსახურებიან – ფულს, თავიანთ ბიზნესს, საკუთარ თავს. ისინი წუთიერი სიამოვნებისთვის, გართობისა და ამბოხისთვის ცხოვრობენ. ასეთია ცოდვილის ან აღიარებული განდგომილის ცხოვრების წესი.

მეორე მხრივ, ცხელი ადამიანები მთლიანად უფლით არიან მოცული. ისინი განიწმიდნენ, რომ მის თანდასწრებას მიახლოებოდნენ. სიწმიდე მათი შინაგანი ლტოლვაა. იციან, რომ ამის გარეშე უფალს ვერ იხილავენ. იესოს აქვს მოცული მათი გული და მთელი არსება. უფლის სიყვარულიდან მოდის ცეცხლი, რომელიც მათ მგზნებარებას კვებავს. ისინი მისი მორჩილებით ხარობენ. მათ იციან თავიანთი ჭეშმარიტი მდგომარეობა. იესო უკანასკნელ ეკლესიას აფრთხილებს, რომ არც ცივები არიან და არც ცხელები. შემდეგ ეუბნება: „ო, ნეტა ან ცივი იყო, ან ცხელი!“ (გამოცხ. 3:15)

ამ გამოთქმის აზრი წლების განმავლობაში ხელიდან მისხლტებოდა. რატომ ეუბნება იესო: „ო, ნეტა ან ცივი იყო ან ცხელი“? და რატომ არ ეუბნება, „ო, ნეტა ცხელი იყო“? იგი არასოდეს ლაპარაკობს უპატიოსნოდ ან გადაჭარბებით, ამიტომ მათი ახლანდელი მდგომარეობა (სადღაც სიცივესა და სიცხელეს შორის) უფრო ცუდი უნდა ყოფილიყო, ვიდრე სიცივე. როგორ შეიძლება ხელიდან წასული ცოდვილები ან აღიარებული

განდგომილები უკეთეს მდგომარეობაში ყოფილიყვნენ, ვიდრე „ეკლესიის მორწმუნეები“?

ამ კითხვას იგი შემდეგი მტკიცებულებით პასუხობს: „მაგრამ რაკი ნელ-თბილი ხარ, არც ცივი და არც ცხელი, ამიტომ ამოგანთხევ ჩემი პირიდან“ (გამოცხ. 3:16). თბილი მეტისმეტ სითბოს შეიცავს, რომ ცივი იყოს და საკმარისზე მეტ სიცივეს, რომ ცხელთან გავაიგივოთ. მასში არის გარკვეული სითბო, რაც ცხელში შეუმჩნევლად შერევას უზრუნველყოფს და იმდენი სიგრილე, რომ ცივსაც მალულად შეეპაროს.

თბილი ადამიანები მათ ემსგავსებიან, ვის გარემოცვაშიც ცხოვრობენ. იესოს ჭეშმარიტ მიმდევრებში ისე აღმოჩნდებიან, რომ ვერავინ შენიშნავს. მათ წერილები იციან, საგალობლებს გალობენ და სწორად ლაპარაკობენ.

ქვეყნიერების მიმდევრებს შორის ისინი არ მღერიან და არ ეწევიან, მაგრამ თავიანთ ცხოვრებაზე ქვეყნიერების მსგავსად ფიქრობენ და ასევე წარმართავენ ანუ ეგოისტურად. ისინი ღმერთს ემორჩილებიან, როცა ეს სასიამოვნოდ ეჩვენებათ ან მათ საუკეთესო ინტერესებს შეესაბამება, სინამდვილეში კი მათ საკუთარი გულისთქმები ამოძრავებთ.

იესო ამბობს: „ამოგანთხევ ჩემი პირიდან“. რატომ აირჩია ეს თვალსაჩინო ანალოგია? ვანთხევთ იმას, რის შეთვისებაც სხეულს არ შეუძლია.

ერთხელ, მრავალი წლის წინ სადილობისას ჩემმა მეორე და მესამე შვილებმა ჰამბურგერი შეუკვეთეს. ერთი საათის განმავლობაში ორივემ ამოანთხია თავისი სადილი, რომელიც გაფუჭებული ხორცით იყო მომზადებული. ორგანიზმმა უარყო შიგთავსი, ვინაიდან მისაღებად საზიანო იყო. „ცუდი“ ჰამბურგერები სწორედ ისე გამოიყურებიან, როგორც „კარგები“, სხვა დროს რომ უჭამიათ. იესო ფაქტობრივად ამბობს: „ჩემი სხეულიდან ამოვანთხევ მათ, ვინც თითქოს მე მეკუთვნის, სინამდვილეში კი ასე არ არის“.

არც ცივები და არც ცხელები თავს არ იტყუებენ ღმერთთან ურთიერთობასთან დაკავშირებით, მაგრამ გულგრილები ტყუვდებიან. ისინი ფიქრობენ, რომ მათი მდგომარეობა სხვაგვარია, ვიდრე სინამდვილეში არის. მათი აზრით, იესოს ეკუთვნიან. სწორედ ამიტომ არიან ცოდვილებზე უარესად. ცოდვილებმა იციან, რომ ღმერთს არ ემსახურებიან; ამიტომ მათი ღვთისთვის

მოპოვება უფრო ადვილია. გულგრილი ადამიანები ფიქრობენ, რომ ღმერთს ემსახურებიან. ისინი მადლისმიერ გადარჩენას აღიარებენ, მაგრამ თავად ამ მადლს ვერ მიაღწიეს. მათთვის რაიმეს ახსნა ძალზე ძნელია. თუ ეს ადამიანები ფიქრობენ, რომ გადარჩენილები არიან, მაშინ ხსნის აუცილებლობას ვერ დაინახავენ.

იესო დეტალურად აღწერს მათ რეალურ მდგომარეობას: „რადგან ამბობ: მდიდარი ვარ, გავმდიდრდი და არაფერი მაკ-ლიაო. ის კი არ იცი, რომ უბადრუკი ხარ და საცოდავი, ღატაკი, ბრმა და შიშველი“ (გამოცხ. 3:17).

ამ ეკლესიის მორწმუნეები თავიანთი სიმდიდრით და საჭიროების არქონით ტრაბახობდნენ. თავს იმით ინუგეშებდნენ, რომ ამას ღვთის კურთხევად თვლიდნენ. შეიძლება თუ არა ეს იყოს ამერიკული ეკლესიის სურათი? ჩვენს თავისუფლებასა და სიმდიდრეს ღვთისმსახურების გაუმჯობესებისთვის ვიყენებდით? იქნებ ამ თავისუფლებით და სიმდიდრით თავს ვიტყუებდით? დასავლური ეკლესიების უმეტესობისთვის ეს უკანასკნელი უფრო მართებულია.

თუმცა დასავლურ ეკლესიაში ღვთის ცეცხლით ანთებული და ერთგული ადამიანებიც მინახავს, რომლებიც სიწმიდისკენ ისწრაფოდნენ. ესენი ნამდვილი მეომრები არიან რომელთაც ბრძოლის ველი უნახავთ და თავიანთ მტერს ცნობენ. ღვთისადმი დაშურება მათივე ნაყოფებში ჩანს და არა მარტო სიტყვებში.

იესო ასე ეუბნება მათ, ვინც ეკლესიისადმი გულგრილია: „გირჩევ იყიდო ჩემგან ცეცხლით გაწმედილი ოქრო, რომ გამდიდრდე, და თეთრი სამოსელი, რომ შეიმოსო და აღარ ჩანდეს შენი სიშიშვლის აუგი, და თვალის მალამო, რათა იცხო თვალებზე, რომ დაინახო“ (გამოცხ. 3:18).

იგი ხაზს უსვამს მისგან რაღაცის ყიდვას, რომელიც იესოს უფლობის უბრალო აღიარებით არ მიიღწევა. დაიმახსოვრეთ, ეკლესია აცხადებდა მისი სახელით გადარჩენას. თუმცა არ ყოფნიდათ რაღაც, რაც ნამდვილ მორწმუნეებს უნდა ჰქონოდათ. როგორ უნდა ვიყიდოთ რაიმე იესოსგან?

ღმერთი ასე ამბობს იგ. 23:23-ში: „ჭეშმარიტება იყიდე და ნუ გაყიდი“. ასევე ესაიას პირით გვეუბნება:

„ჰოი, ყოველნო მწყურვალნო,
მოდით წყლებთან; და ფულის
უქონელნო, მოდით, იყიდეთ და ჭამეთ;
დიახ, მოდით, იყიდეთ ღვინო და
რძე უფულოდ და უსასყიდლოდ“ (ეს. 55:1).

იესოს განცხადების მსგავსად, აქაც აქცენტი რაღაცის ყიდვაზე კეთდება, რომელსაც ფულით ვერ შეიძენ. იესო მოწაფეებს ცათა სამეფოზე ელეპარაკება: „კიდევ, ცათა სამეფო წააგავს ვაჭარს, რომელიც ლამაზ მარგალიტებს ეძიებს; როგორც კი ძვირფას მარგალიტს იპოვის, წავა, გაყიდის ყოველივეს, რაც აბადია და მას იყიდის“ (მათ. 13:45-46). ამ ძვირფასი მარგალიტის ყიდვა ცათა სამეფოს წარმოადგენს, რის შესაძენადაც ადამიანს ყველაფრის გაყიდვა უწევს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მთელი სიცოცხლე მის მსახურებას უნდა მიუძღვნა ისე, რომ საკუთარი თავისთვის არაფერი მოიტოვო; მხოლოდ და სრულად მისთვის უნდა იცხოვრო. პავლემ ეს აზრი ასე ჩამოაყალიბა: „ქრისტე კი ყველასთვის მოკვდა, რათა ცოცხლებმა თავიანთთვის კი აღარ იცოცხლონ, არამედ იმისთვის, ვინც მათთვის მოკვდა და აღდგა“ (2 კორ. 5:15).

გონიერი და უგუნური

იესოს ზოგიერთი სხვა იგავიც ამ თვალსაზრისს წარმოაჩენს. ერთ-ერთი მათგანი მათეს სახარების 25-ე თავის პირველ თორმეტ მუხლშია მოცემული. ცათა სამეფო შედარებულია ათ ქალწულს, რომლებმაც თავიანთი ლამპრები აიღეს და მეფის, იესოს შესახვედრად წავიდნენ. ისინი ქალწულები იყვნენ და მას ყველა უფალს უწოდებდა. ათივეს ჰქონდა ლამპარი, რაც სინათლეზე მეტყველებს და იმ ადამიანებზე მიუთითებს, რომლებმაც საუკუნო სიცოცხლის ნიჭი მიიღეს. ისინი იესოს ელოდებოდნენ, რომ მეორედ მოსვლისას გაჰყოლოდნენ. იგი არ ლაპარაკობდა ადამიანებზე, რომელთაც სახარება არასოდეს მოუსმენიათ ან მისი რწმენა არ ულიარებიათ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი ცივებს არ გულისხმობდა.

ათი ქალწულიდან ხუთი ბრძენი იყო, ხოლო დარჩენილი ხუთი – უგუნური. ეს თანაფარდობა მნიშვნელოვანია. იესო ეკლესიის მნიშვნელოვან ნაწილზე საუბრობს.

რა გამოარჩევდა ბრძენებს უგუნურებისგან? უგუნურებს მარტო ლამპრები ჰქონდათ, ხოლო ბრძენებმა თან ჭურჭლით ზეთიც წამოიღეს, რომ ლამპრები არ ჩაქრობოდათ. შუაღამეს გაისმა ყვირილი, რომ ნეფე მოდიოდა და ქალწულები მას უნდა შეხვედროდნენ. თუმცა უგუნურთა ლამპრები ქრებოდა. მათ მაშინვე უთხრეს გონიერებს: „გვიწილადეთ თქვენი ზეთი, რადგან გვიქრება ლამპრები“ (მუხ. 8).

ბრძენებმა უპასუხეს: „ჩვენც და თქვენც რომ არ დაგვაკლდეს, უმჯობესია ვაჭრებთან წახვიდეთ და თქვენთვის იყიდოთ“ (მუხ. 9).

გამიგონია, როგორ განმარტავდნენ მსახურები ამ იგავს, მაგრამ ვგრძნობდი, რომ მისი ჭეშმარიტი მნიშვნელობა არ მესმოდა. ერთხელ დილით, როცა ქუჩის განმარტოებულ კუთხეში ვლოცულობდი, გულანთებულმა წამოვიყვირე: „უფალო, დამეხმარე ამ იგავის მნიშვნელობის გაგებაში!“

უფალმა იმავე დღეს მაჩვენა, რომ იგავის საკვანძო მტკიცებულება უგუნურების მიმართ ბრძენთა ნათქვამში ჩანდა: „უმჯობესია ვაჭრებთან წახვიდეთ და თქვენთვის იყიდოთ“. წარმოიდგინეთ: ათი ქალწული, რომელთაგან ხუთი გონიერია, ხოლო ხუთი უგუნური, ნაჭარბი ნივთების მაღაზიაში შედის. უგუნურები დახლთან მიდიან, ფულს აწვდიან და გამყიდველს ეუბნებიან:

– მოგვეცით ერთი ასეთი ლამპარი. გადარჩენა გვინდა და ჯოჯოხეთში მოხვედრა არ გვსურს. ღვთის კურთხევა გვირჩევნია.

თითოეული მაღაზიიდან ანთებული ლამპრით გამოდის და ამბობს:

– დიდება ღმერთს, გადარჩენილი ვარ!“

გონიერები დახლთან მიდიან და ჯიბიდან ფულს იღებენ. მათ მთელი აქტივები გაყიდეს და თან წამოიღეს როგორც აღებული, ისე გადანახული თანხა. ისინი მოლარეს ეუბნებიან:

– ეს ყველაფერია, რაც გვაქვს – ჩვენი ქონების ყოველი ცენტი. მეტი აღარაფერი დაგვრჩა. გთხოვთ, ლამპრები მოგვეცით, ხოლო მორჩენილი თანხით ზეთს შევიძენთ, რამდენიც მოგვივა. თითოეული თავისი ლამპრით და დიდი ჭურჭლით გამოდის,

რომელიც საწვავი ზეთითაა სავსე. განსხვავება იმაშია, რომ გონიერებმა მთელი ცხოვრება გაიღეს, ხოლო უგუნურებმა მხოლოდ ის, რაც მათი აზრით გადარჩენისთვის აუცილებელი იყო. მათ ცხოვრების ნაწილი გადაინახეს. მართალია, ანთებული ლამპრებით გამოვიდნენ, რომელთა შუქი კარგად ანათებდა, მაგრამ ბოლომდე ვერ შეინარჩუნეს. იგავის თანახმად, მათი ლამპრები შუაღამის მოახლოებისას ჩაქრა. ყველაზე ბნელ საათს, როცა გასაჭირმა პიკს მიაღწია. მათ მეტის მოთმენა აღარ შეეძლოთ. სწორედ ამიტომ ამბობდა ხშირად იესო: „ბოლომდე მომთმენი გადარჩება“.

უგუნური ქალწულები მაშინვე წავიდნენ საყიდლად, მაგრამ მათი არყოფნისას ნეფე მოვიდა. მზადმყოფი გონიერები მასთან ერთად შევიდნენ ქორწილში და კარი დაიკეტა. უკან დაბრუნებულმა უგუნურებმა შეჰყვირეს: „უფალო, უფალო, გაგვიღე ჩვენ!“ (მუხ. 11). მან კი უპასუხა: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, არ გიცნობთ!“ (მუხ. 12).

უფალი ისევ იმეორებს: „არ გიცნობთ“ და ეს მისი უფლობის მაღიარებელ ადამიანებს ეხება. გულგრილებმა მას არ მიუძღვნეს მთელი ცხოვრება. იესოს ეს სიტყვები, ეჭვგარეშეა, მათაც ეხებოდათ: „ვინც არ აიღებს თავის ჯვარს და არ გამომყვება, არ არის ჩემი ღირსი“ (მათ. 10:38). ამერიკაში რატომ დავიჯერეთ ისეთი სახარების, რომელმაც აღდგომის ძალა ჯვრის გარეშე მოგვცა? ამ სახარებამ გულგრილობამდე მიგვიყვანა. მან ღვთის ცეცხლი მოგვაკლო, რომელიც ჩვენი გულებისთვის აუცილებელი იყო. ხომ არ ვეძებდით ცოცხლებს მკვდრებს შორის? ნუთუ დაგვავიწყდა მისი სიტყვა, რომელიც ასე მკაფიოდ მეტყველებს: „რადგან ვისაც თავისი სულის გადარჩენა სურს, დაღუპავს მას; ხოლო ვინც ჩემი გულისთვის დაიღუპავს სულს, იგი მოიპოვებს მას“ (მათ. 16:25)?

თავი 11

ოქრო, სამოსელი და მალამო

სიწმიდის საქმე ჩვენი და ღმერთის თანამშრომლური ძალისხმევის შედეგია.

„გირჩევ იყიდო ჩემგან ცეცხლით გაწმედილი ოქრო, რომ გამდიდრდე, და თეთრი სამოსელი, რომ შეიმოსო და აღარ ჩანდეს შენი სიშიშვლის აუგი, და თვალის მალამო, რათა იცხო თვალებზე, რომ დაინახო“.
– გამოცხ. 3:18

ადამიანებს, რომელთა გულშიც უფლისკენ ლტოლვის ცეცხლი არ ანთია, იესო სამი რამის ყიდვას ურჩევს: ოქრო, თეთრი სამოსელი და თვალის მალამო. მოდი, თითოეული ცალ-ცალკე განვიხილოთ.

ცეცხლით გაწმედილი ოქრო

მალაქია წინასწარმეტყველი გვეუბნება, რომ უკანასკნელ დღეებში უფალი თავის ეკლესიაში გამომდნობელის ცეცხლივით მოვა: „დაჯდება ვერცხლის გამომდნობელივით და გამწმედელივით; გაწმედს ლევის ძეებს და გაასუფთავებს მათ, როგორც

ოქროსა და ვერცხლს, რათა სიმართლეში მიართვან უფალს შესაწირი“ (მალ. 3:3).

სიტყვა *ლევიანები* წინასწარმეტყველურად მიანიშნებს „სამეფო სამღვდელოებაზე“ (1 პეტრ. 2:9), რომელიც, როგორც ადრე აღვნიშნეთ, ეკლესიაა. ამ წინასწარმეტყველს არ ჰქონდა ახალაღთქმისეული ტერმინოლოგია. მას არ შეეძლო ეთქვა, „ის გაწმედს ქრისტიანებს“, რადგან მაშინ არც ეს ტერმინი არსებობდა. ვინაიდან ღმერთი სამღვდელოების გაწმედას ოქროსა და ვერცხლის გასუფთავების პროცესს ადარებს, ამ ლითონების მახასიათებლები და პროცესის რაობა უნდა დავადგინოთ. იესო ოქროზე აკეთებს აქცენტს, ამიტომ ჩვენც ასე მოვიქცევით.

ოქრო ბუნებაში ფართოდ არის გავრცელებული, მაგრამ ყოველთვის მცირე რაოდენობითაა. ეს ლითონი სუფთა სახით იშვიათად გვხვდება. ხალასი ოქრო ძალიან რბილი, დამყოლი და კოროზიამედეგია ანუ სხვა ნივთიერებები მასზე გავლენას ვერ ახდენენ. როცა ოქროს სხვა ლითონები ერევა (მაგალითად, სპილენძი, რკინა ან ნიკელი), ის მყარი, ნაკლებად დამყოლი და კოროზიისადმი მიდრეკილი ხდება. ამ ერთობლიობას შენადნობი ეწოდება. რაც უფრო მაღალია ოქროში სპილენძის, რკინის, ნიკელისა და სხვა ლითონების შემცველობა, მით მყარი ხდება ოქრო. და პირიქით, თუ შენადნობში ლითონები ნაკლებადაა წარმოდგენილი, ის უფრო რბილი და მოქნილია.

თავიდანვე ცხადია, რა პარალელის გავლება სურდა იესოს: ღვთის წინაშე სუფთა გული გაწმენდილ ოქროს ჰგავს, მასავით რბილი, ნაზი და დამყოლია. პავლე გვაფრთხილებს, რომ გული ცოდვის საცდურით ქვავდება (ებრ. 3:13). ცოდვა ღვთის გზების ან ძალაუფლების დაუმორჩილებლობას წარმოადგენს და როცა ეს სუბსტანცია ჩვენს ხალას ოქროს ერევა, გულები გვიქვავდება. სირბილის უქონლობა მგრძნობელობას გვიკარგავს, რაც ხელს გვიშლის უფლის მოსმენაში. სამწუხაროდ, ეკლესიაში ბევრს აქვს ღვთისმოსაობის სახე რბილი გულის გარეშე. მათი გულები იესოსადმი სიყვარულით აღარ ანთია. ღვთის მწველი სიყვარული ცივი თავმოყვარეობით შეიცვალა, რომელიც მხოლოდ საკუთარ სიამოვნებას, კომფორტსა და სარგებელს ელტვის. ფიქრობენ რა, რომ ღვთისმოსაობა მოსაგები რამ არის (1 ტიმ. 6:5), ღვთიური აღთქმებიდან სიკეთეს ელიან, ხოლო თავად აღმთქმელს

გამორიცხავენ. მოტყუებულები ამქვეყნიური ნეტარებით ტკბებიან და თან სამოთხის მოლოდინით ცხოვრობენ. ისინი არიან გულგრილები ეკლესიაში. თუმცა იაკობი გვაფრთხილებს, რომ ნამდვილი ქრისტიანობა „ქვეყნიერებისგან თავის შეურყვნელად შენახვას“ ნიშნავს (იაკ. 1:27). იესო წმიდა ეკლესიისთვის მოდის, რომელსაც არ აქვს ლაქა ან მანკი (ეფეს. 5:27) და ამქვეყნიური სისტემისგან არ შერყვნილა!

ოქროს კიდევ ერთი მახასიათებელია ჟანგვისა და კოროზიისადმი მდგრადობა. მართალია სხვა ლითონები ატმოსფერული ცვლილებების ზეგავლენით უფერულდებიან, ხალას ოქროს არაფერი ემართება. ბრინჯაო (სპილენძისა და თუთიის ყვითელი შენადნობი) ოქროს კი წააგავს, მაგრამ ოქროსნაირი თვისებები არ აქვს. ბრინჯაო მალე უფერულდება. მას ოქროს მხოლოდ შესახედაობა აქვს, თვისებებით კი მისგან განირჩევა. რაც უფრო მეტია ოქროში სხვა მინარევები, მით მეტად არის მიდრეკილი კოროზიისა და გაფუჭებისკენ. ამჟამად ეკლესიაში ამქვეყნიური სისტემა შეიჭრა. მის ზეგავლენას დავემქვემდებარეთ და ფერი დავკარგეთ. დასავლეთის ეკლესიაში ჩვენი ფასეულობები ხორციელი საცდურებით გაიხრწნა. საკუთარ გულისთქმებს მივყვებოდით და მათ ღვთიურ კურთხევას ვუწოდებდით. ამ კურთხევებით თავი მდიდრებად მივიჩნიეთ, უგრძნობები გავხდით და გაწმედის აუცილებლობა ვერ გავიაზრეთ.

მალაქია აჩვენებს, რომ იესო თავის ეკლესიას გაწმედს, ქვეყნიერების ზეგავლენისგან გაათავისუფლებს ისე, როგორც მდნობელი ადნობს ოქროს. ამ პროცესში ოქრო ფხვნილად იქცევა, შემდეგ ფლუსად წოდებულ ნივთიერებასთან შეურევენ. ნარევს ღუმელში მოათავსებენ და მაღალ ტემპერატურაზე ადნობენ, ფლუსი მინარევებს იკრავს და ზედაპირზე ამოტივტივდება. უფრო მძიმე ოქრო კი ფსკერზე რჩება. მინარევებს ანუ შლაკს (მაგალითად, ფლუსთან არეული სპილენძი, რკინა ან თუთია) აშორებენ.

მოისმინეთ, რას ამბობს ღმერთი ესაია წინასწარმეტყველის პირით: „აჰა, მე გამოგადნე, მაგრამ არა ვერცხლივით; ტანჯვის ქურაში გამოგცადე“ (ეს. 48:10). ღუმელი, რომელსაც ჩვენს გასაწმედად გამოიყენებს, არის ტანჯვა, სირთულეები ან განსაცდელი და არა ფიზიკური ცეცხლი, რომლითაც ოქროსა და

ვერცხლის წრთობა მიდის. პეტრე ამ აზრს შემდეგი ნათქვამით ადასტურებს:

> „ამით გაიხარეთ, თუმცა ამჟამად – თუ საჭიროა – სხვადასხვა განსაცდელით მცირედ გატანჯულნო. რათა თქვენი გამოწრთობილი რწმენა, ცეცხლში გამობრძმედილ, ხრწნად ოქროზე ბევრად ძვირფასი აღმოჩნდეს, ქების, პატივისა და დიდებისთვის იესო ქრისტეს გამოჩენისას“ (1 პეტრ. 1:6-7).

უფლის გამწმედი ცეცხლი გასაჭირი და მწუხარებაა. მათი სიცხე ჩვენს ცხოვრებაში ღვთიურ ხასიათს უწმიდურობას აშორებს. მე ერთ-ერთ დენომინაციურ ეკლესიაში გავიზარდე, რომელიც ასწავლიდა, რომ გადარჩენისთვის საკმარისი იყო ჩვილობაში წყლის პკურება, ღვთისმსახურებებზე დასწრება და ეკლესიური დადგენილებების დაცვა. როცა 1979 წელს სტუდენტურ საძმოში ხსნა მივიღე, სწრაფადვე წამიყვანეს დამოუკიდებელ ეკლესიაში, სადაც მთავარი ყურადღება ღვთიურ კურთხევებს ეთმობოდა. სიწმიდეს არც ამ ეკლესიაში ქადაგებდნენ და არც ჩემს ძველ კონფესიონალურ მიმდინარეობაში.

1985 წელს ღმერთი ლოცვაში გაწმედის აუცილებლობაზე დამელაპარაკა, რამაც ჩემში წყურვილი წარმოშვა. მთელი მგზნებარებით ვთხოვდი ჩემი ცხოვრების გაწმედას. რამდენიმე თვის შემდეგ მიპასუხა. იმავე წლის დეკემბერში მითხრა, რომ საკუთარი თავის უარყოფას, ჯვრის აღებას და მის კვალზე სიარულს მასწავლიდა. მაჩვენა, რომ ჩემს ცხოვრებაში გაწმედის სამუშაოს ჩატარებას აპირებდა.

ცოლს მღელვარებით ვუთხარი: „ღმერთი მთელი ჩემი უწმიდურების მოშორებას აპირებს“. ყველა არასასურველ საკითხზე დაველაპარაკე, რომელთა მოშორებასაც ღმერთი აპირებდა. უმრავლესი მათგანი ზედმეტობებს წარმოადგენდა, როგორიცაა გაუმაძღრობა, ტელევიზორით მეტისმეტი გატაცება და სიამოვნებაზე კონცენტრირება. მომდევნო სამი თვის განმავლობაში არაფერი მომხდარა. პირიქით, ყველაფერი გაუარესდა, თითქოს ორმაგად ხორციელი გავხდი.

უფალს ვკითხე:

– რატომ უარესდება ჩემი ცუდი თვისებები და საქმე გაუმჯობესებისკენ არ მიდის? მან მიპასუხა:

– შვილო, ვთქვი, რომ შენს გაწმედას ვაპირებდი. ამას საკუთარი ძალებით ცდილობდი. ახლა ყველაფერს ჩემი გზებით გავაკეთებ.

იქიდან მოყოლებული, ისეთი რთული განსაცდელების გავლა მომიხდა, რომლებიც ადრე არასოდეს შემხვედრია. და ამ ყველაფერში ისე ჩანდა, რომ ღმერთი მილიონობით მილით იყო დაშორებული, თუმცა სინამდვილეში ასე არ გახლდათ.

ხასიათის ადრე დამალული ნაკლოვანებები ზედაპირზე ამოტივტივდა. ყველა მათგანის ფესვის გამოხატვა ერთი სიტყვით შეიძლებოდა – ეგოიზმი. უხეში და მკაცრი ვიყავი ყველაზე ახლობელი ადამიანების მიმართ. ზოგჯერ ცოლ-შვილს ყოველგვარი მიზეზის გარეშე ვუყვიროდი. ყველაფერზე ვწუწუნებდი. ჩემთან ურთიერთობა უსიამოვნო იყო. უსიყვარულობა მქონდა ოჯახის, მეგობრებისა და პასტორის მიმართ. ყველას ისე ვექცეოდი, თითქოს ისინი იყვნენ ჩემი სულიერი ტანჯვის მიზეზები. ჩემი დამოკიდებულებისა და ქცევის გამო ყველა გამირბოდა.

ბოლოს უფალს შევღაღადე:

– საიდან მოდის ეს რისხვა? ადრე ხომ არ ჩანდა?!

მან წერილიდან მაჩვენა სიტყვები გაწმედაზე, შემდეგ კი კითხვაზე მიპასუხა:

– შვილო, როცა ოქროს წმედენ და ძალიან ცხელ ღუმელში დებენ, სიმხურვალე მას სითხედ აქცევს. ამის შემდეგ მინარევები ზედაპირზე ამოდის.

უფალმა საქორწინო 14-ყირატიან ოქროს ბეჭედზე მიმითითა. ეს ნიშნავდა, რომ 24-დან 14 ნაწილი ოქრო იყო, ხოლო დარჩენილი 10 – სხვა ლითონები. ამრიგად, მასში ოქრო მხოლოდ 60 პროცენტს წარმოადგენდა.

უფალმა შემდგომი კითხვები დამისვა, რომელთაც ჩემი ცხოვრება შეცვალეს:

– ეს ბეჭედი ხალას ოქროს ჰგავს?

– დიახ, – ვუპასუხე მე.

– თუმცა სუფთა ოქრო არ არის, არა?

– არა, უფალო!, – ვუპასუხე მე.

ის განაგრძობდა:

– ოქროს მინარევებს მანამ ვერ დაინახავთ, სანამ ცეცხლში არ მოათავსებთ, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ იქ მინარევები არ არის.

– დიახ, უფალო! – ვუპასუხე მე.

შემდეგ ისეთი სიტყვები წარმოთქვა, რომელთაც ჩემი გული ბომბივით ააფეთქეს:

– როცა ცეცხლის ქვეშ მოგათავსე, შენი უმართლობები ზედაპირზე ამოვიდა; მართალია მათ ვერ ხედავდი, მაგრამ ჩემთვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა. ახლა არჩევანი შენზეა. გამოვლინებულ ნაკლოვანებებზე შენი რეაქცია შენს მომავალს განსაზღვრავს. შესაძლებელია დარჩე რისხვაში და ამ მდგომარეობის გამო დაადანაშაულო ცოლი, მეგობრები, პასტორი ან თანამშრომლები. თავის მართლების რეჟიმში თუ დარჩები, უწმიდურობებსაც დარჩენის ნებას მისცემ. მოგვიანებით, როცა განსაცდელები ჩაცხრება, ისინი ისევ დაიფარება ან თვალს გაუსწორებ რეალურ მდგომარეობას, მოინანიებ და პატიებას ითხოვ. მაშინ ჩემს ციცხვს ავიღებ და შენი ცხოვრებიდან უწმიდურობებს მოვაშორებ.

ღმერთი მათ ჩვენი ნების წინააღმდეგ არ გვაცილებს. პავლემ ეს კარგად იცოდა, ამიტომ მოგვიწოდებს: „ამიტომ, ჩემო საყვარელნო, როცა ასეთი აღთქმანი გვაქვს, განვიწმიდოთ ხორცისა და სულის ყოველგვარი სიბილწისგან და ღვთის მოშიშებით აღვასრულოთ სიწმიდე“ (2 კორ. 7:1). მან ტიმოთესაც მიწერა ამ თემაზე:

> „იცნო უფალმა თავისიანები და განუდგეს უსამართლობას ყველა, ვინც აღიარებს უფლის სახელს“. დიდ სახლში მხოლოდ ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელი არ არის, ასევეა ხისა და თიხისაც, ზოგი საპატიოდ სახმარი, ზოგიც – არასაპატიოდ. ამრიგად, ვინც ამათგან გასუფთავდება, ის იქნება პატივდებული ჭურჭელი, განწმედილი და ხელმწიფისთვის სახმარი, გამზადებული ყოველი კეთილი საქმისთვის“ (2 ტიმ. 2:19-21).

განწმედის საქმე ჩვენსა და ღმერთს შორის თანამშრომლობის საკითხს წარმოადგენს. იგი მადლს გვანიჭებს, მაგრამ ჩვენც მზად უნდა ვიყოთ განწმედისთვის. შემდეგ, როცა ამ პროცესს

დაიწყებს, მასთან უნდა ვითანამშრომლოთ თვინიერებისა და მორჩილების გამოჩენით. ჩემს ცხოვრებაში მხოლოდ გარეგნულ ზედმეტობებს ვხედავდი: ზომაზე მეტად ჭამა, ტელევიზორის ყურება, სიამოვნებები და ა. შ.

და მაინც, ღმერთი უფრო ღრმა ფესვებს უყურებდა და როცა ეს საკითხები მოგვარდა, დანარჩენებიც ნორმაში ჩადგა. განწმედა – მუდმივი, უწყვეტი და ხშირად მტკივნეული პროცესია, მაგრამ მაინც მივესალმები, რადგან ვიცი მისი ნაყოფები.

სრულად განწმედილი ოქროს კიდევ ერთი თვისება გამჭვირვალობა გახლავთ: „ხოლო ქალაქის ქუჩა სუფთა ოქროა, გამჭვირვალე მინის მსგავსი“ (გამოცხ. 21:21). როცა ცეცხლოვანი განსაცდელით იწმიდებით, გამჭვირვალე ხდებით! ასეთ ჭურჭელს თავისთვის არ მოაქვს დიდება, არამედ იმისთვის, რაც მასში ასხია. რაც მეტად ვიწმიდებით, ქვეყნიერება მით უფრო მკაფიოდ ხედავს იესოს ჩვენში. ალელუია!

დავითმა, რომლის გული ღვთისკენ ისწრაფოდა, შესძახა: „ვინ გააცნობიერებს თავის შეცდომებს? განმწმიდე მე დაფარულთაგან“ (ფს. 19:12). დაე, ეს გახდეს ჩვენი ვედრების საგანი! თუ ღმერთს გულების განწმედას ვთხოვთ, მოგვაშორებს ჩვენი თვალისთვის უხილავ უწმიდურობებს. მან კარგად იცის ღრმად დაფარული აზრები და ზრახვები, თუნდაც თავად ვერ ვხედავდეთ. განწმედა გვამტკიცებს, რაც უკვე კარგია და თან, გვაშორებს იმას, რაც გვასუსტებს ან გვბილწავს. სწორედ ამ მიზეზის გამო სთხოვს იესო თანამედროვე ეკლესიას მისგან ოქროს ყიდვას, რომელიც ცეცხლშია გამოცდილი, რათა გავმდიდრდეთ მარადიულობისთვის გამოსადეგი საგნებით და არა იმ ყველაფრით, რასაც ქვეყნიერება მისდევს.

თეთრი სამოსი

ეკლესიისთვის განწმედილი ოქროს შემოთავაზების შემდეგ, იესო მორწმუნეებს თეთრი სამოსის ყიდვას ურჩევს, რომ მათი სიშიშვლე არ გამოჩნდეს. ღმერთი ანალოგიური ტერმინებით შეაგონებს ისრაელს, როცა ესაია ღაღადებს:

„გაიღვიძე, გაიღვიძე, შენი ძალით
შეიმოსე, სიონო! შეიმოსე შენი დიდების

სამოსელით, იერუსალიმო, წმიდა ქალაქო,
რადგან ვეღარ შემოვა შენში
წინადაუცვეთელი და უწმიდური“ (ეს. 52:1).

სიონი ეკლესიის სიმბოლოა. ღმერთი არ ამბობს: „მე შეგმოსავთ“, არამედ „შეიმოსე დიდების სამოსელი“. პავლე ანალოგიურად არიგებს ეკლესიას: „არამედ შეიმოსეთ უფალი ქრისტე და სხეულზე ზრუნვას გულისთქმად ნუ გაიხდით“ (რომ. 13:14). ეს ვედრება იმიტომაა საჭირო, რომ უფალს ვერავინ მიუახლოვდება თეთრი სამოსის გარეშე (გამოცხ. 7:9). როგორც არ უნდა იყოს, აქ საკვანძო საკითხი ის გახლავთ, რომ თავად ჩვენ უნდა შევიმოსოთ.

კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ მისი მადლი ამ სამოსის შეძენის საშუალებას გვაძლევს. ამას ჩვენით ვერ მოვახერხებდით, ვინაიდან ადამიანური სიმართლე დასვრილი სამოსელივითაა (ეს. 64:6). თუმცა, როგორც წინასწარმეტყველი ამბობს:

„სიხარულით ვილხენ უფალში,
გაიხარებს ჩემი სული ჩემს
ღმერთში, ვინაიდან მან შემმოსა
ხსნის სამოსელით, სიმართლის
მოსასხამი მომასხა, როგორც
ნეფე იდგამს გვირგვინს და
როგორც პატარძალი ირთვება
სამკაულებით“ (ეს. 61:10).

უფალი გადარჩენის სამოსელსა და ძვირფასეულობას გვჩუქნის, რომ ვატაროთ. მათ მოპოვებას ჩვენით ვერასოდეს შევძლებდით. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ეს საშუალებები ამაოდაც არის ხოლმე მიღებული. პატარძალმა თავად უნდა მოირთოს თავი.

განვიხილოთ ასეთი მაგალითი: ღარიბ ქალს დიდებული მეფის ძის ცოლად თხოულობენ. ქალი გაღატაკებულია და არაფერი აქვს ქორწილისთვის მოსამზადებლად. საკუთარი ძონძებით სამეფო სასახლეში არ შეუშვებენ – მხოლოდ შესაფერისი სამოსლით. დიდი სიყვარულის გამო პრინცი მას ყველაფერს აძლევს,

რაც დასჭირდება საქორწილო სამოსის თუ ძვირფასეულობის შესაძენად. თუმცა ქალი მიღებული საშუალებებით არაფერს აკეთებს, არამედ საკუთარი სიამოვნებისთვის ფლანგავს. დიდი მეფისა და მისი ძის შეურაცხყოფა იქნება, თუ პატარძალი ქორწილზე შეუფერებელი სამოსით წარდგება. სამოსის მიღების შესაძლებლობა მოწყალებით ებოძა, თუმცა ამაოდ მიიღო. ქორწილისთვის არ მოემზადა. ყველაფერი საქორწინო სამოსის შესაძენად რომ გამოეყენებინა, მეფეს განადიდებდა. ასე იტყოდა: „მან შემმოსა საქორწინო სამოსით“. მისი მადლის ნიჭის წყალობით შეიმოსა. ეს მთლიანად მეფისეულ უზრუნველყოფას წარმოადგენდა. თუმცა ქალს სამოსლის საყიდლად და შესამოსად მომზადება მოუწევდა.

მაგალითი მჭიდროდ უკავშირდება ნეფის დაბრუნებისთვის მზადებას. იოანე ასე აღწერს ნანახსა და გაგონილს:

> „გავიხაროთ, ვიმხიარულოთ და დიდება მივაგოთ, ვინაიდან მოვიდა კრავის ქორწილი, და მისმა სასძლომ თავი გაიმზადა. და მიეცა მას, რომ ჩაეცვა ბრწყინვალე და სუფთა ბისონი, ვინაიდან ბისონი წმიდანთა სამართლიანობაა“ (გამოცხ. 19:7-8).

ბერძნული სიტყვა მე-8 მუხლიდან – „სამართლიანობა“ – გახლავთ *dikaioma*. სტრონგის ლექსიკონი ამ სიტყვას თარგმნის როგორც „მართალ საქმეს“. უაინის ლექსიკონის თანახმად, სიტყვა ნიშნავს „სიმართლის აქტს, სიმართლის კონკრეტულ გამოხატულებას“.

ღმერთმა თავისი მადლი გვიბოძა, რომ მართალი საქმეები ვაკეთოთ. წერილის თანახმად, სწორედ ამ საქმეებით ვიძენთ თეთრ სამოსელს, რომლითაც საქორწინო ნადიმისთვის უნდა შევიმოსოთ. ამაოდ ხომ არ მივიღეთ მისი მადლი? თუ საქორწინო სამოსის შეძენა ჩვენი მართალი საქმეებით ხდება, უმეტესი ჩვენგანი შიშველი აღმოჩნდება. დასავლური ეკლესიების უმრავლესობის საქმეები მოკლე ქვედაკაბასაც არ ეყოფა, რომ არაფერი ვთქვათ საქორწინო სამოსელზე.

ეს ისევ განმარტავს და ადასტურებს იაკობის გაბედულ მტკიცებას (კითხვის სახით ჩამოყალიბებულს): „შენ კი ფუჭი ადამიანო, გსურს გაიგო, რომ რწმენა საქმეთა გარეშე

მკვდარია?“ (იაკ. 2:20). როგორ გამოგვეპარა ეს ჭეშმარიტება თანამედროვე ეკლესიაში?

იაკობს ორი მაგალითი მოჰყავს, რომელიც ჭეშმარიტ რწმენას თვალსაჩინო ყოფს. ის ამბობს: „განა მამაჩვენი, აბრაჰამი, საქმეებით არ გამართლდა, როცა თავის ძეს, ისაკს სამსხვერპლოზე სწირავდა?“ მავანმა შეიძლება თქვას: „მე მეგონა გამართლება რწმენით იყო!“ ჩვენ გამართლებული ვართ, მაგრამ არ ლაპარაკობენ იმ რწმენასა და მადლზე, რომელთაც დასავლეთში ასწავლიდნენ მეოცე საუკუნის ბოლოს.

რწმენა რეალური არ არის, თუ შესაბამისი საქმეები არ ახლავს, ხოლო მადლის გარეშე შეუძლებელია ასეთი საქმეების ქონა. იაკობი განაგრძობს:

> „ხედავ, რწმენა მოქმედებდა მის საქმეებთან ერთად. საქმეებით კი სრული შეიქმნა რწმენა; და აღსრულდა წერილი, რომელიც ამბობს: „ერწმუნა აბრაჰამი უფალს, ეს სიმართლედ ჩაეთვალა მას და ეწოდა ღვთის მეგობარი“. ხომ ხედავთ, საქმით მართლდება კაცი და არა მხოლოდ რწმენით“ (იაკ. 2:21-14).

მეორე თვალსაჩინოებაში იაკობი წერს: „ასევე რახაბ მეძავიც განა საქმეებით არ გამართლდა, როცა შინ მიიღო წარგზავნილნი და სხვა გზით გაისტუმრა? რადგან როგორც სხეულია მკვდარი სულის გარეშე, ასევე მკვდარია რწმენაც საქმეთა გარეშე. (იაკ. 2:25-26).

რწმენა საერთოდ არ არის ნამდვილი რწმენა, თუ მას საქმეები არ ახლავს. შეგვიძლია ჩვენს რწმენაზე ხმამაღლა ვილაპარაკოთ ლაოდიკიის ეკლესიის მსგავსად, მაგრამ გვაქვს კი შესაბამისი ცხელი საქმეები, რომლებიც ამ რწმენას ადასტურებს?

მოდი, განვიხილოთ ორი სხვა იგავი, რომელიც იესომ ათი ქალწულის იგავს დაუკავშირა. გავიხსენოთ, ქალწულების იგავის არსი: უგუნურებმა მთელი თავიანთი სიცოცხლე არ გაიღეს, მაგრამ იესოს მაინც „უფალს“ უწოდებდნენ. ისინი ქორწილზე არ დაუშვეს.

მომდევნო იგავი გვიამბობს მდიდარზე, რომელიც ხანგრძლივ მოგზაურობაში გაემართა. მდიდარი იესოს წარმოადგენს. მან მსახურები შეკრიბა და ფული მისცა, რომ ბრუნვაში გაეშვათ, სანამ წასული იქნებოდა. თანხები სხვადასხვაგვარი იყო, მათი შესაძლებლობისდა მიხედვით.

მათგან ორმა იშრომა და მიცემული გააორმაგა. მესამემ, რომელმაც ყველაზე ნაკლები მიიღო, მიწა ამოთხარა და ბატონის ფული ასე შეინახა. მან არ გამოიყენა მიცემული – ამაოდ მიიღო. დიდი ხნის შემდეგ ბატონი მოგზაურობიდან დაბრუნდა და გაკეთებულ საქმეებზე ანგარიში მოითხოვა. მან პირველი ორი მსახური, რომელთაც გულმოდგინედ იშრომეს მიბარებულზე, შეაქო და დააჯილდოვა. შემდეგ მონამ, რომელმაც ყველაზე ცოტა მიიღო, მაგრამ ფული დამალა, თქვა: „ბატონო, ვიცი, რომ მკაცრი კაცი ხარ და არაფრისგან რაღაცას მოელი, ამიტომ შემეშინდა და შენი ფული მიწაში ჩავფალი. აი, ისიც!“ (ავტორის პარაფრაზირება). ბატონმა მიუგო: „ბოროტო და ზარმაცო მონა!“ (მათ. 25:26). ის იყენებს სიტყვას „მონა“ და არ ახსენებს „წარმართს“, „უცხოტომელს“, „უცხოს“ ან „მტერს“. ვინც მისი მადლი არ მიიღო – მტერია (რომ. 5:10). ვისაც გადარჩენა არ მიულია, უცხოტომელი ან უცხოა (ეფეს. 2:19). ვისაც ღვთის რწმენა არ აქვს, წარმართია. იმ ადამიანისთვის არც ერთი მათგანი არ უწოდებიათ. ის ბატონის მსახური გახლდათ. შემდეგ იესომ ხაზი გაუსვა შემდეგს: „ვინაიდან ყოველ მქონებელს მიეცემა და ჭარბად ექნება, ხოლო უქონელს ისიც წაერთმევა, რაც აქვს“ (მათ. 25:29).

ბატონის სამსჯავრო სამივე მონას შეეხო იმის მიხედვით, თუ როგორ განკარგეს მიბარებული. სასამართლოზე არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, სწამდათ თუ არა მისი არსებობისა. რასაკვირველია, მესამე მონას ღვთის რწმენა ჰქონდა. მან იცოდა თავისი ბატონის არსებობის შესახებ, რადგან მისგან ფული მიიღო. ისიც იცოდა, რომ ბატონი დაბრუნდებოდა – ამიტომაც დამალა ფული შესანახად. თუმცა ისეთი დამოკიდებულებით ცხოვრობდა, რომელიც უფლის დაბრუნებას ეწინააღმდეგებოდა. ის დროს სარგებლიანად არ იყენებდა. მას არ ჰქონდა მართალი საქმეები. ბატონმა ასეთი განაჩენი გამოუტანა ზარმაც მონას: „ეს უსარგებლო მონა კი გადააგდეთ გარესკნელის ბნელში. იქ იქნება ტირილი და კბილთა ღრჭენა“ (მათ. 25:30). მართალია, ეს იგავი თანხის დაბანდების კონტექსტში ვითარდება და შესაფერისი სამოსლის არქონაზე არაფერია ნათქვამი, იგივე პრინციპი აქაც გამოიყენება: მორჩილების არასაკმარისი დონე. ზარმაცი მონისთვის გამოტანილი განაჩენი იმ სასამართლოს შეეფარდება, რომელზეც იესო ლაოდიკიის ეკლესიას აფრთხილებს. ისინი

შიშვლები იყვნენ იმიტომ, რომ მათი საქმეები (და არა ღვთის არსებობის რწმენა) ნელთბილი გახლდათ. იესოს მომდევნო იგავი საშინელ სამსჯავროს ეხება, როცა ის ხალხებს გაასამართლებს. ის მათ გაყოფს, როგორც მწყემსი გამოარჩევს ცხვრებს თხებისგან.

> „მაშინ ეტყვის მეფე მარჯვნივ მდგომთ: მოდი, მამაჩემის მიერ კურთხეულნო, დაიმკვიდრეთ წუთისოფლის დასაბამიდან თქვენთვის გამზადებული სამეფო. ვინაიდან მშიოდა და საჭმელი მომეცით; მწყუროდა და მასვით; უცხო ვიყავი და მიმიღეთ; შიშველი ვიყავი და შემმოსეთ; სნეული ვიყავი და მიპატრონეთ; საპყრობილეში ვიყავი და მომაკითხეთ. მაშინ ეტყვიან მას მართლები პასუხად: უფალო, როდის გიხილეთ შენ მშიერი და დაგაპურეთ? ან მწყურვალი და გასვით? როდის გიხილეთ უცხო და მიგიღეთ? ან შიშველი და შეგმოსეთ? როდის გიხილეთ სნეული, ან საპყრობილეში მყოფი და მოგაკითხეთ? მეფე მიუგებს მათ პასუხად: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რაც ერთს ამ ჩემს უმცირეს ძმათაგანს გაუკეთეთ, მე გამიკეთეთ“ (მათ. 25:34-40).

იესო მხოლოდ ფიზიკურად ავადმყოფებზე, მშივრებზე ან დატუსაღებულებზე არ ლაპარაკობს. ეს სულიერად სუსტებს შეეხება. მსახურების დიდი ნაწილის განმავლობაში, იესო სულიერად ღარიბ ადამიანებზე ზრუნავდა. მან საკვები მისცა სულიერად მშიერს (მათ. 5:6). მან დაარწყულა სულიერად მოწყურებული (იოან. 4:10). ვინც სნეული და ტუსაღია, მათზე იესო ამბობს:

> „უფლის სულია ჩემზე, რადგან მან მცხო გლახაკთა სახარებლად, მომავლინა გულშემუსვრილთა განსაკურნებლად, ტყვეთათვის თავისუფლების გამოსაცხადებლად და ბრმათათვის თვალის ასახელად, ჩაგრულთა გასათავისუფლებლად“ (ლუკ. 4:18).

იესოს მხოლოდ ფიზიკურ საქმეებზე რომ ელაპარაკა, თორმეტი მოციქული ეკლესიას არ ეტყოდა: „ჩვენ, მოციქულები სიტყვის ქადაგებასა და სწავლებაში უნდა დავრჩეთ და არ

გადავერთოთ სურსათით დახმარების პროგრამაში მონაწილეობაზე“ (საქმ.6:2). ეს არავითარ შემთხვევაში არ გამორიცხავს ფიზიკურად ღარიბსა და უძლურზე ზრუნვის აუცილებლობას; ორივე ასპექტი საყურადღებოა.

საკვანძო მომენტი გახლავთ იესოს საქმეების კეთება. იგი ჩვენი მოძღვარი და უფალია. თუმცა იმისთვის არ მოსულა, რომ მას მომსახურებოდნენ და ცხოვრება სიამტკბილობაში გაეტარებინა. იგი მოვიდა, რომ ხალხს აქეთ მომსახურებოდა და თავი დაედო მრავალთა გამოსასყიდად (მათ. 20:28). იგავში დაჯილდოებული მართალი წმიდანები ის ადამიანები არიან, რომელთაც თავი გადადეს იესოს ნაცვლად შრომისთვის. მათი საქმეები ცეცხლივით გიზგიზებდა და სულაც არ იყო ნელთბილი.

> „მაშინ იმათაც ეტყვის, ვინც მარცხნივაა: წადით ჩემგან, წყეულნო, საუკუნო ცეცხლში, რომელიც გამზადებულია ეშმაკისა და მისი ანგელოზებისთვის. ვინაიდან მშიოდა და საჭმელი არ მომეცით; მწყუროდა და არ მასვით; უცხო ვიყავი და არ მიმიღეთ; შიშველი ვიყავი და არ შემმოსეთ; სნეული ვიყავი, და საპყრობილეში, და არ მომინახულეთ. მაშინ ისინიც მიუგებენ პასუხად: უფალო, როდის გიხილეთ შენ მშიერი, ან მწყურვალი, ან უცხო, ან შიშველი, ან სნეული, ან საპყრობილეში და არ გემსახურეთ? მაშინ მიუგებს იგი პასუხად: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, – არც მე გამიკეთეთ! და წავლენ ისინი საუკუნო სატანჯველში, ხოლო მართალნი – საუკუნო სიცოცხლეში“ (მათ. 25:41-46).

ამ იგავით წარმოდგენილ ორ ჯგუფს შორის განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რას აკეთებდნენ და რას არ აკეთებდნენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთადერთი განსხვავება მათ საქმეებში იყო. დაჯილდოებულები მათთვის მიცემული მადლის შესაბამისად მოქმედებდნენ და მართალ საქმეებს აკეთებდნენ. განკითხულები ორი ჯგუფისგან შედგებოდნენ: წარმართებისა და მონებისგან, რომლებიც მიღებულ მადლს არ იყენებდნენ. მათ არ ჰქონდათ მართალი საქმეები. ღვთის მადლი ამაოდ მიიღეს.

ზოგჯერ ამერიკის დიდ შეკრებებზე კითხვებს ვსვამ და გულისგამგმირავ პასუხებს ვიღებ. მაგალითად, ყველა მარტოხელა დედას წამოდგომას ვთხოვ, ისინი კი ბევრნი არიან. მათ ვეკითხები:

– რამდენად ხშირად გეპატიჟებიან თავისთან ადამიანები საკვირაო მსახურების შემდეგ: „ხომ ვერ შეძლებთ, ბავშვებიანად რომ გვესტუმროთ დღევანდელ სადილზე? ვიცით, რომ ბავშვებს მამა არ ჰყავთ და ღვთისმოსავი მამის მაგალითის დანახვა სჭირდებათ“.

ყველაზე დადებითი პასუხი ორი ადამიანისგან მივიღე თითქმის ათასი ადამიანისგან შემდგარ ეკლესიაში. ისევ ვაგრძელებ:

– თუ სარეცხი მანქანა ან რომელიმე საჭირო მოწყობილობა გაგიფუჭდებათ, ეკლესიის ერთ-ერთ ოჯახს ურეკავთ და დახმარებას სთხოვთ, ხოლო ძმები იმ დღესვე მოდიან დასახმარებლად, არა?

ისინი გაკვირვებით მიყურებენ. ზოგიერთს თვალზე ცრემლი ადგება, რადგან ისეთ პრობლემებს ვეხები, რომლებიც მათ ცხოვრებაზე გავლენას ახდენს. კიდევ ვიმეორებ – არც ერთი დადებითი პასუხი. სხვა საჭირბოროტო საკითხებზეც იგივე რეაქციაა.

ადამიანებს ვუხსნი, რომ ერთმანეთზე ზრუნვა პასტორების მოვალეობა როდია. მათ ევალებათ „აღჭურვონ წმიდანები მსახურების საქმისთვის, ქრისტეს სხეულის აღსაშენებლად“ (ეფეს. 4:12).

შემდეგ თემას ვცვლი და მთელ კრებულს ვეკითხები:

– რამდენი თქვენგანი მონაწილეობს ციხის მისიონერობაში?

დიდი შეკრებიდან, დაახლოებით, ხუთიდან რვამდე ადამიანი მპასუხობს. როცა ვეკითხები: „რამდენი თქვენგანი დადის საავადმყოფოებსა და მოხუცებულთა სახლებში?“ – პასუხი იგივეა.

ასეთივე პასუხს ვიღებ კითხვაზე:

– რამდენი თქვენგანი გადის ქუჩაში მქადაგებელ ჯგუფებთან ერთად, რომ ადამიანებს ღვთის სიტყვა მიუტანოთ?

ასეთი დაბალი გამოხმაურების მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ეკლესიათა უმრავლესობა, არსებითად, საკუთარი თავისა და უახლოესი ნათესავებისთვის ცხოვრობს. თუმცა ურწმუნოებიც სწორედ ასე იქცევიან.

მეორე მხრივ, ყველა, ვისაც საჭირო რეაქცია არ ჰქონდა, სასწაულების ან „წინასწარმეტყველის“ მსახურებაზე წავა და მოისმენს, რომ ბიზნესში წარმატება ან ბრწყინვალე მსახურება ელოდება. ისინი უამრავ მილს გადალახავენ ცხებულების მსახურებისთვის, რომ ორმაგი ცხებულება მიიღონ ან განახლების შეკრებაზე აღმოჩნდნენ. რატომ? უმეტესწილად, იმიტომ არა, რომ იესოს უფრო ნაყოფიერად ემსახურონ. მათ საკუთარი სარგებელი აინტერესებთ.

ამას წინათ ვუყურებდი, რომ პოპულარული ტელემქადაგებელი უზარმაზარ აუდიტორიას ცხებულებაზე უყვებოდა. ძნელი არ იყო ღვთის ძალისადმი ხალხის ლტოლვის შემჩნევა. ზოგიერთები მის წინ იდგნენ და თვალები უელავდათ. მიუხედავად ამისა, გულზე ნაღველი შემომაწვა, რომელიც მალე დადასტურდა, როცა კაცმა ევანგელისტს ხელში ჩეკი ჩაუდო. ეს იყო „შესაწირი“. გამახსენდა პეტრე, რომელსაც საქმეთა წიგნში ფინანსური შესაწირი შესთავაზეს. შვება მომგვარა იმის დანახვამ, რომ იმ მახარებელმა ჩეკი უკან დააბრუნა.

– უფალო, – ვკითხე მე, – დავნაღვლიანდი. ვიცი, რატომაც, მაგრამ მინდა, შენ ამიხსნა.

მისი წყნარი, ძლივს გასაგონი ხმა ჩემს გულში გაისმა:

– ჯონ, მათ ძალიან უნდათ ჩემი ძალა, მაგრამ არასწორი მიზეზების გამო. ძალაუფლება ადამიანებს საკუთარი მნიშვნელოვნების გრძნობას ანიჭებს. მათი ავტორიტეტი მაღლდება, მათი პიროვნული ღირსება დასტურდება და ზოგჯერ სიმდიდრესაც იძენენ. ეს ძალა მსახურებისთვის კი არ უნდათ, არამედ წარმატების მისაღწევად.

გონებაში ამომიტივტივდა იესოს სიტყვები, რომლებიც განკითხვის დღეს ხალხისადმი იყო მიმართული. ისინი მის უფლობას აღიარებდნენ, რასაც მათი აზრით, მოხდენილი სასწაულები, ეშმაკების განდევნა და მისი სახელით წინასწარმეტყველება ადასტურებდა. იესომ კი მათ ასე მიმართა: „გამშორდით, მამის ნების უგულებელმყოფელნო“ (მათ. 7:21-23, ავტორის პარაფრაზირება).

უფალი განაგრძობდა:

– ისინი არ ამბობდნენ, უფალო, უფალო, შენი სახელით ციხეებში დავდიოდით, მშივრები დავაპურეთ და შიშვლებს ჩავაცვით შენი სახელის გამო.

ცოტა დავმშვიდდი და დავეთანხმე:

– მართალია! არ ამბობდნენ!

აქედან ადამიანთა ორი ჯგუფი დავინახე, რომლებიც ეკლესიის დიდ ნაწილს შეადგენს. ერთი ამ ორიდან უდიდესია. მისი წარმომადგენლები თავიანთი ცხოვრებით ცხოვრობენ და ქვეყნიერების წარმატებისკენ ილტვიან. მეორე ჯგუფი ეკლესიაში მსახურების წარმატებისთვის მოდის. ეს, უფრო მცირე ჯგუფი შედგება ადამიანებისგან, რომლებიც შინაგანად იწვიან, რომ იესოს ასიამოვნონ მისი ერის მომსახურებით და დაღუპულების გადარჩენით, ხოლო ამ ყველაფერს სუფთა გულით აკეთებენ.

ხალხო, ხედავთ ჩვენი დასავლეთის ეკლესიების სახიფათო გზებს?! როცა ბევრი ესწრება ამ ეკლესიათა მსახურებებს, კვირაში ერთ-ორ ქადაგებას ისმენენ, ხოლო დარჩენილ დროს საკუთარ სიამოვნებაში ატარებენ, რით არიან შემოსილნი? პრაქტიკულად ერთადერთი საშუალება, რომ ეს „მორწმუნეები“ ღვთისმსახურებაზე მოიზიდო დადგენილი მსახურებების დროის გარდა, გახლავთ მათი კურთხევებით მოხიბვლა, რომელთაც ეგოისტური სარგებელი მოაქვს. ისინი მთელ ენერგიას და ძალისხმევას საკუთარი ჯილდოსა და მოგების დევნას ანდომებენ. მათგან უმეტესმა იცის, რა უნდა ილაპარაკოს და გულითად ადამიანადაც ჩათვლით, მაგრამ უფლისთვის არ ცხოვრობს. რას გააკეთებენ განკითხვის დღეს, როცა მათთვის მიცემული მადლის გამოყენებაზე ანგარიშს მოსთხოვენ? შიშვლები აღმოჩნდებიან თუ მართალი (წმიდა) საქმეებით იქნებიან შემოსილნი? პავლე ღაღადებს:

> „ამიტომ ვცდილობთ კიდეც – აქ ვიქნებით თუ იქ, მისთვის სასურველნი ვიყოთ. ვინაიდან ჩვენ, ყველანი უნდა გამოვცხადდეთ ქრისტეს სამსჯავროს წინაშე, რათა თითოეულმა მიიღოს იმის მიხედვით, რასაც სხეულის სიცოცხლის დროს აკეთებდა – კეთილს თუ ბოროტს. ქრისტეს სიყვარულით ვართ მოცულნი და რაკი უფლის შიში ვიცით, ადამიანებს შევაგონებთ, ჩვენ კი გაცხადებულნი ვართ ღმერთისთვის და ვიმედოვნებ, რომ თქვენი სინდისისთვისაც ვართ გაცხადებულნი“ (2 კორ. 5:9-11).

ოდესმე დავფიქრებულვართ უფლისმიერი შიშის ზარზე? ხომ არ ვიცინით მის სიწმიდეზე და მის სასამართლოს ზედაპირულად ვაფასებთ? ფუჭ და უაზრო სიტყვებს ხომ არ ვენდეთ? ამას მესამე საგნამდე მივყავართ, რომლის შეძენასაც იესო ნელთბილ მორწმუნეებს ურჩევს.

თვალის მალამო

მას შემდეგ, რაც იესომ ეკლესიას გაწმედილი ოქროსა და თეთრი სამოსის შეძენა ურჩია, კიდევ ერთი რამ დარჩა თვალის ასახელად. ეს გახლავთ მალამო. ის სხვადასხვა ინგრედიენტებისგან შედგებოდა და თვალის ქუთუთოებზე ისვამდნენ სამკურნალო მიზნებით. ლაოდიკიის სამედიცინო სკოლა ამით იყო ქებული.

ვინაიდან ქალაქის მკვიდრებისთვის თვალის მალამო კარგად იყო ცნობილი, იესომ ის გამოიყენა ეკლესიის სულიერი სიბრმავისგან განკურნების აუცილებლობის ხაზგასასმელად. მართალია, ეკლესია ისტორიული გახლდათ, ნათქვამს წინასწარმეტყველური მნიშვნელობა აქვს. ბევრი თეოლოგი თვლის, რომ ეს განსაკუთრებით აქტუალურია, უშუალოდ, იესოს მეორედ მოსვლის წინა პერიოდის ანუ ჩვენი დღეებისთვის. ეკლესია ამტკიცებს, რომ ხედავს, ხოლო იესო რეალობას ხაზს უსვამს და ამბობს: „არ იცი, რომ ღატაკი ხარ, ბრმა და შიშველი“.

პავლე მორწმუნეებს წერს: „გიხსენებთ ... ლოცვებში, რათა ... ღმერთმა ... გაანათლოს თქვენი გონების თვალნი“ (ეფეს. 1:18). განათლება მკაფიო ხედვას ნიშნავს. ისე უნდა ვხედავდეთ და აღვიქვამდეთ, როგორც იესო აკეთებს. ამას მხოლოდ მის თანდასწრებაში დროის გატარებით, მისი სიტყვის მოსმენით და მისი მსახურებით შევძლებთ. ეს საერთო პრინციპი წინამძღოლობის ბუნებრივი ნიჭის მქონეთათვისაც გამოსადეგია. წინამძღოლის თვალთახედვას მისი მსახურებით და მასთან დროის გატარებით გაიგებთ. ჩემთან ყველაზე მეტი დრო ჩემმა ცოლმა გაატარა, ვიდრე ნებისმიერმა სხვამ ჩვენი მსახურებიდან. ის ღვთისმოსავი ქალია. მას უხარია, ჩემი ცოლი რომ არის და ჩემი, ღვთისგან ბოძებული ძალაუფლების ქვეშ მსახურობს. ის ყველაზე შრომისმოყვარეა ჩვენს შტატში. ბევრი შემთხვევა იყო, როცა გუნდის წევრებს ჩემ არყოფნაში გადაწყვეტილების მიღება სჭირდებოდათ და ლიზა ყოველთვის სწორ მითითებებს იძლეოდა.

მოსე ღვთის თანდასწრებაში იმაზე მეტ დროს ატარებდა, ვიდრე ნებისმიერი ადამიანი მის ეპოქაში: „ას ოცი წლის იყო მოსე, როცა გარდაიცვალა; თვალთ არ დაჰკლებია და ღონე არ გამოსცლია“ (2 რჯ. 34:7). ღვთის მსახურებიდან ყველაზე მეტ სიამოვნებას ნახულობდა, ვიდრე სხვა და უფლისგან კიდევაც მიიღო „ჩემი ერთგული მსახურის“ წოდება (იხ. რიცხვ. 12:7).

მეორე მხრივ, ისრაელ ერს არ ჰქონდა ღვთის თანდასწრებაში ყოფნის დიდი მოთხოვნილება. მათ მხოლოდ კურთხევების მიღება ადარდებდათ. უფალს მხოლოდ მაშინ ემსახურებოდნენ, როცა მოგებას ელოდნენ. ამრიგად, ისინი მოვლენებს ისე არ უყურებდნენ, როგორც ღმერთი ხედავდა.

მათ არაერთხელ გაუსწორეს მცდარი წარმოდგენები, მაგრამ პრობლემამ აპოგეას მიაღწია, როცა ტომთა მთავრები აღთქმული მიწის დასაზვერად გაემართნენ. დაბრუნებისას, მათგან ათმა ცუდი ამბავი მოიტანა: „კალიებივით ვჩანდით ჩვენს თვალში და ამ თვალით გვიყურებდნენო ისინი“ (რიცხვ.13:33).

ქალები და იეშუა ნავეს ძე ვითარებას სხვაგვარად ხედავდნენ. მათ ხალხს უთხრეს: „ოღონდ ნუ ამბოხდებით უფლის წინააღმდეგ და იმ ქვეყნის ხალხისა ნუ გეშინიათ, რადგან ჩვენი ნადავლია იგი. ვინაიდან განერიდა მათ მფარველი, ჩვენს შორის კი თავად უფალია, ნუ გეშინიათ“ (რიცხვ. 14:9). რატომ ხედავდნენ სიტუაციას განსხვავებულად? იეშუა ნავეს ძეს ძალიან უნდოდა ღმერთთან დროის გატარება. ის იმდენად მიუახლოვდა მთის მწვერვალს, რამდენადაც მიცემული ჰქონდა (გამ. 24:13).

მოგვიანებით, სავანის აღმართვამდე, მოსემ კარავი ბანაკისგან მოშორებით გაშალა და მას საკრებულო კარავი უწოდა. თუ ვინმეს უფლის ძიება ეწადა, მხოლოდ ბანაკის გარეთ გასვლა და კარავში შესვლა სჭირდებოდა. არავითარი ცნობა აქ გვაქვს, რომ მოსეს გარდა კიდევ ვინმე დადიოდა იმ კარავში, თუ იეშუა ნავეს ძეს არ ჩავთვლით. როცა მოსე საკრებულო კარავში შევიდა, მთელი ხალხი თავ-თავისი კარვების შესასვლელთან იდგა და შორიდან სცემდა თაყვანს. ისინი პატივს სცემდნენ ადამიანს ღვთის ძიების გამო, მაგრამ ახლოს არ მიდიოდნენ, რომ მათი გული გახსნილიყო. წერილი ადასტურებს, რომ მოსეს ბანაკში დაბრუნებისას „მისი მსახური, ჭაბუკი იეშუა ნავეს ძე, არ შორდებოდა კარავს“ (რიცხვ. 33:7-11). აქ ცხადია ორი რამ. პირველი, იეშუაში იყო ღვთის თანდასწრებისადმი

დიდი ლტოლვა. ის მას შემდეგაც რჩებოდა კარავში, როცა მოსე იმ ადგილს ტოვებდა. მეორე, იეშუა მოსეს დამხმარე გახლდათ. ისიც ღვთის ერთგული მსახური იყო; მისი საქმეები მის რწმენას ცხადყოფდა. იეშუას ხედვა ნათელი იყო, რადგან დროს ღმერთთან ატარებდა და მსახურების მართალ საქმეებს აკეთებდა.

დღესდღეობით, ზოგიერთი ადამიანი საათებს ატარებს „ლოცვის ოთახში“, მაგრამ არ მსახურობს. ისინი თავიანთ ეკლესიებში გამუდმებით რაღაცას აფუჭებენ სულიერი სიბრმავის გამო. ესენია „სუპერსულიერი“ ხალხი, რომელსაც ცათა სასუფეველში ნამდვილი ნაყოფები არ მოაქვს. ისინი ბრმები არიან, ვინაიდან არ ემსახურებიან. სწორედ ამიტომ არის საჭირო უფალთან დროის გატარება და მსახურება.

როგორი ზუსტიც იყო მოსეს გამჭრიახობა, ისეთივე იყო იეშუა ნავეს ძისაც. ორივე ღმერთთან ატარებდა დროს და მართალი საქმეების მკეთებელი მსახურები იყვნენ. ისრაელის ძეებს თავი კალიებად წარმოედგინათ და ამტკიცებდნენ, მტერიც კალიებად აღგვიქვამსო. იეშუა ნავეს ძემ და ქალებმა კი თქვეს, რომ მტრის დაცვა და ძალა გაქარწყლებული იყო. ვინ უფრო ზუსტად დაინახა?

ორმოცი წლის შემდეგ, როცა იეშუა ნავეს ძემ იმ მიწაზე ორი მზვერავი გაგზავნა, ერთმა იქაურმა ასე უთხრა მათ:

> „რადგან გვსმენია, როგორ დააშრო უფალმა მეწამული ზღვის წყლები თქვენ წინაშე, როცა გამოხვედით ეგვიპტიდან და რა დამართეთ ორ ამორელ მეფეს, იორდანეს გაღმა მყოფ სიხონსა და ყოგს, რომლებიც გაანადგურეთ. მოვისმინეთ და შედრკა ჩვენი გული, აღარავის შერჩა მხნეობა, რადგან უფალი, თქვენი ღმერთი, ღმერთია მაღლა ზეცაში და დაბლა დედამიწაზე“ (ი.ნ. 2:10-11).

იეშუა ნავეს ძემ ზუსტად დაინახა მაშინ, როცა სხვა მთავრების აღქმა მცდარი იყო. ეს ვითარება შეესატყვისება ზარმაცი მონის ამბავს, რომელიც ამაოდ იღებდა მადლს თავისი ბატონისგან. მისი დაბრუნების დროისთვის მონამ მასში სასტიკი ადამიანი დაინახა, რომელიც არაფრისგან რაღაცის მიღებას ცდილობდა.

მისი გაგება სრულიად მცდარი გახლდათ. სავარაუდოდ, მისი არასწორი აღქმა მით მეტად ძლიერდებოდა, რაც უფრო იკავებდა თავს ბატონის მიერ მიცემული დავალებების შესრულებისგან.

როგორც ადრე ვიმსჯელეთ, დღეს ეკლესიაში ორი ტიპის ადამიანები არიან, რომელთა ხედვა დაბინდულია. ისინი იესოსავით ვერ ხედავენ. პირველი ჯგუფის წარმომადგენლები ისე არ ეძებენ ღმერთს, როგორც ევალებათ. ისინი პატივს მიაგებენ მქადაგებელს, რომელიც ღმერთს ეძებს და ზეციდან სათქმელი მოაქვს. თუმცა ასეთები ბანაკს არ სცილდებიან, რომ იესოს შეხვდნენ. მათ ყური არ უგდეს მოწოდებას: „მაშ, გავიდეთ ბანაკს გარეთ“ (ებრ. 13:13). ისინი გულგრილები რჩებიან.

მეორე ჯგუფში შედიან იესოს მაძიებლები, რომლებიც მას არ ემსახურებიან. ისინი ეძებენ უფალს, რომ გაიგონ, რის გაკეთება შეუძლია მათთვის. პირდაპირ რომ ვთქვათ, სხვებზე მეტად სწორედ ასეთები უჩენენ დიდ თავის ტკივილს ღვთისმოსავ პასტორებს. მათ „რელიგიური“ ანუ „სულიერი“ ქცევები აქვთ, მაგრამ მათი საქმეები ნელ-თბილია.

ო, ღვთის ერო! არ გვჭირდება ეკლესიაში განახლება ან გამოცოცხლება. ჩვენ რეფორმაცია გვჭირდება! განახლება იმას სჭირდება, რაც უკვე გვაქვს. რეფორმაცია სულიერი აღქმისა და ცხოვრების წესის სრულ შეცვლას საჭიროებს. ყალბი მადლის საკმაოდ დიდხანს გვჯეროდა, რამაც ეკლესია გულგრილობამდე მიიყვანა. შესაძლებელია, დიდხანს ასწავლოთ რაღაც არასწორი და საბოლოოდ, ადამიანები მას ჭეშმარიტებად შერაცხავენ. შემდეგ, როცა სიმართლეს ილაპარაკებენ, უარყოფენ და უკიდურესობად ან მცდარ მიმართულებად მონათლავენ. განახლება და აღორძინება კიდევ უფრო ამტკიცებს არასწორ წარმოდგენებს. ჩვენი თვალები ღია უნდა იყოს, რომ იესოსავით ვხედავდეთ. როგორც მეფსალმუნე ამბობს: „შენი შუქით ვხედავთ სინათლეს“ (ფს. 36:9).

თავი 12

ვინც მიყვარს ...

თუ გვინდა იესოსნაირი ვიყოთ მისი დაბრუნებისას, ერთ-ერთი ჩვენგანი უნდა შეიცვალოს.

როგორც წინა თავიდან შევიტყვეთ, იესომ ლაოდიკიის ეკლესიას მისგან ცეცხლში გაწმედილი ოქროს, თეთრი სამოსისა და თვალის მალამოს ყიდვა ურჩია. შემდეგ მან თქვა: „ვინც მიყვარს, მათ ვამხელ და ვწვრთნი“ (გამოცხ. 3:19).

უფალი სიყვარულის გამო გვამხელს და გვწვრთნის. ებრაელთა წერილის ავტორი იგივე თემას შემდეგნაირად განაგრძობს:

> „და დაივიწყეთ შეგონების სიტყვა, თქვენდამი მომართული, როგორც შვილებისადმი: „შვილო, უფლისგან წვრთნას ნუ უგულებელყოფ და მის მხილებებს ნუ წაუყრუებ; რადგან ვინც უყვარს, იმას წვრთნის უფალი. სცემს ყოველ შვილს, ვისაც ღებულობს“ (ებრ. 12:5-6).

წვრთნა ნიშნავს „შესწორებას და დისციპლინარულ ზომებს“. ცემა ნიშნავს „დასჯას“. ფაქტობრივად, „ცემის“ შესატყვისი ბერძნული სიტყვა გახლავთ *მასტიგოო*. ის მხოლოდ შვიდ-

ჯერ გვხვდება ახალ აღთქმაში. ყველა სხვა ადგილას ნიშნავს გამათრახებას. ჩვენი მამა, რასაკვირველია, არ იყენებს მათრახს; თუმცა მისი სასჯელი, შესაძლოა, მკაცრი იყოს. სწორედ ამიტომ მოგვიწოდებს ავტორი, რომ ღვთიური წვრთნა არ შევიძულოთ. ზოგჯერ, ღვთიური განსაცდელებისას მეჩვენებოდა, რომ შინაგანი ტკივილისგან მოვკვდებოდი, მაგრამ მასზე დაქვემდებარება ყოველთვის სასიკეთოდ მიბრუნდებოდა და გულში სიწმიდის ახალი ტალღა ინთებოდა.

ღვთის შვილები

ღვთის ყველაზე ერთგულ შვილებს შესწორება სჭირდებათ. შესაძლოა, უფალმა სხვებს თავიანთ შეცდომებსა და ცოდვებში დარჩენის უფლება მისცეს ყოველგვარი გამოსწორების გარეშე, მაგრამ არა თავის ძეებსა და ასულებს. როგორც არც ერთი ბრძენი და კეთილი მამა არ უგულებელყოფს საკუთარი შვილების ნაკლოვანებებს, თუმცა სხვებთან ამას არ იზამს, ისე უფალიც არ დაუშვებს, რომ მისმა შვილებმა თავი დაიღუპონ.

საყვედურის გარეშე შეცოდების შესაძლებლობა ღვთისგან გაუცხოების სახიფათო სიგნალია. წერილი ნათლად ამბობს, რომ წვრთნას მხოლოდ უკანონო შვილები არ ექვემდებარებიან და არა ნამდვილი ძეები და ასულები. უკანონოები მას მამას ეძახიან და პრეტენზია აქვთ მის შვილობაზე, მაგრამ მათი მოქცევა ყალბია.

ღვთის გულიდან გამომავალი ძლიერი ქადაგებების შემდეგ ორი სრულიად განსხვავებული რეაგირების მოწმე გავხდი. ერთმა ადამიანმა არაერთი შესწორება მიიღო მამისგან, მეორე კი პრაქტიკულად ხელშეუხებელი დარჩა, რადგან ღვთის ნამდვილი შვილი არ იყო. ერთ ოჯახში ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი. ერთ კვირა დილას, როცა ყურადღებამისაქცევი სიტყვა წარმოვთქვი ამბოხის შესახებ, ეკლესიაში მყოფთა ნახევარზე მეტმა მსახურების ბოლოს მონანიების მოწოდება მოისმინა. პასტორმა და მისმა მეუღლემ ერთ-ერთ მორწმუნე ქალთან სადილად წამიყვანეს. დიასახლისს არ შეუწყვეტია იმაზე ლაპარაკი, თუ როგორი საწვრთნელი ზომები გამოიყენა უფალმა თავისი სიტყვით მსახურების დროს. მისი სახე უფალთან შეხვედრაზე მეტყველებდა. სულიწმიდამ ძლიერად იმოქმედა მასზე. საუბრისას შეფიქრიანებულმა ქალმა მითხრა:

– ჩემმა გოგონამ მსახურების შემდეგ გამიმხილა: „ეს კაცი ხმამაღლა ლაპარაკობდა და მისი სიტყვა უაზრო იყო“. როცა ამ სახლში პირველად შემოვდგი ფეხი, მაშინვე მივხვდი, რომ გოგონა არ იყო ნამდვილად გადარჩენილი. დედის განცხადებამ მხოლოდ ის დაამოწმა, რასაც ვფიქრობდი. დედას უფლისადმი სიღრმისეული სიყვარული ამოძრავებდა და იმ დილას დამსწრე მორწმუნეთა უმრავლესობის მსგავსად მიიღო დისციპლინარული შესწორება, თუმცა მსახურებაზე ქალის გვერდით მჯდომ გოგონას, მის ცხოვრებაში არსებული აშკარა დაუმორჩილებლობის მიუხედავად, არაფერი შეხებია. გოგონას განცხადებამ და ქცევამ დაამოწმა, რომ ღვთის ნამდვილი შვილი არ იყო. და მაინც, მისთვის რომ მეკითხა, ქრისტიანი იყო თუ არა, თანხმობით მიპასუხებდა.

ღმერთი თავისებს სჯის. მისი პირველი სურვილია მხოლოდ სიტყვიდან დალაპარაკება, როგორც იმ ქალის შემთხვევაში მოხდა. თუ არ მოვისმენთ, ჩვენს დასასჯელად სიძნელეებსა და განსაცდელებს გამოიყენებს.

მეფსალმუნე ამბობს:

> „ვცდებოდი, ვიდრე დავისაჯე; ახლა კი შენს სიტყვას ვიცავ ... ვიცი უფალო, რომ სამართლიანია შენი განკითხვა, სამართლიანად დავისაჯე“ (ფს. 119:67-75).

პავლე მამა ღმერთის დისციპლინაზე ლაპარაკობს: „ამის გამო ბევრია თქვენ შორის უძლური და ავადმყოფი, და ბევრს სძინავს. თვითონვე რომ განვიკითხავდეთ ჩვენს თავს, აღარ ვიქნებოდით მსჯავრდადებულნი. ხოლო მსჯავრდადებულნი, უფლის მიერ ვიწვრთნებით, რათა წუთისოფელთან ერთად არ ვიყოთ მსჯავრდადებულნი“ (1 კორ. 11:30-32).

ღმერთს ურჩევნია, რომ გამოსწორების სიტყვას ყური ვუგდოთ, მაგრამ როგორც არ უნდა მოგვიდგეს, მიღების მომენტში არც ერთი მეთოდი არ იქნება სასიამოვნო.

ებრაელთა მიმართ წერილის ავტორი ადასტურებს: „ყოველი წვრთნა ამჟამად სიხარულად კი არ გვეჩვენება, არამედ მწუხარებად, მაგრამ შემდგომში მშვიდობიან ნაყოფს აძლევს მას, ვინც სიმართლის მიერ განისწავლა“ (12:11). ღმერთს ჩვენი მდგომარეობა უფრო აღელვებს, ვიდრე ჩვენი კომფორტი.

ავტორი აღნიშნავს, რომ ღმერთი ამას აკეთებს „ჩვენი სარგებლობისთვის, რათა წილი გვქონდეს მის სიწმიდეში“ (12:10). სიწმიდის საქმეები მისი გამომასწორებელი შრომის მიზანია.

ავტორი განაგრძობს: „გამართეთ ჩამოყრილი ხელები და დაძაბუნებული მუხლები. მოასწორეთ გზები თქვენი ფეხებისთვის, რათა კოჭლმა კი არ გადაუხვიოს, არამედ უფრო განიკურნოს“ (ებრ. 12:12-13). ხელები მსახურებაზე ან საქმეებზე მეტყველებს, რომელთაც უფალში ვაკეთებთ. მუხლები ღვთის წინაშე ჩვენი სიარული ანუ ცხოვრების წესია. გამართვა ნიშნავს, რომ არ ვაცდუნებთ, არამედ ჭეშმარიტებას სიყვარულით ვლაპარაკობთ.

იესო ლაოდიკიის ეკლესიას გაფრთხილებისა და გამოსწორების მკაცრი სიტყვებით არ ასუსტებდა. პირიქით, ისეთ რამეს აძლევდა, რაც მათში ცეცხლს ააგიზგიზებდა. იესოს მოჰქონდა გამოსწორება, რომ მისი სიწმიდის თანაზიარი გამხდარიყვნენ. რასაკვირველია, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუ ღვთიურ დარიგებას მიიღებდნენ.

რატომ დავანებეთ თავი სუსტების განმტკიცებას ეკლესიაში? რატომ არ წარმოვთქვამთ იგივე ქადაგებებს, რასაც იესო ამბობდა? რატომ ეხება დასავლეთის ეკლესიებში წარმოთქმული სიტყვები მშვიდობას, აყვავებასა და ბედნიერებას? ღმერთი იერემიას მეშვეობით ლაპარაკობს იმდროინდელ მქადაგებლებზე, რომლებიც განელთბილებულ ხალხს ყურისთვის საამო სიტყვებს გადასცემდნენ:

> „ჩემს სათათბიროში რომ მდგარიყვნენ, მაშინ ჩემს სიტყვებს აუწყებდნენ და მოაქცევდნენ ჩემს ხალხს თავიანთი ბოროტი გზიდან და ბოროტმოქმედებიდან“ (იერ. 23:22).

გულებს სიმართლისკენ მივმართავთ, რომ ჩვენი თაობა წმიდა ღმერთთან შეხვედრისთვის მოვამზადოთ თუ სიტყვებით ყურების ქავილზე გადავედით, რაც ღვთისთვის სასურველი გარდაქმნისკენ არ გვეძახის?

მშვიდობის შენარჩუნება თუ მშვიდობისმყოფელობა?

ებრაელთა მიმართ წერილში ვკითხულობთ: „ეცადეთ მშვიდობა და სიწმიდე იქონიოთ ყველასთან, ურომლისოდაც ვერავინ იხილავს უფალს. გაფრთხილდით, რომ რომელიმე თქვენგანს არ მოაკლდეს ღვთის მადლი“ (ებრ. 12:14-15). პირველი, რასაც ავტორი აცხადებს, გახლავთ ყველასთან მშვიდობის ქონა. თუმცა იესოს არასოდეს უთქვამს: „ნეტარ არიან მშვიდობის შემნარჩუნებლები“; მან თქვა: „ნეტარ არიან მშვიდობისმყოფელნი“ (მათ. 5:9).

შესაძლოა, კითხვა დასვათ: „ამ ორს შორის განსხვავებაა?“

რასაკვირველია! მშვიდობის შემნარჩუნებელი ნებისმიერ ფასად ცდილობს მშვიდობის დაცვას. ამრიგად, ის ჭეშმარიტებასთანაც წავა კომპრომისზე, რომ დაპირისპირება თავიდან აიცილოს. შესაბამისად, ასეთი პიროვნება არ მოიტანს ღვთის გულიდან მომავალ სიტყვას, რომელიც ადამიანებს ცვლილებისკენ მოუწოდებს, როცა ეს აუცილებელია და როგორც იესომ გააკეთა გამოცხადების ეკლესიების უმეტესობის მისამართით. ხალხი თავის კომფორტულ მდგომარეობაში დარჩება მაშინ, როცა ღვთიური გარდაქმნა სჭირდება.

მეორე მხრივ, მშვიდობისმყოფელი ნამდვილ მშვიდობას ეძებს და თუ აუცილებელია, მის მოსატანად მტკიცედ დადგება ჭეშმარიტებასა და სიმართლეში. ასეთ ადამიანს უყვარს სიმართლე და ეზიზღება ცოდვა. ის უკან არ იხევს. ის ცოდვას თავის სახელს უწოდებს – ცოდვას და არა შეცდომას ან სისუსტეს. ცოდვისადმი მისი სიძულვილი ღვთისა და მისი ერის მიმართ სიყვარულიდან იზრდება. მისი რეალური სურვილია ხალხისთვის საუკეთესოს ხილვა და არა იმის, რაც მათ გააბედნიერებს. მშვიდობისმყოფელს უფრო მეტად აღელვებს მათთვის სარგებლობის მოტანა, ვიდრე პოპულარობა და კაცთმაამებლობა. მას არ აინტერესებს პირადი გამორჩენა, არამედ ჭეშმარიტი წყალობით და სამართლიანობით ხარობს. მშვიდობისმყოფელს უყვარს სიწმიდე; მისი გული ამისთვის ანთია, ვინაიდან ღვთისთვის იწვის!

უძლურთა განმტკიცება სიწმიდისკენ სწრაფვისას

ავტორი მკითხველებს სიწმიდისკენ მოუწოდებს, „ურომლისოდაც ვერავინ იხილავს უფალს“. ადრე გავიგეთ, რომ ისრაელიანებმა ღმერთთან მიახლოების სურვილი გამოხატეს, რომელიც სინამდვილეში არც არსებობდა. ეს მხოლოდ მათი განზრახვა იყო და არა რეალური სურვილი. მათ არ შეეძლოთ ღმერთთან მოსესავით ახლოს მისვლა, ვინაიდან ეგვიპტის შინაგანი ლტოლვა არ მოიცილეს. უფალთან მიახლოება მათ უწმიდურობებს გამოავლენდა, რომლებთან დაპირისპირებაც არ სურდათ.

ებრაელთა წერილის ავტორი თვალსაჩინოდ აჩვენებს, რას ეუბნებოდა ღმერთი თავის ერს საუკუნეების მანძილზე. ესაიაც ანალოგიურად წერს: „გაიმაგრეთ მოდუნებული ხელები და განიმტკიცეთ აკანკალებული მუხლები“ (ეს. 35:3).

ხელებისა და მუხლების გამაგრების შემდეგ, ძველი აღთქმის წინასწარმეტყველი აცხადებს, რომ ბრმებს თვალები აეხილებათ და დახშული ყურები გაეხსნებათ. უდაბნო ნაყოფიერ მიწად იქცევა იმის გამო, რომ ღვთის ერი სიწმიდეში სიარულით განმტკიცდება. ესაია წერს:

> „და იქნება იქ გაკვალული ბილიკი, რომელსაც სიწმიდის გზას დაარქმევენ, უწმიდური ვერ გაივლის მასზე, დაკვალიანებულთათვის იქნება იგი და მასზე მავალი უგუნურნიც კი არ აიბნევიან“ (ეს. 35:8).

ღვთის გზები ადამიანისაზე მაღალია. სიწმიდის შარაგზა სიცოცხლის ბილიკზე ლაპარაკობს, რომელიც იესოს ნათქვამისამებრ, ვიწროა (მათ. 7:13-14). აქ საუბარია სიწმიდის უმაღლეს გზაზე. მას მხოლოდ მაშინ მივაღწევთ, როცა უფლის შესწორებას გახსნილი გულით შევხვდებით და მივიღებთ.

წინასწარმეტყველის სიტყვებით, მასზე ბრიყვიც კი არ აიბნევა. ბრიყვია ადამიანი, რომელიც საკუთარ აზრებსა და ცხოვრებას სიბრძნის ნიმუშად მიიჩნევს.

იგ. 12:15 მიუთითებს, რომ „სულელს თავისი გზა სწორი ჰგონია“. იგავების წიგნიდან იმასაც ვიგებთ, რომ ბრიყვი „თავდაჯერებულია“ (14:16). იგ. 18:2 აცხადებს, რომ „ბრიყვს

გონიერება კი არ ეამება, არამედ მხოლოდ თავისი აზრის – გამხელა“.

სწორედ ამიტომ, ბრიყვი ტყუვდება. იგ. 14:8 ამბობს, რომ „ბრიყვთა სიბრიყვე საკუთარი თავების მოტყუებაშია“.

ლაოდიკიის ეკლესიის ხალხი მოტყუებული იყო. ისინი დარწმუნებული იყვნენ თავიანთ კურთხევასა და აყვავებაში, თუმცა აკლდათ ნამდვილი ცხოვრებისეული სიმდიდრე: ხასიათი, ღვთიური საქმეები და ისე ხედვის უნარი, როგორც იესო ხედავდა. მართალია, იესოს საყვედურის, გაფრთხილების და შესწორების სიტყვები მკაცრი იყო, მაგრამ ლაოდიკიელებს სიბრიყვის გზიდან წამოიყვანდა და სიწმიდის გზაზე დააყენებდა, მათ მოშვებულ ხელებს გაამაგრებდა და აკანკალებულ მუხლებს გაამყარებდა.

სიონის მთისკენ მიმავალი გზა

ვინც დღეს შესწორებას ყურს არ ათხოვებს, ღვთის დიდებისკენ მიმავალ ერთადერთ გზას ხელიდან გაუშვებს. სიწმიდე ადვილად არ მიიღწევა. არსებობს გამოწრთობის, გაწმენდის და გასუფთავების დისციპლინა, მაგრამ ამ ყველაფერს არანაირი შედეგი არ მოაქვს მონანიების გარეშე. სწორედ ამიტომ ეუბნება იესო ლაოდიკიის ეკლესიას: „იყავი მოშურნე და მოინანიე“ (გამოცხ. 3:19).

ნამდვილი მონანიება – ეს გახლავთ ცოდვის მიმართ შეხედულებისა და დამოკიდებულების შეცვლა არა მარტო მისი შედეგების, არამედ წარმომშობი მიზეზების კუთხით. კარგად შევისწავლეთ ცოდვის შედეგებზე დანაღვლიანება, მაგრამ მისი ბუნება არ მიგვიტოვებია. მოშურნეობა, რომელზეც იესო ლაოდიკიის ეკლესიას მიუთითებს, ჩვენი ამჟამინდელი მდგომარეობიდან უფლის განდიდებული ბუნებისკენ სწრაფვის საოცრად დიდი სურვილის ქონას ნიშნავს. მოდი, სიმართლეს თვალებში ჩავხედოთ: თუ გვინდა იესოს მსგავსნი ვიყოთ მისი დაბრუნებისას (1 იოან. 3:2), მაშინ ერთ-ერთი ჩვენგანი უნდა შეიცვალოს და ეს უფალი ნამდვილად არ იქნება! მხოლოდ ღვთიურ დარიგებასა და შესწორებას შეუძლია ჩვენი გარდაქმნა ისე, რომ მას ვგავდეთ.

ესაია მიუთითებს, რომ სიბრიყვის მიმტოვებლები და ღვთის დისციპლინის მიმღებნი უფლის გამოსყიდულებად იწოდებიან.

„დაბრუნდებიან ... და სიმღერით მივლენ სიონში“ (35:10). აქ მნიშვნელოვანია სიონის ხსენება. ებრაელთა წერილის ავტორი ნათელ სურათს ხატავს: „ვინაიდან არ მიახლოებულხართ მთას, ხელშესახებსა და ცეცხლით აგიზგიზებულს, ან ბურუსით, წყვდიადითა და ქარიშხლით მოცულს, არც საყვირისა და სიტყვათა ხმას, რომლის გამგონენიც ითხოვდნენ, აღარ გაგრძელებულიყო სიტყვა“ (ებრ. 12:18-19). ეს სწორედ ის მთა გახლავთ, რომელზეც ამ წიგნის წინა თავებში ვისაუბრეთ. ისევ გვესმის სამწუხარო მოწმობა, რომ ხალხი ღმერთს ლაპარაკის შეწყვეტას სთხოვს. მათ უარი თქვეს უფლისმიერ შესწორებაზე, რადგან ამით მათი გული გაშიშვლდა. ისინი უგუნურები დარჩნენ.

სოფონია წინასწარმეტყველის 3:2-ში ლაპარაკია ისრაელზე:

„არავის ხმას არ ისმენს,
დარიგებას არ იღებს;
უფალს არ მიენდო და
თავის ღმერთს არ მიუახლოვდა“.

ღმერთი წუხს, როცა ამბობს: „ამაოდ ვცემდი თქვენს ძეებს, დარიგება მაინც არ მიიღეს“ (იერ. 2:30). სიწმიდისკენ რომ ევლოთ, მისი შესწორებებისთვის მზად რომ ყოფილიყვნენ, მთაზე ღმერთთან მიახლოებას შეძლებდნენ.

ახლა ჩვენ წინაშე იგივე შესაძლებლობა გადაიშალა, თუმცა ჯერ არ მივსულვართ დასანახ და ხელშესახებ მთასთან. ჩვენ სხვა მთასთან ვდგავართ, რომელზეც ესაია ლაპარაკობს: „არამედ მიეახლეთ სიონის მთასა და ცოცხალი ღვთის ქალაქს“ (ებრ. 12:22). უფალი ისევ მთაზეა, მაგრამ არა ფიზიკურზე და მას სიონი ეწოდება. ეს უფრო რეალური და მარადიული მთა გახლავთ. მისკენ მიმავალი ერთადერთი გზა სიწმიდეზე გადის. მოსემაც ამ გზით იარა. გულით მიატოვა ეგვიპტე და მზადყოფნით მიიღო ღვთის სიტყვა, რომელშიც მისი გამოსწორებაც შედიოდა. ისრაელის ძეები ღმერთს ევედრებოდნენ, რომ მეტი არაფერი ეთქვა, რადგან ეს სიტყვა მათ გულებს აშიშვლებდა და გამოსწორება მოჰქონდა. მათი საქციელის ფონზე ასე გვარიგებენ:

„ფრთხილად! ნუ უარყოფ მოლაპარაკეს [ღმერთს], რადგან თუ კი ისინი ვერ გადარჩნენ, რომელთაც ქვეყნად მაუწყებელი [ღმერთი] უარყვეს, მით უფრო ჩვენ – თუ ზეციდან მაუწყებელს [ღმერთს] შევაქცევთ ზურგს“ (ებრ. 12:25).

ღმერთი დედამიწაზე სინაის მთიდან ლაპარაკობდა; დღეს ის ზეციური სიონის მთიდან ლაპარაკობს. რა გამომაფხიზლებელი გაფრთხილების სიტყვებს ვისმენთ ამ განცხადებაში! თუ ისრაელის ძეებმა ვერ აიცდინეს სასჯელი, როცა ღმერთი სინაის მთიდან მიმართავდა მათ და ეს დარიგებას და გამოსწორებას მოუტანდათ, მით მეტად ვერ გავექცევით სასჯელს, თუ სიონის მთიდან მოლპარაკე ღვთის სიტყვებს ყურს არ დავუგდებთ, რომ წვრთნა და გამოსწორება მივიღოთ.

ისრაელის ძეებს არ სურდათ მისი სიტყვის მოსმენა დიდების შუაგულიდან იმიტომ, რომ ამით მათი გულის მდგომარეობა მჟღავნდებოდა. შესაბამისად, ხალხმა უკან დაიხია. მოგვიანებით, როცა მოსე მთაზე იმყოფებოდა, შექმნეს იაჰვეს სახება, რომელიც მათივე წინასწარმეტყველების პირით იმას იტყოდა, რის მოსმენაც სურდათ – ყურის მომქავებელ და ხორციელი გულისთქმების დამაკმაყოფილებელ სიტყვებს. მთელი ამ დროის განმავლობაში, მოსე ღვთის ჭეშმარიტ სიტყვას ისმენდა, რომელიც მას გარდაქმნიდა. როცა მთიდან დაეშვა, სახე ღვთიური ნათლით უბრწყინავდა. მოსესთვის ღვთის სიტყვა გარდამქმნელი იყო. ისრაელიანთათვის ამ სიტყვამ მთა და მიწა შეძრა, რომელზეც იდგნენ და ეს ისე ძლიერად მოხდა, რომ ხალხმა უკან დაიხია. ავტორი განაგრძობს: „რომლის ხმამაც შეძრა მაშინ დედამიწა; ახლა კი, აღგვითქვამს და ამბობს: „კიდევ ერთხელ შევძრავ არა მარტო დედამიწას, არამედ ცასაც“. ეს „კიდევ ერთხელ“ ნიშნავს შეძრულის შეცვლას, როგორც შექმნილისას, რათა დარჩეს, რაც შეუძრავია“ (ებრ. 12:26-27).

იესო ქრისტეს მხილების სიტყვამ ლაოდიკიის ეკლესია შეძრა. ისინი კმაყოფილები იყვნენ თავიანთი ქრისტიანობით და ყველაფერი კარგად ეჩვენებოდათ, მაგრამ უფლის ჭეშმარიტმა სიტყვამ მათი საფუძვლები შეარყია. ღმერთი კიდევ ერთხელ შეარყევს თავის ეკლესიას, შემდეგ კი – ერებს. შერყევა ყველაფერს მოაშორებს, რასაც მტკიცე საფუძველი არ ექნება. მოაშორებს ყველაფერს, რაც მკვდარი და ცუდია. ის გაწმედს,

რომ დარჩეს ცოცხალი და სუფთა, ღვთიური შერყევის შიში მხოლოდ მათ შეაძრწუნებს, რომელთაც ღვთის შიში არ აქვთ. ესაია ასე ამბობს:

> „შეშინდნენ ცოდვილნი სიონზე, კანკალმა აიტანა მლიქვნელნი; „ჩვენგან რომელი დამკვიდრდება მჭამელ ცეცხლთან და ჩვენგან ვინ იცხოვრებს საუკუნო კოცონთან?“ ის, ვინც სამართლიანად დადის და სიმართლეს ლაპარაკობს, ეზიზღება ძარცვით მონაპოვარი, ვინც ხელს იფერთხავს ქრთამისგან, ყურს იცობს სისხლისღვრის ამბის გაგონებაზე და თვალს ხუჭავს ბოროტების დანახვაზე. სიმაღლეებში დაბინავდება იგი; უმტკიცესი კლდეა მისი საყრდენი, თავისი პური მიეცემა და თავისი წყლით იქნება უზრუნველყოფილი“ (ეს. 33:14-16).

ის არ ახსენებს „ცოდვილებს ეგვიპტეში“, არამედ „ცოდვილებს სიონზე“. ესაია გულისხმობს ადამიანებს ეკლესიიდან, რომელთაც ღვთის შიში არ აქვთ და სიწმიდეს არ ესწრაფვიან. ისინი დაუცველები არიან და კარგად შეირყევიან. შიშის ზარი მანამ არ შეიპყრობს მათ, სანამ ღვთის დიდება არ გამოვლინდება. მჭამელი ცეცხლი და საუკუნო კოცონი ღმერთზე მიუთითებს.

ებრაელთა წერილის ავტორი ასე ასრულებს: „ამიტომ ჩვენ, ვინც შეუძრავ სამეფოს ვღებულობთ, გამოვიჩინოთ მადლიერება, რომლითაც ვემსახურებით ღმერთს სათნოდ, მოწიწებითა და მოშიშებით. რადგან ჩვენი ღმერთი მშთანმთქმელი ცეცხლია“ (ებრ. 12:28-29). ჩვენი ღმერთი მჭამელი ცეცხლია. მართალია ამ წიგნში ბევრი ადგილია მოყვანილი ძველი აღთქმიდან, მაგრამ ღვთის მადლით შევეცადე სწორად განმემარტა მისი სიტყვა ახალი აღთქმის წერილის ფონზე. ჩვენი ღმერთი სიყვარულია, თუმცა ის ცეცხლიცაა, რომელიც ირგვლივ ყველაფერს შთანთქავს.

მისი დიდებული თანდასწრების აღწერილობა ზედაპირულად არ უნდა აღვიქვათ, როგორც მრავალი ჩვენგანი აკეთებდა. კანკალის მომგვრელი ღვთიური დიდების დასადასტურებლად ებრაელთა წერილის ავტორი დასძენს: „იმდენად საშინელი იყო ეს სანახაობა, რომ მოსემ თქვა: „შეძრწუნებული ვარ და ვკანკალებ“ (ებრ. 12:21).

ასეთი რეაქცია იოანე მოციქულის მოწმობასაც შეესაბამება, როცა მან იესო იხილა: „ვიხილე და მკვდარივით დავეცი მის ფერხთით“ (გამოცხ. 1:17).

ვიყოთ წმიდები

დიახ, მას იმაზე დიდი სიყვარულით ვუყვარვართ, ვიდრე გონება აცნობიერებს, თუმცა ეს სიყვარული არავითარ შემთხვევაში არ აკნინებს მის სიწმიდეს. აი, ამიტომ გვეუბნება ებრაელთა წერილის ავტორი: „იქონიეთ მადლი, რომლითაც ვემსახურებით ღმერთს სათნოდ, მოწიწებითა და მოშიშებით“. ო, როგორ გვჭირდება ეს მადლი, რომ უფლის შიშით ვიაროთ და ვიყოთ წმიდები, როგორც თავად არის წმიდა (ლევ. 19:2; მათ. 5:48; 1 პეტრ. 1:16)!

როგორც ახლახან გავიგეთ, ღვთისმოშიშ ადამიანებს, რომლებიც სიწმიდისკენ ილტვიან, მის დიდებულ თანდასწრებაში ყოფნა შეუძლიათ. დავუბრუნდეთ მონაკვეთს წერილიდან, რომელიც ამ წიგნის მეორე თავში მოვიყვანეთ:

> „რადგან თქვენ ცოცხალი ღვთის ტაძარი ხართ, როგორც თქვა ღმერთმა: „დავმკვიდრდები და ვივლი თქვენ შორის და ვიქნები თქვენი ღმერთი და იქნებით ჩემი ხალხი. ამიტომ გამოდით მათგან და გამოეყავით! - ამბობს უფალი – უწმიდურს ნუ მიეკარებით და მე მიგიღებთ თქვენ. ვიქნები თქვენთვის მამა, და თქვენ იქნებით ჩემთვის ძენი და ასულნი – ამბობს უფალი ყოვლისმპყრობელი. ამიტომ, ჩემო საყვარელნო, როცა ასეთი აღთქმანი გვაქვს, განვიწმიდოთ ხორცისა და სულის ყოველგვარი სიბილწისგან და ღვთის მოშიშებით აღვასრულოთ სიწმიდე“ (2 კორ. 6:16-7:1).

ახლა თქვენ მოისმინეთ წინა ისტორია და არ მოგიწევთ ნამდვილი დრამის კულმინაციური მომენტში შეჭრა ისე, რომ კონტექსტზე წარმოდგენა არ გქონდეთ. ვიმედოვნებ, ფონური ამბავი თქვენთვის უკვე ნათელი გახდა. თქვენი გული ღვთისადმი ლტოლვით აინთება, თუ მის დიდებას ნებისმიერ სხვა რამეზე მეტად შეიყვარებთ.

თავი 13

წმიდა ცეცხლი შიგნით

მოწოდებული ვართ, რომ მისი დიდების ცეცხლით ვიწვოდეთ მოსეს, ესაიას, იერემიას, იოანეს, პავლეს და სხვა მრავალი ადამიანის მსგავსად.

Ყველა ღვთისმოსავ ადამიანს სჭირდებოდა უფლისმიერი წვრთნა ამა თუ იმ ფორმით, ძველი წინასწარმეტყველებიდან დაწყებული ახალი აღთქმის მოციქულებით დამთავრებული. ეჭვგარეშეა, რომ დღეს ეს ჩვენც გვჭირდება. საკვანძო კითხვა იმაში მდგომარეობს, თუ რა რეაგირება გვექნება ამ საკითხზე. სიამაყე ხელს გვიშლის ღვთიური შესწორების მიღებაში. ამით უფლის მიერ წარმოებული სიწმიდის შრომიდან მისაღებ სარგებელზე უარს ვამბობთ. თუ თავს დავიმდაბლებთ და მის დისციპლინარულ ზომებს მივიღებთ, უფლის ხმას უფრო მკაფიოდ გავიგონებთ და მეტი სიმკვეთრით დავინახავთ, რაც მასთან ურთიერთობაში სიმწიფის მიღწევის პოზიციაზე დგომის საშუალებას მოგვცემს. აბაკუმი ამბობს:

„დავდგები ჩემს სადარაჯოზე,
ავალ კოშკზე და დავაყურადებ,
რომ ვნახო, რას მეტყვის და
რა ვუპასუხო ჩემს მხილებაზე“
(აბაკ. 2:1).

ამ კაცმა, ფაქტობრივად, საკუთარი თავი ღვთიური მხილების პოზიციაზე დააყენა, ვინაიდან იცოდა, რომ ამით ღვთის გულისა და გზების სიღრმისეულ გაგებას მოიმკიდა და შესაბამისად, უფრო ნაყოფიერი მსახურიც გახდებოდა.

მეფე ყუზიას სიკვდილის წელი

ესაიაც მზად იყო, რომ უფლის ნათქვამი მიეღო. ის წერს: „მეფე ყუზიას სიკვდილის წელს ვიხილე უფალი, დიდებულ და აღზევებულ ტახტზე მჯდარი და მისი სამოსლის კალთები ავსებდა ტაძარს“ (ეს. 6:1).

რამდენიმე წლის უკან, როცა წერილის ამ ადგილის შესახებ ვლოცულობდი, უფალი დამელაპარაკა. ვფიქრობდი იმაზე, რომ ესაიამ უფლის დიდება იხილა. ასე გავიფიქრე: *ეკლესიას იესოს დიდების განახლებული ხედვა სჭირდება.*

შემდეგ გავიგონე, როგორ მითხრა უფალმა: „ეს მუხლი ასე არ დამიწყია“. შეფიქრიანებული დავუბრუნდი ბიბლიას, რომ წამეკითხა: „მეფე ყუზიის სიკვდილის წელს ...“. უფალმა შემაჩერა და მითხრა: „მეფე ყუზია უნდა მომკვდარიყო, სანამ ესაია ხელახლა მიხილავდა“. მან განაგრძო: „სანამ ეკლესია ხელახლა მიხილავს, ყუზია უნდა მოკვდეს!“

ვიფიქრე, ვინ არის ეს ყუზია და რა კავშირი აქვს მას იესოს ხილვასთან? ბიბლიის სიმფონიას მივმართე, ყველა მითითება მოვძებნე, მისი ცხოვრების ამბავი წავიკითხე და მასში მნიშვნელოვანი გამოცხადება ვიპოვე.

ყუზია მეფე დავითის შთამომავალი გახლდათ. მეფედ თექვსმეტი წლის ასაკში სცხეს. თავიდან ის გულმოდგინედ ეძებდა ღმერთს. თქვენც დაუწყებდით ძიებას, ქვეყნის მმართველად თექვსმეტი წლის ასაკში რომ დაეყენებინეთ. სავარაუდოდ, ამ საქმის მასშტაბით ძალზე აღელვებული და ქედმოდრეკილი იყო. დაწერილია: „ეძიებდა ღმერთს ზაქარიას დღეებში, რომელიც საღვთო ხილვებში იყო განბრძნობილი; ვიდრე უფალს ეძიებდა, ღმერთიც ხელს უმართავდა მას“ (2 ნეშტთ. 26:5).

ღმერთზე სრულად მინდობის გამო, ყუზია უხვად იყო ნაკურთხი. მან ომი წამოიწყო ფილისტიმელთა წინააღმდეგ და ბევრ ქალაქში მოიპოვა მათზე გამარჯვება. ასევე სძლია არაბებს, მეყუნიმელებსა და ყამონელებს. ქვეყანა გაძლიერდა როგორც ეკონომიური, ისე სამხედრო თვალსაზრისით. მისი მმართველობის დროს ცხოვრება ყვაოდა. „ყუზიას წარმატება მასზე მოსული ღვთის მადლის მოქმედების შედეგი იყო. თუმცა გავიდა დრო და რაღაც შეიცვალა. თავმდაბლობა თავდაჯერებულობამ ჩაანაცვლა: „როცა გაძლიერდა, გაუამაყდა გული თავის დასაღუპად, უღალატა უფალს, თავის ღმერთს და სამსხვერპლოზე საკმევად შევიდა უფლის ტაძარში“ (2 ნეშტთ. 26:16). ეს ყუზიას სისუსტის დროს კი არ მომხდარა, არამედ გაძლიერების შემდეგ, როცა გული გაუამაყდა. ხედავდა რა წარმატებასა და აყვავებას, რომელთაც მთელი მისი სამფლობელო მოეცვა, მისმა გულმა შეწყვიტა უფლის ძიება.

ახლა ყველაფერს თავად მოახერხებდა; იცოდა, როგორ უნდა ემოქმედა. მისი მიღწევები იზრდებოდა და თვლიდა, რომ ღმერთი ყველაფერში ხელს მოუმართავდა, რასაც წამოიწყებდა. ადრე კურთხეული იყო იმის გამო, რომ თავმდაბლობით ეძებდა ღმერთს.

ყველაფერი ერთ დღეში როდი მოხდა. იგივე შეიძლება გადახდეს ნებისმიერ ჩვენგანს. ღმერთმა გამაფრთხილა:

– ჯონ, ცათა სამეფოში უმეტესობას იგივე დაემართა არა გვალვის, არამედ სიუხვის დროს.

რატომ? იმიტომ, რომ დიდი წარმატების მიღწევის შემდეგ ადვილია იმ ფაქტის თვალთახედვის არიდან დაკარგვა, რომ ყველაფერი უფალმა მოგვცა. ბევრი ადამიანი აღმოჩნდა მსგავს მახეში. გადარჩენის მიღებისას ისინი ღვთისა და მისი გზების შეცნობას ესწრაფვიან. მათი თავმდაბლობა ცხადია, ვინაიდან უფალს ეძებენ და ყველაფერში მას ენდობიან. ისინი ეკლესიაში შინაგანი წყურვილით მოდიან: „უფალო, შენი შეცნობა მინდა!“ და ღვთის უშუალო თუ გადაცემულ ძალაუფლებას ემორჩილებიან. ჭეშმარიტ თვინიერებაში სიხარულით იღებენ მის შესწორებას მიუხედავად იმისა, როგორ და ვისი მეშვეობით გზავნის ღმერთი. ისინი მიდიან წერტილამდე, სადაც ცოდნა დააგროვეს, გამოცდილებისა და მიღწევების ხარჯზე განმტკიცდნენ და მათი დამოკიდებულება იცვლება. იმის მაგივრად, რომ ბიბლია ასეთი

მიდგომით იკითხონ: „უფალო, გამიხსენი საკუთარი თავი და შენი გზები!“, მას უკვე დაფუძნებული დოქტრინების მხარდასაჭერად იყენებენ და მასში იმას ამოიკითხავენ, რისიც სწამთ. თავიანთი პასტორების ქადაგებაში ღვთის ზეციურ ხმას ველარ ცნობენ; ისინი უკან გადაიზნიქებიან, ხელებს გადაიჯვარედინებენ და თავმომწონედ წარმოთქვამენ: „ერთი ვნახოთ, რა იცის!“ წმიდა წერილის ექსპერტები გახდნენ და დაკარგეს გულის სირბილე და თავმდაბლობა. ღვთის მსახურებისთვის საჭირო მადლი ქრება, რადგან მას სიამაყე ანაცვლებს (იხ. იაკ. 4:6).

ჩანს, ეს პრობლემა საკმაოდ ხშირია ამერიკის ეკლესიებში, რადგან ბევრი სწავლებაა ხელმისაწვდომი. ვკითხულობთ 1 კორ. 8:1-ს: „ვიცით, რადგან ცოდნა ყველას გვაქვს. მაგრამ ცოდნა აამპარტავნებს, სიყვარული კი აშენებს“ (1 კორ. 8:1). სიყვარული თავისას არ ეძებს, არამედ სიცოცხლეს თავისი ბატონის ფეხებთან დებს, ვისი მსახურებისთვისაც არის მოწოდებული. სიამაყე თავისას ეძებს რელიგიის ნიღაბქვეშ. ღმერთმა გაგვიმარტა, რომ სიყვარულის გარეშე მიღებულ ცოდნას სიამაყემდე მივყავართ. მოდი, მნიშვნელოვანი კითხვა დავსვათ მეფე ყუზიის შესახებ! როცა მის გულში სიამაყემ დაისადგურა, მეტად რელიგიური გახდა თუ ნაკლებად? ასეთია გასაოცარი პასუხი: ის უფრო რელიგიური გახდა. მისი გული გაამაყდა, ტაძარში შევიდა, რომ თაყვანი ეცა. სიამაყე და რელიგიური სული მხარდამხარ მიაბიჯებენ. რელიგიური სული ადამიანს აფიქრებინებს, რომ თავმდაბალია „ცრუ სულიერების“ საფარქვეშ, სინამდვილეში კი – ამაყია. მეორე მხრივ, სიამაყეს ადამიანი რელიგიური სულის ტყვეობაში ჰყავს, ვინაიდან მეტისმეტად ამაყია იმის აღიარებისთვის, რომ მონობაშია! სიამაყე კარგად იმალება ეკლესიაში, ვინაიდან რელიგიური, ხარიზმატული, ევანგელური ან ორმოცდაათიანური ნიღაბი აფარია.

ამის შემდეგ ყუზია რეალობას შეეჩეხა:

> „უფლის ოთხმოც მამაც მღვდელთან ერთად შეჰყვა მას ყაზარია მღვდელი. გადაეღობნენ მეფე ყუზიას და უთხრეს: „შენ არ გეკუთვნის, ყუზია, უფლისთვის კმევა, არამედ მღვდლებს, აჰარონის ძეთ, რომლებიც კმევისთვის

არიან დადგენილნი; გადი საწმიდრიდან, რადგან უმართლოდ მოიქეცი და არ გექნება პატივი ღვთისგან“ (2 ნეშტთ. 26:17-18).

ღმერთმა სასჯელი ამ კეთილშობილი ხალხის მხრიდან მოიტანა, ხოლო ყუზიას პასუხი, ეჭვგარეშეა, ღვთისთვის სათნო არ იყო:

„განრისხდა ყუზია, ხელში კანდელი ეპყრა საკმევლად; აჰა, მღვდლებზე განრისხებისას კეთრი გამოაჩნდა შუბლზე მღვდლების წინაშე, უფლის სახლში, საკმევლის სამსხვერპლოსთან“ (2ნეშტთ. 26:19).

ყუზია განრისხდა. სიამაყე ყოველთვის თავს იმართლებს. ასეთი თავდაცვა რისხვის თანხლებით მიმდინარეობს. ამაყი ადამიანი ყველა დანარჩენს ადანაშაულებს, თავად კი თავს იმართლებს. ყუზიამ რისხვა მღვდლებისკენ მიმართა, მაგრამ პრობლემა მისი გულის სიღრმეში არსებობდა. სიამაყემ თვალები დაუბრმავა.

ნაცვლად იმისა, რომ თავი დაემდაბლებინა და იმ ადამიანებისგან ღვთიური შეგონება მიეღო, რისხვას სიამაყის გამოკვების საშუალება მისცა. კეთრი შუბლზე გამოაჩნდა, რომლის დანახვა ყველას შეეძლო. მის შემთხვევაში კეთრი შინაგანი მდგომარეობის გარეგნული გამოხატულება გახლდათ, რომლის წყაროსაც სიამაყე წარმოადგენდა.

იგივე დღესაც ჭეშმარიტია. ძველ აღთქმაში კეთრი ახალი აღთქმის ცოდვის პირველსახეა. ხშირად, გარეგნული ცოდვა სხვა არაფერია, თუ არა შინაგანი სიამაყის გამოვლინება, რომელიც ადამიანს აბრმავებს და ღვთიური შესწორების მიღებაში ხელს უშლის.

მოვისმინე, თუ რა უთხრა ღმერთმა ჩემს გულს და ყუზიას ცხოვრებას გადავხედე. მივხვდი, რომ სიამაყე გვაბრმავებს და ხელს გვიშლის იესოს დანახვაში. მისი დანახვა აუცილებელია, რადგან წერილის თანახმად, უფლის ხილვით გარდავიქმნებით მის მსგავსებაში: „ჩვენ კი ყველანი, რიდეახდილი სახის მსგავსად ვხედავთ უფლის დიდებას, ვუმზერთ რა სარკეში ამ ხატებას და გარდავისახებით დიდებიდან დიდებაში, როგორც უფლის სულისაგან“ (2 კორ. 3:18).

იესოს უნდა ვუყურეთ, რომ მის სახებას დავემსგავსოთ და ამით საკუთარ თავს ისე ხედვის საშუალება მივცეთ, როგორც თავად ხედავს. სიამაყე ხელს შეგვიშლის მის დანახვაში, დაგვაბრმავებს და სიცრუის სახიფათო ასპარეზზე გადაგვაგდებს. ლაოდიკიის ეკლესიის ხალხს სიამაყის გამო არ ჰქონდა იესოს დანახვის საშუალება. საკუთარ თავს სულიერებად თვლიდნენ, მაგრამ უფლისმიერმა მხილებამ საწინააღმდეგო აჩვენა. იესოს გარდამქმნელი ძალის გარეშე დამყაყებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მათ ქრისტიანობის მხოლოდ ფორმა შემორჩათ, შესატყვისი ქრისტესმიერი საქმეები კი აკლდათ.

წმიდა, წმიდა, წმიდა

ესაიამ უფალი იხილა თავის დიდებაში. მან იცოდა, რომ ეს სულიერი ხილვა იყო, რადგან სხეულში ვერავინ იხილავს ღვთის სახეს ისე, რომ ცოცხალი დარჩეს. როცა წინასწარმეტყველმა უფლის ტახტი დაინახა, შეუძლებელი იყო, არ შეემჩნია უზარმაზარი ანგელოზები, რომელთაც სერაფიმებს ეძახდნენ. მან დაწერა, რომ თითოეულს ექვსი ფრთა ჰქონდა. აქედან ორით სახეს იფარავდნენ და ერთმანეთს გასძახოდნენ:

> „წმიდაა, წმიდაა, წმიდაა ცაბაოთ უფალი! სავსეა მისი დიდებით მთელი დედამიწა!“ და შეირყა წირთხლთა საძირკვლები ძახილის ხმაზე და კვამლით აივსო სახლი“ (ეს. 6:3-4).

ანგელოზები გალობდნენ. არსებობს ამ საგალობლიდან აღებული მუხლი, რომელსაც ადამიანები მონოტონური ხმით ხშირად მღერიან. არა! ანგელოზები იმაზე რეაგირებდნენ, რასაც ხედავდნენ, თუნდაც სახედაფარულები. ყოველ წამს ღვთის დიდების ახალი ასპექტი იხსნებოდა და ისინიც შესძახოდნენ: „წმიდაა!“ ისე ხმამაღლა ყვიროდნენ, რომ ზეციური არქიტექტურა ირყეოდა. ხმაურით მიწიერი შენობის შერყვეაც კი ძნელია, რომ არაფერი ვთქვათ ზეციურზე. ანგელოზები ასეთ სიტყვებს არ გალობდნენ: „მის ტახტთან გავატარე ტრილიონობით წელი. ახლა მინდა დავისვენო და ზეცის სხვა კუთხეები გამოვიკვლიო“. არა, მათ არ სურდათ სადმე სხვაგან ყოფნა, რადგან შემოქმედი

თავის ქმნილებაზე გაცილებით მშვენიერი და სასწაულებრივია. მეფსალმუნემ შესძახა, რომ ღვთის სატახტო დარბაზის ზღურბლთან დგომას არჩევდა მდიდრულ სასახლეებში ყოფნას, სადაც მისი თანდასწრება არ არის (ფს. 84).

რატომ შესძახოდნენ ანგელოზები: „წმიდაა, წმიდაა, წმიდაა“? რატომ სამჯერ? ეს ებრაულ წერილებში გამოყენებული ლიტერატურული სტილია. გამეორება ხაზგასმას ნიშნავს. თუ ინგლისურ ენაზე რომელიმე სიტყვის ან ფრაზის დიდმნიშვნელოვნების გამოკვეთა გვსურს, რამდენიმე მეთოდს ვიყენებთ. შეგვიძლია მსხვილი შრიფტით, კურსივით, ხაზგასმით, ასომთავრულით დავწეროთ ან ძახილის ნიშანი დავუსვათ.

ებრაელი მწერალი იგივე ეფექტის მისაღწევად სიტყვას იმეორებდა, როგორც წესი, – ორჯერ; მაგალითად, იესო ამბობს: „ყველა, ვინც მეუბნება: უფალო, უფალო! როდი შევა ცათა სამეფოში“ (მათ. 7:21). სავარაუდოდ, იესოს „უფალო“ ორჯერ არ უთქვამს, არამედ აქცენტი მასზე გააკეთა და ავტორმა ამის დაჭერა მოისურვა.

სიტყვა სამჯერ წერილის მხოლოდ რამდენიმე ადგილას მეორდება. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა გამოცხადების წიგნში გვხვდება, როცა ანგელოზი დედამიწის მკვიდრებზე განაჩენს აცხადებს; ანგელოზმა დაიყვირა: „ვაი, ვაი, ვაი!“ (გამოცხ. 8:13). ამგვარი გამეორებით ნათქვამია, რომ წინა სასჯელები ძალზე მკაცრი იყო, მაგრამ მომავალი სასამართლო გონების ყოველგვარ აღქმას სცდება. წერილში მხოლოდ ერთხელ არის ნახსენები ღვთის თვისება, რომელიც სამჯერ მეორდება. ანგელოზები არ ყვიროდნენ: „ძალა, ძალა, ძალა!“ ან „სიყვარული, სიყვარული, სიყვარული!“ ან „ერთგული, ერთგული, ერთგული!“ დიახ, ღმერთი ყოვლისშემძლეა, სიყვარულია და ერთგულია, მაგრამ ამ ყველაფერს მისი სიწმიდე აღემატება. სწორედ ამ სიწმიდეში იპოვება მისი არსების ბრწყინვალება ანუ ღვთიური ცეცხლი!

ვაი, მე!

ესაიამ ღვთის ტახტი რომ იხილა, არ უთქვამს: „ოჰო, აი, ისიც!“ მან შესძახა:

„ვაი! დავიღუპე, რადგან
ბაგეუწმიდური კაცი ვარ და
ბაგეუწმიდურ ხალხში ვცხოვრობ,
ჩემმა თვალებმა კი მეფე,
ცაბაოთ უფალი იხილეს“ (ეს. 6:5).

დღევანდელ ენაში სიტყვამ „ვაი“, თავისი სიძლიერე დაკარგა. ღვთის სასჯელის უძლიერეს ფორმაზე სწორედ ეს სიტყვა წარმოითქვა. როგორც უკვე განვაცხადეთ, ანგელოზს „ვაი“ აღმოხდა დედამიწის მკვიდრებზე მომავალი სასჯელის გამო. ფაქტობრივად, ის ამბობდა: „ყველაზე მკაცრი სასჯელი უკვე მოდის თქვენზე“. იესომ ეს სიტყვა იუდას მიმართ გამოიყენა. მისი მნიშვნელობა იმდენად მძიმეა, რომ იესომ თქვა: „იმ კაცისთვის უმჯობესი იქნებოდა, არ დაბადებულიყო“ (მარკ. 14:21). იშვიათია, როცა წინასწარმეტყველი „ვაი“-ს წარმოთქვამდეს ადამიანის სიცოცხლეზე. კიდევ უფრო გასაოცარია, რომ ესაიას მსგავსმა ღვთისმოსავმა კაცმა ეს სიტყვა საკუთარ თავზე თქვა. როგორც კი მან ეს მსჯავრი გააჟღერა, მაშინვე წამოიყვირა: „დავიღუპე!“ ეს ნაწილებად დაშლას ნიშნავს. ესაია წმიდა ღვთის წინაშე წარსდგა, ცხოვრებაში პირველად გაიგო სრული გაცნობიერებით, თუ ვინ არის ღმერთი და პირველად მიხვდა, თავად რას წარმოადგენდა.

იმ ერთადერთ წამს ყოველგვარი თავმოყვარეობა დაიმსხვრა. საკუთარ თავსა და კაცობრიობაში მისი თავდაჯერება განადგურდა. ფსიქიატრია აღარასოდეს იქნება ცხოვრებისეული პრობლემა. თუ კიდევაც იყო რაიმე სახის სიამაყე, უკვე აღარ დარჩა. ესაია ძირს ეგდო, სატახტო დარბაზის იატაკზე გართხმული. მისი არსების ყოველი უჯრედი კანკალსა და დაუცველობას მოეცვა.

წინასწარმეტყველი ეძებდა, სად დამალულიყო, მაგრამ ვერ პოულობდა. ასე მძაფრად არასოდეს დასჭირვებია წყალობა და მადლი ცოცხლად დარჩენისთვის, რომ არაფერი ვთქვათ ყოველივეს უფლის, წმიდა ღვთის წინაშე წარდგომაზე.

განწმედა, მსახურება, ხედვის სიმკვეთრე

როცა მოეჩვენა, რომ ერთი წუთით მეტსაც ველარ გაუძლებდა, დაწერა, რა მოხდა შემდეგ:

> „და მოფრინდა ჩემთან ერთ-ერთი სერაფიმი, რომელსაც ხელში სამსხვერპლოდან აღებული მოგიზგიზე მუგუზალი ეჭირა მაშით. ბაგეზე შემახო და თქვა:
>
> „აჰა, შეეხო მუგუზალი
> შენს ბაგეს დამოგცილდა
> ურჯულოება, მიგეტევა
> შენი ცოდვა“ (ეს. 6:6-7).

ღმერთი თავმდაბლებს წყალობასა და მადლს ანიჭებს. ანთებულმა მუგუზალმა ესაია გაწმიდა და გააკეთილშობილა. ამის შემდეგ მან ღვთის ხმა მოისმინა, რომელიც ამბობდა: „ვინ წარვგზავნო და ვინ გაგვეგზავნება?“ (ეს. 6:8) განწმედის წყალობით შეძლო მკაფიოდ გაეგონა ღვთის ხმა: „ვინ გაგვეგზავნება?“ ესაიამ მყისვე მიუგო: „აქ ვარ, მე წარმგზავნე!“ (ეს. 6:8).

წინასწარმეტყველმა გაიგონა ღვთის გულიდან მომავალი სიტყვები:

> „თქვა: „წადი და უთხარი ხალხს, სმენით მოისმენთ, ოღონდ ვერ გაიგებთ; ხილვით იხილავთ, მაგრამ ვერ მიხვდებით! დაასუქე ამ ხალხის გულები, ყურები დაუმძიმე და თვალები დაუბნელე, რომ თვალით ვერ ხედავდეს, ყურით ვერ ისმენდეს და გულით ვერ გებულობდეს, რათა არ მოექცეს და არ განიკურნოს“ (ეს. 6:9-10).

იმ ადამიანთა რიცხვში, რომელთაც ბრმები და ყრუები ეწოდათ, ცნობილი წინასწარმეტყველები და მწიგნობრები შედიოდნენ. ისინი იმას არ ამბობდნენ, რასაც ესაია გადასცემდა, რადგან მკაფიოდ მოსმენა არ შეეძლოთ.

მხურვალე გული

ღმერთი ლაპარაკობს, მაგრამ ესმით თუ არა ადამიანებს? ეს მუხლები ერთ ძალზე ღვთისმოსავ მეგობართან საუბარს მაგონებს (ადრე დავწერე მასზე, როგორც ადამიანზე, რომელმაც კოლეჯში დამიმოწაფა). იმ არეალში ჩასვლა მომიხდა, სადაც ეს მეგობარი ცხოვრობდა, ამიტომ აეროპორტში დამხვდა. ჩემს ჩამოფრენამდე რამდენიმე საათის განმავლობაში ფიქრობდა და ლოცულობდა. მან ცრემლიანი თვალებით მითხრა: „ჯონ, ღმერთს იმდენი რამის თქმა სურს ამერიკისთვის, მაგრამ ვერ პოულობს ადამიანებს, რომლებიც ამას გამოთქვამენ“. ჩემი გული ამ სიტყვებმა აანთო; ვიცოდი, რომ ჯერ არ მიმეღწია იმ წერტილამდე, საიდანაც ღვთის ელჩობას შევძლებდი. მაშინვე ესაია გამახსენდა. როგორც კი გაიწმინდა, ღვთის ხმა ნათლად გაიგონა და შეძლო არა მარტო ღვთის პრინციპებზე, არამედ მის გულზე ლაპარაკი. მაშინ გავიფიქრე: *საქმე იმაში როდია, რომ ამერიკაში ხალხი არ არის, რომელთაც წერილიდან ჭეშმარიტების პრინციპებზე ლაპარაკი შეუძლიათ. ნამდვილი პრობლემა შემდეგში მდგომარეობს: არიან თუ არა ისეთი მამაკაცები და ქალები, რომლებიც გამოეყოფიან და თავს დაიმდაბლებენ ღვთისთვის განსაწმედად, რომ ზუსტად გაიგონონ და გამოაცხადონ უფლის გულისხმა?*

იესოსთან ვახშმობა

დავუბრუნდეთ ლაოდიკიის ეკლესიას, რომელიც წინასწარ-ტყველურად, თანამედროვე ეკლესიის სახეა. იესო მკაცრად ამხელს მას და შემდეგ არიგებს: „იყავი მოშურნე და მოინანიე“. ეს ეკლესიის ხალხზეა დამოკიდებული. იქნებ ჩვენზეც? ყურს დავუგდებთ თუ არა მის მხილებას, თუ ისრაელის ძეებივით განუსჯელნი ვიქნებით? იესო განაგრძობს: „აჰა, ვდგავარ კართან და ვაკაკუნებ. თუ ვინმე მოისმენს ჩემს ხმას და გამიღებს კარს, შევალ მასთან. მე მასთან ვივახშმებ და ის ჩემთან“ (გამოცხ. 3:20). ო, მოისმინეთ მისი სიტყვები უკანასკნელი ჟამის ეკლესიისთვის! ის თავის ერს ელაპარაკება, რომელიც წინასწარმეტყველებს და ასწავლის: „თუ ვინმე მოისმენს ჩემს ხმას ...“ ნუთუ ეს გულზე არ გხვდებათ? ნუთუ მასთან ურთიერთობაში ისე გავუწმიდურდით საკუთარ სიამოვნებასა და პირად გამორჩენაზე გადაგებულნი, რომ უფლის გულისნადები ვერ გავიგეთ? ნუთუ ისე ჩავეფალით ამქვეყნიურ ზნეობასა და გულისთქმებში, რომ უფლის ხმის

მოსმენაზე პრეტენზიის მქონენი, სინამდვილეში, მეტისმეტად დავშორდით მისი გულის ძახილს? როგორც გახსოვთ, იესომ ეკლესიას მისგან გაწმედილი ოქროს, მართალი საქმეების სიმბოლოს – თეთრი სამოსისა და თვალის მალამოს ყიდვა ურჩია, რომ ისე დაენახათ, როგორც თვითონ ხედავს. ეს ნიმუში ესაიას მოწმობაშიც ჩანს.

წინასწარმეტყველი მაშინ განიწმიდა, როცა თავი დაიმდაბლა ღვთის შესწორების მისაღებად. ამის შემდეგ მოშურნეობით მოინდომა მართალი ანუ წმიდა საქმეების კეთება. მომდევნო ჯერზე დაინახა, რომ ადამიანები სწორად ვერ ხედავდნენ; ისინი ბრმები იყვნენ და თვალის მალამო სჭირდებოდათ. ღმერთმა ესაიას თვალებს საფარველი მოაშორა მას შემდეგ, რაც თავი დაიმდაბლა, ღვთიური შესწორება მიიღო, განიწმიდა და მართალი საქმეების კეთებისთვის მზადყოფნა გამოხატა.

კიდევ ერთხელ მოუსმინეთ იესოს: „აჰა, ვდგავარ კართან და ვაკაკუნებ. თუ ვინმე მოისმენს ჩემს ხმას და გამიღებს კარს, შევალ მასთან. მე მასთან ვივახშმებ და ის ჩემთან“. მის ნათქვამს ორმაგი მნიშვნელობა აქვს. დიახ, ეს არის ეკლესია უშუალოდ მეორედ მოსვლის წინ, ამიტომ უფლის მეორედ მოსვლას ეხება. ლუკას იესოს ანალოგიური სიტყვები მოჰყავს:

> „დე, იყოს თქვენი წელი შემოსარტყლული და თქვენი ლამპარი – ანთებული. იმ ადამიანთა მსგავსად, თავიანთი ბატონის დაბრუნებას რომ ელიან ქორწილიდან, რათა როგორც კი დააკაკუნებს, იმწამსვე გაუღონ. ნეტარ არიან ის მონები, რომლებსაც შინ დაბრუნებული ბატონი ფხიზლებს ჰპოვებს. ჭეშმარიტად გეტყვით, შემოირტყამს სარტყელს და დასხამს მათ, მივა და მოემსახურება“ (ლუკ. 12:35-37).

ჩვენი უფალი მოგვემსახურება, თუმცა მას საუკუნოდ უნდა ველოდოთ. იგი მსახურია ამ სიტყვის ყველაზე ჭეშმარიტი გაგებით. მას ჩვენი ვალი არ აქვს, როგორც ჩვენ გვაქვს მისი, მაგრამ მაინც მოისურვა თავისი ერთგული ხალხის მომსახურება. იგი კრავის საქორწილო ნადიმზე მოგვემსახურება.

არსებობს სხვაგვარი გაგებაც. როცა იესო ამბობს: „მე მასთან ვივახშმებ და ის ჩემთან“, არა მარტო საქორწილო

ნადიმზე ლაპარაკობს, არამედ ნამდვილი მანანის მოცემაზე, რაც საკუთარი თავის გაცხადებას ნიშნავს. იგი ამბობს:

„მე ვარ ცოცხალი პური, ზეციდან ჩამოსული. ვინც შეჭამს ამ პურს, საუკუნოდ იცოცხლებს. პური, მე რომ გაძლევთ, ჩემი ხორცია, და წუთისოფლის სიცოცხლისთვის გავცემ მას“ (იოან. 6:51).

იგი ღვთის ცოცხალი სიტყვაა, რომლითაც ვცოცხლობთ (2რჯ. 8:2-3).

იერემია ასე ამბობს:

> „ვპოვე შენი სიტყვები და ვჭამე ისინი. სიხარულად
> მექცა შენი სიტყვები და გულის მხიარულებად,
> ვინაიდან შენი სახელით ვიწოდები,
> უფალო, ცაბაოთ ღმერთო“ (იერ. 15:16).

იერემიამ ესაიასავით გაიარა ღვთიური განწმედა. როგორც მოსეს, არც მას სურდა ამქვეყნიური სისტემა. ის ქვეყნიერებას გამოეყო, რომ ღმერთი შეეცნო. ღვთის სიტყვა მის სიხარულად იქცა; მისით იკვებებოდა. იმის გამო, რომ ღვთის გულიდან წამოსულ სიტყვებს გადასცემდა განდგომილ ხალხს, მათგან იდევნებოდა:

> „რადგან, როგორც კი ავლაპარაკდები, ხმამაღლა
> ვღაღადებ: ძალადობა და ნგრევაა-მეთქი! ამის გამოა,
> რომ უფლის სიტყვა დამცირებად და დაცინვად
> გადამექცა ყოველდღე. ვთქვი: „აღარ გავიხსენებ უფალს
> და აღარ ვილაპარაკებ-მეთქი მისი სახელით,“ მაგრამ
> სიტყვა ცეცხლივით ამიგიზგიზდა გულში, ძვლები
> გამიხურდა; ვეცადე დამეოკებინა, მაგრამ ვერ შევძელი“.
> (იერ. 20:8-9)

იოანე ნათლისმცემელი კიდევ ერთი ადამიანი გახლდათ, რომელსაც ღვთის სიტყვა სწყუროდა. ის ქვეყნიერებას და რელიგიურ თვალთმაქცობას გამოეყო. მას მემკვიდრეობად იერუსალიმში წვრთნის მიღება ერგო სხვა მღვდლების ძეებთან ერთად, რომ წინამძღოლი გამხდარიყო. მან ყველაფერი მიატოვა, რაც ადამიანებმა განუსაზღვრეს და ღმერთს დაემორჩილა.

უდაბნოში მყოფს უფლის სიტყვა გამოეცხადა. იოანემაც გამოავლინა ღვთის გულისნადები. იესომ მასზე თქვა:

„იგი ანთებული და მანათობელი ლამპარი იყო, და თქვენც გინდოდათ, მის შუქზე გეხარათ ერთხანს“ (იოან. 5:35).

მოწოდებული ვართ, რომ მისი დიდების ცეცხლით ვენთოთ მოსეს, ესაიას, იერემიას, იოანეს, პავლესა და სხვათა მსგავსად. თუმცა ეს არასოდეს მოხდება, თუ ამქვეყნიურ სურვილებს არ გამოვეყოფით. წუთისოფლის ხიზნებად და მწირებად ვართ მოწოდებული. ნამდვილი კმაყოფილება მხოლოდ მაშინ გვეწვევა, როცა სრულად ჩავეფლობით ღვთის სიტყვაში და მთელი დღის განმავლობაში მასზე ვიფიქრებთ. მაშინ ღვთის ცეცხლი დიდად აგიზგიზდება ჩვენში და ჩვენზე. როცა ახალგაზრდებს ერთმანეთი შეუყვარდებათ, არ სჭირდებათ ვინმესგან დარიგება: „მთელი დღე იფიქრე შენს საყვარელ ადამიანზე!“ არა! ისინი ნებისმიერ თავისუფალ წუთს ერთმანეთზე იფიქრებენ.

მალაქიამ უკანასკნელი დროის ეკლესიაში ორი ტიპის ადამიანთა ჯგუფების არსებობა განჭვრიტა. ორივე გაივლის განწმედის პროცესს, რომლის შესახებაც წინა თავებში გავიგეთ. პირველი ჯგუფი იწუწუნებს და იტყვის:

„ფუჭია ღმერთის წინაშე მსახურება, რას გვარგებს მისი ბრძანებების დაცვა, თუკი უწმიდურები ჩვენზე მეტად მხიარულობენ? უფალს ვემსახურებით და მაინც არ გვშორდება განსაცდელები და ჭირი“ (მალ. 3:14-15, ავტორის პარაფრაზირება.)

ადამიანთა მეორე ჯგუფის შესახებ სხვაგვარი ჩანაწერია:

> „როცა ლაპარაკობენ ერთმანეთში უფლის მოშიშნი,
> ყურს უგდებს მათ უფალი, ესმის და იწერება
> სამახსოვრო წიგნში მის წინაშე, უფლის
> მოშიშთათვის და მისი სახელის მოწიწებით
> მომხსენიებელთათვის“ (მალ. 3:16).

მათ უყვართ უფლის სიტყვა და გზები ისე, რომ ვერავითარი ტანჯვა ამას ვერ დაჩრდილავს. თუმცა წინასწარმეტყველი ამბობს, რა უნდა მოხდეს:

„რადგან, აჰა, მოდის დღე ღუმელივით
აგიზგიზებული; და იქნება ყველა
ქედმაღალი და ბოროტმოქმედი
ჩალასავით; და გადაბუგავს მათ
მომავალი დღე – ამბობს ცაბაოთ უფალი
– არ შეარჩენს არც ფესვსა და არც ყლორტს! და
ამობრწყინდება თქვენთვის, ჩემი სახელის
მოშიშთათვის, სიმართლის მზე და განკურნება
იქნება მის ფრთებზე! და კუნტრუშით გამოხვალთ,
ნასუქი ხბორებივით. გათელავთ ბოროტთ, ვინაიდან
ნაცრად იქცევიან ისინი თქვენს ფერხთა ქვეშ იმ დღეს,
მე რომ ვამზადებ – ამბობს ცაბაოთ უფალი“
(მალ. 4:1-3).

ის ლაპარაკობს არა „სიმართლის ძეზე“, არამედ „სიმართლის მზეზე“. მზე უზარმაზარი ცეცხლოვანი ბურთია. სწორედ ასე გაუცხადდება იესო უკანასკნელ დღეებში მის მოშიშ ადამიანებს.

ისინი მის სიტყვებზე იფიქრებენ უფლის გზებისადმი სუფთა სიყვარულის გამო. ღვთის დიდების ცეცხლი აგიზგიზდება მათ თავზე და ყველა ადამიანი დაინახავს უკუნ სიბნელეში. ამ ანთებული და მანათობელი ლამპრების მსახურების შედეგად მოიწევა სულთა ისეთი მკა, რომელიც აქამდე არავის უნახავს. მათი გულები ღვთის სიტყვით იქნება ანთებული და ვერავითარი სიბნელე ვერ დაძლევს. ამის თვალის შევლებას იესოს აღდგომის შემდეგ ემაუსის გზაზე მიმავალი ორი მოწაფის მაგალითზე ვხედავთ:

„და აჰა, იმავე დღეს ორი მათგანი მიდიოდა სოფელში, რომელიც სამოცი სტადიონით იყო დაშორებული იერუსალიმიდან და ერქვა ემაუსი. ისინიც ყველა იმ ამბავზე ლაპარაკობდნენ ერთმანეთში, რაც მოხდა. ამ ლაპარაკსა და მსჯელობაში რომ იყვნენ, თვითონ იესო მიუახლოვდა და დაემგზავრა მათ“ (ლუკ. 24:13-15).

ისინი რთულ პერიოდში აღმოჩნდნენ, მაგრამ ღვთის საქმეებზე ლაპარაკობდნენ. ამ საუბრისას მათ იესო მიუახლოვდა. როცა ღვთისმოშიშებისა და სიყვარულიდან გამომდინარე

ვლაპარაკობთ, ის გვიახლოვდება. იესოს ახლოს მოსვლის შემდეგ ვკითხულობთ: „მოსედან და ყველა წინასწარმეტყველიდან მოყოლებული განუმარტავდა მათ ყოველ წერილში მის შესახებ ნათქვამს“ (ლუკ. 24:27).

რა ნადიმია! ო, როგორ მწყურია, რომ მან თავი კიდევ უფრო მეტად გაგვიცხადოს! მხოლოდ უფალია ჩემი დადარდიანებული გულის დამაკმაყოფილებელი.

სანამ ისინი საუბრობდნენ და თავიანთ ნაფიქრალს ერთმანეთს უზიარებდნენ, იესო ახლოს მოვიდა და თვალები აუხილა, რომ წერილიდან დაენახათ:

„მაშინ თვალი აეხილათ და იცნეს იგი. მაგრამ ის უჩინარი შეიქნა მათთვის“ (ლუკ. 24:31).

ო, აგვიხილე თვალები, მამა, რომ ჩვენც დავინახოთ იესო!

„უთხრეს ერთმანეთს: „განა არ გიზგიზებდა ჩვენში გული, როცა გველაპარაკებოდა გზაში და განგვიმარტავდა წერილებს?“ (ლუკ. 24:32). როდის აენთო მოსეს გული ისე, რომ მისი სახეც განათდა? როცა ღვთის სიტყვა მოისმინა მის თანდასწრებაში. რამ მისცა მას ღვთის სიტყვის მოსმენისა და მის დიდებულ თანდასწრებაში ყოფნის უნარი? გადაწყვეტილებამ, რომ ეგვიპტეს გამოყოფოდა და მას დამორჩილებოდა, ვისი შეცნობაც ასე ძალიან სწყუროდა. მან ქრისტესთვის ტანჯვა მეტ სიმდიდრედ მიიჩნია, ვიდრე ეგვიპტის საგანძურები, რადგან საზღაურს ელოდა.

ო, რა დიდი იმედი მაქვს, რომ თქვენს შინაგანში უფლისადმი სწრაფვა სიღრმიდან აენთო!

თავი 14

ისინი იხილავენ მის სახეს

ისინი მის წინაშე წარსდგებიან ქვეყნიერების ნებისმიერი ლაქისგან თავისუფლები, წმიდა გრძნობით ანთებული გულებით.

ჩვენი საუკეთესო დღეები ჯერ კიდევ წინ არის. ღმერთმა თავისთვის შეინახა ხალხის ნატამალი. ისინი უფლის გულის ძახილს მოისმენენ და წმიდად ივლიან მის წინაშე. ისინი ნამდვილი მორწმუნის სახეს წარმოადგენენ – მათ, ვინც ისმენს ღვთის ხმას და ყოველგვარი ეჭვის გარეშე ემორჩილება. ისინი მის წინაშე ამქვეყნიური ლაქისა და მანკის გარეშე წარსდგებიან, წმიდა გრძნობით ანთებული გულებით. როგორც უფალია მათ მიმართ დაშურებული, ასევე იქნებიან ისინი ღვთისადმი მოშურნეობით სავსე. ისიც ამ ხალხის მეშვეობით უჩვენებს თავის დიდებას დაკარგულ და დაღუპულ წუთისოფელს.

აბრაჰამის შვილიშვილის, იაკობის ცხოვრებაში ვხედავთ პირველსახეს, რის გაკეთებასაც უფალი აპირებს. ღმერთმა უთხრა იაკობს: „ადექი, ადი ბეთელში და იქ დამკვიდრდი; და იქ აუგე სამსხვერპლო ღმერთს“ (დაბ. 35:1). ბეთელი „ღვთის სახლს“ ნიშნავს. სხვა დროს იაკობი იქ ღმერთს შეხვდა. მან მოუწოდა: „იაკობ, მომიახლოვდი და მოგიახლოვდები“. იაკობმა უპასუხა და თავის მხრივ, სახლეულს მითითება მისცა:

„უთხრა იაკობმა თავის სახლეულს და ყველას, ვინც მასთან იყო: „მოიშორეთ უცხო ღმერთები, რომლებიც თქვენშია, განიწმინდენით და გამოიცვალეთ სამოსელი. ავდგეთ და ავიდეთ ბეთელში, სამსხვერპლოს ავუგებ იქ ღმერთს, რომელმაც მისმინა გაჭირვების ჟამს და ჩემთან ერთად იყო ჩემს გზაზე“ (დაბ. 35:2-3.

მათ „უცხო ღმერთები“ უნდა მოეშორებინათ. გახსოვდეთ, კერპია ის, რასაც თქვენს ძალას და შინაგან ძალისხმევას ახმართ იესოზე მეტად. ლაოდიკიის ეკლესიის კერპთაყვანისმცემლობა მათი ანგარება იყო, რამაც მარადიული საქმეების კეთებისთვის საჭირო მისწრაფება დააკარგინათ (კოლ. 3:5). იაკობის მითითებამ, „განიწმინდენით და გამოიცვალეთ სამოსელი“, სისუფთავისა და შესაფერისი სამოსლის მნიშვნელობა დაადასტურა. ანალოგიურად მიმართა იესომ ლაოდიკიის ეკლესიას. იაკობი და მისი სახლეული ღმერთს მიუახლოვდნენ: „და გაემგზავრნენ. ღვთის შიში იყო ირგვლივ მდებარე ქალაქებზე და არ დაედევნენ იაკობის ძეებს“ (დაბ. 35:5). უფლის მოშიშებამ ისე მოიცვა ისინი, რომ ძრწოლა მოჰგვარა ახლომდებარე ქალაქებს, რომელთა გვერდით ჩავლაც მოუხდათ. როცა უფალს ვუძღვნით თავს, მისი თანდასწრების ავტორიტეტი თან მოგვყვება და ირგვლივ მყოფთათვის ცხადი ხდება.

მთლიანად ღმერთს გადაცემული

ჩარლზ ფინმა მთლიანად მიუძღვნა თავი ღმერთს. უფლისადმი ერთგულება ყველაზე მეტად ჩანდა მის ცხოვრებაში და კარგად ემჩნეოდა მის მიერ ნაქადაგებ სიწმიდეს. მაგალითად, ის ეწვია ფაბრიკას, სადაც დაახლოებით, სამი ათასი ადამიანი მუშაობდა. მფლობელი და მუშების უმეტესობა არ იყვნენ სულიერად გადარჩენილი. ფინი ადგილობრივ სამახარებლო კამპანიას უძღვებოდა და ერთმა ქალმა, რომელმაც იცნო, მის მიმართ დამამცირებელი შენიშვნა გამოთქვა. ქალი მეყსეულად მოიცვა ღვთიურმა მხილებამ და ეს სხვებზეც გავრცელდა, რადგან მუშებმა საქმე მიატოვეს და ნუგეში სცეს. სამუშაო ერთი წუთის განმავლობაში შეჩერდა. ფაბრიკის მფლობელი და მუშები დატყვევებული უსმენდნენ ღვთის სიტყვას ჩარლზ ფინის ქადაგებაში. რამდენიმე საათში მათგან უმეტესმა გადარჩენა მიიღო. ჩარლზს ღვთის თანდასწრება სამოსელივით ეცვა და ეს

ცხადი ხდებოდა გარშემომყოფთათვის, როგორც ქრისტიანების, ისე წარმართებისთვის.

რატომ არ ყოფნის ეკლესიას ძალაუფლება ათწლეულების მანძილზე, რომ ამგვარი თანდასწრება მოჰქონდეს? მეტისმეტად დიდხანს გმობდა ქვეყნიერება ამერიკულ ეკლესიას და დასცინოდა: „სად არის შენი ღმერთი?“ თუ ოდესმე დევნა გადაგვიტანია, ნაკლებად ყოფილა სიმართლის გამო. უფრო მეტად, ჩვენი ნაკლოვანებები და ხორციელი მისწრაფებები გვდევნიან. და მაინც, დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთი ისევ წარმოშობს მის მიმართ სრულად მიძღვნილ ერს. ჩემი გული ამის სურვილით ანთია. თქვენი? უფალი ძალმოსილი და თვალსაჩინო გზებით დამკვიდრდება მათ ირგვლივ. ღვთის შიში ისევ მოიცავს მის შვილებს, როგორც ძველ დროში ხდებოდა.

ამ წიგნში, ძირითადად, მოსესა და ისრაელის ძეებზე ვილაპარაკე. პირველმა თაობამ არ მოიშორა ეგვიპტის ნდომა. ებრაელთა მომდევნო თაობას უნაყოფო უდაბნოში ხეტიალი მოუხდა და თავი უფალს მიუძღვნა. ეს იყო თაობა, რომელიც იეშუა ნავეს ძეს მიყვებოდა. იეშუა ნავეს ძის წიგნში დაუმორჩილებლობის თუ კერპთაყვანისცემის მხოლოდ ერთ შემთხვევას ვხედავთ, რომელშიც ერთი ოჯახი მონაწილეობდა და მთელი ერი აღსდგა მის წინააღმდეგ (ი.ნ. 7).

როცა იორდანეს გადასალახად მოემზადნენ და მტრის პირისპირ აღმოჩდნენ, მოსემ ასე მიმართა მათ:

> „ისმინე, ისრაელ! დღეს გადალახავ იორდანეს, რომ წახვიდე და დაიმკვიდრო შენზე დიდი და ძლიერი ხალხები, დიდი, ზეცამდე გამაგრებული ქალაქები. ხალხი დიდი და მაღალი, ყენაკის ძენი, რომელიც იცი და რომელზეც ამბობენ: ვინ აღუდგებაო წინ ყენაკის ძეებს! იცოდე დღეს, რომ უფალი, შენი ღმერთი, მიგიძღვის წინ, როგორც მშთანმთქმელი ცეცხლი; ის გაანადგურებს და დაამხობს მათ შენ წინაშე, განდევნი მათ და მალე დაღუპავ, როგორც გითხრა უფალმა“ (2 რჯ. 9:1-3).

ვართ თუ არა იეშუას მსგავსი თაობა? გვინდა თუ არა ისეთ სიწმიდეში სიარული, რომ ღმერთმა ცხებულება მოიტანოს ჩვენზე, რომელსაც ქვეყნიერება ვერ დაძლევს? დაე, ეს იყოს ჩვენი ლოცვის თემა!

მძლეველი ეკლესია

პირველი ეკლესია ღვთის დიდებულ თანდასწრებაში დადიოდა. ეკლესია ლოცულობდა და შენობები ირყეოდა. ანანიამ და საფირამ ცრუ შესაწირავი მოიტანეს პეტრეს წინაშე და მკვდრები დაეცნენ. ისე ცხადი და ძლიერი იყო ღვთის თანდასწრება, რომ წერილი ამბობს:

> „დანარჩენთაგან ვერავინ ბედავდა მათ შეერთებოდა, ხალხი კი ადიდებდა მათ. სულ უფრო და უფრო ემატებოდნენ უფალს მორწმუნენი, მრავალი მამაკაცი და დედაკაცი. ავადმყოფები ქუჩაში გამოჰყავდათ და საკაცეებზე და საწოლებზე აწვენდნენ, რომ ჩავლილი პეტრეს ჩრდილი მაინც დაჰფენოდა რომელიმე მათგანს“ (საქმ. 5:13-15).

დღეს ყველაფერი სხვაგვარადაა. თვითმარქვიები ადვილად ერევიან ჭეშმარიტებას, რადგან ღვთიური ძრწოლა და ცეცხლი არ გვყოფნის. წყვილის სიკვდილმა გარშემომყოფი საზოგადოება გამოაფხიზლა და მიახვედრა, რომ ღმერთთან და მის ერთან თამაში არ შეიძლება. ცათა სამეფოს მრავალი ადამიანი შეემატა (საქმ. 5:16). ვისაც ღვთის წყურვილი ჰქონდა, ამოიცნეს იგი მორწმუნეთა შორის, მაგრამ თვალთმაქცებმა შიშით უკან დაიხიეს.

ადრეული ეკლესია გამარჯვებული იყო. იესომ ლაოდიკიის ეკლესიას, რომელიც ასე ჰგავს თანამედროვე მორწმუნეთა საკრებულოს, შემდეგი დაპირება მისცა: „გამარჯვებული ჩემთან ერთად დაჯდება ჩემს ტახტზე, ისევე, როგორც მე გავიმარჯვე და დავჯექი ჩემს მამასთან მის ტახტზე“ (გამოცხ. 3:21). უფალმა გამოცხადებაში ყველაზე მკაცრი საყვედურის მიმღებ ეკლესიასაც კი შესთავაზა უდიდესი აღთქმა. მეფსალმუნე ღაღადებდა, რომ ღვთის სატახტო დარბაზში კარის მცველობა მისთვის დიდი პატივი იქნებოდა. თუმცა იესო მარტო კი არ გვეპატიჟება სატახტო დარბაზში, არამედ მასთან ერთად დაჯდომასაც გვთავაზობს. ალბათ, ახლა მაინც გავიაზრებთ პავლეს სიტყვებს:

„თუ მოვითმენთ, მასთან
ერთად ვიმეფებთ კიდეც!
თუ უარვყოფთ, ისიც
უარგვყოფს ჩვენ!“
(2 ტიმ. 2:12).

როგორ შეუძლია იესოს უფლად მაღიარებელს მისი უარყოფა? პასუხს შემდეგ მუხლში ვპოულობთ: „ისინი სიტყვით აღიარებენ ღმერთს, საქმეებით კი უარყოფენ“ (ტიტ. 1:16). ისევ ვხედავთ, რომ საქმეები სიტყვებზე მეტად ღაღადებს. პავლეც გვამხნევებს: „თუ მოვითმენთ, მასთან ერთად ვიმეფებთ“.

სიწმიდე ბოლომდე სიარულისთვის მზადყოფნას გულისხმობს. კურთხეული დაპირება გვაქვს და ღმერთმა მადლი მოგვანიჭა იმისთვის, რომ დავითმინოთ და გამარჯვება მოვიპოვოთ. ესენი არიან გამარჯვებულები და ღმერთი მათ აღთქმას აძლევს: „იხილავენ მის სახეს, და მისი სახელი შუბლზე ექნებათ. ღამე აღარ იქნება და აღარ დასჭირდებათ არც ლამპრის შუქი და არც მზის სინათლე, ვინაიდან უფალი ღმერთი გაუნათებს მათ, და იმეფებენ უკუნითი უკუნისამდე“ (გამოცხ. 22:4-5).

მოსეს ქვეყნად ყველაზე მეტად სურდა უფლის სახის ხილვა. ვინც სიძნელეებს გადალახავს, მას იხილავს, როცა მარადიულად იმეფებს მასთან ერთად. წინამდებარე წიგნი იმიტომ გიჭირავთ ხელში, რომ სწორედ ეს არის თქვენი შინაგანი სურვილი და ღვთის უდიდესი მოპატიჟება.

მიიღეთ ის, ცეცხლს აგიზგიზების საშუალება მიეცით და უმზირეთ მას! დაე, უხვად იყოს თქვენზე უფალ იესო ქრისტეს მადლი, ამინ!

მიახლოება

ღმერთთან ახლო ურთიერთობაში ცხოვრება



წმიდა წერილი ხშირად აცხადებს, რომ ღმერთს ჩვენთან ახლო ურთიერთ-ობა სურს. როცა მას ვუახლოვდებით, ვხვდებით, რომ უფლის წმიდა სულის თანდასწრება ყველაზე მაცოცხლებელი, ამაღელვებელი და გარდამქმნელი გამოცდილებაა, რომელიც კი ოდესმე გვქონია. ძნელია, მოგინდეთ რაღაც ისეთი, რის დაკარგვის შესაძლებლობაზე არაფერი გსმენიათ.

სამწუხაროდ, ბევრი ჩვენგანი მიეჩვია გონებაში არსებული რელიგიის ნარევს და ღმერთთან სიახლოვის ენთუზიაზმს ასცდა. ღვთის სიწმიდეს უგულებელვყოფთ და სულიწმიდით ავსებას ჩვენი ცხოვრების გაწმედის გარეშე ვცდილობთ მისი მიღების მიზნით. თუმცა ჩვენ უზენაესთან მოზიარეობისთვის ვართ შექმნილი. სამყაროს შემოქმედის წარმოუდგენელი მოწვევა არ გულისხმობს მხოლოდ შორიდან თაყვანისცემას სიტყვებით და რიტუალებით, არამედ მასთან ისეთი აზრიანი და ახლო ურთიერთობის დამყარებას, რომ შედეგად, ღვთის გულისნადები გესმოდეთ, ხოლო მას თქვენი.

ჩამოტვირთედ: MessengerX.com

MessengerX

დამოწაფების მოგზაურობა ყველასთვის და ყველგან



- **უფასოდ 130 სხვადასხვა ენაზე**
- თქვენი ზრდის ზედამხედველურირესურსები
- ხელმისაწდომიაროგორც აპლიკაციით, ისე ონლაინ რესურსის სახით
- თქვენი ისტორიისა და დამოწაფების გზისთვის თვალის მიდევნება



მიიღეთ დამოწაფების რესურსები
მთელი მესინჯერ-ბიბლიოთეკა
ელექტრონული წიგნების, აუდიო-წიგნების,
მოკლემეტრაჟიანი ფილმების, ვიდეო
სწავლების, ბიბლიებისა და სხვათა
სახით, რომ უყუროთ, წაიკითხოთ და
მოუსმინოთ ყველა ციფრულ
მოწყობილობაზე.

MessengerX.com

ჩამოტვირთეთ: App Store

იხილეთ: Google Play

მიიღეთ მსოფლიოს მაშთაბით – App Store და Google Play.

იწვის თუ არა თქვენი გული წმიდა ცეცხლით?

იესო არასოდეს იწონებდა ნელთბილ მდგომარეობას. პირიქით, ის ენთუზიაზმით სავსე მსახურებისკენ მოგვიწოდებს. საიდან უნდა ავიღოთ მასთან ურთიერთობისთვის საჭირო ცეცხლი? უფალი არასოდეს მოგვთხოვს იმის კეთებას, რისთვისაც არ მოვუმზადებივართ. თუ ფიქრობთ, რომ მასთან მგზნებარე ურთიერთობა მიუღწეველია, მაშინ ეს წიგნი გაჩვენებთ, რომ საქმე სხვაგვარადაა.

მსოფლიოში ცნობილი ავტორი და ბიბლიის მასწავლებელი, ჯონ ბევირი მოგიწოდებთ, რომ ღმერთთან ნელთბილი ურთიერთობა სიცოცხლით და მგზნებარებით შეცვალოთ. „მხურვალე გული“ ღრმა სულიერ იდეებსა და გადმოცემის ოსტატობას აერთიანებს, რაც ღვთისადმი სწრაფვის გაღვივებასა და შენარჩუნებაში დაგეხმარებათ. წიგნის კითხვისას მიხვდებით, როგორ გარდაგქმნით სულიწმიდა, როცა ღვთის სიწმიდის ცეცხლი შინაგან კაცს შეეხება.

მნიშვნელობა არ აქვს, ღმერთთან ურთიერთობის რა ეტაპზე იმყოფებით. თუ ამ წიგნის სიტყვებს მთელი სერიოზულობით მოეკიდებით, თქვენი ცხოვრება შეიცვლება. სავალდებულო საკითხავია ყველასთვის, ვისაც ღმერთთან უფრო ღრმა ურთიერთობა სურს.

ჯონ ბევირი ღვთის სიტყვასთან დაკავშირებით გაბედული და ურყევი პოზიციის მქონე პასტორი გახლავთ. ის არის საერთაშორისო მასშტაბის ბესთსელერი ავტორი, რომლის წიგნები მილიონიანი ტირაჟით იყიდება და თარგმნილია 130-ზე მეტ ენაზე. მეუღლე ლიზასთან ერთად, ჯონ ბევირი მესენჯერ ინთერნეშნალის თანადამფუძნებელია. ეს გახლავთ მსახურება, რომლის მიზანია მსოფლიო მასშტაბის რევოლუციური გარდაქმნების მოხდენა დამონაფეებისა და ქრისტეს მტკიცე, მგზნებარე მიმდევრების აღზრდის საქმეში.

MessengerX

უფასოდ ჩამოსატვირთად და ვიდეო
რესურსებისათვის ეწვიეთ **MessengerX.com**

გსურს მეტი? დააკვირდი

Messenger INTERNATIONAL

წიგნი ავტორის საჩუქარია
და არ იყიდება